


ალექს (ალექს) ასლანიშვილი

მეგრენთა  
საკრიტიკო



აღმაშენ (აღმაპო) ასტანისაღილი

# ეგრესი საქმე

2005 წ.

გამოხვევლის „ორატო“

აბსურდი — ერთი სიტყვით და გველაზე გამომსახულად, ასე შეიძლება დასასურდეს ის უბარძმაშარი „საქშე“, რომელიც მოსწოდის საწოდებით 1951-1953 წლებში შეიქმნა საქართველოს სსრ სახელმწიფო უმიმროების სამინისტროს კაბინეტებში და პირობითად „მტრულ მურელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქშე“ ეწეოდა.

„მურელთა საქშე“ ათწლეულების მანძილზე ტაბერდადებული იყო აუქშეში გამოიხების მასალებისა არაუინ მივიშვებდა. ხალხში კი ლაპარაკით დაღირდა ამბეჭი კუთხურობის ნიშნით მრავალი ადამიანის რეარქისტრის შესახებ, რომლებიც შემთხვევით სტალინის ხელილის გამოგადაურჩნენ კუდელისნ მიერნებას.

1990-იანი წლებიდან ეს ნაკლუდება შეიცი და რამდენიმე პებლიკაცია გამოიქვეყნდა. ამ ნამრობის უტორს საშუალება ჰქონდა გასცენობოდა საქართველოს სახელმწიფო უმიმროების სამინისტროს არქიში დაცულ „მურელთა საქშის“ ტომეულებს. შემდევ, როგორც იტყვიან, მარცვალ-მარცვალ ავრიცებდა მასალებს. თვისი კელვის შედეგა სავაჭეოო კარიანტის სახით 2003 წლის იანვარში მიაწოდა „საქართველოს რესუბლიის“ ქითხველის.

ამჯერად საზოგადოების სამსჯავროზე წიგნის სახით გამოაქვთ, იღონდ წინდაწინ გვაფრთხილებს, რომ იგი არ არის წმინდა მეცნიერელი გამოკვლეული, პუბლიცისტის თეალით დანახული ისტორია.

რედაქტორი გურამ გოგიაშვილი

რეცენზენტი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი  
ელბერდ ბატიაშვილი

წიგნი გამოიცა ბატონების ოთარ ჭითანაფას და გოჩა სოსელიას  
მხარდაჭერითა და ძალისხმევით.

© გამომცემლობა „ცოტნე“, 2005 წ.



## აბსული, ანუ ფინატემა

„მიმღერე ქალღმერთო, რისხვა აქილევსის, პელვისის ძისა,“ — შესთხოვდა დიდი პომეროსი ისტორიის მუზას კლიოს, ზევსისა და მწემოსინეს ბრძენ და შმვენიერ ასულს. ძევლი საბერძნეთის უპირველესი მგოსანი ტროას ომის საგმირო ეპოსს თხზავდა და ღმერთქალს თანადგომას სთხოვდა.

მეც კლიოს ვთხოვ დახმარებას, თუმცა პომეროსობამდე ბევრი მიკლია და არც იმაში, რასაც ვწერ, არის რაიმე გმირული და ამაღლებული, პირიქით, ადამიანური სიმდაბლის და ეპოქის უსამართლობის ნიმუშია. და თუ ისტორიის მუზის შემწეობის იმედად ვარ, იმიტომ, რომ რაც შეიძლება სწორად და უტყუარად ჩავწედე ნახევარი საუკუნის წინათ გათამაშებულ ტრაგედიას.

\*\*\*

საზოგადოების ყოფიერებაში ცელილება ახალ იდეებს წარმოშობს, რაც, თვის მხრივ, საზოგადოების კლასებს შორის ბრძოლის მიზეზი ხდება, — გვასწავლის მარჯვინის.

ამ საეჭვო და მავნე თუორიაშ ტერორი მსოფლიო სოციალიტური სისტემის „საფირმო ნიშნად“ აქცია.

დაბეჯითებით ვერაუინ იტევის, შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს, რამდენი მილიონი ადამიანი მოსპეს, რამდენი მილიონი ჩაალპეს საკონცენტრაციო ბანაკებში XX საუკუნის უდიდეს ტოტალიტარულ სახელმწიფოში — საბჭოთა სოციალისტური რესტუბლიკების კუმინში.

განუწყვეტლივ ბრუნავდა დიდი რეპრესიების ბორბალი და ქვეუნის მოქალაქეთა ნაწილს „გასავალში“ ჩამოწერდა, ნაწი-

ლისაგან კი „საბჭოთა ადამიანებს“ სტელდა. პარტიის ფურული ტიკოსისა და იდეოლოგის ნიკალოს ბუხარინის გასაოცარი აღმოჩენის შესაბამისად: „პროლეტარული ძალადატანება თავისი ეველა ფორმით, დახვრეტით დაწყებული და შრომითი ბეგარით დამთავრებული, რა პარალექსულადაც უნდა ეღდერდეს, კაპიტალისტური ეპოქის ადამიანის მასალიდან კომუნისტური კაცობრიობის გამოჭედვის მეთოდს წარმოადგენს.“

1930-იან წლებში ეს „თუორია“ ისეთ საშინელ პრაქტიკად იქცა, მის გახსენებაზე დღესაც სისხლი ეყინებათ მომსწრებს.

1998 წლს ბაქოში გამართული სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში „საბჭოთა ტოტალიტარიზმი კაუკასიაში (20-30-იანი წ.წ.)“, პროფესორ გიორგი ციციმუილის კელე-ვებზე დაყრდნობით, ასეთი დასკვნებია მოცემული: საქართველოში 1921-1938 წლებში პოლიტიკური ბრალდებით დაიხერიტა 13470 კაცი. აქედან მხოლოდ 1937-1938 წლებში — 11 264 კაცი. მაგრამ არც სხვა დროს დამდგარა ამოსუნთქვის პერიოდი. თუთ დიდ სამამულო ოშში გამარჯვების შემდეგ.

მართალია ისე მასობრივად აღარ ხვრეტდნენ, მაგრამ ციხეები და ბანაკები საესე იყო.

საქართველოდან მოწანეებარე ნაკადული უწყეუტად უერთდებოდა გულაგის დიდ მდინარეს. ზემოთ ნახსენები კონფერენციის მასალების მიხედვით 1937-1938 წლებში საქართველოში თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს 11066 პოლიტიკომარს, აქედან 8939 კაცს — 10 წლით.

მოსკველი ისტორიკოსი ვიქტორ ზემსკოვი უკრნალ „სოციოლოგიჩესკიუ ისსლედოვანიას“ 1991 წლის 6-7 ნომრებში დაბეჭდილ გამოკელევაში „გულაგი (ისტორიულ-სოციოლოგიური ასპექტი)“ წერს, 1939 წლის 1 იანვრისათვის გულაგის საკონცენტრაციო ბანაკების პატიმართა საერთო შემაღენლობის 0,89 პროცენტი (11783 კაცი) ქართველი იყოთ.

ეს რიცხვი 1947 წლისათვის 0,59 პროცენტამდე (4609 კაცამდე) შემცირებულა. მაგრამ ვინშემ კუდი რომ არ გამოაბას ბანაკებში სტალინის და ბერიას თანამემულეთა ასეთ კლებას, განვმარტავ, რომ მაშინ ასევე თათქმის განახურდა ებრაელების,

თათრების, ყაზახების, უზბეკების, სომხების რაოდენობა. სამაგი-  
ეროდ გაორმაგდა უკრაინელების, ბელორუსების, ლიტვულების,  
ლატვიელების, ესტონელების, პოლონელების რაოდენობა. ეს  
კლება-მატება დიდი სამამულო ოშის გამოძახილია: იმატა პატი-  
მართა რაოდენობამ ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

მდგომარეობა მკეთრად შეიცვალა 1951 წელს. ოშისმემ-  
დგომი რეპრესიების შედეგად გულაგის პატიმართა საერთო რა-  
ოდენობაში ქართველთა ხვედრით წილი 0,93 პროცენტამდე გა-  
ისარდა. ეს 23583 კაცს შეადგენდა. აქედან, საკონცენტრაციო  
ბანაკებში იჯდა 6968 კაცი, კოლონიებში — 16615.

ასეთი მკეთრი ზრდა საქართველოდან „მტრული ელე-  
მენტების“ გასახლებისა და შემდგომი რეპრესიის შედეგია.

მასში „მეგრულთა საქმის“ მსხვერპლი მხოლოდ „ირი-  
ბად“ მოხვდნენ. „მეორე-მესამეხარისხოვანი“ „მტრულ ელე-  
მენტებს“ გააყოლეს, „მთავარ დამნაშავეთა“ გასამართლება კი  
უბრალოდ ვერ მოესწრო) ვერც 1951 წელს, ვერც 1952 და ვერც  
1953 წელს.

აი, მთავარ სათქმელს მიეკადექით.

„მეგრულთა საქმე“ ათწლეულების მანძილზე ტაბუდადე-  
ბული იყო. სუკ-ის არქივში გამოძიების მასალებთან არაერთ მი-  
გიშვებდა. ხალხში კი ლეგენდასავით დადიოდა ამბავი კუთხუ-  
რობის ნიშნით მრავალი ადამიანის რეპრესირების შესახებ, რომ-  
ლებიც შემთხვევით, სტალინის სიკვდილის გამო, გადაურჩნენ  
კედელთან მიყენებას.

პირველად „მეგრულთა საქმეზე“ გაზეთ „სახალხო განათ-  
ლებაში“ (1989 წ. 12 ივნისი) წერილი „უზნეობის ზეიმი“ გამო-  
აქვეყნა გერმანე ფაცაციამ. თავისი მოგონებები 1997 წელს წიგ-  
ნაკად გამოსცა საქ. კპ (ბ) ჩხოროწყვეს რაიკომის ყოფილმა პირ-  
ველმა მდივანმა მამანტი პაჭკორიამ. 1999 წელს გაზეთ „მან-  
სში“ (№16, 17, 18) დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენ-  
ტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდონის ალიოშა მირ-  
ცხულავას ინტერვიუ „ტაბუდადებული სიმართლე მეგრულთა  
საქმის შესახებ.“ 2000 წელს დაისტამბა გალიკო შონიას წიგნი  
„დანაშაული ერის წინაშე, ანუ როგორ შეითითხნა „მეგრულთა

საქმე“, 2001 წელს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირების მდგრადი მდგრადის აკაკი მგელაძის შეკონებები „სტალინი, როგორიც ის მანსონის“ (რუსულ ენაზე). 2002 წელს, ჯერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოიცა იურისტ ჯემალ შელიას „სამხილი მეგრულთა ნაციონალისტური ჯგუფისა და საქართველოდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ (ანუ ლავრენტი ბერიას 113 იდემალი დღე)“, ეურნალ „სარკის“ 2002 წლის №43-ში — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის უფროსის მოადგილის გელა სულაძის ინტერესუ „მეგრულ ნაციონალსტთა საქმე — სისხლიანი მორცეი ლავრენტი ბერიას გარშემო“. 2003 წლის იანვარში „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ჩემი ამ წიგნის საგაზეთო ვარიანტი. იყო კიდევ რამდენიმე პუბლიკაცია. ამ თვემაზე რუსი (რუსულენოვანი) და დასავლელი ავტორებიც ხშირად გამოიქვამენ მოსაზრებებს.

მე საშუალება მქონდა ამ რამდენიმე წლის წინათ გაეცნობოდი საქართველოს უშიშროების სამინისტროს არქივში დაცულ „მეგრულთა საქმეს“ (აღწ. 29443).

მას შემდეგ მარცვალ-მარცვალ გაგროვებ მასალებს იმ კვალიფიციური რჩევის შესაბამისად, მაშინ რომ ამ საგამოძიებო პროცესის ორგველთვი მომცა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა ვახტანგ გვარამიამ. ახლა მინდა ჩემი შრომის შედეგი წიგნად შეეთავაზო მეოთხეულს, ოღონდ წინდაწინ ვაფრთხოები: ეს არ არის წმინდა მეცნიერული გამოკვლევა, პუბლიცისტის თვალით დანახული ისტორიაა.

აბსურდი — ერთი სიტყვით და ყველაზე გამოშახეულად, ასე შეიძლება დასასაურდეს ის უჩარმაზარი „საქმე“ (26 ტომი), რომელიც მოსკოვის ჩაწოდებით 1951-1953 წლებში შეიქმნა საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროს კაბინეტებში და პირობითად „მტრულ მეგრულ ნაციონალისტის ჯგუფის საქმე“ ერქვა.

90-იანი წლების დასაწყისში, როცა უშიშროების სამინისტროს არქივში შეღწევა გაიოლდა, საკმაოდ დიდხანს ვიმუშავე იქ. გადათვალიერებული მაქვს ტოტალური საბჭოთა რეპ-

რესივბის ამსახუელი მრავალი შეკვრა და საქალალდე. სწორედ იმ პერიოდის ყურით მოთხოველ „საქმეთა“ შორის შემხევედრია ასეთი „ტრადიციული“ — დაუსაბუთებელი, ყოველგვარ გონიერებულობას მოქლებელი ბრალდებები. და ეს უდიდეს ომში გამარჯვების შემდეგ, 50-იანი წლების დასაწყისში!

1951 წლის 9 ნოემბერს იშვა სკპ (ბ) ცკ-ის დადგენილება მოუღოდნელი და მრისხანე სახელწოდებით „საქართველოში მექრთამეობისა და ამს. ბარაშიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“.

ამ ფაქტობრივი საბრალდებო დასკენიდან, რომელიც გასაჩინობას არ ექვემდებარებოდა, აუდ გაეშიშვლებინა ეშვები მომავალ სამაგალითო, ხალხმრავალ სასამართლო პროცესს 1930-იანი წლების სცენარით, როგორც გაფრთხილებას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, კომუნისტურ რეჟიმს, მის სადამსჯელო მანქანას, არნახული მსოფლიო ომის შემდეგაც „არც არაფერი უსწავლია და არც არაფერი დავიწყებია“ და რომ „ასე იყო და ასე იქნება“, სანამ ეს რეჟიმი იარსებებს, რადგან იგი ოდენ ხალხის დაძინებაზე, დათრგუნვაზე, დასჯაზეა დაფუძნებული.

რეჟიმი ვალლდებული იყო დროდადრო დაფრთხებინა № რაოდენობის თავები, რათა ხალხისთვის შექსენებინა, რომ მას არ სძინავს, ფხისლობს და დანაც აღესილი აქვს. ასე მოყვლინა ქვეყანას „ლენინგრადის საქმე“, „ექიმთა საქმე“, „მურულთა საქმე“.

## პელადის ხელდასხმით

**სკპ(ბ) ცქ-ის 1951 წ. 9 ნოემბრის დადგენილება „საქართველოში მუქრობამუშაოსა და ამხ. ბარაზიას ანტიარტიკული ჯგუფის შესახებ“**

1. უკანასკნელ ხანს სკპ(ბ) ცქ-ში შემოუიღა ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოში ძალიან არის გაურცელებული მუქრობამუშაო, რომ იქ მუქრობამუშაოსან ბრძოლა ერთობ არსდამაკაყოფილებლად მიმდინარეობს.

საქმის ახლოს გაცნობამ გვიჩვენა, რომ მუქრობამუშაოს საქართველოში მართლაც გაურცელებულია და საქ. კპ(ბ) ცქ-ის მიერ მიღებული ზოგიერთი ღონისძიების მიუხედავად, მუქრობამუშაო არ კლებულობს. ამასთან გამოირჩეა, რომ მუქრობამუშაოსანთან საქართველოს ცქ-ის ბრძოლა სათანადო ეფუძნება მიმოტომ არ იძლევა, რომ საქართველოს კომპარტიის ცქ-ის შენით, ისეუچ როგორც ცქ-ის აპარატისა და მთავრობის შევნით, არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მუქრობამუშაოს მუქრობამუშაოს და ცდილობს ეფუძლებოდებარი საშუალებით დაიხსნას ისინი.

ფაქტები მეტყველებს, რომ ამ ჯგუფის სათავეში დგას საქართველოს კომპარტიის ცქ-ის მეორუ მდივანი ამხ. ბარაზია. ეს ჯგუფი მუქრობი ნაციონალისტებისაგან შედგება. მის შემაღებელობაში, ამხ. ბარაზიას გარდა, შედიან იუსტიციის მინისტრი ამხ. რაფაელ, საქართველოს პროკურორი ამხ. შონია, საქართველოს კომპარტიის ცქ-ის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე ამხ. ელქუნა (1951 წლის 6 დეკემბერს პოლიტბიურომ დაადგინა, შეიცვალოს სკპ(ბ) ცქ-ის 1951 წლის დადგენი-

ლება ამხ. კუჭუგას შესახებ დასკვნების ნაწილშით — ა. ა. ქ. პარტიული კადრების განცოდილების გამგე ამხ. ჭიჭინაძე და სხვა მრავალი. ჯერ თუ თუ მიზნად ისახავს, უპირველეს კოფლისა, მეცნიერობა რიცხვიდან კანონის დამრღვევით დახმარებას, მფარველობს დამნაშავებს მეცნიერობან, იგი მათ ასწელის კანონების გვერდის ავლას და ყველა შომას მიმართავს, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობა მოტკუებასც ია, იმისათვის, რომ იხსნას „თუ იხსნას ხალხი“.

რამდენიმე ხნის წინათ სოხუმელი პროეტირობი ვინმე გვასალია (მეცნიელი) მექრთამეობაში ამხილეს. საქართველოს უზენაებმა სასამართლომ, ამხ. ბარამიას წინააღმდეგობის მიუხედავად, დამტკიცებულად ცნო გვასალიას ძრალულობა და მას 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ამხ. ბარამიას და სხვა მეცნიელი ნაცონალისტების უქმდოფილების გამო, საქმის შესაძლებელად გამოიყო საქ. კპ(ბ) ცკ-ის კომისია. კომისიამ დაადასტურა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სისწორე. ამის მიუხედავად, ამხ. ბარამიამ საქართველოში გაიძევრად ცნობილ ადგიკატ ურატაძის და თუ ისი მეცნობრის, სსრკ პროეტისატურის აპარატში მომუშავე ბარკალაიას მეშვეობით ორგანიზება გაუკეთა საქმის გადახედვას სსრკ უზენაეს სასამართლოში. ამხ. ბარამიამ საქმის გადახედვას და განაჩენის შეცელას მიაღწია მარკალაიას მხრიდან გენერალური პროეტირობის მოადგილის ამხ. მოკინების მოტკუების გზით რა თქმა უნდა, შემდგომში სიკრუე გამოაშეარავდა, ბარკალაია მოტკუებაში ამხილეს და დააპატიმრეს, გენერალურმა პროეტირობმა აუცილებლობად ცნო ჭეშმარიტების აღდგენა და ამ საქმის გადახედვა საქართველოს უზენაები სასამართლოს განაჩენის სასარგებლოდ.

გვასალიას საქმე ერთადერთი როდით, ამხ. ბარამიას მუშაობაში ანტისახლმწიფოებრივ ტენდენციებს რომ წარმოგეხენს. რამდენიმე ხნის წინათ მექრთამეობისთვის სოხუმის ხელისუფლებამ დააპატიმრა გაზეთის რედაქტორი გვასალია (მეცნიელი). ამხ. ბარამია, როგორც მეცნიელ მექრთამეთა მფარველი, რა თქმა უნდა, ჩაერთა ამ საქმეში მექრთამის გამართლების მაშ-

ნით ამბ. ბარამიას მუცადინეობით საქმე დიდხანს გავრცელდა. მართვლია, ამბ. ბარამიამ კერ მიაღწია გვანარიას გამართულებას, მაგრამ ის მაინც შეძლო, რომ იგი ციხეში ჩასჭავადარჩინა. ამას კი მან საქართველოს კომპარტიის ცე-ის უხერხემლობის წყალობით მიაღწია, რომელსაც სიმტკიცე არ ჰყო ამბ. ბარამიას, როგორც ანტიკარტიულისა და ანტისახლმწიფოებრივი პირის, გამოაშვარავებისათვის.

შედეგ. ორი წლის წინათ მექრთამეობისათვის დაამატიმდეს საქართველოს პროერატურის ხისხლის სამართლისა და სასამართლოების განყოფილების პროერორის ზაქარია (მურული) და ადვოკატი ალმიბაია (მურული). ამბ. ბარამია, როგორც მურულთა „შეფი“ და მურულ მექრთამეთა მფრიველი, ჩაერია საქმეში და მურული ნაციონალისტური ჯგუფის წერის, საქართველოს პროერორის ამბ. შონიას მემკეობით ამ მექრთამების განთვალისწილების განკარგელება გასცა. მავრამ მექრთამეობის ფაქტის ამჯარა არსებობის გამო ეს ბატონები გაასამართლეს.

სურვილის შემთხვევაში, როგორც ცნობილია, უამრავი ასეთი „საქმე“ შეიძლება წამოუწოდოთ

2. ოღონდ, ამბ. ბარამიას მურული ნაციონალისტური ჯგუფი მხოლოდ მექრთამე მურულთა მფრიველობით არ იშლებდება. მას სხვა მიზანიც აქვს — ხელში ჩაიგდოს კულტურა. საკანძო პოსტი საქართველოს პარტიულ და სახელმწიფო აპარატში და იქ დანიშნოს მურულები. ამ დროს პიროვნებასა საქმიანი მოსაზრებებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მათი მურულობით დამახასიათებელია, რომ იუსტიციის სამინისტროში, პროერატურასა და ადვოკატურაში კულტურა საკუნძო პოსტი მურულთა ხელშია. დამახასიათებლია, ავრუთუ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი პოსტები, როგორც საქართველოს კპ(ბ) ცე-ში, ისე საქართველოს კომკავშირის ცე-ის აპარატში, ასევე მურულთა ხელშია. შეიძლებოდა ამის საწინააღმდეგო არაუის არაფერი პქონოდა, მურულთავან კარგ პარტიელებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს რომ არჩევდნენ. მავრამ უბედურება ის არის, რომ შეიჩერებოთ მორიას ქარ-

ბობენ ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი აღაშიანები, რომელებიც ზიანს აენებენ პარტიასა და სახელმწიფოს.

ასეთი გზით შერჩეულ აღაშიანთა განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი მოქმედებენ, როგორც განცალკეუბელი ჯგუფი და გადაიქცნენ ჩატუტილ ნაციონალისტურ ფრაქციად, რომელიც თავისი „შეფის“ ამბ. ბარამიას უტორიტეტს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ისა და საქართველოს მთავრობის უტორიტეტზე მაღლა აყენებს. ეს ჯგუფი მჯგრელებს ასწავლის თავიანთი სურვილებით და საჩივრებით მიმართონ არა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს, არა საქართველოს მთავრობას, არამედ ამბ. ბარამიას. იგი მათ ამას ასწავლის და ხრწის მორალურად და პოლიტიკურად და ძირს უთხრის საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის უტორიტეტს.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კპ(ბ) ცკ-მა დაადგინა, სკპ(ბ) ცკ-მა კი დაამტკიცა სახელმწიფო უმიშროების მინისტრის პოსტიდან ამბ. რაფაელ მოხსნა, რომელმაც ამ სამინისტროს აპარატი დაანაგვიანა იმ რაიონის მქედრი მჯგრელების უკარგისი ელემენტებით, საიდანაც წარმოშობით არის ამბ. რაფაელ. ამბ. რაფაელ შეიცვალა სხვა მინისტრით — ამბ. რუხაძით, რომელსაც მიენდო სახუმიშროების აპარატის უკარგისი ელემენტებისაგან გაწმენდა და გაჯანსაღება. წმენდაში მოჰყვნენ მუშაკები საქართველოს კულტურული მათ შორის მჯგრელებიც, ისეთები, როგორებიც მაღანია და სხვები არიან. მაგრამ მჯგრელის „შეფი“ ამბ. ბარამიამ დაასკენა, რომ მჯგრელის მიმართ „დაშვებულია უსამართლობა“. მას თურმე არ აინტერესებს სამართლიანად არიან თუ არა გაშვებული სახუმიშროების აპარატიდან არამჯგრელები, კოქეათ, ქართლელი, ქახელი, იმერელი, გურული, რაჭელი და ა. შ. მუშაკები, ამასთან, თურმე ნუ იტყვით, მას საქმე არ აქვს. იგი დააინტერესა მხოლოდ ერთმა: რატომ მოჰყვნენ წმენდაში მჯგრელები — მაღანია და სხვები. მან ბრძოლა წამოიწყო სახუმიშროების აპარატში მჯგრელის აღსაღვენად. მართალია, საქართველოს კპ(ბ) ცკ-მა მისი პროტესტი არ მიიღო, მაგრამ ამბ. ბარამია ბარამია არ იქნებოდა, ცკ-ის გადაწყვეტილებით რომ დაკავშირდებული

ლიყო. მან მოსკვეში მოკურუხდა, იქ მოსკველ მუშაქებს ეღია-  
პარაკა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის სახელით, ბოროტად იყენებდა  
მოსკველი მუშაქების ნდობას საქართველოს კპ(ბ) ცენტრალუ-  
რი კომიტეტისადმი და მიაღწია იმას, რომ საქართველოს სახუ-  
შიშროების აპარატში აღადგენინა აშეარად უკანუნისი მუშაქები.

ასეთია ამბ. ბარამიას და მისი მეცრულ-ნაციონალისტუ-  
რი ჯგუფის სახე.

3. უკველია რომ, თუ ამბ. ბარამიას მიერ პრაქტიკაში  
დანერგილი მეცრული შეფობის ანტიპარტიიული პრინციპი სა-  
თანადო წინააღმდეგობას არ წაწერდება, თუს წმიულიერ ასა-  
ლი „შეფები“ საქართველოს სხვა პროფინციებიდან: ქართლი-  
დან, კახეთიდან, იმერეთიდან, გურიიდან, რაჭიდან, რომლებიც  
ასევე მოისურვებენ „თუვის“ პროფინციების შეფობას და იქ და-  
ნამულის ჩამდენის მფარველობას, რათა ამით განიმტკიცონ  
უტორიტეტი „მასებში“, და თუ ეს მოხდა, საქართველოს კომ-  
პარტია დაიშლება რამდენიმე პროფინციულ პარტიულ სამთავ-  
როდ, რომლებსაც „რუალური“ ხელისუფლება ექნებათ, საქარ-  
თველოს კპ(ბ) ცკ-ისა და მისი ხელმძღვანელობისგან კი მხო-  
ლოდ ცარიელი ადგილი დარჩება.

ასეთია საქართველოს კომპარტიაში ამბ. ბარამიას ჯგუ-  
ფის არსებობით შექმნილი საშიშროება.

მაგრამ ამბ. ბარამიას ჯგუფის მავნეობა ამით არ შემო-  
ფარგლება. მისი მავნეობა იმაშიც ძღვომარეობს, რომ იგი თუვი-  
სი ანტიპარტიული, ნაციონალისტური მუშაობით ჩირქს სცხებს  
და სერის მეცრული მუშაქების კუთილ სახელს და ბადებს მათ  
მიმართ უნდობლობას, რაც მათ არ დაუშასტურებიათ

ზემოთქმულის გარდა, საყურადღებოა კიდევ ერთი გარუ-  
მოება. ქართული ემიგრაცია პარიზში (ფრანგანია-გველტორი),  
როგორც ცნობილია, თუვისი ჯაშუშური ინფორმაციებით საქარ-  
თველოში ძღვომარეობის შესახებ, ემსახურება ამერიკას დაზ-  
ვერებას და ამისთვის დოლარებს იღებს. ბოლო ხანს ამერიკას  
დაზვერება უპირატესობას აძლევს გველტორის ჯაშუშურ ინფორ-  
მაციას ფრანგანიას ინფორმაციასთან შედარებით მაგრამ გველ-  
ტორის ჯაშუშურ-სადაზვერებო ორგანიზაცია მხოლოდ და მხო-

ლოდ მჯრულებისგან შედგება. მაშასადამე, საქართველოში არ-  
სებომს მჯრულთა მული ჯგუფი, რომელიც გვევტიორის დაზ-  
ვერებას ემსახურება. სკპ(ბ) ცე-ს საფუძველი არ აქვს ამტემ-  
ცოს, რომ ამს. ბარამია გვევტიორის ჯაშუშური ორგანიზაციის  
მონაწილეა. სკპ(ბ) ცე-ს ეჭვი არ ეპარუბა, რომ გვევტიორის ჯა-  
შუშურ დაზვერებას მჯრულ ნაციონალისტთა საქამაო რაოდენო-  
ბა ემსახურება, რომლებიც ამს. ბარამიას ანტიპარტიული და  
ანტისახლმწიფოებრივი ჯგუფის შემადგენლობაში არიან. სა-  
ქართველოს სახუმიშროების ამოცანაა გამოყვლინოს და მოს-  
პოს სამშობლოს მოღალატები, რომლებიც უდიდეს ზიანს აე-  
ნებენ საქართველოს.

სკპ(ბ) ცე ადგენს — საქართველოს კპ(ბ) ცე-ს წინადაღე-  
ბა მიეცეს:

1. დაგმოს ამს. ბარამიას და მისი ნაციონალისტური ჯგუ-  
ფის ანტიპარტიული და ანტისახლმწიფოებრივი საქმიანობა;

2. ამს. ბარამია გამოიყენოს საქართველოს კპ(ბ) ცე-ს  
შემადგენლობიდან;

3. იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან მოხსნას ამს.  
რაფუა და ზომები მიიღოს ამ სამინისტროს მუშაյთა შემადგენ-  
ლობის გადახალისებისათვის;

4. საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის თანამდე-  
ბობიდან მოხსნას ამს. შონია და ზომები მიიღოს პროკურატუ-  
რის მუშაյთა შემადგენლობის გადახალისებისათვის;

5. საქართველოს კპ(ბ) ცე-ს აპარატის მუშაქები ამს. კუ-  
ჭვა და ამს. ჭიჭინაძე შეცვალონ სხვა გამოცდილი პარტიული  
ამხანაგებით;

6. გაშალოს ხანგრძლივი სააგიტაციო-პროპაგანდისტუ-  
ლი მუშაობა მექქინიკურის წინააღმდეგ და საბჭოთა კანონიე-  
რების განმტკიცებისათვის;

7. მიღებულ ზომებზე კუნობოს სკპ(ბ) ცე-ს.

სხვათა შორის, პოლიტბიუროს სხდომის ოქმის დედანში,  
სადაც შემონახულია ამ დადგენილების აღექსანდრ პოსკოები-  
შევის მიერ ჩაწერილი ექ्�ზემპლარი და გადაბეჭდილი პროექტი

სტალინის შეხწორებით, არის აღნიშვნა, რომ დადგენილებას არ ახლავს მასალები.

ეს კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ დადგენილება მართლაც ერთი კაცის მოფიქრებულ-დაწყერილია, დმტრიმა იცის რის საფუძველზე და რომ მას არავითარი დოკუმენტური მასალა არ განამტკიცებს.

### აუცილებელი ინციდენტები:

მიხეილ (მიხა) ივანეს ძე ბარაშვი (1905-1959 წ.წ.). დაიბადა და ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში. იყო პარტიის წალენჯიხისა და თბილისის ორჯონიქიძის რაიონშის მდინარი, 1939-1940 წ.წ. — პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდინარი, 1940-1943 წ.წ. — აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდინარი, 1943-1951 წ.წ. — საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს მეორე მდინარი. 1951-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო „მეგრულ ნაციონალისტთა ჯგუფის“ საქმესთან დაკავშირებით, განთავისუფლების შემდეგ შემაობდა სხვადასხვა სამუშაოზე: ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, „იმელის“ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. დაიღუპა უბედური შემთხვევის შედეგად კელასურთან, რკინიგზის გადასასვლელზე.

ავესტნიკი (ჭიჭიკო) ნარიჯის ძე რაფაელ (1899-1955). დაიბადა ზუგდიდის მაზრის სოფელ კორცხელში, მეწუღის ოჯახში. 1921 წლიდან საბჭოთა საქართველოს ერთგული მსახურია. იყო პარტიის ზუგდიდის რაიონშის მდინარი, მუშგლებინის ინსპექტორი. 1924 წელს პარტიამ ჩეკაში გაგზავნა სამუშაოდ. იქ 13 წლის სამსახურის შემდეგ (მიაღწია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის პოსტს) გადაიყვანეს აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, შემდეგ — სახკამსაბჭოს თავმჯდომარედ. 1938 წლის 17 ნოემბრიდან, როცა სერგო გოგლიძე ლენინგრადში გადაიყვანეს, დანიშნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, 1946 წელს — სახელმწიფო უმიშროების სახკამად. ერთგულად აგრძელებდა გოგლიძე-ქობულოვის ინკვიზიციურ მეორებს. ეს მის სინდისხეც არის იმ პერიოდის არაადამიანური დანაშაულობა-

ნი. 1948 წ. 11 იანვარს გაათავისუფლეს და იუსტიციის მინისტრად დანიშნეს. 1951-1953 წ.წ. დაპატიმრუბული იყო „მუნიციპალიტეტისა და საქმის“ დასრულების შემდეგ, 1953 წ. პრიოლ-ინისში, საქართველოს სახელმწიფო კონტროლის მინისტრია. მაგრამ უშიშროების სამსახურში ჩადენილმა ცოდვებმა უწია: 1954 წელს ხელახლა დააპატიმრეს, 1955 წლის ნოემბერში კი სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგის განაჩენით დახურიტეს. სასამართლოზე ითქვა, რომ მისი ბრძანებით გაირჩა 5685 პატიმრის საქმე, მათგან 2465 კაცი დახურიტეს. ითვლება საერთო რეპრესიების ერთ-ერთ ორგანიზატორად. მინიჭებული პქონდა გენერალ-ლეიტენანტის წოდება, დაჯილდოებული იყო 8 ორდენით.

კლადიმერ იაკობის ძე შონია (1907-1979). დაიბადა გალის რაიონის სოფელ ხუმუშეურში. 1917 წ. დაამთავრა სამურზავანოს ორკლასიანი სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა აღექსანდროვ-გრიშვანის (ქ. შახტი) საეკლესიო სამასწავლებლო სემინარიაში, მაგრამ უსახსრობის გამო სემინარია დატოვა. 1918 წელს სოხუმის სამასწავლებლო სასწავლებელში შედის. მაღლ „სპარტაკის“ წევრი ხდება, 1920 წლის მაისში სოხუმის ორგანიზაციის მდიკანია. 1921 წლის მარტის დასაწყისში სამურზავანოს მაზრის რევოლუციის წევრად აირჩიეს, აპრილში კოდორის მაზრის ჩეკას უფროსად დანიშნეს. სხვადასხვა დროს მუშაობდა აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრად, ამიერკავკასიის სესხი პროკურორის მოადგილედ, აფხაზეთის ასსრ პროკურორად. 1946 წლის დეკემბრიდან 1951 წლის ნოემბრამდე საქართველოს სსრ პროკურორია. 1951-1953 წ.წ. დაპატიმრუბული იყო „მეცნიელთა საქმესთან“ დაკავშირებით რეაბილიტაციის შემდეგ, 1953-1954 წლებში აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მუშაობდა. მინიჭებული პქონდა იუსტიციის II კლასის სახელმწიფო მრჩეველის წოდება. უკანასკნელ დრომდე გალის ერთ-ერთ მთავარ და კუთილმოწყობილ ქუჩას მისი სახელი ერქვა.

კონსტანტინე გორგავის ძე ჭავჭავაძე (1901-1960). დაიბადა ჩხოროწყვეს რაიონის სოფელ ლესიჭინეში. დაამთავრა სოფელ კიწის სასულიერო სკოლა (სამასწავლებლო კურსი). მუშაობ-

და ცეკვაშირის სისტემაში. 1928 წ. ქომისარტიის წევრი გახდა და მას შემდეგ სულ პარტიულ სამეშაოზე იყო. 1930-1936 წლებში ჯერ ხობის, შემდეგ კურლის რაიკომის მეორე მდივანი და სენაკის რაიკომის პირველი მდივანია. 1938-1939 წლებში მუშაობდა აუხაზუთის ასსრ საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, 1939-1943 წლებში — სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ. 1943 წლის ბოლოდან საქ. კპ(ბ) ცკ-ის აპარატშია: ჯერ — ცენტრალური კომიტეტის მდივანად მეცხოველეობის დარგში, ხოლო შემდეგ — პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგედ. 1951-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო, როგორც „მურელთა საქმის“ ერთ-ერთი მთავარი ბრალდებული. იგი ერთადერთი იყო, რომელიც ვერ გატეხეს, კერაფერი ვერ აღიარებინეს. განთავისუფლების შემდეგ, 1953-1954 წლებში, მუშაობდა სარწაო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ, 1954-1960 წლებში კი — საქართველოს „ეტორჩერმეტის“ მმართველად. დაჯილდოუბული იყო ლენინის, მრომის წითელი დროშის, სამამულო ომის I ხარისხის, ორი წითელი გარსკვლავის ორდენებით დარჩა ორი ვაჟი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარი და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატი გახუშტი.

\*\*\*

დადგენილების სათაური, რომელიც სრულად წარმოაჩნა მის შინაარს, ეურადლებას იქცევს თავისი აღორიკერობით.

რატომ უნდა „შეპირაპირებოდა“ ერთმანეთს მექრთამეობა და ანტიპარტიულობა, რატომ უნდა გაერთიანებული იყო ერთ წინადაღებაში ეს ორი განსხვავებული ცნება?

ალბათ სპეციალურად იყო ეს გაკეთებული, რათა ხალხს გაცნობიერებინა, პოლიტიკური დანაშაული იგთვე კრიმინალური დანაშაულიაო. თანაც შესაძლებლობა ეძღვოდა, რომ ემარჩიელა, თუ როდემდე დარჩებოდა ანტიპარტიული ჯგუფის ხელშეღწევა ბარამია „აშხ. ბარამიად“.

თავდაპირველად თბილისში ვერ მოიძიე სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილების „საქართველოში მექრთამეობისა და აშხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“ ტექსტი. მოგეხსენებათ, მაშინ წესად ჰქონდათ ასეთი რანგის დო-

კუმენტი, თუ პრესაში გამოსაქვეყნებლად არ იყო გამიზნული, ცენტრიდან რესპუბლიკებში მყაცრად აღწუსხული რაოდენობით ჩამოდიოდა, აյ განხილვის შემდეგ უკანვე ბრუნდებოდა ან ადგილზე ნადგურდებოდა სათანადო ოქმის შედგენით. ამ წიგნის საგაზეთო ვარიანტში მისი შინაარსი მიახლოებით აღვადგინე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1951 წ. 15 ნოემბრის დახურული წერილით „მექრთამეობასთან ბრძოლისა და ამს. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ, რომელიც მფარველობას უწევს მექრთამეებსა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებლებს“ (უფრო ზუსტად, ამ დახურული წერილის ადგილებზე განხილვის ოქმებით), რომელიც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში მას შემდეგ დააგზავნეს, რაც სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილების შესახებ ორი დღე – 1951 წლის 11 და 12 ნოემბერს იმსჯელა საქ. კპ(ბ) ცკ-ის პლენუმმა.

მაგრამ ახლა, როგორც ნახეთ, საშუალება მაქვს ეს დადგენილება სრული სახით მოვწოდო მყითხველს (ისიც და სკპ(ბ) ცკ-ის 1952 წლის 27 მარტის დადგენილებაც). ორივე შესულია 2002 წელს მოსკოვში ერთობ შეზღუდული ტირაჟით გამოცემულ კრებულში „სკპ(ბ) ცკ პოლიტბიურო და სსრკ მინისტრთა საბჭო. 1945-1953“.

ამ დადგენილებიდან თვალნათლივ გამოსჭვივის ვარაუდი: მ. ბარამიას მეგრულთა ანტიპარტიული ჯგუფი იოლად (ანუ, უდავოდ) შესაძლებელია იყოს ანტისაბჭოთა, მტრული, ძირგამომთხრელი ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებულია საზღვარგარეთის ემიგრაციის ცენტრსა და მის ერთერთ ხელმძღვანელ ევგენი გეგეჭკორთან (წარმოშობით მეგრულთან) და მიზნად ისახავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით.

ძალიან ჩქარა „მ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფი“ „მეგრულ ნაციონალისტთა ანტიპარტიულ, მოღალატურ ორგანიზაციად“ იქცა. ასეთი ფორმულირება პირველად პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდგრანმა აკაკი მგელაძემ იხმარა

2. ალექს (ალექს) ასლანიშვილი. მეგრულთა საქმე

საქ. კპ(ბ) ცქ-ის 1951 წ. 11-12 ნოემბრის პლენურშე უმგაცრეს ბრალდებით საესე გამოსვლისას და უმაღლ დამკუიდრდა.

ახლა იმაზეც, თუ როგორ დაწყვილდა „მექრთამეობა“ და „ანტიპარტიულობა“, მით უფრო, რომ სკპ(ბ) ცქ-ის 1951 წ. 9 ნოემბრის დადგენილებაში „მ. ბარაშიას ანტიპარტიული ჯგუფის“ წმინდა ანტიპარტიულ საქმიანობაზე არაუერია ნათესავი.

ამის გასაღებად ი. სტალინის ცნობილი გამონათქვაში გამოდგება:

„ქურდი, სახალხო დოფლათის დამტაცებელი და სახალხო მეურნეობის ინტერესთა ძირის გამომთხრელი, იგივე ჯაშუში და გამცემია, თუ მეტი არა“.

ბელადის ამ აზრს შემოქმედებითად უითარებდნენ ქართველი კომუნისტები: „რა არის, ბოლოს და ბოლოს, გაფლანგვა და დატაცება? ერთ-ერთი მეორედი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისა, მისი ეკონომიკური ძლიერების ძირის გამოთხრა“ (კალერიან ბაქრაძე).

დაბოლოს, რას წარმოადგენდა ეს ჯგუფი?

„რა თქმა უნდა, ეს არ იყო ჯგუფი, რომელიც იქრიბებოდა და გადაწყვეტილებები გამოპქონდა. არაუინ ამბობს, რომ ჯგუფი სწორედ ასეთი უნდა იყოს. შეიძლება ჯგუფი არც კი ჩამოყალიბებულა, მაგრამ არსებითად იგი შეიძლება არსებობდეს და მოქმედებდეს“ (კანდიდ ჩარქვიანი).

ცოტა არ იყოს ბუნდოფანი და არადამაჯერებელი განმარტებაა, მაგრამ საქ. კპ(ბ) ცქ-ის პირველი მდივანი კანდიდ ჩარქვიანი იმდენად დაბნეული იყო ამ მოულოდნელი, თავზე ზვავით დამტედარი დოკუმენტით, რომელიც მისთვის არც საკავშირო ცეკას და, მით უფრო, არც ბელადს, წინასწარ არ გაუცნიათ, არაუერს შეკითხვიან, რომ ამ დადგენილების განხილვისადმი მიძღვნილ 1951 წ. 11-12 ნოემბრის პლენურმის მთელი მუშაობის მანძილზე ერ მოახერხა „რკინის ხაზის“ გამოკვეთა, ის კი არა, როცა პლენურმის დასასრულს პკითხეს, ადგილებზე რომ დაუბრუნდებით, რაიკომის მდივნებს, ბიუროს წევრებს რა ვუთხრათ პლენურშე განხილული საკითხის შესახებო, ასეთი დირქეტიუმისცა: რაიკომის ბიუროს წევრებს ნუ ეტყვით, სანამ მითითებას

არ მიიღებთ ეს დახურული პლენუმი იყო, რაი კომის მდგვნები, რომლებიც პლენუმის წევრები არ არიან, არ მოგვიწვევთა, იმიტომ, რომ დადგენილებას აწერია — ცენტრალური კომიტეტის წევრებისთვისთ. რაც შექება ორგანიზაციულ საკითხებს — მოხსნას, გარიცხვას, ეს უთხარით დანარჩენებზე მითითებებს მიიღებთ ხვალ ან ზეგ. ეფიქტობ, იმ დადგენილებას, რომელიც აქ მივიღეთ, დახურულ პარტიულ კრებებს გავაცნობთ, მაგრამ შევეთანხმებთ მოსკოვს, რათა წინ გადარბენა არ გამოგვიდეს და რაიმე შეცდომა არ დავუშვათო.

არ შეიძლება კ. ჩარკვიანს არ განეჭვრითა, რომ 9 ნოემბრის დადგენილება ფითილმოკიდებული ნაღმი იყო, რომელსაც გარკვეული მიზანი და დანიშნულება პქრნდა, ოდონდ ჯერ ბურუსით მოსილი, ჯერ ამოუხსნელი. მაგრამ მაინც იკვეთებოდა, რომ იმპერიის სათვეში მდგომი ორი ქართველი დაფაზე დაუხედავად თამაშობდა საჭადრაკო პარტიას, სადაც პაიკებიც, შედრუებიც, კუებიც და ეტრებიც კონკრეტული ადამიანები იყვნენ, რომლებიც მოწინააღმდეგის მეფის დაშამათებას უნდა შეწირვოდნენ.

9 ნოემბრის დადგენილება დაიაღაც მრავალ კითხვასა და ფიქრს აღძრავს, მაგრამ სანამ სხვაზე ვიტყოდეთ, მთავარ კითხვას გავცეთ პასუხი: რატომ იშვა ეს დოკუმენტი, რატომ, საიდან ამოტოტოდა „ამს. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფი“, „მეტრული ნაციონალიზმი“ და ა. შ.

უდავოა, რომ იგი ი. სტალინის ხელდასხმით შეიქმნა.

მაინც რა მოხდა, რამ უბიძგა საამისოდ ბელადს, რომელსაც, როგორც ამბობენ, მიმწეხრს ქართველობა მოეძალა, ყოველ შემთხვევაში, გაახშირა სიყრმის მექობრუებისა თუ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების თავისთან მიწვევა და ნოსტალგიური საუბრები?. რამ აიძულა იგი, გაეწირა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, მისთვის დაესვა იმდროინდელი საზომით ლამის ყველაზე მძიმე და საშინელი დამბა, რომელსაც თავისთავად უნდა მოპყოლოდა ამ კუთხის შეილთა რეპრესიები და, საბოლოო ჯამში, მთელი საქართველოს აწიოკება, რაც მთავარია, მძღავრი დარტყმა საერთოქართულ ცნობიერებაზე? ყველა-ყველა და მას ხომ,

როგორც ქართველ კაცს, სხვაზე უკეთ მოესხნებოდა ამ წამოწყების უაზრობა და სიცერაგე. მას სომ უნდა ხსომებოდა, რომ ერთიანი საქართველოს საზიანო პროფესიული ცდები საშემუშელოს გასაუცხოებლად, მოსაკვეთად, ცარიზმის დროსაც იყო, მაგრამ მარცხით დამთავრდა, „მუკრული ნაციონალიზმი“ და „სეპარატიზმი“ თითიდან იყო გამოწოვილი საქართველოს მტრების მიერ?

აქ, ალბათ, იმაზე უფრო როგორ მოვლენასთან გაუქვს საქმე, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს შაბლონური ფორმულით — „მუკრულ ნაციონალისტურ ანტიპარტიულ ჯგუფზე“ დარტყმა №1 მუკრულზე ლავრენტი ბერიაზე დარტყმა იყო.

ამაზე საგანგებოდ ღირს შეჩერება.

ზოგი ავტორი (მაგალითად, აშშ პრინსტონის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი რებერტ თაკერი წიგნში „სტალინი. გზა თავისუფლებისაკენ — 1879-1929. ისტორია და პიროვნება“. მოსკ. 1990) წერს, სტალინს გარკვეული „არასრულფასოვნების კომპლექსი“ პქონდა იმის გამო, რომ რუსი არ იყო და ყოველნაირად ცდილობდა თავის თავში ქართველობის ამოძირებას, ამიტომ ულმობლად ებრძოდა ყოველგვარ „ნაციონალზმს“, განსაკუთრებით — საქართველოში.

თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის დ. შეპილოვის მოწმობით (მოგონებანი, „ფოპროსი ისტორიი“, 1998 წ. №3-4, 6), სტალინს უყვარდა თქმა, „ჩვენ ვებრძოდით ყოველგვარ ნაციონალზმს, უკრაინულს, ყაზახურს, ებრაულს, მაგრამ არასდროს ხელი არ გვიხლია ქართველი ნაციონალისტებისათვის“. ამას მუქარის ტონით დაუმატებდა ხოლმე, „მაგრამ ისინი ვერ დაგვიძვრებიან, მათი რიგიც მოვა“. „ქართველ ნაციონალისტებზე“ შეტყვა სტალინის ძეელისძველი ჩანაფიქრი იყო, დაასკვნის შეპილოვი.

აკაკი მგელაძე თავის მემუარებში გვაცნობს ი. სტალინის სიტყვებს: „ეკკპ ცენტრალურ კომიტეტს აქვს სიგნალები, რომ უმსგავსობანი სხვა რესპუბლიკებშიც ხდება, მაგრამ საქართველოში ამან წარმოუდგენელი მასშტაბები მიიღო... ამიტომ წესრიგის დამყარებას საქართველოდან დაუიწყებთ... ანტიპარტიუ-

ეს ჯგუფის წევრები შეფობენ თავიანთი კუთხის წარმომადგენლებს. ასეთი ნათლიმამობა განსაკუთრებით საშიშია საქართველოსთვის და შეიძლება შორის მიმავალი შეღებები მოპყვეს“.

„სწორედ საქართველოში მარადესამს ეძებდა იგი ბოლომდე ამოუძირებული ნაციონალიზმის ნარჩენებს“ — აღნიშნავს ცნობილი ემიგრანტი პოლიტოლოგი აბდურახმან ავტორსანოვი წიგნში „სტალინის სიკვდილის საიდუმლო“.

ზოლო თუ რატომ არის „განსაკუთრებით საშიში საქართველოსთვის“ და რატომ შეიძლება „შორის მიმავალი შეღებები მოპყვეს“ მაინცდამაინც საქართველოში, ამაზე აკაკი მგელაძეს სტალინის მოსაზრება გადმოცემული აქვს ლ. ბერიას სახელზე 1953 წ. 3 აპრილს დაწერილ ახსნა-განმარტებაში: „მე ეკითხე ამს. სტალინს, განა შეიძლება არსებობდეს მეგრული ნაციონალისტური ჯგუფი, მეგრულები ხომ დამოუკიდებელი ერი არ არის, იგივე ქართველები არიან, მართალია ენაში სხვაობაა, მაგრამ მეგრული ერთ-ერთი ქართველური ენაა და ეროვნულ საკითხზე თქვენს შრომებში მეგრულები არ ფიგურირებენ როგორც დამოუკიდებელი ერი-მეთქი? ამის პასუხად ამს. სტალინმა მითხრა, რომ არის მეგრულია ნაწილი, რომლებიც თავს ქართველებად არ მიიჩნევთ. ჯერ კიდევ წარსულში ისინი მიისწრაფეოდნენ ცალკე დაჯგუფებისაკენ, აუტონომიას მოითხოვდნენ. მან გაიხსენა ისაკ უგანია და მისი თანამოაზრენი. მათ ძველი დროიდან ახასიათებთ სეპარატიზმის ტენდენცია და სამეგრულოს რაიონების ასეთი პროექტიული თავისებურება მხედველობაშია მისაღებიო“.

ამ აზრს ი. სტალინი კიდევ უფრო განაურცობს, როცა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად ხელდასხმულ აკაკი მგელაძეს მოძღვრავს შინ უკვე პირველ კაცად გამომგზავრების წინ: „საჭიროა ბოლო მრუველოთ პროექტიელ „ბელადებს“. ქართველ პროექტიებს შორის შინაომები ყოველთვის დიდი უბედურება იყო ქვეყნისათვის. თავის დროზე ამით სარგებლობდნენ ირანის შაპიც და თურქეთის სულთანიც. საქართველოს ტრაგდიას რომ ჩავუდრმავდეთ, შეიძლება უშეცემომდ დავამტკიცოთ, რომ არც შაპებსა და სულთნებს, არც თუმცურ-

ლენგს არ მიუკენებიათ მისთვის ისეთი ზიანი, როგორიც შინაომებმა მიაყენა. რა თქმა უნდა, ახლა ასეთი საფრთხე აღარ არის, მაგრამ არის სხვა საშიშროება — პროეინციული „ბელადიზმი“ წარმოშობს კინ ქლაობას, ინტრიგებს. თითოეული თავის მხარეს ქაჩავს, ცდილობს კადრები „თავისი პროეინციიდან“ წამოსწიოს, თავისი კუთხის ხალხს უჭოვესი პირობები შეუქმნას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა აჭარასა და სამეგრელოში. თუ „თავის პროეინციებზე“ შეფობა არ აღიკვეთა, ეს იქამდე მიგვიყვანს, რომ საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის როლი რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში ნულზე დაა. დაამყარეთ წესრიგი, ანგარიში არ გაუწიოთ არავის და არაუკერს“.

6. ხრუშჩიოვი („დრო, ადამიანები, ხელისუფლება“, მოსკ. 1999 წ.) წერს, „სტალინი მკვეთრად გამოყოფდა ერთმანეთისა-გან დასავლელ და აღმოსავლელ ქართველებს, ქართლელებს; ამბობდა, მეგრელები „ნამდვილი ქართველები არ არიანო“.

დმერთმა იცის, რამდენად მართალია ხრუშჩიოვის ეს მოგონება, მაგრამ ის, რომ „სწორედ საქართველოში ეძებდა იგი მარადებამს ბოლომდე ამოუძირკვავი ნაციონალიზმის ნარჩენებს“, ფაქტია. რათა მკითხველისათვის საცნაური გახდეს, თუ რას ეფუძნებოდა სტალინის ეს პირქუში განწყობა, ცოტა ვრცელი გადახვევა უნდა გავაკეთო.

## აპონდია, მაჟალუ, ჭვანია

მეცხრამეტე საუკუნე დიდი ნიშანსვეტი იყო საქართველოს ისტორიის ცარგვალზე. ქვეყანაში დაკარგა დამოუკიდებლობა და სახელმწიფო ობრიობა, რასაც ასეთი თავგანწირებით, ჭაპანწყვეტითა და სისხლით ინარჩუნებდა ათასწლეულების მანძილზე, იქცა რუსეთის იმპერიის განაპირა მხარედ, უსახელო და უსახურ კოლონიად. და ამავდროულად, იმ კოლონიის სამოსელში... გაერთიანდა და გამოლიანდა, რაც მანამდე ვერ შეძლო ბრძოლითა და კირთხვით.

მაგრამ როგორც კი საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროები გაუქმდა და ქვეყნის სხვადასხვა ნაწილი ერთ სხეულად შეიკრა, ორთავიანმა არწივმა იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და მისი ზელოვნურად დაქუცმაცება გადაწყვიტა. ამ მისით იერიში ერთს მთლიანობის ერთ-ერთ ციხე-ბურჯზე — ენაზე მიიტანეს.

1881წლის 1 მარტს ნაროდნიკებმა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე მოკლეს. ახალი იმპერატორის ალექსანდრე მესამის ტახტზე ასვლისთანავე ქვეყანაში მკაცრი პოლიტიკური რეაქციის ხანა დამყარდა. ცარიზმა მიზნად ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული მეობის წაშლა დაისახა. ხმარებიდან ამოიღეს პოლიტიკური ცნება „საქართველო“. თბილისის და ქუთაისის გუბერნიები უშუალოდ საიმპერიო ცენტრს დაუქვემდებარეს.

კავკასიის რეაქციონერმა მმართველებმა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ ენებსა და კულტურას შეუტიეს. კავკასიის სას-

წელო ოლქის მხრუნველმა იანოვსკიმ სკოლებს დაუგზავნა ცარ-კულარი, რომელიც ქართული ენის ნაცვლად რუსული ენის სწავლას აწესებდა. შპობლიური ენა ცხადდებოდა არასაკალდებულოდ და მას მხოლოდ დაბალ კლასებში ეთმობოდა საათების მცირე რაოდენობა, ისიც გაკვეთილების ბოლოს. იგივე იანოვსკიმ 1885 წლის ცირკულარით ქართული ენა საერთოდ აკრძალა სკოლებში და იგი „საოჯახო ზრუნვის“ საგნად გამოაცხადა.

ცნობილი მწერლისა და სახოგადო მოღვაწის თელო სახოვის ცნობით, სამეცნიელოს სამოქალაქო, ანუ „ნორმალურ“ სკოლებში შეგირდები ქართულს, როგორც ისინი ამბობდნენ, „ჩეინობურას“, ე. ი. „ჩვენებურ“ წერა-კითხვას შინაურულად, მაღვით სწავლობდნენ.

იყო ვერაგული განხრახვა, რომ სამეცნიელოს, აჭარის, სეანეთის სკოლებში სწავლა შემოედოთ მეგრულ, თურქულ და სვანურ ენებზე... მეგრულები, აჭარლები და სვანები ცალკე, არა-ქართულ ეროვნებებს წარმოადგენენ.

კოლონიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებაში ცარისმა მხარში ედგა რუსული მართლამდიდებელი ეკლესია. განიდევნა ქართული წირვა-ლოცვა, დაუნდობელი ბრძოლა გამოეხადა ქართველ-მეგრულთა ეროვნულ ერთობას, მეგრულთა შორის ხელოვნურად, განგებ ნერგავდნენ ანტიქართულ განწეობას.

მაგრამ მარტო იანოვსკები და ძმანი მათნი როდი იქმდნენ ამ ბოროტ საქმეს. არაერთი გადაჯიშებული ჩვენი თანამემულები ედგა მათ მხარში. მათზე წერდა დიდი და კობ გოგებაშვილი გამწარებით „ჩვენში კი გამოჩნდნენ იმისთანა ჭკუით გლახავნი, რომელთაც გაპბედეს და წარმოთქვეს, რომ სამეცნიელოს და სეანეთის სკოლებიდან დედაქნა უნდა იქმნას გამორიცხული, რადგან იქ ხალხი ადგილობრივს კილოკავს სმართოს. სახსარიც მაღლ იპოვნეს: სამეცნიელოსა და სვანეთის მოწყვეტა-მოშორება საერთო ნიადაგიდან, საერთო სამშობლოდან; „მეგრულისთვის იმის თქმა, რომ ისინი ქართველები არ არიან, რომ მათ არა აქვთ არც ანბანი, არც დამწერლობა, არც ლიტერატურა, რომ ყველაფერი ეს ამიერიდან უნდა შეიქმნას, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ წაგართვათ მათ მოული მათთ სახელოვანი წარსული, მოული

ისტორიული მონაპოვარი, გამოვაცხადოთ ისინი გონიერობის და-  
ტაკებად და გვერდით ამოუყენოთ ისეთ ბარბაროსულ ტომებს, რომელთაც არავითარი ისტორია არ გააჩნიათ“.

იაკობ გოგებაშვილი აღმფუთებული იყო იმით, რომ ყოვ-  
ლად გაუგებარი მოსაზრებით „მეგრული კილოსათვის გამოგო-  
ნებულია განსაკუთრებული აღფაბეტი, რომელიც საუსებით  
თვითინებურად შეცვლილი რუსული ასოებისაგან შედგება. ჩვენ  
ახლა წინ გეიდვეს, მაგალითად, არ ვიცით ვის მიერ შედგენილი  
„მეგრული ანბანი“ (თბილისი, 1899), რომელიც მიმდინარე სას-  
წავლო წელს სამეგრელოს სკოლებში მეგრული ბავშვებისათვის  
შემოუღიათ როგორც რუსული ენის სახელმძღვანელო. ამ ან-  
ბანში ორ სკეტზე დაბეჭდილია პარალელური ტექსტი მეგრულ  
(შეცვლილი რუსული შრიფტით) და რუსულ ენებზე... პირდა-  
პირ გაუგებარი რჩება, რა საჭირო იყო რუსული ასოების შეც-  
ვლა და ახალი, ყველასათვის უცნობი აღფაბეტის შექმნა, მა-  
შინ, როდესაც არსებობს მეგრული კილოსათვის სრულიად შე-  
საფერისი ქართული აღფაბეტი, რომელიც არავითარ შეცვლას  
არ მოითხოვდა“.

თუ როგორ მოხდა ეს, დაწვრილებით გვიამბობს თედო სა-  
ხოკია „მცოდნის“ ფსევდონიმით ხობის რაიონულ გაზეთში 1933  
წელს (№6-7) დაბეჭდილ სტატიაში, რომელსაც საფუძვლად  
დაუდო ავტორის მიერ 1925 წლის 23 სექტემბერს თბილისში,  
რუსულის სახელობის სახელმწიფო თეატრში მისივე თავმჯდო-  
მარეობით გამართულ „ტუილისში მცხოვრებ სამეგრელოს მკვიდ-  
რთა კრებაზე“ წაკითხული მოხსენება (ეს სტატია გაზეთ „სა-  
ქართველოს რესპუბლიკის“ 1992 წლის 12 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა თედო სახოკიას შვილიშვილმა, ქალბატონშა შუ-  
ქია აფრიდონიძემ):

„ქავეკასიის სასწავლო ოლქის შხრუნველის იანოვსკის მარ-  
ჯენა ხელმა, იმერეთის სკოლების საგუბერნიო ინსპექტორმა  
ლეიიციმ ხონის სემინარიის მასწავლებელს პეტროვს მეგრელ-  
თათვის ცალკე ანბანიც შეადგენინა, რა თქმა უნდა, რუსული  
ასოებით (პეტროვმა პეტერბურგელი ენათმეცნიერის აღ. გრუ-  
ნის მიერ შედგენილ „მეგრულ ანბანზე“ დაყრდნობით რუსული

შრიფტით შექმნა თავისი „მეგრული ანბანი“ — ა. ა.) და ხონის სემინარიის მუშაკის, შემდეგში „ცნობილი“ თადა აშორდიას სა-შუალებით მეგრული ხალხური ზღაპრები თუ ლექსებიც ჩააწერინა. ეს სახელმძღვანელოდ უნდა გამხდარიყო სამეგრულოს სკოლებში (თადა აშორდიამ რუსულ-ქართული შერული ანბანით შეადგინა სასკოლო სახელმძღვანელო „დიდა ნანა“ — ა. ა.). თ აშორდიას კარგი ადგილი მისცეს, მატერიალურად უზრუნველყოვეს, თან დააკალეს, ზუგდიდის მაზრაში ქართული ენა, თუკი სადმე არსებობდა ასეთი, სკოლებიდან განედუნა და ხელი შექმნო რუსული ენის განმტკიცებისათვის. აშორდიას, თავის მხრივ, აგენტებიც გაუჩნდნენ და გაჩაღდა საქმე. სამეგრულოს სკოლა გადაიქცა ბავშვების დაწლუნგებისა და გადაგვარუბის ერთგვარ ქარხნად... აშორდიას უნდა ეთარგმნა საღმრთო წერილი ქართულიდან მეგრულად. ეს, ლევიცეის აზრით, სამეგრულოს სამრევლო სკოლებიდან ქართულ ენას განდევნიდა. მაგრამ მოული სამეგრულო, როგორც ერთი კაცი, ფეხშე დადგა ასეთი უხამსობისა და არამკითხე ჭირისუფლების წინააღმდეგ. სამეგრულოს მკვიდრთა ეს კოლექტიური გულისწყრომა და აღმფოთება გამოიხატა მაშინდელი გურია-სამეგრულოს ეპისკოპოსის გრიგოლის დასაბუთებულ მოხსენებაში, რომელშიც სამეგრულოს წარმომადგენელი ერის კაცნი, სხვათა შორის, ნიკო (დიდი) დადიანი მისთვის ჩვეული ოსტატობით ამტკიცებდა ასეთი განზრახვის მთელს უგვანობას და უსაფუძვლობას.

ეპისკოპოს გრიგოლის მოხსენებამ ერთხანს შეაჩერა მეგრულად საღმრთო წერილის მთარგმნელნი და მაშასადამე, სამეგრულოს სკოლებში ქართული ენაც დარჩა. მაგრამ, აპა, საქართველოს საეპისკოპოსოს საეპარქიო სკოლათა მეთვალყურედ დანიშნეს დეკანოზი ივ. ერსტორგოვი, რომელიც თამამად იძახდა, მეგრულები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათ სკოლებში არ უნდა ისწავლებოდესო, მის მაგიერ რუსული, სახელმწიფო ენა ასწავლეთო. მანამდე არ გაჩერდა, სანამ აკადემიკოსმა ნ. მარმა მიწასთან არ გაასწორა მეტიჩარა და პოლიტიკანობით დაბრძანებული დეკანოზი.

1905 წ. რუფოლუციამ ცოტათი შეანელა რუსიფიკატორების გულმოდგინება. შემდეგ ბნელეთის ძალები ისევ ამჟამადნენ. 1918 წ. ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიაციატივით ეპევ თვით მეგრულები გამოუიდნენ ლეიიცა-კოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის გამგრძობინი, როგორც მოხალისენი (სტ. გაგუამ, მ. კანკაუამ და სხვებმა მათ მიერ შექმნილ ჯგუფს მაფალუ უწოდეს. მაფალუ ნიშნავს საწყისს, რომელიც მოწოდებულია გაფურჩქვნა-აკვაკებისათვის — ა. ა.). მაგრამ ვველას ბალდთა ბალდობად მიგვაჩნდა მათი ცოდვილი და სერიოზულობაში არ ჩამოგვირთმევია, სანამ 1925 წელს, როცა ვველაზე ნაკლებად მოუელოდით ასეთი ავადმყოფობის გაღვიძებას, ზუგდიდში დაიწყო აუტონომიის ნიადაგის შხადება” — წერს დასახულ თუდო სახოკია.

ეს მართლაც არ იყო „ბალდთა ბალდობა“.

1925 წლის 13 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ლავრენტი ბერიას წერილი „მეგრული ავტონომისტების შესახებ“. ავტორი მეგრულთა ერთ ჯგუფს ბრალს დებდა ავტონომიზაციის იდეით გატაცებაში, რომ ისინი ქმნიდნენ დოკუმენტებს და მათ უგზავნიდნენ სსრკ ცაკ-ს, ამიერკავკასიის ფედერაციის შესაბამის სტრუქტურებს, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

ლავრენტი ბერია წერდა, ჩემ წინ დევს მოული რიგი ერთგვარად „კლასიკური დოკუმენტებით“ და ამონაწერები მოპყავდა ამ „ღირსშესანიშნაობებიდან“ (მისი მეტაფორაა — ა.ა.): „სამეგრულოს მძრომელები მოელიან განთავისუფლებას საქართველოს ისტორიულად და იურიდიულად უსაფუძვლო სუვერენიტეტისაგან, რომელსაც მხარს უჭირს მხოლოდ „იმპერიალისტური ელემენტი“; „სამეგრულოს მძრომელი ხალხი გმინავს ქართველების უღელქვეშ“; ეს ხალხი „შეუერთდა რუსეთის 1804 წლის ტრაქტატით და აღექსანდრე II-ის ბრძანებით, რაც სჩანს რუსეთის სახელმწიფო არქივიდან“... ლ. ბერია სარკასტულად შენიშნავს, თურმე მეფის რუსეთის აქტებში, რუსეთის იმპერიის არქივებში „სამეგრულოს მძრომელი მასები“ ეძებენ კანონიერ

საბუთებს აუტონომიისთვისო, თერმე 1867 წელს სამუჯრედოს გლეხობაშ თავისი ბედ-იღბლის ხელმძღვანელობა სამუდამოდ ჩააპარა რუსეთს და ჩამოაგდო თავისი მჩაგვრელი მეფე აუტოკრატიო და სვამს კითხვას: „ხომ არ არის ეს მორიგი ონები თავზე ხელაღებულ კონტრრევოლუციონერებისა, რომლებიც ყველა ძალობრივი ცდილობენ გათხარონ უფსერელი საქართველოში მცხოვრებ ტომებს შორის?“

ლ. ბერია ჩამოთვლის ამ „სახალხო მოძრაობის ბელადებს“: მიშა დადიანი, ვლადიმერ ბუკია, კოსტა კილასონია, გრიგოლ ასალაია, პარმენ ხურცილავა, ვლადიმერ გრიგოლია, ბიქტორ ნანუიშვილი, გური საჯაია, სოლომონ ჯგერუნაია, ვიქია, ვეკუა, კობალია, როგავა, თორდია. ეს ჯგუფი სოციალური შემადგენლობით მეტად ჭრულია: აქ არიან თავადები, აზნაურები, სოციალურედერალისტები, მენშევიკები, ყოფილი კომუნისტებიც.

აუტორი საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს: საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც დგას ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების სადარაჯოზე, რა თქმა უნდა, მისცემდა სამუჯრელოს აუტონომიას, ეს რომ რაიმეთი იყოს გამოწვეული. მაგრამ სამეცნიელოს არც ეკონომიკური, არც კულტურული, არც ყოფა-ცხოვრების და, ბოლოს, არც ისტორიული პირობები არ წარმოადგენს საფუძველს ლაზ-კოლხიდის აუტონომიის შესაქმნელად და საბჭოთა საქართველოსაგან მის ჩამოსაგლეჯად. სამუჯრელოს აუტონომია — ეს ნაბიჯის უკან გადადგმაა, ეს არის ნახტომი 300 წლით უკან. განგაში, რომელიც ამ ერთმა ჯგუფს ასტება, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოოს.

აუტონომისტთა მხარდაჭერაში ლ. ბერია ბრალს სდებს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს, განსაკუთრებით, კომიტეტის პირველ მდივანს ისაკ ევანიას: ყველაფერი ეს იქნებოდა უმსგავს ფარსი, მაზრის ზოგიერთ ხელმძღვანელს ამ იდეისთვის მხარო რომ არ დაეჭირა, მათ შორის ამს. ევანიასაცო.

უმაღვევე, 15 სექტემბერს, „კომუნისტმა“ დაბეჭდა ი. ევანიას საპასუხო წერილი, სადაც ამტკიცებს, ჩემს მიმართ ლ. ბერიას ბრალდება ან გაუგებრობაზეა აგებული ან გალბ ინფორმაციაზე: ამს. ლ. ბერიას არავინ ედაუება, მით უმეტეს არ ვეღავება

პირადად, მე ამ ჯგუფისა და ხსენებული დოკუმენტების დახასუ-  
ათებაში. პირიქით, უფრო სამარცხვინო ბოძშე გაფაკარი მე მათი  
„მოღვაწეობა“ დღემდე და მომავალშიც ასე მოუიქცევით. მისამა-  
აზრით, სამეცნიეროს აუტონომიას მოითხოვენ „ერთი მუჭა ფან-  
ტაზიონები, რომელიც არაა დამფარუბული მშრომელი ხალხის  
სურვილებზე... მის როგორც პოლიტიკურ, კულტურულ, ისე ეკო-  
ნომიკურ ინტერესებზე და მას ხელს არ უწყობს ქულნის ობიქ-  
ტური პირობები. ასეთი აუტონომია არის აუნტიურა, ხოლო მისი  
ინიციატორები — წმინდა წელის აუნტიურისტები.“

ი. უვანიას გამოხმაურება პირველი იყო. მას სხვა კრიტი-  
კული წერილებიც მოჰყვა („კომუნისტი“, 1925 წ. 15, 16, 17, 24  
სექტემბერი). მ. კვარაცხელია, დ. თოფურიძე, ვ. მასხულია, ბ.  
შოგირაძე ასაბუთებდნენ სამეცნიეროს აუტონომიის იდეის აბ-  
სურდულობას, მავნეობას, ქართველი ერის ინტერესების და-  
ღატად აცხადებდნენ მას.

23 სექტემბერს, საღამოს, რუსთაველის თეატრში შედგა  
თბილსში მცხოვრებ მეგრულთა კრება. მას უამრავი ხალხი და-  
უსწრო. როგორც „კომუნისტი“ 24 სექტემბერს წერს, მთელი  
აუდიტორია სამეცნიეროს „აუტონომიის“ წინააღმდეგ იყო გან-  
წყობილი, „აქა-იქ, დარბაზის ზოგიერთ კუთხეში მაინც იყვნენ  
განბნეული ბუკონია-ახალიას ორდენის წევრები, რომლებიც  
ცდილობდნენ ოპოზიციის შექმნას, მაგრამ მათი ოპოზიცია გა-  
მოიხატებოდა მხოლოდ ულამაზო წამოძახილებში და პრეზი-  
დიუმის სახელზე უსუსური შეკითხვების გაგზავნაში“.

გიორგი უორდანიას წინადაღებით პრეზიდიუმში აირჩიეს:  
თედო სახოკია (თავმჯდომარე), აკაკი ფალავა, დიომიძე თოფუ-  
რიძე, ბართლომე პატარაია და ანდრო თოდუა, პრეზიდიუმის  
საპატიო წევრად — ალექსანდრე (საშა) გვეგეჭკორი.

თედო სახოკიას მოხსენების შემდეგ სიტყვები წარმოთ-  
ქვეს დიომიძე თოფურიძემ, ანდრო თოდუამ, ბართლომე პატა-  
რაიამ და აკაკი ფალავამ, რომლებმაც აღნიშნეს „აუტონომიი-  
ტების“ გამოსვლების მავნეობა და კრებას მოუწოდეს „სასტი-  
კად დაიგმოს ბუკონია-ბესელიას და ძმათა მათთა მოქმედება“.

აკაკი ფალავას სიტყვებს, საქართველოს მთავრობისაგან

კატეგორიულად მოუითხოვთ, სასტიკი ზომები მიიღოს საქართველოს, კერძოდ, სამეცნიელოს შპრომელი ხალხის მოლაპატეთა მიმართო, დარბაზი მქუჩარე ტაშით შეხვდა.

დასასრულ კრებას სიტყვით მიმართა კონსტანტინე გამსახურდიამ. — მოქალაქენო, ჩვენ აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ ერთხელ კიდევ შევარცხვინოთ ის ხალხი, რომლებსაც უნდათ სამეცნიელოს ჩამოჭრა საქართველოს მთლიანი სხეულიდან. ჩვენ მხოლოდ ზიზღით უნდა გაუუმასპინძლდეთ მათ, რადგან ზარბაზნების სროლა ჭიანჭველების წინააღმდეგ, არ ღირს. რას გვეუბნებიან ჩვენ სამეცნიელოს აკტონომისტები: დაივიწყეთ რუსთველის, ჩახრუხაძის, დავით გურამიშვილის ენა და იკითხეთ ბუკნიას წიგნებიო. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ ჩვენი გადამწყვეტი სიტყვა ამ მახინჯი მოულენის წინააღმდეგ და მოუთხოვოთ მთავრობას მისი ძირიანად მოთხრა, — თქვა მწერალმა.

მიიღეს რეზოლუცია: „კრება საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს არის გაგრძელება იმპერიალისტური რუსეთის გამთიშვი პოლიტიკისა, რაც მიმართული იყო ქართველი ეროვნული ოჯახის დაქაქევისა და საქართველოს, როგორც მთლიანი ეროვნული ერთეულის მოსპობისაკენ... ამ ბეჭედ პოლიტიკანებს არავითარი — არც ზნეობრივი, არც იურიდიული, არც პოლიტიკური — უფლება არა აქვთ ილაპარაკონ სამეცნიელოს სახელით. სამეცნიელო, კულტურით და სისხლით, წარმოადგენს მთლიანი საქართველოს განუყოფლ ნაწილს... სამეცნიელოს მკვიდრთა საერთო კრება კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან მიღებულ იქნას სასტიკი ზომები ასეთი უმსგავსი შავრაზმული მოულენის ძირიფესვიანად აღმოსაფხვრელად“.

24 სექტემბრის შემდეგ პარტიულ პრესაში ამ საკითხზე დისკუსია შეწყდა. მაგრამ „ბატალიები“ გაგრძელდა თვით ზუგდიდის მაზრაში.

ამ პროცესს აშექებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საისტორიო აღმანას „კლიოს“ მე-9 ნომერში (2000 წ.) გამოქვეყნებული ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე დაუშვილის ნაშრომი „დეცენტრალიზაციის პრო-

ცესები საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში<sup>1</sup>, რომელიც საარქივო მასალებზე დაყრდნობით წარმოგვიჩნენს „სამეცნიერო ავტონომიზაციის“ პრიპეტიებს.

1925 წლის ნოემბერში ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობას დაუპირისპირდა მაზრის დარჩელის უბნის პარტიული უჯრედი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოსკოვის სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტის კურსდამთაურუბული მიხა მამოორია. დარჩელის უბნის მე-7 პარტკონფერენციამ სერიოზული ბრალდებები წაუკენა სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობას — აკაკი ქანთარიას, ბეგი ბერიას, გრიშა შელიას და ისაკ უვანიას: „მათ გახსნიათ ნარკომობის მაღა, მაზრის თავმჯდომარეობა და მაგისთანები თურმე ეცოტავათ... დაიწყეს აგიტაცია სამეცნიეროს ავტონომიის მოთხოვნით“. იქვე გაპროტესტებულია სამეცნიეროს ავტონომიის მოთხოვნის მოსაზრება და „ამით სამეცნიეროსა და საქართველოს შორის შუღლის დადება“. დარჩელის რაიკონფერენცია თავის დადგენილებაში უცხადებს „ზიზღს და სასტიკ პროტესტს აკაკი ქანთარიას, ბეგი ბერიას, გრიშა შელიას და ისაკი უვანიას... კონფერენცია მოითხოვს ზემოდასახელებული პირების მაზრიდან გაძევებას“.

საინტერესო სურათი იყვეთება: აშკარაა, რომ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ლავრენტი ბერიას წერილით შეგულიანებული ოპოზიციური ძალები შეტევაზე გადადიან და ამ შეტევაში ერთ-ერთ მთავარ იარაღად მაზრის ხელმძღვანელობის მიერ სამეცნიეროს ავტონომიის საკითხის წამოწევა აქვთ მომარჯვებული, აშკარად დებენ ბრალს მაფალუელებთან კავშირში.

მავრამ იმუამად სამაზრო კომიტეტმა სძლია „დარჩელის ოპოზიციას“ და მისი ლიდერები: მიხა და პროფი მამოორიები, ალექსანდრე ქირია, მაქსიმე ხვიჩია პარტიიდან გარიცხა.

ზუგდიდსა და დარჩელს შორის მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ მასში საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ჩაერია. 1925 წლის 21 ნოემბერს დარჩელში კვლავ გაიმართა პარტიული კონფერენცია, რომელზეც გააუქმეს ყველა წინანდელი გადაწყვეტილება მაზრკომის მუშაობის შესახებ. დაადგინეს, რომ ბრალდება „აკაკი ქანთარიას, ისაკი უვანიას და მისი

ამხანაგების მიერ სამეცნიელოს ავტონომიის თაობაზე მაღული აგიტაციის გაწევის შესახებ... არის სრული სიცრუე და შურისძიება მთელ ორგანიზაციაზე, ამასთან არაკომუნისტური საქციელი“.

ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის კონფერენციაზე ქართველ კომუნისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა საშა გვეჭყორმა სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობას დაუჭირა მხარი, მქაცრად გააკრიტიკა მამფორიები და ორგანიზაციიდან „ამ ბაცილების“ მოშორება მოითხოვა.

მისა მამფორიასთან დაკავშირებულ რეზოლუციაში ნათქვამია: მის მიერ დარჩელის პარტკონფერენციაზე წარმოითქმული ბრალდება, თითქოს სამაზრო კომიტეტი აგიტაციას და პროპაგანდას, ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა სამეცნიელოს უტონომიის სასარგებლოდ, აშენებულია სრულ სიყალბეჭე. დღეს კონფერენციას თამამად შეუძლია აღნიშნოს, რომ ავტონომიის სასარგებლოდ წინათ წარმოებული მუშაობის ნატამალიც არ არის დარჩენილიო.

ალექსანდრე დაუშვილი მართებულად შენიშნავს, აშენავა, რომ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა არ მოისურვა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტთან იმ ეტაპზე ურთიერთობის გაფუჭება, საკითხი ამოწურულად ჩათვალა და თვალი დახუჭა ინფორმაციაზე, რასაც მისა მამფორია და მისი ჯგუფის წევრები აწედიდნენ.

ასე იყო თუ ისე, 1925 წლის შემდეგ ავტონომიზაციის ფრმაზე ზუგდიდის მაზრაში ყოველგვარი ოფიციალური საუბარი შეწყდა.

ეს „სიმშეიდე“ თითქმის 3 წელიწადი გაგრძელდა.

ქართველის ამოსაგარდნად ბიძგი იყო საჭირო....

1928 წელს საქართველოს ეწვია სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალური კომისია პშენიცინის ხელმძღვანელობით, შემოიარა საქართველო, მათ შორის ზუგდიდის მაზრა და თავისი მოსაზრებები წარუდგინა როგორც თბილისს, ისე მოსკოვს.

იმავე წლის 25 სექტემბერს საქ. კპ(ბ) ცეკას IV პლენურზე, ხადაც პშენიცინის მოხსენება მოისმინეს, გაიჭდერა მოსაზ

რებამ სამეცნიელოში მეგრულ ენაზე ბროშურების გამოცემის მა-  
ზანშეწონილობის შესახებ.

პლენუშჩე გამოიკვეთა ორი მიმართულება:

I. „მართალია ჩვენთან იყო ერთი რეაქციული მიმდინარე-  
ობა, რომლის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. ეს არის ის, რომ  
სამეცნიელოს თველიდნენ სრულიად დამოუკიდებელ ნაციად სა-  
ქართველოსგან... ამის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ  
იმის წინააღმდეგ, რომ მეგრულ გლეხს მივცეთ რაიმე მეგრულ  
ენაზე, ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი არ უნდა ჰქონ-  
დეს“ (გაბუნია);

II. „თუ თქვენ დღეს გამოსცემთ ბროშურას მეგრულ ენა-  
ზე, ხელ გაისხება ცხრაწლედი, ხოლო ზეგ შექმნიან ავტონო-  
მიურ რესპუბლიკას“ (კობახიძე).

აქ პატარა „გადახვევა“.

პშენიცინის კამისიის ერთ-ერთმა წევრმა, აზერბაიჯანელმა  
სეით კადიროვმა მოგვიანებით (1929 წელს) სკპ(ბ) ცქ-ის სა-  
ხელზე დაწერა წერილი, რომელშიც ამ კომისიის მიერ საქარ-  
თველოში ჩატარებულ შემრჩებასთან დაკავშირებით პირადი შე-  
ხედულებები ჩამოაყალიბა. კადიროვი თავის კრიკელ წერილში  
ცდილობს დაასაბუთოს, რომ არსებობს საქართველოს დიქტა-  
ტი აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის მიმართ, მათი პრობ-  
ლემებისადმი ცენტრის გულგრილი დამოკიდებულება (ხედე-  
ბით, საიდან იღებს სათვეს ა. სახაროვისეული „საქართველოს  
მცირე იმპერიის“ თეორია?).

კადიროვი სამეცნიელოსაც ქვება და აღნიშნავს, ზუგდიდში  
მოგვიწყვეს 300-კაციანი შეხვედრა, სადაც გვითხრუს, რომ „მეგ-  
რულებს არა აქვთ რესპუბლიკა... საქართველო წწვა სამეცნიელოს  
მოსახლეობის თვითმყოფადობის, სახის დაკარგვის პოლიტიკას  
მისი ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებად დაყოფის გზით, ცალკ-  
ეულ რესპუბლიკებში, მაზრებში გადანაწილების გზით...“

ამ შეხვედრაზე მისთვის თურმე ვიღაცას ისიც კი უთქვამს:  
„ჩვენ დავხოცავთ მოულ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელ-  
მაც საქართველოს რესპუბლიკას მიპყიდა მეგრული გლეხების  
ინტერესები“. 3.

3. ალვენ (ალექს) ასლანიშვილი. მეგრულთა საქმე

ალ. დაუშვეილი მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება მთლიანად ინ-სინუაცია იყოს, მაგრამ არც იმას გამორიცხავს, რომ კომისიას ან კადიროვს ვინმექ მართლაც რაღაც ინფორმაცია მიაწოდა, რაზეც ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობის მო-ლი მუშაობა მიუთითებს 1930-1933 წლებში.

კადიროვის წერილმა ქართველ კომუნისტებში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. ამ წერილის შემდეგ აშკარად აღაპარა კდნენ „საქართველოში დიდმპყრობელური შოვინიზმის ელემენტების“ შესახებ. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ეს 20-იანი წლების მა-წურულის პარტიულ ფორუმებსა და შეკრებებზე. ამ საერთო ფონმა, გარევეულად წაახალისა მაფალუელები. ამიტომ ისინი უფრო აქტიურად ცდილობდნენ თავიანთი პოზიციები დაცვათ თბილისში, ეიდრუ ზუგდიდში.

\*\*\*

სამეგრელოს აეტონომიისათვის ბრძოლის ახალი ტალ-და 1929 წლის 31 მარტს დაიწყო, როცა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პლენურშე ი. ევანიამ თავის მოხსენებაში მეტად შე-ფარვით დააყენა საკითხი დასაკლეთ საქართველოში ადმინის-ტრაციულ-ტერიტორიული გამიჯვნის ახალი პრინციპების შე-სახებ.

პლენუმმა მეორე საკითხიც განიხილა — „მეგრული ენის შესახებ“. ძირითადი მომხსენებლი ისევ ისაკ ევანია იყო. მან განმარტა, თუ რატომ დააყენა ზუგდიდის პარტორგანიზაციაში ცეკას წინაშე მეგრული ენის საკითხი: „იმიტომ, რომ ეველა ის გლეხებისათვის ელემენტარული საკითხები მათთვის გაგებუ-ქებინა, გავაგებინოთ მშრომელ გლეხობას მშობლიურ ენაზე ის, რის გაგებასაც მისგან მოითხოვს მისი პოლიტიკური და ეკონო-მიკური ინტერესები“.

პლენურშე ი. ევანიამ უდიერად მოიხსენია თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილები, რომლებმაც 1925 წელს პროტეს-ტი გამოთქვეს ზოგიერთის ცდის გამო, ბარიერი აღემართათ შვა-რულებსა და დანარჩენ საქართველოს შორის და ქართული ეკ-ლეხია, რომელიც თავის დროზე წინ აღუდგა ცარიზმის მიერ ეკლესიაში მეგრულ ენაზე წირვის შემოღებას.

სიტყვების დასასრულს მან ჩამოაყალიბა მოთხოვნები, რომ-  
ლებიც „უნდა გაითვალისწინოს თბილისში სამეცნიელოსთან და-  
მოკიდებულებაში“: 1. სოფლის და თემის საბჭოებში საქმის წარ-  
მოება მეცნიელ ენაზე; 2. მოწყობის სასოფლო-სამეცნიელო ლი-  
ტერატურის მეცნიელ ენაზე გამოცემა; 3. გამოიცეს გაზეთი მეც-  
ნიელ ენაზე; 4. მოხდეს წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვი-  
დაცია მოზარდ მოსახლეობაში მეცნიელ ენაზე.

1929 წლის ივლისში საქართველოს კპ(ბ) VI კრილობაზე  
მაფალუელებმა ძირითადი კურადღება მეცნიელი ენის უფლებე-  
ბის დაცვის საკითხებზე გადაიტანეს, ამ ეტაპზე სამეცნიელოს  
ოლქის, სამეცნიელოს აუტონომიის საკითხი ჩრდილში მოაწყიოს.

მაფალუელების პოზიცია კრილობაზე სასტიკად გააკრი-  
ტიკა შამშე ლევაგამ: „ჩევნ სუვერენი ქართველები გართ და ჩვე-  
ნი ფუძე არის ქართული კილოკავი... მათ უნდათ დაიწყონ ენით  
და შემდეგ აუტონომია მოითხოვონ.“

აღ. დაუშვილი გვაცნობს საქართველოს პრეზიდენტის არ-  
ქივში მიკვლეულ ი. უვანიას მოსკოვში მოგვიანებით გაგზავნილ  
წერილს, სადაც ნათქვამია, რომ 1929 წელს სოჭში სტალინს  
შეხვდა და საუბრისას სამი საკითხი დააყენა: სამეცნიელოს ოლ-  
ქის ან საოლქო აღმასკომის შექმნა; მეცნიელ ენაზე გაზეთის და  
სხვა საგლეხო ლიტერატურის გამოცემა და სკოლის პირველ  
საუქურზე სამეცნიელოს რაიონში მეცნიელ ენაზე სწავლების  
შემოღება.

ი. უვანია წერილში ამტკიცებს, სტალინმა ყველა საკით-  
ხზე დადებითი პასუხი მომცაო. ოლონდ, საგარაულოა, რომ სტა-  
ლინი ი. უვანიას მხოლოდ საკითხის შესწავლას და პრობლემა-  
ში გარკვეულ დაპირდა. ამაზე მიგვანიშნებს საქ. კპ(ბ) ცკ-ის  
მოული შემდგომი საქმიანობა საკითხის მოსაწესრიგებლად.

სხვათა შორის, საქართველოს უახლესი ისტორიის ცნო-  
ბილმა მკვლევარმა გიორგი ციციშვილმა გამაცნო ი. სტალინის  
ჯერ კიდევ 1925 წელს თბილისში გამოგზავნილი დეპეშა, სა-  
დაც ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ სამეცნიელოს აუტონო-  
მიის წინააღმდევია.

1929 წლის ოქტომბერში საქ. კპ(ბ) ცკ-ის სამდიცნოშ გა-

დაწყვეტილება მიიღო მეცნულ ენაზე გაზეთებისა და პროშურების გამოცემისათვის საჭირო დოტაციის შესახებ.

ზუგდიდში დროს არ კარგავდნენ: შეუდგნენ საქმის წარმოების გადაყვანას მეცნულ ენაზე, აქტიური მუშაობა დაიწყო მეცნულ ენაზე გაზეთის გამოსაშვებად. პარალელურად გალის რაიონშიც შხადდებოდა „ყაზაყიში გაზეთის“ გამოცემა.

მაგრამ მოულოდნელად ი. უკანიას და მის ჯგუფს ზუგდიდში სერიოზული ოპოზიცია გაუჩნდა — სამაზრო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, ბიუროს წევრი ბოკუჩავა და მაზრის პროფესიონალული ორგანიზაციის თუმჯდომარე პერტაზია დაუპირისპირდნენ. ისინი ი. უკანიას მაფალუელების წახალისებაში დებდნენ ბრალს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებდნენ, მაფალუელები აგიტაციას წწვიან სოფლებში ოლქის შექმნის სასარგებლოდ და გლეხობას უმტკიცებენ, ოლქის წინააღმდეგ ქმედება ნიშნავს უარყო სკოლების, საავადმყოფოების შენებათ.

დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო.

რაც დრო გადიოდა, ბრძოლის ლოგიკა ი. უკანიას სულ უფრო და უფრო ითრუვდა და მის წერილებს სულ უფრო ანტიქარიული ელფერი ეძლეოდა. 1931 წლის ნოემბერში იგი საქართველო მდივანს ლ. ბერიას უგზავნის მიმართვას ორი ძირითადი მოთხოვნისთვის 1. შეიქმნას სამეცნიეროს ილქი იმ რაიონებიდან, რომლებშიც უმრავლესობას არ ესმის ქარიული ენა; 2. ნება დაირთოს იმ რაიონებში (ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხორეწყუ, ხობი, სენაკი, ნაწილობრივ — მარტვილი, აბაშა) დაწყებით სკოლებში ისწავლებოდეს მეცნული ენა.

ამ პერიოდში ი. უკანიას შეორე სერიოზული ოპოზიცია გაუწინა დარაიონების სისტემის დანერგვამ — ერთი მაზრის ტერიტორიაზე ოთხი (ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხორეწყუს და ხობის) რაიონის შექმნამ. ახალმა პარტიულმა ლიდერებმა ი. უკანიას მორჩილებას თავი აარიდეს. მათ ხელს სულაც არ აძლევდათ ზუგდიდის ოლქში გათქვეფა. იმდღარი ერთიანი ქარიული სახელმწიფოსალმი პატრიოტულმა გრძნობამაც.

ბრძოლა გაჭიანურდა. ი. უკანია დახურულ წერილს გზაუ-

ნის სკპ(ბ) ცე-ის პოლიტბიუროში და კვლავ ითხოვს სამუდრე-  
ლოს ოლქის შექმნას ან საოლქო აღმასკომის დაშეებას, გაშე-  
თებისა და ფურნალების მეგრულ ენაზე გამოშვებას, სკოლის  
პირველ საფეხურზე მეგრულ ენაზე სწავლების ნებართვას.

საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას, როგორც  
ჩანს, მოთმინების ფიალა საბოლოოდ ავესო და 1933 წლის 14  
თებერვალს ი. ფანია დაკავებული თანამდებობიდან გადააყენა.

ამის შემდეგ (1933 წლის აპრილში), ზუგდიდში დაიწერა  
დოკუმენტი ი. სტალინის, მ. კალინინის, ვ. მოლოტოვის სახელ-  
ზე, რასაც მკვლევარი აღ. დაუშვილი მოღალატერს უწოდებს.  
აი, ერთი ნაწყვეტი წერილიდან: „მეგრულები ჯერ კიდევ არ ასი-  
მილირებულან ქართველებთან და დიდხანს კიდევ არ ასიმილირ-  
დებიან, რადგანაც ქართული ენა თავსმოხვეულია კულტურულ-  
საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური პირობების გაუთვალისწი-  
ნებლად ჯერ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების მიერ, შემ-  
დევ მენშვერებისა და ახლა ზოგიერთი გავლენიანი კომუნის-  
ტის მიერ... ასიმილაცია აუცილებელი არ არის, რადგან ქართუ-  
ლი ენა მონოპოლიური კარუბი არ არის, რომელიც მაღალი კულ-  
ტურისაკენ წაიყვანს ამიერკავკასიის ხალხებს. განა აფხაზეთს,  
სამხრეთ ოსეთს და სხვებს ხელი ეშლებათ მაღალ კულტურას-  
თან ზიარებაში, თუკი ქართველებთან არ ასიმილირდებიან?“ ამის  
შემდეგ აუტორები აყალიბებენ ნაცნობ მოთხოვნებს.

იმეამინდელმა საქართველოს კომუნისტურმა ხელმძღვა-  
ნელობამ ქმედით ნაბიჯი გადაღება (ამაში ლავრენტი ბერიას  
დამსახურება უდავოა) — მეაცრი აღმინისტრაციული ზემოქმე-  
დებით შეაჩერა საქართველოს ინტერესებისათვის მიუღებელი  
ტენდენციები, ხელი შეუწყო ერთიანი ქართული ცნობიერების  
განმტკიცებას (ქართული სკოლის სისტემის განვითარება, სა-  
ქართველოს ეთნოგრაფიული კუთხებიდან ახალგაზრდების მიზ-  
ნობრივი მიგრაცია ცენტრში და ა. შ.).

მიმორიგოვანი გადახვევა. მეითხველს გაფაცნობ ერთ საინტე-  
რესო ინფორმაციას, რომელსაც სერგო ბერია გვაწვდის (რაულ  
ჩილაჩავა „ლავრენტი ბერიას ვაჟი გვიამბობს“, 1992 წ. კიუვი):

„მამა გულგრილი არ იყო სამეგრელოსადმი, თუმცა, როგორც  
იტყვიან, მცირე საშობლოსადმი. იგი დედაჩემს სიცოცხლის  
ბოლომდე მეგრულად ელაპარაკებოდა. ეს მათი ბუნებრივი მოთ-  
ხოვნილება იყო. მამას აინტერესებდა კოლხების, ლაზების, მეგ-  
რელების ისტორია... საერთოდ მამაჩემი ძეგრული სეპარატიზ-  
მის მოწინააღმდეგე იყო. მე კარგად მახსოვს ჭალარაწევრიანი  
ისაკ ქვანია, კაცი, რომელიც შეპყრობილი იყო სამეგრელოს ა-  
ტონომიის იდეით... იგი ჯიუტად ედაეებოდა მამას, უმტკიცებდა  
თვის სიმართლეს, რაიმეს გაგონებაც არ სურდა სამეგრელოს  
აუტონომიის მაქნეობაზე. როგორც ახლა ვფიქრობ, 50-იან წლებში  
შეთითხნილი „მეგრული საქმე“ დაიწყო ისეთი გულუბრუებილო,  
თვისებურად პატიოსანი და წესიერი ადამიანების პროფოცირე-  
ბით, როგორიც ისაკ ქვანია იყო...“

\*\*\*

ამრიგად, მაფალუს მოძრაობაშ ისეთი დარტყმა მიიღო,  
რომ დიდი ხნის განმავლობაში მის შესახებ არაფერი ისმოდა.  
საბჭოთა სისტემის დანგრუების შემდგე საქართველოს არაკეთილ-  
მოსურნე ძალები ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ მოძრაობის რე-  
ანიმაციას.

აქვე მინდა მკითხველს მივაწოდო ცნობა ერთი მოსაზრების  
შესახებაც, რომელიც ძირულად განსხვავდება იმისგან, რაც  
უკვე ვთქვით, ანუ ამ საკითხის მიმართ ი. სახოკიას, ი. ეორდა-  
ნიას, ქ. გამსახურდიას, ა. ფალაკას და სხვათა, აგრეთვე დღემდე  
ამ თუმაზე მომუშავე ისტორიკოსების დამოკიდებულებისაგან.

პროფ. გიორგი ციციშვილი თვის 2002 წელს გამოცე-  
მულ წიგნს „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრა-  
ობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შე-  
სახებ“ ურთავს გამოსაცემად მომზადებული ახალი ნაშრომის  
„მაფალუს“ ანოტაციას. როგორც ამ ანოტაციით შეიძლება ვი-  
ვარაუდოთ, ბატონი გიორგი მაფალუელთა და აუტონომისტთა  
მოძრაობის სრულიად განსხვავებულ კონცეფციას იძლევა. ამ  
კონცეფციის მიხედვით მაფალუს ფუძემდებელი სტეფანე გა-  
გუას ჯგუფი გამოცხადებულია „ეროვნულ-დემოკრატ პატრი-  
ოტთა გაერთიანებად“, რომელიც მიზნად ისახავდა სამეგრელოს

კულტურულ დაწინაურებას, რაშიც მათი „მოწინააღმდეგე სამ-  
თერობო და ოპოზიციური პარტიის დამფრთხალი გონიერის პატ-  
რიოტების წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს სამეცნიელოს აუტო-  
ნომიის მისწრაფების პარტიის დაარსების მცდელობა და ჩა-  
უხშევეს გაშლის შესაძლებლობა“.

რაც შექება 1920-1930-იანი წლების „აუტონომისტების“  
მცდელობებს, გ. ციციშვილის მტკიცებით, იგი ბოლშევიკურმა  
ხელისუფლებამ „ყალბად გააიგოა ცარიზმის რუსიურიატორი ია-  
ნოვსკი-ლევიცკი-ვოსტოკოვთან და თ. აშორდიასთან და ასევე  
ყალბად დააკავშირა ვითომ აუგი მისწრაფების მაფალუსთან.  
ხელისუფლებამ ისინი დიდ ეროვნულ საშიშროებად გაასაღა  
და მოუსპო თვითშემოქმედების შესაძლებლობა... მათთვის მი-  
უღებელ „ჩხოუშიელთა“ ყველა ტენდენციას, იოლი დაძლევის  
მიზნით, დაუპირისპირეს იგნორირების, გაბიაბრუების, ძალის და  
მეცნიერების დანარჩენ ქართველებთან სწრაფი შეზილვის ტაქ-  
ტიკა... ინტრიგა და დევნა გააჩაღეს არა მარტო საჩითიროდ  
მოაზროვნე პიროვნებების, არამედ აგრეთვე ეროვნულის შემავ-  
სებელი, მეცნიერები პატრიოტიზმის წარმომადგენელთა მიმართ“.

ბუნებრივია, სანამ წიგნი არ გამოსულა, მხოლოდ ანოტა-  
ციით მნელია იმსჯელო, რამდენად სწორი და ღირებულია აუ-  
ტორის მოსაზრებები. მაგრამ იმის თქმა კი ნამდვილად შეიძლე-  
ბა, რომ პროფ. გ. ციციშვილის ეს ნაშრომი მკვლევარ ისტორი-  
კოსთა შორის დიდ ენებათაღელვას გამოიწვევს.

## სამიმი რიპორტი

ამრიგად, იკვეთება თუ რატომ ატება სტალინმა „ქარიშ-ხალი ჭიქაში“, რატომ გამოაბა საქართველოში გავრცელებულ ნათლიმამობას, მექურთამეობას, სახელმწიფო ქონების დატაცებას, ხაზინის ქურდობას ნაციონალიზმისა და ანტიპარტიულობის კული, რატომ ჩამოჰკიდა ყელზე წისქვილის ქასავით სკა (ბ) ცკის დადგენილება და მდუღარე პოლიტიკურ მორუსი გადაუძახა.

მაგრამ, რაგინდ ფართო მოსაზრება პქონოდა ი. სტალინს, მის მიერ ჩაფიქრებული „ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის საქმე“ არ შეიძლებოდა რიკოშეტით არ მოხვედროდა №1 მუკრელს და №2 ქართველს ლავრენტი ბერიას. ყოველ შემთხვევაში საზოგადოების თვალში მაინც.

დაპატიმრუბულია უმრავლესობა ლავრენტის ახლობელი იყო.

მისა ბარამია მისი დახმარებით გავიდა დიდ პოლიტიკურ ასპარეზზე. ჯერ — პარტიის აჭარის, შემდეგ — აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, ბოლოს კი საქ. კპ (ბ) ცკის მეორე მდივნად მისი წაწევა, საყოველთაო აზრით, სწორედ ლ. ბერიას წაბიძგებით მოხდა. მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თუმანე „ლ. ბერიას დამსახურებული როლი კავკასიის დაცვის დროს“, მომავალში ამ ნაშრომის წიგნად გამოცემაც სურდა, მაგრამ დააპატიმრეს, წიგნის ხელნაწერი კი ამოიღეს. კრის სიტყვით, მისა ბარამია ლავრენტის ერთგული კაცი იყო.

აკქსენტი რაფაგა 1924 წლიდან ლ. ბერიას მხარდამხარ მუშაობდა, მისი მოადგილე იყო საქართველოს უშიშროების სამ-

სახურში. 1935 წელს, ლ. ბერიას ინიციატივით, რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ინიშნა, 1937 წელს — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარი. 1938 წელს კი თბილისში დაბრუნეს შინსახეობის შეფად.

გრიგოლ კარანაძე და პეტრე შარიაც, ბერიას ახლობელთა წრეს ეკუთხნოდნენ. ასევე ახლობელი იყო გარდო მაქსიმელიაშვილი, რომელიც სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში მაიორის ჩინით მუშაობდა, მანამდე კი (1938 წელს) ლ. ბერიას მდგანი იყო თბილისში, მისი ინიციატივითა და წინადაღებით გადავიდა მოსკოვში.

ლ. ბერიას ცოლის ნინა გვეჭკორის უახლოესი ნათესავი იყო ტევეობიდან დაბრუნებული თეიმურაზ შავდია, რომელიც უშუალოდ ნიკოლოზ რუხაძემ დაპატიმრა.

ერთი სიტყვათ, იმპერიაში ფაქტობრივად მეორე კაცს ამ დაპატიმრებებით აშკარად საფლავი ეთხრებოდა...

### რატომ?

შინსახეობის გენერალ-ლეიტენანტი, სსრკ უშიშროების ორგანოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საბჭოთა დაზეურვის საზღვარგარეთ დივიზის უკანი მუშაობის, ფარული დიპლომატიის, საიდუმლო ოპერაციების, ბირთვული შპიონაჟის ცნობილი ოსტატი, ლევ ტროცკისა და სხვათა მკალელობის ორგანიზატორი პაკლე სუდოპლატოვი გახმაურებულ მოგონებათა წიგნში „სპეცოპერაციები, ლუბიანკა და კრემლი 1930-1950 წლებში“ თავის ასეთ მოსაზრებას გვაცნობს:

თვით სტალინმა მიიღო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წმენდის გადაწყვეტილება. ცკ-ში ყველას ემინოდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში რაიმე ცვლილების შესახებ წინადაღების წამოყენება, რადგან საკითხი ქვებოდა სტალინის პირად კავშირებს და ამას შეიძლება მისი თავმოუკარეობა შეეღახა. გვევრა, რომ სტალინმა ასე შეუტია საქართველოში მექრთამეობას. ახლა კი საარქიტო დოკუმენტებით ვიცით, რომ ე. წ. „მეგრულთა საქმე“ თვით სტალინის მიერ ორგანიზებული ერთ-ერთი ბოლო წმენდაა.

სტალინის მმართველობის ბოლო წლებში ხელმძღვანელთა

ვიწრო წრეში შედიოდნენ მალენკოუი, ბულგანინი, ხრუშჩინი და  
ბერია. სტალინი ყოველმხრივ უწყობდა ხელს მათ შორის მე-  
ტოქეობის გაღვივებას. 1951 წელს ბერია შერისხეს. სტალინმა  
ბრძანა ბერიას დედის ბინაში დაედგათ მისაყურადებელი მოწ-  
ყობილობა. მან ასე განსაზღვრა: არც ბერია, არც მისი ცოლი  
თავს რაიმე ანტისტალინური გამოთქმის უფლებას არ მისცე-  
მენ, მაგრამ მის დედას მართას, რომელიც თბილისში ცხოვრი-  
და, სწორედაც შეეძლო თანაგრძნობის სიტყვები ეთება დევნილი  
მეცნიერები ნაციონალისტების მისამართით ბერია მეცნიერები იყო,  
მეცნიერები კი ვერ წაყობოდნენ გურულებს, რომელებსაც ყვე-  
ლაზე მეტად ენდობოდა სტალინი (პ. სუდოპლატოვს, ალბათ  
აკაკი მეცნიერების გურული წარმოშობა აქვს მხედველობაში — ა.  
ა.). მეცნიერება საქმე, არსებითად, ეფუძნებოდა შეთითხოვდ  
ბრალდებებს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მიზნით შეთქმუ-  
ლების შესახებ. სტალინმა ეს ბერიას თავიდან მოსაცილებლად  
წმოიწყო. მან მოითხოვა, რომ ბერიას თავისი ყველაზე სანდო  
ამხანაგები გაენადგურებინა. სტალინის პირადი ბრძანებით რუ-  
საძე რიუმინის დახმარებით, რომელსაც ცუდი სახელი პქონდა,  
მაკოპრომეტირებელ მასალებს აგროვებდა ბერიასა და მისი გა-  
რემოცვაზე, თვალაპირველად იყო ყოველდღიური თვალთვალი  
ბერიას ქართველი ნათესავების მიმართ.

ასე დაიწყო საქართველოს ხელმძღვანელობის წმენდა, მა-  
თთ, ვინც ახლოს იყო ბერიასთან. საქართველოში მექრთამეობის  
წინააღმდეგ კამპანია მეცნიერების საბჭოთა კავშირიდან გამო-  
ყოფის მიზნით შეთქმულების ბრალდებაში გადაიზარდა. სტა-  
ლინი ამაზე წავიდა, რათა ბერიასთვის საქართველოში გაელ-  
ნის საფუძველი მოესპორო, — დასძენს პ. სუდოპლატოვი.

მწერალ რაულ ჩილაჩავასთან ვრცელ ინტერვიუში („ლუ-  
რენტი ბერიას ვაჟი გვიამბობს“) სერგო ბერია იხსენებს, რომ:  
უკანასკნელ პერიოდში სტალინისა და ბერიას ურთიერთობაში  
ბზარი გაჩნდა. იოსებ ბესარიონის ძემ გადაწყვიტა რუსელი შო-  
ვინისტური დაჯგუფებისთვის მსხვერპლად შეეწირა ლავრენტი  
ბერია. „მეცნიერება საქმე“ არასგზით არ შეიძლებოდა წარმო-  
შობილიყო ბელადის თანხმობის გარეშე... მხოლოდ სულელი

კურ მიხედვებოდა, ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული ეს ბინძური საქმე, რომელსაც აქტიურად წარმართავდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ს. დ. იგნატიევი... ნათელი აფო, რომ „საქმეს“ სანქცია მისცა უშუალოდ იოსებ ბესარიონის ძემ.

სერგო ბერია წიგნში „მამაჩემი ლავრენტი ბერია“ (1994 წ. მოსკოვი) წერს: მეგრულთა საქმე, როგორც სიკვდილამდე ცოტა წნით ადრე აღიარა ხრუშჩოვმა, მამაჩემის წინააღმდეგ იყო მიმართული. მართალია, ნიკიტა სერგის ძე მის ორგანიზებაში ერთადერთ ადამიანს — სტალინს ადანაშაულებს, მაგრამ ეს მოლად ასე არ არის. პარტიული ზედაფენა, ბუნებრივია, თვით ხრუშჩოვის ჩათვლით, ცდილობდა ამჯერად ბერია მოეცილებინა სტალინის ხელით. ტეუილია, თითქოს დიქტატორები დროდრო გაელენას არ ემორჩილებიან. ყოველ შემთხვევაში, ცოტა როდია იმის მაგალითი, რომ სტალინი უთმობდა ხოლმე თავის უახლოეს გარემოცვას. მაშინაც ასე იყო. ვარაუდობდნენ, რომ მასობრივი რეპრესიები საქართველოში მოახდენდა მამაჩემის დისკრედიტაციას, რის შემდეგაც, ბუნებრივია, შესაძლებელი გახდებოდა მისი „მოცილება“. სკპ XX ერილობაზეც და დასავლეთში გამოქვეყნებულ მოგონებებშიც, ხრუშჩოვი ლაპარაკობდა სტალინის თვითნებობაზე. „მეგრულთა საქმის“ ორგანიზებაში თავის როლზე კი, გასაგები მიზეზების გამო, არაფერი უთქვამსო, — დაასკვნის ავტორი.

6. ხრუშჩოვი თავის მოგონებებში აღიარებს (თუმცა 1953 წლის ივლისის პლენურზე მანაც და სხვებმაც ეს საქმე სხვა რაკურსით წარმოაჩინეს), ჩემი ეჭვი, რომ სტალინს ეშინოდა ბერიასი, დადასტურდა, როცა სტალინმა „მეგრულთა საქმე“ შექმნა. მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს საქმე შეკრინებული იყო, რათა მოეცილებინათ ბერია, რომელიც თავადაც მეგრული იყოთ.


ცნობილია, ბოლო წლებში ეჭვიანობა განსაკუთრებით მოეძალა დაძაბუნებულ ბელადს. ავდ შემოსწყრა ათწლეულობით ნამსახურებ ვიაჩესლავ მოლოტოვსა და ანასტას მირიანს. როგორც ჩანს, ლავრენტი ბერიაც სამიზნეზე პყავდა დასმული. სკპ ცკ-ის 1953 წლის ივლისის ცნობილ პლენურზე ა. მიქოიანმა

განაცხადა, სტალინი ბოლო დროს არ ენდობოდა ბერიას, ბურია იძულებული იყო მისთვის უკანასკნელ ცქ-ის პრეზიდიუმის სხდომაზე ეღიარებინა, სტალინი აღარ მენდობოდა, „მკროლთა საქმე“ იმიტომ შეიქმნა, რომ მის საფუძველზე მე დაუკატიმრებინე, მაგრამ სტალინმა ვერ მოასწრო საქმის ბოლომდე მიყვანაო.

ნიკოლაი რუბინი წიგნში „ვინ იყო ლავრენტი ბერია“ გვაცნობს პოლკოვნიკ კონიახინის, სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საჭამოძიებო ნაწილის უფროსის ყოფილი მოადგილის, ერთობ საფურადღებო აღიარებას. კონიახინი ამტკიცებს, რომ 1953 წლის 20 ოქტომბერს ყოფილი სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ვიქტორ აბაკუმოვის საქმის გამომძიებელ „გებისტა“ ჯგუფთან საუბრისას სტალინმა განაცხადა: „სწორედ ბერიამ შემოგვტენა აბაკუმოვი... არ მიყვარს ბერია, მან კადრების შერჩევა არ იცის და ცდილობს ყველგან თავისი ხალხი დააყენოს“. ერთი კია, კონიახინს ეს განცხადება გაუკეთებია 1953 წ. სექტემბერში, ბერიას საქმის წინასწარი გამომძიებისას, როცა დამხობილი შეფის მიმართ ყოველგვარი — ყალბი თუ რეალური ბრალდება დიდად ფასობდა.

ზოგიერთი მოწმე მიანიშნებს, რომ სტალინს ჯერ კიდევ 1950 წლის ზაფხულიდან პქონდა ჩაფიქრებული ბერიას მოშორება. სტალინის პირადი დაცვის უფროსი გენერალი ვლასიერი იგონებს (ნ. ს. ვლასიერი „ჩემი ბიოგრაფია“ წიგნში: ვ. ლოგინოვ „სტალინის ჩრდილები“, მოსკოვი, 2000 წ.), ბერია იმ დროს მხოლოდ მის მიერ ატომური პროექტის ხორცებს ჩამაში მიღწეულმა წარმატებამ გადაარჩინა, რასაც სტალინი პირველხარისხოვნ მნიშვნელობას ანიჭებდა.

1998 წელს დასტამბულ მოგონებათა მცირე წიგნში „სტალინი წყალტუბოში“ საქართველოს დამსახურებული ექიმი, 50-იან წლებში კურორტ წყალტუბოს №6 სააბაზანოს მთავარი ექიმი ამბროსი კირტავა საინტერესო ცნობას გვაწვდის. 1951 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში №6 სააბაზანოში იმკურნალა იოსებ სტალინმა, რომელიც იქ ბორჯომიდან ჩავიდა. მისი გამ-



გზაურების შემდეგ წყალტუბოს წწერა ლ. ბერიას მეუღლე ნინა გეგეჭვირი, რომელიც ამბროსის ბაჟშეობიდან იცნობდა (მართა ტვილში, თავის დროზე, ერთად სწავლობდნენ).

ამბროსი გვიამბობს: „მეორე დღეს, აბაზანის მიღების წინ საუბრის დროს, ნინას შევეკითხე, ბელადი როგორ ბრძანდება წყალტუბოში მკურნალობის შემდეგ, თქვენ ასლოს ხართ მასთან და გეცოდინებათ-მეთქი. რას იზამს, ზის და იქექება ბებერიო, მიპასუხა. ამის გამოონეს, გამაურეოლა. ამის მოსმენა კი არა, გაფიქრებაც ვერ წარმომედგინა. იმხანად ბევრჯერ მიუიქრია, თუ რატომ მიპასუხა ნინამ ასე, შემდგომში კი ჭრულებულ ნათელი გახდა“.

ფაქტია, რომ ნინა გეგეჭვირის პასუხი ი. სტალინისადმი არავითარ პატივისცემასა და სიყვარულზე არ მეტყველებს. ასე აგდებით მხოლოდ სამულებელ ადამიანზე შეიძლება თქმა, რაც უტყუარად მიგვანიშნებს სტალინსა და ბერიას შორის იმხანად არსებულ ურთიერთობაზე, რამაც საგონებელში ჩააგდო ექიმი კირტავა და მხოლოდ შეძლებ; როცა დაიწერა ბოლო წლებში მათი დაძაბული ურთიერთობის შესახებ, ჩასწევდა ამას.

აქვე ერთი კითხვაც შეიძლება დაიბადოს: რატომ გარისკა და ენდო ლაურენტის მეუღლე ბაჟშეობის ამხანაგს, მას ხომ სხვაზე უკეთ უნდა სცოდნოდა ენაზე კბილების დაჭრის ფასი? ეს შეიძლება ძევლი რომაელების ფრთიანი გამოთქმით აეხსნათ „კისრის ცოლი ეჭვს გარეშე“.

ახლა ისევ აკაკი მგელაძის მოგონებებიდან მოვიტანოთ ფაქტები, რომელთა უტყუარობაც, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, შეიძლება კირწმუნო:

„სტალინმა მიამბო ანეკდოტი: სტალინმა ჩიბუხი დაკარგა, ბერიამ ორ დღეში სამი კაცი დაიჭირა, რომლებმაც ქურდობა აღიარეს, ჩიბუხი კი თვით სტალინმა იპოვა დოფანს იქით გადავარდნილი.“

შემდეგ გააგრძელა — როცა ამ ანეკდოტს ჰყვებიან, ბერი იცინის. მაგრამ მე სულაც არ მეცინება. ბერია მეტისმეტად ბევრ საქმეს ხსნის, მასთან ყველანი აღიარებენ ხოლმე. ეს დასაუიქრებელია. აზრი მექმნება, რომ სახელმწიფო უშიშროების

სამინისტროში უკანონობას ბოლო ჯერაც არ მოღებია... ეს ანუკ-დოტი ხალხმა შეთხვა. ჩვენ ვეძებეთ აუტორი, მაგრამ ვერ ვიპოვ-ვეთ ხალხი ტეუილად არ თხვავს. და აი, მეშინია, რომ ბერია ასე ქმნის „მტრულ ორგანიზაციებს“.

1951 წლის ნოემბერი. სტალინი ა. მგელაძეს ეუბნება:

„— ბერია ძალზე პრეტენზიული გახდა. ის აღარ არის, რაც აღრე იყო. თქვენ მასთან სტუმრად ყოფილ ხართ მოსკუპი?

— არა, არ ვყოფილვარ.

— იცის, ვინ მიიპატიუოს, — ირონიულად თქვა სტალინი. მა, — ამხანაგები, რომლებიც ახლა დადიან ხოლმე ბერიასთან, ამბობენ, ბინა ისე აქვს მოწყობილი, როგორც ნამდვილ ბურეუ-ასო. პრეტენზიულობას კიდევ რა უჭირს. ბერია ეშმაკი და, ალ-ბათ, ვერავია. მან იმდენად მოიპოვა პოლიტბიუროს წევრთა ნდობა, რომ როცა მე ვაკრიტიკებ, მრავალი მათგანი იცავს. არ იცავან, რომ იგი მათხე „საქმეებს“ ქმნის, მაგალითად, ვიაჩესლავსა და ლაზარევზე (მოლოტოვსა და კაგანოვიჩზე — ა. ა.). ვფიქრობ, ბერია შორს გამიზნულ პოლიტიკას წევა. თავის დროზე მან ბევრი კარგი გააკეთა, მაგრამ ახლა... მე გარანტია არა მაქვს, რომ ის ბოროტად არ იყენებს ძალაუფლებას. მასზე ცუდი წარ-მოდგენისა იყვნენ უდანოვი და კიროვი, მაგრამ ჩენ ბერია მოუ-ვწონდა თავმდაბლობისა და ფხიანობისათვის. მან ახლა ეს თვი-სებები პირწმინდად დაკარგა“.

ზემოთ ვთქვი, ა. მგელაძის ამ მოგონებათა უტყუარობა არ მეტყება-მეთქი.

ამის ირიბი დადასტურება მაქვს.

ანეკდოტს სტალინის ჩიბუხის დაკარგვაზე, გამოჩენილი ავიაკონსტრუქტორი აღ. იაკოულევიც იგონებს წიგნში „ცხოვ-რების მიზანი“ და საგანგებოდ აღნიშნავს, თუ რა გულიანად ხარ-სარებდნენ პოლიტბიუროს წევრები ამ საშინელ „ხუმრობაზე“.

სერგო ბერიამ, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თბი-ლისში ყოფნისას (იგი ბატონშა ალიოშა მირცხულავამ გამაც-ნო), სხვადასხვა ეპიზოდთან ერთად, ისიც მიამბო, 50-იანი წლების დასაწყისში როგორ ესტუმრა მათ სახლში მოულოდნელად სტალინი, იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა და სწრაფად-

ვე წაუიდა ისე, რომ ვერ მიხვდნენ ესოდენ უჩვეულო ვიზიტის  
მიზეზს, მით უფრო, რომ ბელადს უკვე წლების მანძილზე ფუნქცი-  
აღარ მიედგა მათთან. ბატონი სერგო მიზეზს ვერ ხვდებოდა,  
მაგრამ ეს სტუმრობა მასსოურობაში მყარად ჩარჩენოდა და ვა-  
რაუდობდა, ამას რაღაც ფარული მიზანი ჰქონდათ.

ჩემი აზრით, აკაკი მგელაძისა და სერგო ბერიას ნაამბობ-  
თა შეჯერება ყველაფერს ნათელს ჰქონს: სტალინმა თავად შეა-  
მოწმა მის ყურამდე მისული ცნობა — დაათვალიერა, თუ რამ-  
დენად „ნამდვილ ბურუუსავით“ იყო მოწყობილი ცეკას პრეზი-  
დიუმის წევრი და რაკი რამე ავი ამას არ მოპყოლია, ალბათ,  
დარწმუნდა, რომ ცნობა, როგორც მაშინ იტყოდნენ, „სინამდვი-  
ლეს არ შეესაბამებოდა“.

რაც შექება იმას, თუ რატომ იყო სტალინი ასე გულახ-  
დილი აკაკი მგელაძესთან, ვიღაც უმნიშვნელო პარტიულ ფუნ-  
ქციონერთან — აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდი-  
ვანთან, შეიძლება აიხსნას: მას მოსწონდა ეს მიზანსწრაფული,  
მონდომებული ქაცი, რომელიც გამოწვლილვით უკაკლავდა  
ხოლმე ყველაფერს, რაც საქართველოში ხდებოდა და რაც ასე  
ძირულად განსხვავდებოდა ოფიციალური არხებით მიღებული  
ცნობებისაგან. მოსწონდა და რესპუბლიკაში საპირველკაცოდ  
ჰყაუდა შევულებული. ამბობენ, მან აკაკი მგელაძეზე თქვა, ჩემს  
ახალგაზრდობას მაგონებსო.

და მაინც, ყველაფერ იმის შიუხედავად, რაც უკვე ვთქვი,  
მთლად მართებულად არ მიმაჩნია მტკიცება, რომ 1951 წელს  
სტალინმა გადაწყვიტა ბოლო მოედო ბერიას ძალაუფლებისათ-  
ვის და ამის პირველი ნიშანი იყო სახელმწიფო უშიშროების  
მინისტრის ვ. აბაკუმოვის გადაეცენება, რომელიც დროთა განმავ-  
ლობაში ლავრენტის ხელის ბიჭად იქცა და მის ადგილზე ლ-  
ბერიასა და გ. მაღენტაუის მიმართ მტრულად განწყობილი სე-  
მიონ იგნატიევის დანიშნა. „სახელმწიფო უშიშროების სფე-  
როში ბერიას გავლენის შეკვეცის შემდეგ, სტალინმა და იგნა-  
ტიევმა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინა-  
აღმდეგ პოლიტიკური ბრალდება შეთხხეს, რომელიც „მჭრელ-  
თა საქმის“ სახელწოდებით არის ცნობილი და ამით, ასე ვთქვათ,

ფლანგებიდან დაარტყეს ბერიას“, — წერს ამერიკული ისტორიკოსი რონალდ გრეგორ სიუნი (კუტული „სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებებში“. თბ. 2002 წ.).

ვუძერობ, „მეგრულთა საქმე“ სტალინის ახირებული „საქართველოში ბოლომდე ამოუძირკვავი ნაციონალიზმის ნარჩენების“ მარადებამ ძიების შედეგი უფრო უნდა იყოს, ვიდრე ლაბერიაზე ფლანგებიდან შეტყვა გენერალური დარტყმის წინ (თუმცა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არც ეს არის, ოღონდ მეორეხარისხოვან არგუმენტად). ბერიასთვის თავის წასაცლელად სტალინის ასეთი როგორი მანევრები არ უნდა დასჭირებოდა. მას ხომ არასასურველი ხალხის იოლად მოცილების უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდა (რამდენი ბერიაზე ბევრად მნიშვნელოვანი ფიგურა გააქრო!). ამას ისიც გააიოლებდა, რომ №2 ქართველი რუსეთში დიდად არავის ეხატებოდა გულწე.

განა სულ რაღაც ერთი წლით ადრე, 1950 წლის 7 დეკემბერს არ დაწერიტეს სკპ(ბ) ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. კოშნესენსკი, სკპ(ბ) ცკ-ის მდივანი, ცკ-ის ორგბიუროს წევრი ა. კუშნეცოვა, სკპ(ბ) ცკ-ის ორგბიუროს წევრი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. როდიონოვი და ლენინგრადის მთელი პარტიული ხელმძღვანელობა და სრულიად გაურთულებლად „გადააჭაპეს“ საბჭოთა საზოგადოებას „ლენინგრადის საქმე“?

არ დირს მარჩიელობა, მოსკოვიდან მიეცა „მეგრულთა საქმეს“ ბიძგი თუ თბილისიდან, რა ედო სარჩეულად — მართლა „ვიწრო ნაციონალიზმთან ბრძოლა“ და პარალელურად №2 ქართველის ქვეყნის მესაჭიობიდან მოცილების სურვილი თუ ადგილობრივი ფალსიფიკატორების ხელისუფლებისათვის ბრძოლის ანგარებიანი მიზნები...

აღბათ ორივე ერთად, ინტერუსთა თანხელდრა პირდაპირ უნასუებო პეონეს თავს იმ პერიოდის ისტორიული მოსახვეებიდან.

დაბოლოს, ერთი საინტერესო, მოულოდნელი და დამაინტერიგებელი, ოღონდ, ჩემი აზრით, არც თუ მაინცდამაინც ანგარიშგასაწვეი ვერსია, პავლე სედოპლატოვის ზემოთ დასახელებული წიგნიდან: „იმ დროს სახელისუფლო წრეებში დადიოდა

ხმა, ბერიას ვაჟი სერგო სტალინის ქალიშვილის სკოტლანდის ცოლად მოუკანას აპირებს, ედანოვის ვაჟთან მისი განქორწინების შემდეგო. ბერიას მდივანმა ლუდეიგოვმა, რომელმაც ეს პატი მიაშძო ვლადიმირის ციხეში, მითხრა, ბერიას მეუღლე ნონა და თვით ბერია ამ ქორწინების სასტიკი წინააღმდეგი იყვნენო. ბერიამ იცოდა, რომ მისი მეტოქები პოლიტბიუროში ამ ქორწინებას ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამოიყენებდნენ. სტალინს უკვე ის ძალა აღარ ჰქონდა და თუ ბერია ოჯახურად დაუნათესავდებოდა, სტალინის სიკვდილის შემდეგ იგი განწირული აღმოჩნდებოდა. სიტუაციამ მათი გადამტერება გამოიწვია. ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ უბრძანა სტალინმა 1951 წელს გენერალ რუხაძეს გაეგრძელებინა მეგრელ მოხელეთა შორის მექრთამეობის გამოიიება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უშიშროების ორგანოებში და ხელმძღვანელ სამუშაოებზე მეგრელთა ფენა ერთობ შესამჩნევი იყო.

სტალინმა რუხაძეს უბრძანა, ეპოვა, გამოექვებნა საზღვარგარეთთან მეგრელთა კაუშირუების მტკიცებულებანი. მამინ მას შეეძლო შევჯამებინა: ამ მეგრელების ნდობა საერთოდ არ შეიძლება, მე არ მინდა, გარს მეზეოდნენ უცხოეთთან საეჭვოდ დაკავშირებული ადამიანებიო. ეს საქმარისი აღმოჩნდა, რათა რუხაძე მიმსდარიყო, რომ ის ვალდებული იყო, შეთქმულება გამოიცხო“.

როგორც ეხედავთ, ერთობ აბლაბუდა ვერსიაა, მაგრამ ივი, გინდა არ გინდა, არსებობს. ამდენად, რატომ მიუჩქმალოთ?

## ასე დაიჭყო

ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ ჯოზი საქართველოს სახელმწიფო უმიშროების მინისტრ ნიკოლოზ რუხაძესა და სსრ სახელმწიფო უმიშროების სამინისტროდან მის მუარყელებზე გადატედა. ოფიციალურად სწორედ მათ დაბრალდათ „მუკულ ნაციონალსტთა“ შესახებ პროეკტი გამონაგონის უტორობა.

ლ. ბერიას 1953 წლის 8 აპრილის წერილში სკპ ცკ-ი პრეზიდიუმისადმი „ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფისა და საქმის არასწორი წარმოების შესახებ“ (მასზე ვრცლად ქამოთ ვიღაპარა კეთი), ნათქვამია, რომ ნიკოლოზ რუხაძემ, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ისახავდა დანაშაულებრივ კარიერისტულ მიზნებს, როგორც კი დაიკავა საქართველოს სსრ უმართოების მინისტრის პოსტი, ყოველნაირად ხელი შეუწყო არა ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების ურთიერთობაში. 1951 წლის შემოდგომაში ნ. რუხაძემ საქართველოში დასასვენებლად შეორი სტალინს ცრუ ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში საქმეთა მდგომარეობის შესახებ. პარტიულ და სამეცნიერო ორგანოებში ნაკლოვანებების არსებობა წარმოუდგინა, როგორც მის მიერვე გამოგონილი მუკული ნაციონალისტური ჯგუფის ძირგამომთხრელი მტრული საქმიანობის შედევი. ი. ბ. სტალინმა აუცილებელი შემოწმების გარეშე ირწმუნა რუხაძის პრიულ კაციული ინფორმაცია, რასაც შედევა სკპ (ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრის ცნობილი დადგენილება, რომლითაც სხვა დანარჩენ ღონისძიებათა შორის, სახელმწიფო უმიშროე

ბის ორგანოებს დაუცალა რუხაძის და მისი თანამებრძოლების მიერ გამოგონილი მეცნიერები ნაციონალისტური ჯგუფის გა-  
მოვლენა და ლიკვიდირება...

აქ თითქმის ყველაფერი მართალია, ოღონდ ერთი არსები-  
თი შესწორებით ინიციატივა მოღიოდა არა ნ. რუხაძისაგან, არა-  
მედ ი. სტალინისაგან, რომელსაც ნ. რუხაძის ცრუ ინფორმა-  
ციებამდე და დასმენებამდე ცნობები უზად ჰქონდა მიღებული  
პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდგრადი აკაკი  
გეგელაძისა და სხვათაგან. ვფიქრობ, როდესაც ი. სტალინის გო-  
ნებაში „მეცნიელთა საქმე“ მომზადდა, მან მარჯვედ ისარგებლა  
გენერალ ნ. რუხაძის სამსახურით, რომელიც კარგად იყო ცნო-  
ბილი (ყოველ შემთხვევაში, კავკასიაში) იმით, რომ დასანახავად  
ვერ იტანდა და ბერიას.

ნიკოლოზ რუხაძე პირდაპირ აღმოჩენა იყო ამ ჩანაფიქ-  
რისთვის. „მეცნიელთა საქმის“ ფალსიფიკაციას წინ უძლოდა მ.  
ბარამიასა და ნ. რუხაძეს შორის გახმაურებული კონფლიქტე-  
ბი. ცე-ის მეორე მდგრანი ამხილებდა უშიშროების მინისტრის  
თვითხებობასა და უსამართლობას სამინისტროს კადრების მი-  
მართ არაკოლეგიური დამოკიდებულება იყო აგრეთვე მიზა ბა-  
რამიასა და აკაკი გეგელაძეს შორის, რაც აგრეთვე დაკავშირებუ-  
ლი იყო კადრების საკითხთან, კერძოდ იმასთან, რომ მ. ბარამი-  
ას აჩრით, აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა უსაფუძვლოდ და-  
საჯა ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი. ყოველივე ამით არ  
შეიძლებოდა აკაკი გეგელაძე ნაწევნი არ ყოფილიყო. ასე მოხდა  
ა. მგელაძესა და ნ. რუხაძეს შორის ინტერესთა თანხვედრა.

ნიკოლოზ რუხაძე, დაიბადა 1905 წელს გარდაბანში, გლე-  
ხის ოჯახში. მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება (ანკუტა-  
ში აჩვენებდა, ჰუმანიტარული ტექნიკური მაქს დამთავრუბულობა).

ოცდაათიან წლებში ნელა, მაგრამ ბეჯითად მიიწვედა იე-  
რაქიის კიბეზე. თუ 1928 წ. აჭარის სახელმწიფო პოლიტიკაშ-  
მართველოს საინფორმაციო-სადაზევერო განყოფილების რიგი-  
თი მუშაკი იყო, 1932 წელს უკვე საიდუმლო პოლიტიკური გან-  
ყოფილების უფროსია. ტოტალური დაპატიმრუბებისა და რეპ-

რუსების პერიოდმა მაიორ ნ. რუხაძეს გაგრაში, შინსახკომის ადგილობრივი განყოფილების უფროსის პოსტზე მოუსწრო. არსებობს მისი მაშინდელი მოადგილის ვ. გახილვების 1938 წ. თებერვლის პატაკი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ სერგო გოგლიძისადმი, სადაც აღწერილია, თუ როგორ აწამებდნენ პატიმრებს ნ. რუხაძის ხელმძღვანელობით (მაგალითად, ეროვნებით გერმანელ ლეტებმანს, რომელიც თურმე „მუნებლობდა და ხელს უშლიდა მეფეტკრეობის განვითარებას“, აშიშვლებდნენ, საათობით სცემდნენ, ურტყამდნენ რაც ხელში მოხვდებოდათ, თოკის ყულფს უჭერდნენ სასქესო ორგანოებზე და ქაჩავდნენ... რუხაძე თავის ხალხს უბრძანებდა, ვინც არ ურტყამს, ის თვითონაა მტერიო. ესტონელი პატიმარი, რომელიც „გერმანელებთან თანამშრომლობაში იყო შემჩნეული“, დაკითხებისას მოკლეს — კეთი გაუხეთქეს).

ამ პატაკს არაუინ ყურადღება არ მიაქცია, პირიქით, ნ. რუხაძე დააწინაურეს და საქართველოს შინსახკომის საგამოძიებო ნაწილის უფროსად გადმოიყვანეს. იგი ძალიან არ უყვარდა შე სახალხო კომისარს აგქსენტი რაფაელს, რომელიც ლენინგრადში გადაყვანილი სერგო გოგლიძის ადგილზე დანიშნეს. ბუნებრივია, ნ. რუხაძეც ა. რაფაელს სიძულვილით იყო გამსჭავალული. მას ეს კაცი 1939 წლის შემდეგ არ დაენახვებოდა, როცა კინაღამ წმენდის მსხვერპლი არ გახდა სწორედ რაფაელს მხილებათა გამო. მაშინ ის ს. გოგლიძის ჩარევამ გადაარჩინა.

მაგრამ მათ დიდხანს არ მოუწია ერთად მუშაობა. შინსახკომი ორად გაიყო, უმიშროების სახეობად ა. რაფაელადანიშნა, შე სახეობად — ნ. რუხაძე. მაგრამ ესეც დროებითი გამოდგა.

დიდი სამამულო ომის დაწყებისას ნ. რუხაძე თავდაცეის სახელმწიფო კომიტეტის საგანგებო განყოფილების უფროსის გენერალ ვიქტორ აბაკუმოვის უწყებაში (სამხედრო კონტრდაზვერვაში) — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საგანგებო განყოფილების უფროსად გადაიყვანეს, სადაც 7 წელი იმსახურა.

საკვირველი როდია, რომ როგორც კი სახელმწიფო უმიშროების მინისტრად დანიშნეს, რუხაძემ მაშინვე დაიწყო ამ სისტემიდან რაფაელს ხალხის გაყრა. მაგრამ აქ საქ. კპ(ბ) ცე-ის

მეორე მდივნის ქ. ბარამიას წინააღმდეგობას წააწყდა. ამას „კომპარომატების ომი“ მოჰყვა, რადგან როგორც რუხაძეს, ისე რაფაელას ბიოგრაფიაში ბევრი „მრუდი“ პქონდათ.

აბაკუმოვის დამხობამ ძალზე შეაშფოთა რუხაძე. 1952 წ. 6 აგვისტოს სსრკ სახელმწიფო უმიშროების მინისტრის სემიონ იგნატიევის სახელზე დაწერილ განცხადებაში მიხა ბარამია წერს: კუელამ იცის რაოდენ ახლო ურთიერთობა იყო რუხაძესა და აბაკუმოვს შორის. მაგრამ როგორც კი აბაკუმოვის მოხსნა გაიგო, რუხაძე თვალსა და ხელს შეა გამოიცვალა და დაიწყო მტკიცება, თითქოს აბაკუმოვი მას ლანდზავდა და საერთოდ ცუდი ურთიერთობა პქონდათ. რუხაძის ამ განცხადებამ უმიშროების სამინისტროს თათბირზე, სადაც სკბ (ბ) ცკ-ის 1951 წლის 11 ივლისის დახურული წერილის განხილვა მიმდინარეობდა, დამსწრეთა ისტერიული სიცილი გამოიწვია.

6. რუხაძე მაღალი მფარველების ქებნას შეუდგა, რათა საჭიროების შემთხვევაში შემწე პყოლობდა. მას, რა თქმა უნდა, შეეძლო კანდიდ ჩარკვიანის იმედი პქონობა, მაგრამ უფრო შორის გათვალა და აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების პირველ მდივანს აკაკი მგელაძეს ჩაუძერა სულმი, რომელიც 40-იანი წლების ბოლოს სტალინის ერთ-ერთი ფურიტი გახდა. ეს დაახლოება ორივე მხარის საიდუმლო ზრაპვებისა და ინტერესების შედევი იყო.

სხვათა შორის, ამ ეგოისტ, კაცომობულე, ცივ აღამიანს პირადი ცხოვრებაც ერთობ მოუწესრიგებელი პქონდა. 1948 წელს ცოლად მოიგვანა (მანამდე, შეუდლის — ანდრომედა ლაშარიდის ტუბერკულოზით გარდაცვალების შემდეგ, მარტოსელად ცხოვრობდა თუმცი 6 წლის გოგონასთან ნინასთან ერთად) უმაღლესი კვალიფიკაციის საოპერო კონცერტმაისტერი, კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი ტატიანა დუნენქო. დაპატიმრების შემდეგ საგანგებოდ ჩაუწერუს, მეფის არმიის პოლკის უფროსის ქალიშვილი და გენერლის შეიღიშვილიათ. ეს ქალი მანამდე ჯერ გათხოვილი იყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტ ლადო კავსაძეზე (გასცილდა 1929 თუ 1930 წელს), 1934 წელს გაჲყვა საქართველოს სახელმწიფო

პოლიტსამმართველოს უფროსის დაუით კილაძის პირად შედა-  
ვანს გ. არუთინოვს, რომელიც 1937 წელს დააპატიმრეს და ორი  
დღის შემდეგ ციხეში, უფრო სწორად, გამომძიებელ ალექსანდრ  
სახანის კაბინეტში გარდაიცვალა (გასაგებია რისგანაც!). 1939-  
1947 წლებში გამოჩენილი დირიქტორის თდისეთ დიმიტრიადის  
არასჯულიერი ცოლი იყო. მწერალი კირილ სტოლიაროვი წიგ-  
ნში „ჯალათები და მსხვერპლნი“ წერს, უშიშროების უშტატი  
თანამშრომელი, საიდუმლო ცნობების მიმწოდებელი იყოთ.  
ღმერთმა იცის, რამდენად მართალია ეს, ოღონდ ის კი ფაქტია,  
რომ ამ განმაურებული ქორწინების გამო, ნ. რუხაძეს 1948 წელს  
სპეციალური ახსნა-განმარტება და ცოლის ბიოგრაფია დაწეუ-  
რინა საქ. კპ(ბ) ცკ-ის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა  
(ასლი სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრს კ. აბაკუმოვს  
გაეჭავნა). მასში ნ. რუხაძე იხვეწებოდა, უსიტყვოდ თანახმა  
ვარ განქორწინებაზეო, მაგრამ მაშინ „პარტიამ გადაწყვიტა არ  
ჩარეულიყო კომუნისტის პირად ცხოვრებაში“. ცნობილია (მ. ბა-  
რაძია იგონებდა), რომ საქ. კპ(ბ) ცკ-ის ბიუროს ერთ-ერთ და-  
ხურულ სხდომაზე კ. ჩარკვიანმა პირდაპირ განაცხადა, რუხა-  
ძემ სტალინი დააღალატა ამ ქორწინებითო... 1953 წელს გამო-  
ძიებამ სპეციალურად დაპკითხა, რა ვითარებაში გაიცანი ტა-  
ტიანა დუნენკოო. სხვათა შორის, ამ ქალბატონმა უპატრონა ნ.  
რუხაძის ეულად შთენილ მცირწლოვან ქალიშვილს, ბოლომდე  
ურთად ცხოვრობდნენ, ერთად უმკლავდებოდნენ დროების უკა-  
მართ ტრიალს. ეს კი ამ ქალბატონის ლირსებაზე შეტყველებს.  
გარდაიცვალა 1999 თე 2000 წელს.

მაგრამ მანამდე, ძირს დანარცხებამდე, ნიკოლოზ რუხა-  
ძეს აღზევება და ტრიუმფი ელოდა.

1951 წლის აგვისტოში სტალინი ლიკანში ისვენებდა. იქ-  
დან წყალტუბოში გადაეიდა, რამდენიმე აბაზანის შემდეგ კი –  
ახალი ათონის აგარაქშე.

აშკარად ირნბობოდა, რომ ბორჯომიდან ივი ერთობ გან-  
რისხებული და შემფრთხებული დაბრუნდა. დანამდვილებით თქმა  
შეელია (უშაუალო წყაროები არ არსებობს), მაგრამ მაშინ გაუ-

რცელებულ წმებზე დაყრდნობით, რომლებსაც ერთგვარად ზურგს უმაგრებს ამ მოგზაურობის შემდეგ სტალინის განწყლებილება და ნაამბობი, რასაც ერთობ დაწერილებით აღწერს აკავია მგელაძე, შევვიძლია ვითარაუდოს ბორჯომში მისი მონახულებისას ერმობის მეგობრებმა (გასო ვენატაშვილი, გიორგი ელიაშვილი...). შესჩივლეს, რომ კალრების საკითხში აღმოსავლეთ საქართველო იჩაგრუბოდა დასაელეთიან (განსაკუთრებით სამეგრელოსთან) შედარებით, რომ საქართველოში მძლავრობს კუთხურობა, თვისტომთა მფარველობა, შექრთამეობა და ა. შ.

„მეგრელთა საქმის“ მთავარი ჩანაფიქრი ძალშე ცოტა ეინმებ თუ იცოდა. სტალინს ჩვევად პქონდა თავისი ნამდვილია მიზნის დაფარვა. კამპანია „ქართველ ნაციონალისტთა“ წინააღმდეგ მან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით შენიდა. სტალინმა ქართველთა შორის სამართლიანობისთვის მებრძოლის როლი მოირგო. 6. ხრუშჩიოვი („დრო, ადამიანები, ხელისუფლება“, მოსკოვი, 1999) წერს: სტალინი იმ დროს რამდენიმე წნით ბორჯომში ისვენებდა, ჩვენ, მე და მიქოიანი, ძლიერ დაუქმენით. სტალინმა იქ ქართველი ბერიკაცები მიიღო, რომლებსაც ოდესალაც, ბავშვობისას იცნობდათ. 6. ხრუშჩიოვს განსაკუთრებით დამახსოვრებია ვიდაც რკინიგზელი. თვითონ ის კაცი არ უნახავს, მაგრამ შემდეგ სტალინს უთქვამს, მიეიღე და მან მიამხო, თუ რა აღმაშფოთებელი ამბები ხდება საქართველოშით. რკინიგზელს მოუყოლია, მრავალი უმაღლესდამთაურუბელი ახალგაზრდა არსად არ მუშაობს, საქართველოში შესაფერის სამუშაოს ვერ ნახულობენ, საშმობლოდან წასელა კი არ სურთ და უსაქმოდ სხედან, საქართველოში სპეცულაცია ჰყვავისო.

სტალინი აღშფოთდა, აგრძელებს ხრუშჩიოვი, საქართველოს ბერია შეფობდა, რომელიც აღრე, წლების განმავლობაში მუშაობდა იქ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირები მდინად, მფარველობდა მას და საქართველოს არავის აკარებდა. საქართველოს შესახებ სტალინს ინფორმაციასაც მხოლოდ ბერია აწვდიდა. ახლა კი ბურუსში სინათლე გამოჩნდა და მას სტალინის რისხევა მოჰყვაო.

ხრუშჩიოის ამ ნაამბობს განამტკიცებს სტალინის დაცვის

უფროსის გენერალ ნიკოლოზ ვლასიკის მოგონება. სტალინის საქართველოში ბოლო მგზავრობის დროს, 1951 წელს, რომელ ჩემ ბორჯომსა და წყალტუბოში ვცხოვრობდით, ჩემისას უკავები ვიდა საქართველოს გზათა მინისტრის მოადგილის (იგი სტალინის მატარებელს ახლდა) ცნობა საქართველოში შექმნადა არა კეთილსასურველი მდგომარეობის შესახებ. უმაღლესში მოსაწყობად 10 ათას მანეთ ქრისტიანი ითხოვენ, საერთოდ მექრამეობა პყვავისო. ვლასიკს ეს სტალინის ითვის მოუხსენებია...

და აი, ახალ ათონში ჩასული სტალინი ბაღში სეირნობსას „მოღუშული, მშრალად, გაუცხოებულად, ისე, რომ მას ხმა ლითონმა გაიჟღერა“, აკაკი მგელაძეს ეუბნება:

„ამბობენ, საქართველოში გაურცელებულია მექრამეობა ხაზინის ქურდობა, სოციალისტური საკუთრების დატაცება. ეს ბორჯომში შევიტყვე. რატომ ამის შესახებ არ მოგვახსენებს საქართველოს არც ცენტრალური კომიტეტი და არც მთავრობა თუ ისინი ყველაზე ბოლოს იგებენ? როცა კომუნისტები ხერვენ, რომ ცე უმოქმედოა, უმსგავსობათა წინააღმდეგ გადამჭრებ ბრძოლას არ ეწევა, ისინი მას აღარ ენდობიან... თვით საქართველოს ცე-ში რა ხდება? მეორე სართულზე კი ბორდელი გახსნეს. გადატანითი კი არა, პირდაპირი მნიშვნელობით, თითქოს სამასოდ სხვა ადგილის გამონახვა არ შეიძლებოდა. აგარაკები ამ პყოფნით! მორალურ ნორმებზე ყოველგვარი წარმოდგენა და კარგეს. რა, ყველაფერი ნებადართულია, რადგან მოსკოვში აურია?.. ადრე ვამბობდით, მეფის მოხელეები მექრამეუბი იყვნენ ნო, ახლა კი, ინებეთ, ზოგიერთი რაიკომის მდგრანი თვითონ იღებს მეტი რაღა უნდა ვთქვა, როცა თვითონ რესპუბლიკის პრეზიდენტი გიორგი სტურუა სახელმწიფო აგარაკზე მიღებულ რქის ხორცს და წიწმატს პყიდის, როცა მთავრობის მეუსურმა და მანაგან საქმეთა მინისტრმა დიდებული სახლები აიშენეს და მა მიმბაძველები გამოუჩნდნენ. და ეს იმ დროს, როცა ასეთი და მანგრეველი ომის შემდეგ ზალხს თავშესაფარი უჭირს“ (ცოტ ქვემოთ აკაკი მგელაძე განმარტავს სტალინის ამ ნათქვამს: ბევრ მა ბოლშვიკმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-

დიუმის თავმჯდომარებ გიორგი სტურუაშ წენეთში თავის სახელმწიფო აგარაქზე ძრობები გაიჩინა, საკვებს სახელმწიფო ფასებში იღებდა და რძესა და რძის პროდუქტებს ბაზარში, ნამდა ციალურ ჯიხურში აყიდვინებდა. ასევე ბაზარზე ასაღებინებდა აგარაქზე მოყვანილ მწვანილს. მან სარწყავი წყალი თავის კენ გაიყვანა და ამით ირგველი მცხოვრებ გლეხებს საკარშიდამო ნაკვეთების რწყვის საშუალება მოუსპო. ამისთვის გიორგი სტურუა პრეზიდენტობიდან გაათავისუფლეს. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარებ ვალერიან ბაქრაძემ, ომის შემდგომ, როცა ხალშს განსაკუთრებით უჭირდა ბინები, თბილისში სამსართულიანი კერძო სახლი აიშენა. ორსართულიანი სახლი და ქალაქებარეთ კი აგარაკი წამოჭიმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გრიგოლ კარანაძემ).

1951 წლის შემოდგომის იმ საღამოს სტალინთან ჩეენი საუბარი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მრავალ ნაკლოვანებას ქნებოდაო, წერს აკაკი მგელაძე, და რაზეც უნდა ელაპარაკა იოსებ ბესარიონის ძეს, მის სიტყვებში ურვა და შემფოთება ისმოდაო. ბევრი ხელმძღვანელი მუშაკის, კომუნისტების გახრწნა ოჯახში იწყება, შენიშნა მან, ცოლებს ყოველთვის რაღაც არ ჰყოფნით, ყოფა-ცხოვრებაში, ტანსაცმელში. როცა გაძლებიან, ისინი თანდათან ხელისუფლებისა კენ იწვდიან ხელს, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაკთა დანიშვნაზეც ახდენენ გავლენას. როცა ჩეენი პარტია იატაკვეშეთში იყო, იგი პროფოკატორებისგან უნდა დაგვეცვა, ახლა კი, როცა იგი ხელისუფლებაშია, უნდა დაუიცვათ კარიერისტებისა და ყველა ჯურის ნაძირალებისაგან, რომლებიც პარტიაში შემომვრნენ.

შემდევ სტალინს უკითხავს, საქართველოში მართლა თუ არის მექრთაშეობა აღზევებულით. როცა დასტური მიიღო, აფხაზეთში თუ გამოამედავნეთ მექრთაშეობის, ხაზინის ქურდობის, სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევებით, ახლა ამით დაინტერესდა. ა. მგელაძემ მას აცნობა, რომ სოხუმის პროკურორი გვასალია მექრთაშეობის ფაქტზე ამზიღლეს და დასაჯეს, მაგრამ თბილისის პროკურატურულ-სასამართლო მაღლებმა იგი

გაამართლეს და პატიმრობიდან გაათავისუფლეს, რაც, აღნა  
უქრთამოდ არ მომხდარა. გალის გაზეთის რედაქტორმა გვაძე-  
რიამ გლეხებისგან 20 ათასი მანეთი აკრიბა, 15 ათასი მითივის  
და მსუბუქი მანქანა იყიდა. პარტიის აფხაზეთის საოლქო კ-  
მიტეტმა იგი პარტიიდან გარიცხა და სამართალში მისცა. ეს  
გადაწყვეტილება ძლივს გაუიტანეთ საქ. კპ(ბ) ცქ-ის ბიუროში  
რადგან ბიუროს ზოგიერთი წევრი გვაჩარიას იცავდა. ზოგჯე-  
კი ბიურო არ ამტკიცებს ჩვენს გადაწყვეტილებებს ასეთ საკი-  
ხებზე, შესჩივლა ბოლოს.

მე ვიცი ეს, უთქვამს სტალინს, ცენტრალურ კომიტეტს  
აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც დაიცვას დამნაშავენი... სკ  
(ბ) ცენტრალურ კომიტეტში გვაქვს სიგნალები, რომ უმსგავს-  
ბანი სხვა რესპუბლიკებშიც ხდება, მაგრამ საქართველოში მა-  
ნირმოუდგენელი მასშტაბები მიიღო. ამიტომ წესრიგის დამჭ-  
რებას ჩვენ საქართველოდან დაუიწყებთ მინდა თბილისი, შძის-  
ლიური გორის მონახულება, მაგრამ არ შემიძლია ჩამოსელ-  
სანამ ეს სამარცხვინო ამბავი საბოლოოდ არ დასრულდება.

ამრიგად, 1951 წლის შემოდგომაზე სტალინმა თავისი სი-  
რმის მეგობრებისა („ამის შესახებ ბორჯოში შევიტრივ“) და  
აკაკი მგელაძისაგან უკვე იცის, რომ საქართველოში მექრთამუ-  
ობა და ხაზინის დატაცება პყვავის, მგელაძისა და რეზაძისაგან  
მიწოდებული აქვს ცნობა ამ საქმეში ბარამიას როლზე...

აქ ერთი საინტერესო ეპიზოდი მინდა ვუამბო მკითხველი,  
რომელიც ზემოთქმულს განამტკიცებს.

ბატონმა გელა ჩარკვიანმა მიამბო მამამისის კანდიდ ჩა-  
კვიანის ასეთი მოგონება:

„1951 წლის 3 ნოემბერს ჩემს კაბინეტში ტელეფონში და-  
რეკა. ყურმილი ავიღე.

— რა კაცია ბარამია? — ყოველგვარი შესავლის, მოსაფ-  
მების გარეშე მკითხა სტალინმა.

მივხვდი, რომ ეს შემთხვევითი შეკითხვა არ იყო, მის უკან  
აშკარად რაღაც იმაღლებოდა. უმაღლ გადავწყვიტე, არც მწვალ  
დამეწვა და არც შამფური:

— ციდან გარსეკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ ცედად არ  
მუშაობს, ამხანაგო სტალინ!

— თქვენ ვერ ხედავთ რა ხდება თქვენს ირგვლივ, ამხანგრივი  
ჩარკვიანო, ბარამია მექრთამე და სახელმწიფო ქონების დამ-  
ტაცებელია, თქვენ ზურგს უქან ავ საქმეებს აკეთებს. და არა  
მარტო ის. ცედად წაგიდათ საქმე! — მითხრა მუქარით და უურ-  
მილი დაკიდა.

გაგმრი. არ ვიცოდი რა მეფიქრა. შემდეგ სახელმწიფო  
უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძე ვიხმე. უმაღ მოუი-  
და. ვუთხარი, ამხანაგმა სტალინმა ბარამიას შესახებ მკითხა-  
მეთქი. ამ დროს ჩემი მდივანი შემოვიდა შემფუოთებული, უშიშ-  
როების სამინისტროდან დარეკეს, სტალინი ტელეფონით რუ-  
ხაძეს კითხულობსო. რუხაძეს ვუთხარი, აი, ტელეფონი, აქე-  
დან ელაპარაკეთ ამხანაგ სტალინს, მე მარტო დაგტოვებთ-მეთქი.  
ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა. რა თქმა უნდა, არ მიკითხავს,  
რაზე ილაპარაკეს. თვითონვე მითხრა, ბარამიას შესახებ მკით-  
ხაო. საუბარი არ გაგვიგრძელებია“.

ამ ეპიზოდით კარგად ჩანს, რომ სტალინს გადაწყვეტი-  
ლება უკვე მიღებული აქვს.

\*\*\*

როცა 1948 წლის 11 იანვარს ავქსენტი რაფაელ საქართვე-  
ლოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრობიდან გადააყე-  
ნეს და მის ნაცვლად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონ-  
ტრდაზეერვის უფროსი ნიკოლოზ რუხაძე დანიშნეს, როგორც  
ირკვევა, სსრკ უშიშროების მინისტრთან ვიქტორ აბაკუმოვთან  
ეს ამბავი შეთანხმებული არ იყო. სავარაუდოა, რომ მისი კან-  
დიდატურა პირადად სტალინის მიერ იყო რეკომენდებული, რო-  
მელსაც საქართველოს უშიშროებაში უმუალოდ თვითი კაცი  
სჭირდებოდა (თუ რატომ, ამაზე — ქვემოთ).

უშიშროების სამინისტროში მუშაობა კვლავაც ძველი მე-  
თოდით გაგრძელდა. „ცემა 1938 წლის შემდგაც იყო, როგორც  
რაფაელს, ისე რუხაძის დროს, მაგრამ რუხაძის დროს უფრო  
„სტოიკას“ იყენებდნენ, უკანასკნელ დროს კი ბორჯილებში  
სვამდნენ“, — უჩენებს 1954 წელს დაკითხვაზე შინაგანი ციხის  
ყოფილი ზედამხედველი ს. კოშჩიკი.

ნიკოლოზ რუხაძე ბელადს პირველად 1951 წლის 16 სექტემბერს წარუდგა წყალტუბოში, სამთავრობო აგარაჟშე. მოგვიანებით ის გამოძიებას უამბობს, თუ რაზე ისაუბრეს ამ შეკვედრისას. სტალინს თურმე აინტერესებდა თურქეთის საკითხებართული ემიგრაცია, იყო თუ არა საქართველოში ანტისაბჭოთა ორგანიზაციები და პქონდათ თუ არა მათ კუშირი ემიგრაციაში მყოფ მენშევიკებთან. 6. რუხაძის უარყოფით პასუხშე აღმიშნავს, რომ საჭირო იყო საქართველოსაც პქოლოდა თუ აგენტები თურქეთში, ირანსა და საფრანგეთში, სამისოდ საქართველომ დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოსო. შემდევ სტალინს ასეთი რამ უამბია: ბერიამ გვითხრა, თუ როგორ გაუშეკარიზმი დემოკრატიული საქართველოს ეოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის ნათესავი (ლაპარაკა ანამიჭვიმვილზე — ა. ა.) მის გადმოსაბირებლად. მოხდა კი პარიქით, თვით ემიგრანტებმა გადაიბირეს ჩვენი ჯაშეში და ომის დროს აქეთ გადმოგზავნეს (ეს კაცი დაპატიმრების შემდევ „მაულოდნელად“ გარდაიცვალა უშიშროების სამინისტროს შენაგან ციხეში 1952 წლის 7 აპრილს — ა. ა.).

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო არქივში შემონახულია 6. რუხაძის 1952 წლის 21 მარტით დათარიღებული ცნობა ი. ნამიჭვიმვილზე, რომლი დაპატიმრებასაც საფუძვლად მან ბელადის ნაამბობი დაუდომასში ნათესავია: „ი. ნამიჭვიმვილი არის საბჭოთა კუშირის ცნობილი მტრისა და პარიზში ქართულ ემიგრაციაში ამერიკულ დაზვერვის კაცის ე. გეგეჭკორის ახლო ნათესავი. 1939 წელს ჩვენი ორგანოების მიერ საფრანგეთში გაგზავნილმა ნამიჭვიმვილმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. იგი მაშინვე გადაიბირა ე. გეგეჭკორმა უცხოეთის ქვეყნების სასაგებლოდ ჯაშეშერი საქმიანობისათვის. თავის ჯაშეშერ, გამცემლურ საქმიანობაზე ი. ნამიჭვიმვილმა უჩვენა, რომ საფრანგეთიდან გამოგზავრების წინ მისმა გადამბირებულმა კვლენი გეგეჭკორმა მისცა დავალება, შეეკრიბა ჯაშეშერი ცნობები შემდევ საკითხებზე: კოლმეურნეობათა რენტაბელობა საქართველოში, კოლმეურნეთა მიერ მიღებული საშუალო პროდუქ-

ცია, საქმარისია თუ არა ეს პროდუქტია, რამდენად შეადგელაბა  
გლეხობა საკოლმეურნეო წყობამ, არიან თუ არა მათ შორის  
უკმაყოფილო ელემენტები, რა დამოკიდებულება აქვს ქალაზოვა  
ქელ ინტელიგენტს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მის მა-  
ტერიალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, არიან თუ არა  
უკმაყოფილონი და ამ უკმაყოფილების საფუძველი, რეპრესიე-  
ბი ინტელიგენციას შორის.

საზღვარგარეთთან კავშირის ხერხებსა და არხებზე ნამი-  
ჭეიშვილმა ჩვენება ჯერჯერობით არ მოგეცა.

ნამიჭეიშვილის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს მისი ე-  
გეგეჭკორის დაზვერვის დაყალებით მტრული საქმიანობის გა-  
მოსაამკარავებლად“.

სტალინმა ე. გეგეჭკორის მიერ ი. ნამიჭეიშვილის გადაბი-  
რების შესახებ „მეგრელთა საქმემდე“ იცოდა. მას გეგეჭკორ-ნა-  
მიჭეიშვილის ჯაშუშური ხაზი ისეთი „საწებლით“ მიჩრდეს, რომ  
ბელადმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ ამბავს, ერ-  
თობ უხვ მხილებასა და ბევრი გვარის ამოტიტივებას ელოდა.  
მაგრამ უშიშროების ორგანოებმა, დიდი ცდის მიუხედავად, ხმაუ-  
რიანი საქმის გამოწურვა ვერ მოახერხეს და ბელადის იმედგაც-  
რუების გამო თავის მართლების მიზნით არშემდგარი ჯაშუშის  
„მოულოდნელი“ გარდაცვალების ინსცენირება მოაწყვეს.

ისე მოხდა, რომ ი. სტალინთან წყალტუბოში ლაპარაკის  
შესახებ (საზღვარგარეთ საქართველოს აგენტურის ყოლის მი-  
ზანშეწონილობაზე) ნ. რუხაძემ წამოაყრანტალა (წერს, სიმ-  
თვრალის გამოო) საქართველოს მინისტრთა საბჭოს თუმჯდო-  
მარის ზაქარია ჩხებიანიშვილის ოჯახში სსრკ უშიშროების მი-  
ნისტრის მოადგილის ლაურენტი ცანავასა (ჯანჯღავა) და რუ-  
მინეთში სსრკ ელჩის სერიოზა ქავთარაძის პატივსაცემად გაშ-  
ლილ სუფრაზე. იქ მყოფმა მინაგან საქმეთა მინისტრის მოად-  
გილებმ, გენერალ-მაიორმა კონსტანტინე ბზიავაშ უმაღ პატაკი  
ჩააჭიკვიკა და სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრ ს. იგ-  
ნატიურან აფრინა. ს. იგნატიურმა იგი, ბუნებრივია, სტალინს  
მიურბენინა... სტალინმა პატაკი აკაკი მგელაძეს გადასცა, ასე-  
თი რამ არასოდეს მითქვამს, თბილისში ყოფნისას მიდი ნ. რუ-

ხაძესთან, ეს პატაკი მარტოს წააკითხე, კარგად დააკუირდნ, როგორ იმოქმედებს და მერე მის თვალწინ დაწევით.

აკაკი მგელაძემ დაუაღება შეასრულა და სტალინს უაჭბო, თუ როგორ დაპატარავდა, ჩაიფერფლა და წახდა გენერალ-ლეიტენანტი.

6. რუხაძემ სათანადოდ დააფასა, რომ ბელადმა აპატია უპატიებელი შეცდომა... ასე „ჩაისვა ჯიბეში“ ი. სტალინმა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძე, ასე აქცია იგი თავის სათამაშო თოჯინად.

ამ ეპიზოდს თითქმის იდენტურად აღწერუნ აკაკი მგელაძე თავის მემუარებში და ნიკოლოზ რუხაძე გამოძიებისთვის მაცემულ ჩვენებაში, რომელიც მწერალ კ. სტოლიაროვს მოჟყენა თავის წიგნში „მართლმსაჯულობანას თამაში“ (მოსკოვი, 2000 წ.). ამდენად, იგი უტყუარია.

წელან ი. სტალინიან 6. რუხაძის პირველი შეხვედრა გვიხსენეთ იმ საუბრის დროს ბელადს არც ერთი სიტყვა შემთხვევით არ უთქვაშს: საქართველოში ანტისაბჭოთა ორგანიზაციების არსებობის შესაძლებლობა და მათი სავარაუდო კურირი ემიგრაციაში მყოფ მენშევიკებთან, ევგენი გეგეჭერი, აქედან შეგზავნილი მისი ნათესავის გადაბირება პარიზში, „ანლიბლურად“ განდობილი: „ბერია თვლის, რომ ქართველთა შორის ყველაზე ნიჭიერნი და ჭკვიანები მეგრულები არიან და ყოველთვის ცდილობს ისინი შემოგვტენოს“.

ეს ნოვიერ ნიადაგში პირველი თუსლის ჩაგდება იყო, რომელიც მაღებ გაღიავდა და ამოჯვეჯილდა.

ამრიგად, „მეგრულთა საქმის“ იდეა 6. რუხაძისგან არ წამოსულა. იგი, უბრალოდ, ამ საქმის ტექნიკური აღმსრულებელი იყო...

სავარაუდოა, რომ 6. რუხაძე მოეწონა ი. სტალინს, უფრო სწორად, მოქმედნა, რომ გამოადგებოდა იმ დადი საქმისათვის, რომელიც წინასწარ პქონდა მოფიქრუტელი.

კირილ სტოლიაროვს თავის წიგნში მოპყუს ასეთი ეპიზოდი: „წყალტუბოდან სტალინი ახალ ათონში გადავიდა.

1951 წლის 3 ნოემბერს იგი ტელეფონით დაუკავშირდა რეხაზეს და პირდაპირ, ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე ჰქითხა: რომ მეორე მდგრადი ბარამია ხელს აფარებდა სოხუმის მექრიამე პროკურორის გვასალიას?

— უთხარით თუ არა თქვენ მგელაძეს, რომ მეორე მდგრადი ბარამია ხელს აფარებდა სოხუმის მექრიამე პროკურორის გვასალიას?

— დიახ, ამხანაგო სტალინ! მე სოხუმში ყოფნისას მოვახსენე მგელაძეს, რომ გვასალიას მფარველობს ბარამია. ეს იყო ერთი წლის წინათ.

— მერედა, ყველაფერი რატომ არ მომახსენეთ წყალტუბოში ყოფნისას? შეგეშინდათ?

— თუ იდან ამომიერდა, ამხანაგო სტალინ!

— მე თქვენ შშიშარა კაცად არ გთვლით, ყველაფერი დაწვრილებით დაწერეთ, რაც იცით ამ საქმის შესახებ და გამომიგზავნეთ

სტალინმა ეურმილი დაკიდა. კაკანათი ამუშავდა, რეხაძემ სასწრაფოდ დაწერა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც მხილებული იყვნენ ბარამია, გვასალია, აღვოკატები აღშიბადა და დოლიძე, ყოფილი პროკურორი ზაქარაია. ისინი მხილებული იყვნენ მექრიამეობაში, ხოლო ცეკას მეორე მდივანი ბარამია, როგორც მევრელი, ყველას ხელის დამფარებლობაში.

რეხაძემ ეს მოხსენებითი ბარათი პირადად მიართვა ბელადს".

არ ვიცი, რომელი წყაროს (ალბათ ნ. რეხაძის ჩეენების) საფუძველზე აასხა ეს დიალოგი მწერალმა, მაგრამ მოუღენები მართლაც ასე წარიმართა: 1951 წ. შემოდგომაზე საქართველოში დასასენებელად მყოფმა სტალინმა ნ. რეხაძეს დაავალა გაერკვია სოხუმელი მოხელეების მექრიამეობის საქმე, რომელთაც თითქოს მფარველობდა საქართველოს კომპარტიის მეორე მდივანი მიხა ბარამია. ამ მექრიამეთა უმრავესობა, ისევე, როგორც თუად ბარამია, მეგრულები იყვნენ. რეხაძემ დიდი მონდომებით მოჰკიდა ხელი საქმეს. მან დააპატიმრა რამდენიმე მექრიამე (?) სოლო სანამ გამოიძიება დაიწყებოდა, საფუძვლიანი ანგარიში შეადგინა და თავად ჩაუტანა სტალინს მთავრობის აგარაქშე.

ბელადის რეაქცია ელგისებური გამოდგა. აგარაქშევე შეადგინა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (იგი, როგორც იცით, 1951 წ. 9 ნოემბრით არის დათარიღებული). ეს

დოკუმენტი მოსკუის გავლით, დაუყოვნებლივ გადმოიგზაუნა მშპ-ლისში და საქართველოს უმაღლეს მოხელეთა შორის დაჭრუბი დაიწყო. დაპატიმრებულთაგან ბევრისთვის, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სრულიად დასაბუთებულად წაეყენებინათ ბრალი როგორც მექრთამეობაში, ისე დატაცებაში (რაც კეთდებოდა კადეც), მაგრამ რუხაძე და მისი ხელქვევითუბი ხელმძღვანელობდნენ არა იმდენად „კანონიერების დაცვის იდეალებით“. რამდენადაც აშკარა პოლიტიკური შეკვეთით — გაყარათ მეცნიერება საქართველოს პარტიულ-ადმინისტრაციული ელიტიდან. აქედან, ერთი შეხედვით, მართლაც შეიძლებოდა დაგესკენათ, რომ საბოლოო ანგარიშით მოული ეს კამპანია ბერიას წინააღმდევი მიმართული.

\*\*\*

ყველაფრის თავი და თავი აკაკი მგელაძის მიერ ი. სტალინისთვის მიწოდებული ინფორმაციები რომ იყო, ლ. ბერიამ კარგად იცოდა.

ი. სტალინის დაკრძალვის მეორე დღეს აკაკი მგელაძე ლავრენტიმ ნამდვილი დაკითხვა მოუწყო. აი, მისი ახსნა-განმარტება.

„კითხვა: თქვენ სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის ნოემბრის დაღგენილების მიღების პირველწყაროს წარმოადგენთ თქვენ ტედენციურ ინფორმაციებს აწევდიდით ამს. სტალინს და ამ ლროვილაცებს პირად ანგარიშს უსწორებდით.

პასუხი: კატეგორიულად უარვყოფ, რომ მე სკპ(ბ) ცკ-ის ნოემბრის დაღგენილების მიღების პირველწყარო ვარ. ამ დაღგენილებაში მთავარი იყო ანტიპარტიული, მტრული ჯგუფი არსებობა ბარამიას ხელმძღვანელობით მე კი ამს. სტალინთა საუბრები მქონდა მხოლოდ მექრთამეობაზე და საქართველოს ცალკეული პროვინციების შეფობაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკების ერთი ნაწილის მიერ. ამასთან, საყურადღებოა, რომ მე მექრთამეობის ფაქტები მოვუფვანე არა საქართველოს სხვა კუთხეებიდან, არამედ აფხაზეთიდან, სადაც საოლქო კუმიტეტის მდონად ვმუშაობდი. ამს. სტალინს ვესაუბრებოდი სხვ საკითხებზეც. ვუამბე კურორტ წყალტუბოზე, თუმცა ეს არ მე-

დიოდა ჩემს კომპეტენციაში, ქუთაისის საუტომობილო ქარხნის შენებლობაზე, რომელიც წყალტუბოში დასასვენებლად ყოფინისას მოვინახულე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შენებლობაზე, სადაც რამდენჯერმე ვიყავი, სამგორის სარწყავი სისტემის და სიონის წყალსაცავის მნიშვნელობაზე, პიდროელექტროსალგურების, მეტროს შენებლობის მიმდინარეობაზე, თბილისის კეთილმოწყობაზე და სხვა.

სტალინი ჩემთან საუბრობდა ამ საკითხებზე 1945 წლიდან დაწყებული, როცა კოველწლიურად ისვენებდა შავი ზღვის სანაპიროზე. თქენ დამადანაშაულეთ იმაში, რომ მე სოხუმიდან მოულ საქართველოს ვხელმძღვანელობდი. მაგრამ უკვე მოგანსენეთ, როგორც მოხდა ეს.

კითხვა: გამოდიოდით ბარამიას წინააღმდეგ?

პასუხი: ბარამიას წინააღმდეგ არ გამოდიოდი, მე გამოუდიოდი მის არასწორ მოქმედებათა წინააღმდეგ. ბარამია ჩადიოდა ამორალურ ქმედებებს: იცავდა მექრთამუებსა და ზაზინის ქურდებს, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს, თუ ისინი სამეცრელოდან ან მეგრულები იყვნენ; ცდილობდა ყველგან და ყოველთვის წინ წამოწია თავისი თვისტომნი — მეგრულები, მათ აშკარა უპირატესობას აძლევდა; შეფობდა სამკრულოს რაიონებს და ერთხელ აფხაზეთისთვის გამიზნული სასუების სამკრულოს რაიონებისთვის გადაცემის წინადაღებაც კი წამოაყენა.

მიმაჩნდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშავი, მით უფრო ცე-ის მეორე მდივანი, ერთნაირად უნდა ზრუნავდეს საქართველოს ყველა რაიონზე, არ უნდა გამოპყოფდეს კუთხეს, საიდანაც თვითონ არის წარმოშობით, არ უნდა დაუწესოს მას შედაგათები სესხის, გადასახდების, თუსლის და დამზადების გვამების მხრივ და ა. შ. რაც ნიშნავს, რომ შენს კუთხეს კარგად აცხოვრებ სხვათა ხარჯზე.

ბარამიას მეუღლეოც ვერ იქცეოდა როგორც საჭიროა.

ზემოთქმულის გარდა, სხვა რამეში მე ბარამია არ დამიღანაშაულებია, მით უფრო, ემიგრანტ გაგეჭყორთან რაიმე კაუშირში, ან მისი ხელმძღვანელობით რაიმე ჯგუფის არსებობაში“...

აკაკი მგელაძის მოგონებათა წიგნის ეს ნაწყვეტი გვაკვა-

ლიანებს, რომ მისი როლი სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრის  
იმ უბედითი დადგენილების შექმნაში, მართლაც არსებითი იყო  
პირველწელიარობის ბრალდებას მგელაძე ყასიდად ჯინიაზონის  
გება, მაგრამ იმით, რასაც ლაპარაკობს, კიდევ ერთხელ გვარ-  
წმუნებს, რომ ეს ბრალდება კი არა, რეალობა იყო, რაც ლუ-  
რენტი ბერიას კარგად მოქმედნებოდა.

აյ სხვა რამეც არის საინტერესო. მოგონებების წერ-  
მან შერისხულობის ეამს — ბებნისის (ქარელი) მეურნეობაში  
დაიწყო, როცა „მეგრელი ნაციონალისტები“ რა ხანია რეაბი-  
ლიტირებული არიან პირწმინდად ყველა პარაგრაფის მიხედ-  
ვით, როცა ამ „ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა, მტრული ჯგუ-  
ფის“ საქმე უშიშროების სამსახურის მიერ გაყალბების, ფა-  
რიკაციის კლასიკურ ნიმუშად ითვლება და მაინც, ჯუტაზ  
აგრძელებს მათ დადანაშაულებას 9 ნოემბრის დადგენილების  
უპირველესი ბრალდებებით — მექრთამეების მფარველობით  
კუთხურობით, ნათლიმამობით, რაც, იმავე დადგენილებით, თა-  
ვისთავად გულისხმობს ანტიპარტიულობასა და ანტისახელ-  
მწიფოებრიობას.

ამდენად, თვალნათლივ ჩანს, რომ ბელადს 9 ნოემბრის  
დადგენილებისათვის იმპულსი სწორედ აკაკი მგელაძის გულა-  
ძილმა (ამ გულახდილობას გარკვეული მიზნებიც ეღო) საუ-  
რებელმაც მისცა შავი ზღვის სანაპიროზე სეირნობათა ეამს.

ამდენად, პირადად მე აკაკი მგელაძეს მიეიჩნიე „ჩაწილა-  
ბის“ პიონერად და არა სახელმწიფო უშიშროების მინისტრი  
ნიკოლოზ რუხაძეს, რომელსაც სკპ ცკ-ის პრეზიდიუმისადამ  
ლ. ბერიას 1953 წლის 8 აპრილის ბარათით („ე. წ. მეგრულ  
ნაციონალისტური ჯგუფის საქმის არასწორი წარმოების შეს-  
ხებ“) და სკპ ცკ-ის პრეზიდიუმის 1953 წლის 10 აპრილის და-  
გენილებით („ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის სა-  
ქმის ფალსიფიკაციის შესახებ“) დაწყებული, თითქმის ყველ  
მკალევარი და მწერალი ანიჭებს პირველობის პალმას.

აეაკი მგელაძე. დაიბადა 1910 წ. ოზურგეთის რაიონის  
სოფელ მელექედურში, მეწადის ოჯახში. მაღე მისი შშო-

ლები გუდაუთაში გადასახლდნენ. დაამთავრა გუდაუთის ათწლები (გვიან, 1949 წელს, საკავშირო ოურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტი). 1930 წლიდან მუშაობდა კომქავშირის გუდაუთის რაიკომის განყოფილების გამგედ, ალქა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგედ, მეორე მდივნად, შემდეგ — პირველ მდივნად. 1934-1937 წ.წ. იყო საქართველოს ალქა ცქ-ის პირველი მდივანი, 1937-1938 წ.წ. — საკავშირო ალქა ცქ-ის ახალგაზრდობის განყოფილების გამგე, 1939-1942 წ.წ. — ტრესტ „საქართველოს“ მმართველი, 1943-1951 წ.წ. — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის ქალაქეომის პირველი მდივანი (ამ პოსტზე მან მიხა ბარამია შეცვალა), 1951 წლის ნოემბრიდან 1952 წლის მარტამდე — ქუთაისის საქალაქო, შემდეგ საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1952 წლის მარტიდან 1953 წლის აპრილამდე — საქ. კპ ცქ-ის პირველი მდივანი. 1954 წლიდან 19 წელიწადი იმუშავა ქარელის რაიონის ბებნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, 1973-78 წ.წ. — მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების თავმჯდომარედ. გარდაიცვალა 1980 წელს. იყო ლ. ბერიას ფარული მტერი, თუმცა თვითონვე აღნიშნავს, ძალზე კარგად ვიყავით ერთმანეთთან მთელი მისი საქართველოში და შემდეგ მოსკოვში მუშაობის პირველ პერიოდში, მაგრამ, რაც უფრო მიახლოებდა ი. სტალინი, მით უფრო იცვლებოდა ჩემს მიმართ ლავრენტის დამოკიდებულება, იგრძნობოდა, რომ იგი უკმაყოფილო იყო ამ დაახლოებით, თუმცა აშკარად არ გამოხატავდა.

აქ ბატონი აკაკი იმას აღარ ამბობს, რომ რაც უფრო იახლოებდა სტალინი, იმდენად უფრო ცოდნა და მტრული ხდებოდა ბერიას მიმართ მისი დამოკიდებულება. არადა, თავის დროზ...

აქ მკითხველისთვის საინტერუსოდ მეჩვენება ერთი ეპიზოდის გაცნობა, რომელიც საბჭოთა საქართველოს ცნობილმა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწემ, საქართველოს კომ-

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა კანკალებმა განმა აღიოშა მირცხულავამ მიამბო:

„1937 წლის შემოდგომაა, თუ არ ვცდები, ნოუზერი ას, ლი არჩეული ვარ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის პირველ მდივნად. ბერიამ დამიბარა. როცა მარტი დაერჩიო, მკითხა, აკაკი მგელაძე თუ დაბრუნდა მოსკოვიდან. იმ დროს აკაკი საკავშირო ალკპ ცკ-ის განყოფილების გამდევი გადაყვანილი.

ბერიამ მითხრა, საკავშირო შინსახკომის ორგანოებს მეულაძესთვის ანტისაბჭოთა და ანტიპარტიული საქმიანობის ბრალდება წაუყენებიათ აფხაზეთში მუშაობის პერიოდთან დაკავშირებით. სკპ(ბ) ცკ-ის მდივანმა ანდრეი ანდრუევმა დაამირუკა, მის დაპატიმრებას აპირებენ და როგორია თქვენი აზროვნი მგელაძე ჩვენს განკარგულებაში გადმოგზავნეთ, მაგ საქმეს აქ განვიხილავთო, უპასუხია ბერიას და ახლა აინტერუსებდა, გამოჩნდა თუ არა აკაკი, რომელიც თბილისში ყოფილა წამოსული. თურმე ამიტომ მიხმო.

მალე ამ საქმეზე შეიქმნა კომისია ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის პეტრე შარიას, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ბაღჩო ქობულოვისა და ჩუმი შემადგენლობით კომისიამ გაამართლა აკაკი მგელაძე, შემდევიგი ტრესტ „საქნავთობის“ მმართველად დაინიშნა.“

რა დასკვნა შეიძლება გამოუიტანოთ ამ ნაამბობიდან?

ის, რომ საჭიროების შემთხვევაში ლავრუნტი ბერიამ იცოდა ადამიანის გამოსარჩლება და დახსნა. და ისიც, რომ აკაკი მგელაძე იმ დროს მისთვის ახლობელი იყო.

ამრიგად, ყველაფერი შეშხადებულია, ბელადმა გვემა მოხაზა და მის ხორცებებმას შეუდგა. იქვე, ახალ ათონშვე დაიწერს ცნობილი 9 ნოემბრის დადგენილება: „საქართველოში მექრთამეობისა და ამს. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“.

აღიოშა მირცხულავა მიიჩნევს, რომ აკაკი მგელაძემ და ნიკოლოს რუხაძემ შეაკორწინეს სიმართლეს მოკლებული, ზოლოუნურად გამოგონილი ფაქტები, ყალბი მასალების მოელი

გროვა-კომპლექსი მ. ბარაშიას წინააღმდეგ და გადასცეს ი. სტა-  
ლინის თანაშემწეს აღექსანდრ პოსკორებიშვის. პოსკორებიშვიშა  
ამ ფალსიფიცირებული მასალების მიხედვით შეადგინა პარტიული  
ის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტი და სტა-  
ლინის გადასცა როგორც მოსკოვიდან მოსული. მასალები არა-  
ვის გადაუმოწმებია, ბრალდებულ პირთათვის, მათ შორის მ. ბა-  
რაშიასთვის არაფერი უკითხავთ, არაუითარი ახსნა-განმარტება  
არ მოუთხოვიათ. სტალინმა წაიკითხა დადგენილების პროექ-  
ტი, გარჩია მასალები მხოლოდ მგელაძის, რუხაძისა და პოს-  
კორებიშვის მონაწილეობით, საფუძვლიანად გაასწორა და ზელი  
მოაწერა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დასაბრუნებლად.  
სტალინს პეტრებია, რომ საკითხი ჯერ მოსკოვში გაირჩა და ისე  
გამოუგზავნეს ხელმოსაწერად.

თავს უფლებას მიუცემ არ გაუიზიარო ბატონი ალიოშას მო-  
სახრება, თითქოს დადგენილება სტალინს პოსკორებიშვიშა შეაპარა.

ის რომელიმე რიგით საკითხს, ვთქვათ შაქრის ჭარხლის  
მოსაულიანობის ამაღლების ღონისძიებებს რომ ეზებოდეს, მარ-  
თლაც შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ გამოუგზავნეს, მან გაას-  
წორა, ვიზა მისცა და მოსკოვში დააბრუნა. ოღონდ, არამც და  
არამც პოსკორებიშვის შეპარებით, ცკ-თან შეუთანხმებლად! თა-  
ნაც — ანტიპარტიული ჯგუფი საქართველოში! რომელი პოს-  
კორებიშვი კი არა, მთელი პოლიტბიურო გაბედავდა უმისოდ ამ  
საკითხის განხილვას!

მოუღნათა მთელი შემდგომი მსეულელობა უარყოფს ამ ვერ-  
სიას: 9 ნოემბერის დადგენილებას მოვეიანებით, მეორე დადგენი-  
ლება მოჰყევა სტალინის აქტიური მონაწილეობით შექმნილი. იგი  
ცხოვლად ადგვენებდა თვალს გამოძიების მსეულელობას.

ბატონი ალიოშა მირცხულავა გვაცნობს ამ საკითხზე ნ.  
ხრუშჩოვის მიერ მისთვის 1953 წლის აგვისტოში ნაამბობს: „1951  
წლის შემოდგომაზე სოჭში ვისვენებდი. ახალი ათონიდან, სა-  
დაც იმ დროს სტალინი იმყოფებოდა, პოსკორებიშვიშა დამირკა,  
სტალინი გინძმობსო. მეორე დღეს ჩავედი. სტალინის სამუშაო  
ოთახში იყვნენ პოსკორებიშვი, მგელაძე და ერთი ჩემთვის უც-  
ნობი პიროვნება. (ნიკოლოზ რუხაძე? — ა.ა.) სტალინი მომე-

სალმა, მაგრამ რაღაც დოკუმენტზე მუშაობა არ შევწყვეტის ჩემთვის გაუიფიქრე, რომ შხადდებოდა არასასიამოვნო აქტების სტალინმა ხელი მოაწერა და პოსკრებიშვეს გადასცა, მერქმის მიბრუნდა და ლაპარაკი დამიწყო. თურმე ეს დოკუმენტი ბარა-მიას მეგრულ ნაციონალიზმზე დადგენილების პროექტი ყოფილა. ხრუშჩოვმა თავის მხრივ დაამატა, რომ ეს საკითხი არსად არ გარჩეულა“.

ეს ეპიზოდიც მარწმუნებს, რომ სტალინისთვის დადგენილების პროექტის „შეპარუბის“ კურსია ძნელად გასაზიარებელია... ამ საკითხზე სტალინისა და ხრუშჩოვის საუბრის დრო მაინც გაირკვეოდა სიმართლე.

შემდეგ ბატონი ალიოშა გვატეობინებს, რომ ასეთი დოკუმენტის მოსკოვში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოჩენამ ძალშე შეაფიქრიანა გიორგი მალენკოვი და სხვა მდივნები, მაგრამ არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ, იგი კანონიად ჩათვალეს, რადგან სტალინი აწერდა ხელს და სახელმძღვანელოდ დაუგზავნეს პარტიულ კომიტეტებს. განსაკუთრებით ლავრენტი ბერია განაცვიაფრა ამ დოკუმენტმა, მან თვითონ დამირეკა სამსახურში (ალიოშა მირცხულავა მაშინ მოსკოვში, სკპ(ბ) ცკ-ის ინსპექტორად მუშაობდა — ა. ა.) და მთხოვა სასწრაფოდ მუსულიყავი მასთან. შესვლისთანავე წინ დამიღო ეს დოკუმენტი. მე ვუთხარი, რომ იგი გაგვაცნეს ცენტრალური კომიტეტის ამარატის მუშაკებს. ლ. ბერიამ ეს დადგენილება სრულიად უსაფუძვლოდ და უმართებულოდ ჩათვალა, ხელი ჩაიქნია და მითხრა, ცენტრალურ კომიტეტში არც ერთმა მდივანმა არ იცია არაფერი ამ დადგენილების მოშადებისა და მიღების შესახებ. რაღაც დიდი გაუგებრობაა, ფრთხილად იყავითო. გაკვარებული დავრჩი, რომ ლ. ბერიასა და გ. მალენკოვის მონაწილეობის გარეშე მოხდა ასეთი დადგენილების მიღება.

1953 წლის მაისში, აგრძელებს ბატონი ალიოშა, ჩემი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობისას, მისა ბარამიამ მიამბო: 1951 წლის 9 ნოემბერს კანდიდ ჩარკვიანმა თავისთან მიხმო და ეს დადგენილება მაჩვენა. წავიკითხე თუ არა, აღელვებულმა და აღშფოთ-

ბულმა კატეგორიულად უარვყავი ყველა ბრალდება, ცილის-მწამებლური და პროფორიული ვუწოდე. ვუთხარი, რატომ არ მკითხეთ რაიმე ან სხდომას რატომ არ დამასწარით, სადაც ასეთი გამანადგურებელი განაჩენი გამომიტანეთ-მეთქი. ჩარკვიანი გაფითრებული შემომყურებდა და მითხრა, ჩემთვისაც არავის არაფერი უკითხავს და არც სხდომას დავსწრებიყარო. არ დავიჯორე, მაგრამ დამარწმუნა. ვთხოვე, სტალინისთვის დაერწყა (მაშინ სტალინი გაგრაში თუ ახალ ათონში იმყოფებოდა), მიგვიღოს და გავარკვიოთ თუ როგორ შეიქმნა ეს საშინელება-მეთქი. ჩარკვიანმა სტალინთან დალაპარაკებაზე უარი თქვა და ყურმილი გადომცა, თუ გინდა შენ დაელაპარაკეო. ბარამიას გაბეჭულად აუკრეფია ნომერი და პოსკრებიშვილისთვის უთხოვია, სტალინმა მიმიღოსო. პოსკრებიშვიმა ცოტა ხნით დააცდევინა, მერე კი უპასუხა, სტალინმა თქვა, ბარამიას ჩემთან რა უნდა, სადაც მისი საკითხი გაირჩა, იქ ეთქვა, რაც უნდოდაო და არ მიიღო.

ამ ეპიზოდიდან კარგად ჩანს, თუ როგორ დაიბადა ლევენდა დადგენილების ი. სტალინის გარეშე შექმნის, დოკუმენტის მისთვის „შეპარების“ შესახებ.

ამრიგად, ზარი ჩამოირწყა. დადგენილებას ი. სტალინმა ხელი მოაწერა და იგი უმაღიქცა მრისხანე იარაღად, ახალი პროსკრიპციების სათვედ, რომელსაც მრავალი ადამიანის ბედი უნდა გაემრუდებინა, მრავალს უნდა ქცეოდა ტანჯვის ნიშანსეეტად.

## ჩლე პირველი

... 1951 წლის 4 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის 34-ე წლისთვის დღესასწაულის წინადევებში, თბილისში სამგორის არხის შენებლობის დამთავრებისადმი მიძღვნილი მიტინგი გაიმართა.

სამგორის უზარმაზარი ქვაბული — გლდანის კოლმეურნეობის ფერმის ყოფილი საძოვარი, სულ მალე თბილისის ზღვად, ხოლო მის გარშემო განფენილი მწირი და უკაცრიელი მიწები წალკოტად იქცევა. ასეთია საკრემლო-საბელადო პატაკის შინაარხი. მთელი თბილისი თავისი საწარმო-დაწესებულებებით, ორგანიზაციებითა და კოლექტივებით ამ ქვაბულშია, ხარობს და ქეიფობს.

სიტყვას ამბობს საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომტეტის პირველი მდგრანი კანდიდ ჩარკვიანი. ტრიბუნა აღმოსავლეთის მხარეს, მაღლობზე, ზედ არხის თავზეა. იქ კ. ჩარკვიანის გვერდით დგანან მომღიმარი მეორე მდგრანი მიხა ბარაშია, ბიუროს, მთარობის წევრები, სტუმრები, შენებლები. არის ზეიმი და კურაკინ გრძნობს რა უბედურება დატრიალდება საქართველოში სულ რაღაც ერთ კვირაში.

ორიოდედებში კი საოქტომბრო აღლუში იმართება. კ. ჩარკვიანი და მ. ბარაშია კვლავ გვერდიგვერდ დგანან, ფართო, ბედნიერი ღიმილით ესალმებიან თბილისულ მშრომელებს. არაუკრი არ აფერმერთალებს ნათელ საზეიმო დღეს...

იქ კი, შავი ზღვის სანაპიროზე, საღაც ზანტი ტალღები შრიალით მიმოიქცევა თბილ, ოქროსფერ ქვიშაზე, პაერი კი შეის

და გამაბრუებელი არომატით არის გაჯერუბული, ერანდაზე ზის თეთრი იტელიანი, ტანმორჩილი ჭაღარა კაცი და წარპშექრული დაპყურებს თეთრ ფურცელს, რომელზეც ეს-ესაა პირველი სტრიუკა, ქონი დაწერა...

10 ნოემბერს, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დახურულ სხდომაზე, კანდიდ ჩარკვიანმა დამსწრეთ სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილება გააცნო. იგი დათრგუნული და განადგურუბული ჩანდა. შემდეგ, უკვე ლეფორტოვს ციხეში, ნ. რუხაძე ჩვენებაში წერდა: „როდესაც ჩარკვიანმა ცკ-ის დადგენილება წაგვიკითხა, სუსაველანი თავზარდაცემულები ვიყავით. მე ვერც წარმომედგინა, თუ ამხელა რეზონანსს გამოიწვევდა ჩემი ინფორმაცია. მეგონა, მხოლოდ და მხოლოდ ბარაბა და რატავა დაისკებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, რაღა დამრჩნოდა, ზემოდან მითითებისამებრ მე უნდა გამომეძია არარსებული მეგრულ ნაციონალისტთა ორგანიზაციის საქმიანობა და უკიდურესად მკაცრი ზომებით დამესაჯა ისინი“.

აქ გენერალი ნ. რუხაძე საარაკოდ ისულელებს თავს: მან თურმე არ იცოდა, რა შეიძლება მოპყოლოდა უშიშროების მინისტრის ინფორმაციას სტალინისადმი „მეგრულ ნაციონალისტთა“ მტრული საქმიანობის (დატაცება, მექრიამეობა, ანტიპარტიული დაჯგუფება) შესახებ... იგი უბრალოდ, ცდილობს, როგორმე თავი დაიძრონოს — ეს აღსარება ლ. ბერიასადმია დაწერილი სტალინის სიკვდილის შემდეგ.

გადაწყვდა: 11-12 ნოემბერს გაიძარის ცენტრალური კომიტეტის პლენური, სადაც იმსჯელებენ — რა და როგორ... მანამდე მათ თვითონ სჭირდებათ დრო აზრის მოსაკრებად.

კანდიდ ჩარკვიანი გრძნობს ამ დოკუმენტის მოსალოდნელ მძიმე შედეგებს. დადგენილებაში ანტიპარტიული ჯგუფის წევრებად ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი კაცია დასახელებული: მიხა ბარაძია, ავესენტი რატავა, ვლადიმერ შონია, კონსტანტინე ჭიჭინაძე. მაგრამ ეს მოიდან დაგორუბული გუნდაა, რომელიც თანდათან აიკრავს თოვლს და ზვავად იქცევა... ნუთუ დადგენილების აუტორი, რომელიც მხოლოდ სტალინი შეიძლება იყოს, უკრ ხედება, რომ „მეგრული ნაციონალიზმის“ ბრალდება

საბოლოოდ „კველაზე დიდ მეგრულამდე“ შეიძლება მიღიონტეს? თუ იცის და ამ დოკუმენტს მაინც ქმნის, მაშინ ყოვლისშემჩნელავრენტი..? ფიქრისა და ვარაუდებისაგან კაცს შეიძლება ას- ვის ქალა აგქადოს...

კაბინეტში მდგანი შემოდის. ქ. ჩარკვიანი უკმაყოფილო წყდება ფიქრებს:

— რა გნებავთ?

— უშიშროების სამინისტროდან დაღუქული წერილი თქვენს სახელზე!

გულმა რეჩხი უყო. ერთხანს შუბლშეკრული დასცეკროდა პაკეტს, შემდეგ ნელა გახსნა. სწრაფად ჩააყოლა თვალი სტრიქონებს — აი ისიც, დაიწყო! მერე გულდასმით ჩაიკითხა:

„9.XI. 1951 წ. №0135

საქ. კპ(ბ) ცკ-ის პირველ მდივანს ამბ. ქ. ნ. ჩარკვიანი მოგახსენებთ საქ. სუს-ში საქ. სსრ იუსტიციის მინისტრის ა. ნ. რაფაელ ძმასა და ცოლისძმაზე არსებულ მასალებს.

ა. ნ. რაფაელ ძმა კაპიტონ ნარიჯის ძე რაფაელ ფრონტზე პოლკუნიის ჩინით, მე-13 არმიის საველე სამმართველოს ქადაცვის განყოფილების უფროხის თანამდებობაზე ყოფნისას, 1941 წლის 27 ივნისს დაატყვევეს გერმანელთა ჯარებმა და გააგზავნეს ქ. პამელბურგში (გერმანია) სამხედრო ტყვეთა მანაქში, სადაც საბჭოთა არმიის ოფიცირები და გენერლები მა- ფოფებოდნენ.

გენერალოს ორგანოებს ამ ბანაკში შექმნილი პქონდათ ე. წ. „რუსეთის მრომის სახალხო პარტიის კომიტეტი“, რომლის წე- რიც ქ. ნ. რაფაელ გახდა.

სხვ სუს-ის მიერ დაპატიმრუბული ე. ნ. შილოვის ჩეუნ- ბით, რომელიც იმავე ბანაკში იმყოფებოდა და იმავე ანტისაბჭო- თა ორგანიზაციის წევრი იყო, ცნობილია, რომ რშსპ კომიტეტი იძირუბდა საბჭოთა არმიის სამხედრო ტყვებს თუმციმ თორგანიზა- ციაში, ამზადებდა კადრებს „რუსეთის მოხალისეთა არმიისათ- ვის“ და არჩევდა ტყვე თვიცირებს პრაღაში არსებული გერმანუ- ლი სადაზურვო სკოლისათვის. ამას გარდა, გამოიყო 4 თვი-

ცერი (ე. ნ. შილოუი, კ. ნ. რაფაელ და ორი სხვა), რომლებიც გერმანული არმიის გენერალის ოფიცერთა დაუაღებით ადგენ- დნებ ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური სულისკეთების „პერ- მანია-საბჭოთა კაშმირის ომის ისტორიას“.

ნადავლი დოკუმენტებით, რომლებიც საბჭოთა ნაწილებმა ჩაიგდეს ხელში გერმანიის არმიათა ჯგუფ „ცენტრის“ შტაბში, ჩანს, რომ კ. ნ. რაფაელ გერმანიის სადაზვერვო ორგანიზაცია „ა- გვერჯგუ-1“-ში წარადგინა საბჭოთა არმიის ქიმიური სამსახუ- რის მდგომარეობის დაწერილებითი მიმოხილვა.

კ. ნ. რაფაელ წარსულში იყო ა/კუკასიის სამხედრო ოლ- ქის ქიმიური კადრების უფროხი, გადის ხალხის მტრების მ. კ. ლევანდოვსკის 1938 წ. 28 მაისისა და კ. კ. ჩამნიცკის 1938 წ. 21- 23 აპრილის ჩვენებებით

შემოხსენებულის შესახებ ჩვენთვის ცნობილი გახდა 1951 წლის ოქტომბრის ბოლოს.

ა. ნ. რაფაელს ცოლისმა, 1900 წ. დაბადებული, ნოე ეორ- დანიას ნათესავი გიორგი კუნდრატეს ძე ეორდანია, როგორც ცნობილია, 1926 წელს არალევალურად წყვილა თერქეთში, შემ- დევ — საფრანგეთში, სადაც დაფუძნდა ქ. პარიზში.

დიდი სამამულო ომის წლებში გ. კ. ეორდანია, სხვა ემიგ- რანტებისან ერთად, აქტიურ ანტისაბჭოთა მუშაობას ეწეოდა გერმანულთა დაზვერვის მიერ შექმნილი რაზმის „თამარა-2“-ის შემადგენლობაში.

1942-43 წ.წ.-ში გ. კ. ეორდანია გერმანული დაზვერვის ოფიცირისა და ანტისაბჭოთა ქართული ემიგრანტის რანგში, გერმანულთა ჯარებთან ერთად მოუიდა პიატიგორსკამდე და აქტიურ გადამბირებელ მუშაობას ეწეოდა სამხედრო ტკუნთა შორის.

სსრ სუს-ის ორიენტირებით ჩვენთვის ცნობილია, რომ მენშვერითა საზღვარგარეთის ბიუროს განხრახული აქცე სა- ქართველოში ემიგრანტ დავით კონსტანტინეს ძე ეორდანიას (ასევე ნოე ეორდანიას ნათესავის) შემოგზაუნა არალევალური ანტისაბჭოთა მუშაობისათვის და რომ ამ უკანასკნელმა თან- ხმობა განაცხადა საქართველოში არალევალურად შემოხველა-

ზე იმ პირობით, თუ მასთან ერთად გიორგი კონდრატეს ძე ჭავჭავაძე დანიაც წამოვა.

ამ მონაცემებით დაკავშირდებით, ჩვენი აზრით, უნდა განვიხილოთ ა. ნ. რაფაელ საკითხი.

### 6. რუსები

წერილს ადევს გამაოგნებელი რეზოლუცია:

„ამ ნ. 6. რუსების

აუცილებელია ა. ნ. რაფაელ სასწრაფოდ დაპატიმრება, როგორც ანტიპარტიული ჯგუფის წევრის და სამშობლოს მოღალატეების ახლო ნაიუსავისა.

დაპატიმრებული აკრეთვე მისი ძმა იყანე რაფაელ.

კ. ჩარქვანი.

51 წ. 10/XI.“

ავქსენტი რაფაელ თავისი ბიოგრაფიით ნაკლებად იმსახურებს თანაგრძნობასა და გამოსარჩევებას, მაგრამ ნათქვამია, „ერთი — მგლისკენ, ერთი — თხისკენო“. ნ. რუსების ამ წერილის საფუძველზე საიდან, რა მანქანებით გაკეთდა დასკვნა ავქსენტი რაფაელს, როგორც ანტიპარტიული ჯგუფის წევრის, დაუყოვნებლივ დაპატიმრების აუცილებლობის შესახებ, ან რის საფუძველზე გაიცა მეორე ძმის დაპატიმრების სანქცია?

კველაფერი ძველი, მრავალგზის გაკვალეული, უტყვარი სცნარით ხდება (როგორითაც თვით ავქსენტი რაფაელ შინსახვაში არაერთი „საქმე“ გადაუგორებია და არაერთი თავი დაუკორებია). 1951 წლის 11 და 12 ნოემბერს ნ. რუსების ბრძანებით („მეგრული საქმის“ ერთ-ერთი მთავარი გამომძიებელი, პოდეოლკუნიკი თუდიშვილი შემდგე წერდა, ნ. რუსებე „შესაბამის მითითებას“ იმრწმებდა, ოღონდ, არ ამბობდა ვისასი) დაპატიმრებ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ავქსენტი რაფაელ, რესპუბლიკის პროკურორი ვლადიმერ შონია და მისი მოადგილე კადრების დაწესები (1944-1951 წლებში), ავქსენტის ძმა — იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო მრჩეველი იყანე რაფაელ (1902-1970 წწ.).

ავქსენტი რაფაელს, არსებითად, ორი ძირითადი ბრალდება

წაუყენეს: საქართველოს სახელმწიფო უმიშროების სამინისტროს აგენტურული ქსელის წინასწარვანზრახული დაშლა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწიო საქართველოს ტერიტორიაზე დასაცლელი და მენშვიკური აგენტებისა და ემისრების შემოღწვას და საეჭვო ნათესაური კავშირები.

საქმეში ფიგურინებს ჯესენტის ყოფილი მოადგილის სერგო დავლიანიძის 1951 წლის 17 ნოემბრით დათარიღებული ბარათი საქართველოს სახელმწიფო უმიშროების მინისტრ ნ. რუსაძისადმი. ს. დავლიანიძე იუწყებოდა, 1944 წლის ივლისში საქ. სახუმიშროების სამინისტროს ორგანოების თერჯეთში საქმიანობის ეუქტიანობა შევამოწმე და შედეგები თუჩარდამცემი აღმოჩნდა: თერჯეთში შევზუნილი აგენტების 90 პროცენტზე მეტი ჩავარდა ან სამხილით ხელში დაიჭირესო. ს. დავლიანიძის აზრით, ეს ჩავარდნები საქართველოს სახელმწიფო უმიშროების სამინისტროს უმაღლესი წრებიდან ინფორმაციის გაფორმით ან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასაზღვრო ჯარების დაზვერვის უფროსის მ. კუკუტარიას არაკომპეტენტურობით უნდა აიხსნას. ს. დავლიანიძეს თავისი მოკვლევის შედეგები რაფუასთვის უცნობებია, მას კი პირობა მიუკია, პირადად გამოუიყვალეს ყველაფერსო. მაგრამ, რეალურად, მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ კუკუტარიას აუკრძალა დავლიანიძისათვის შემდგომში რაიმე ინფორმაციის მიცემა ამ პრობლემის ირგვლივ. 1945 წელს თერჯეთში სსრ კაუშირს გადმოსცა თავის ტერიტორიაზე დაკავებული ასობით საბჭოისა აგენტი. მათმა უმრავლესობაში უჩვენა, რომ თერჯეთის კონტრდაზეურვის ორგანოები საზღვარზე ელოდებოდნენ. შემთხვევითი როდი იყო, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის „სმერშის“ ორგანიზებმა 1944 წლის 15 მარტს სსრკ საგარეო დაზვერვის უფროსს ფიტინს სიგნალი მისცეს, აჭარის სახელმწიფო უმიშროების სამინისტროს ერთ-ერთი განუოფილების უფროსს მ. კაკაბაძეს დანაშაულებრივი კაუშირი აქვს უცხოეთის სპეცსამსახურებთანთ.

გენერალ-მაიორ სერგო დავლიანიძის ეს ბარათი „ამირავი ღვედი“ აღმოჩნდა. მას უამრავი არსებული და არარსებული „საქმე“ მოჰყვა, რამაც აქესენტი რაფაელ საბოლოოდ საჯალათი კუნძთან მიიყვანა.

ამ კაცის „საეჭვო ნათესაურ კაუშირებზე“ უკვე ვიღოჩარებეთ. მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ავქსენტის თავისი ძმის პეტრი მხოლოდ 1946 წელს შეუტყვია და უცდია გერმანელებთან ძმის თანამშრომლობის ფაქტი საგულდაგულოდ დაემაღა.

ბარემ აქვე ეიტყვეი იმ კუკუტარიაზე, რომელსაც ავქსენტი საგულდაგულოდ აფარებდა ხელს და ეს ასე საბედისწეროდ შემოუბრუნდა.

მიხეილ კუკუტარია (1900-1962 წ.წ.). ჩეკას თანამშრომელი 1921 წლიდან. მსახურობდა ქუთაისის, ფოთის, თბილისის, ზუგდიდის, გორის, ჭიათურის, ზესტაფონის, აჭარის, კასპის განყოფილებებში. 1938-1939 წ.წ. იყო აფხაზეთის ასსრ შესახლეობისარი, 1940-1941 წ.წ. — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქართველოს სასაზღვრო ოლქის უფროსის მოადგილე დაზვერვის დარგში, 1942-1943 წ.წ. — საქ. სსრ შინაგან კომის დაზვერვის განყოფილების უფროსი, 1945-1948 წ.წ. — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (სახელმწიფო უმიშროების მინისტრი). 1948 წელს პენსიაზე გაუშევს. 1952-1953 წლებში დაპკითხავდნენ „მეგრულთა საქმესთან“ დაკაუშირებით, 1953 წლიდან — კვლავ პენსიაზეა. პქონდა უმიშროების პოლკოვნიკის წოდება. დაჯილდოებული იყო საგანგებო კომისიის-სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საპატიო მუშაკის ნიმნითა და 7 ორდენით, მათ შორის ლენინის ორდენით.

\*\*\*

პირველი დაპატიმრებების პარალელურად, 1951 წლის II ნოემბერს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენური გაიხსნა (იგი ორი დღე გრძელდებოდა). დაიწყო დიდი ბოლშევიკური „სუპრემა“ — „მექრთამეთა და ანტიპარტიელთა“ გასამართლება.

ოღონდ...

კითხულობ პლენურის მასალებს და უმაღ საჩინო ხდება სალაპარაკო არაფერი აქვთ. ყველა განცემურებული და თუზარდაცემულია. უფრო მექრთამეობის მანკიურებას გმობენ: კანდიდ ჩარკვიანი, სხვები...

გამოვიდა თეთი მიხა ბარამია, რა ანტიპარტიულ ჯგუფზე ჩეა ლაპარაკიო.

თავს კი ნუ იმართლებ, აღიარე დანაშაულიო, შეუძლებელი რენონდ კონკრეტულად რა ანტიპარტიული საქმიანობა უნდა ეღიარებინა, კაცმა არ იცოდა, სხვათა შორის, როგორც ნახეთ, არც დადგენილებაში იყო ნათქვამი საგნობრივად...

ერთადერთმა, აფხაზეთის საოლქო კომიტეტიდან ქუთაის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად ცოტა წნის წინათ გადმოუვანილმა აკაკი მგელაძემ, როგორც იტევიან, არ დატოვა ქვა ქაზე. მისი გამოსვლა ნამდვილი საბრალდებო დასკვნა იყო. პლენუმის მასალები გაუკვალიანებს, რომ ფაქტობრივად, იგი მდგომარეობის ბატონ-პატრონია, კანდიდ ჩარკვიანი კი არა, ის წარმართვეს კველაფერს, უხვად ისვრის რეპლიკებს, რამდენჯერმე გამოდის.

აკაკი მგელაძე: „ბარამიას გამოსვლა არ იყო გულწრფელი, იგი სკპ (ბ) ცკ-ის დადგენილების რევიზიის გზას დაადგა, რაც არ შეიძლება სხვაგვარად შეფასდეს, თუ არა ანტიპარტიული ქმედება... ბარამიამ თავისი მეგრული ნაციონალიტური ჯგუფის საშუალებით, რომელსაც საკმაოდ ფართო ქსელი აქვს, ციხიდან იხსნა სოხუმის პროკურორი მექრთამე გვასალია. აშ ჯგუფს მოსკოვშიც ჰყავს ონამოაზრები მეგრულ ნაციონალისტთაგან. უეჭველია, რომ ბარკალაია, რომელიც საკავშირო პროკურატურაში მუშაობს, ასევე შედის ამ ჯგუფში. ავიღოთ გალის რაიონის გაზეთ „სტალინური გზით“ რედაქტორის გვახარიას საქმე. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ბარამია სამჯერ გამოვიდა და პირზე ქაფორნული იცავდა მექრთამე და დატაცებელ გვახარიას. მართალია იგი პარტიიდან გაირიცხა, მაგრამ თქვენ, ბარამია, შესძელით მისი ციხიდან დახსნა. თქვენ მფარველობდით ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელებს, რომლებიც გაიხრინენ და ყოველგვარი პარტიულობა დაკარგეს. არ არსებობს სხვა რაიონი, სადაც ზუგდიდივით ფართოდ იყოს გავრცელებული მექრთამეობა, ქურდობა, დატაცება, ქალის გაუპატიურება. თქვენ ყოველმხრივ იცავდით აკაკი კვარაცხელიას, ანტიპარტიულ კაცს, რომელიც არად აგდებდა საბჭოთა კანო-

ნებს. თქვენ მეგრული რაიონების შეფად გამოაცხადეთ /თუკი, თქვენ მხოლოდ მეგრულები გაინტერესებდათ, მხოლოდ შემო-ლებს იცავდით. ამასვე აკეთებდნენ თქვენი ანტიპარტიული ნა-ციონალისტური ჯგუფის მეგრული წევრები: იუსტიციის მინის-ტრი რაფაელ, საქართველოს პროკურორი შონია და ცეკას მუ-შაგები ჭიჭინაძე, კუპრავა, კუჭავა და სხვ. აი, ნამდვილ ბოლშე-ვიკ მეგრულებს კი დევნიდით, რადგან ისინი თქვენს შეხედულ-ბებს არ იზიარებდნენ.“

აკაკი მგელაძემ კანდიდ ჩარქვიანსაც რამდენჯერმე გაჲ-კრა კბილი. ისიც კი უხსენა, მრავალგზის მოგახსენეთ ბარამ-ას ცოლის შურა იოსავას არასწორი ქმედების შესახებ, გაწვ-ნეთ მისი წერილები, სადაც იგი მითითებებს იძლევა, ვის ბინა მოუცეთ, ვინ სამუშაოზე მოვაწყოთ. რა თქმა უნდა, ამას არ ვა-რულებდით. ეს ქალი ძალიან აქტიურობს კადრუბის საქმეში და აქა-იქ გამოსდის კიდეც, განსაკუთრებით, სამეგრულოს რაიო-ნებში. ამ ქალს არავითარი მორიდება არა აქვს. ერთხელ რუკა-ვინ აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, ბარამია სოხუმს მოქ-გზავრება თავისი ვაგონითო. გადავამოწმე და თურმე სპეციალუ-რი ვაგონით ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბარამია კი არ მოდის, არამედ — მისი ცოლი. მლიქვნებულები დახვდნენ. მერ-ვითომ სოხუმის სამედიცინო დაწესებულებები დაათვალიერა და დაბრუნდა.

დასასრულ, ა. მგელაძემ ქუთაისის პარტიული ორგანიზა-ციის სახელით პირობა მისცა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ „დაუნდობლად ამოძირკვავს მექრთამეობას და ბარამია ანტიპარტიული ნაციონალისტური ჯგუფის დამქაშებს“.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შო-თა გეთიაშ (იგი კარგა ხანი აკაკი მგელაძის მხარდამხარ მუშა-ობდა: 1948-1951 წლებში აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეთ-რე მდივანი იყო. აკაკის ქუთაისში გადაყვანის შემდეგ მისი აღ-გილი დაიკავა. 1953 წელს ბელმა უმუხოლა, პარტიიდან გარიც-ხეს) დაასახელა ვინმე ყალიბიავა, რომელმაც გაზეთში გამოაჭ-ვესნა ცოლის გარდაცვალების განცხადება, არადა, ქალი ცოც-ხალი იყო. ეს დაზღვევის ფულის მისაღებად გააკეთა. იგი სა-

მამულო ომის დროს დეზერტირებს ყალბ საბუთებს უშადგებდა. ციხეში იჯდა, დაბრუნდა და ამს. ბარამიამ გამოვიდგზავნა სამეშაოზე მოსაწყობად. ჩენ ინსტიტუტში დანიშვნაზე—უარი კუთხარით გათვაზედდა და დეპეშებს უგზავნიდა მ. ბარამიას, საოლქო კამიტეტი ცუდად მექცევაო (ეს ლექტორი ფალიჩავა ხომ არ არის 60-იან წლებში თბილისში, ვარაზის ხევში ამხანაგური შენებლობის ხელმძღვანელი ფალიჩავა, რომლის სახელიც ფართოდ გახმიანდა სკანდალური მაქინაციების გამო? — ა. ა.). ბარამია აფხაზეთიდან წასულ უქმაყოფილო კადრებს იკრებდა თავის გარშემო. ქალანდია ჩენ აფხაზეთიდან განვდევნეთ, მან კი ბარამიას მხარდაჭერით სამუშაო მიიღო. ზუგდიდის რაიონში ორგანიზაციას ვერ ნახავთ, გაიძერობა არ იყოს. ყველამ იცის, ჩაჩიბაია იქ დღემდე იმიტომ მუშაობს პირველ მდივნად, რომ ბარამია უჭერს მხარს. ცენტრალური კამიტეტი გვაკისრებს ფართო სააგიტაციო მუშაობა გავშალოთ მეცრული ნაციონალისტური ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგო.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარებ იოსებ კოჭლამაზიშვილმა შენიშვნა, ცეკას მეორე ძღიუანი ბარამია ყოფელთვის ჯოხს ღუნავს ამს. რუხაძის წინააღმდეგ. ახლა ცხადია, თუ რატომ პქონდა მინისტრ რუხაძის მიმართ ასეთი დამოკიდებულება და არ პქონდა რაფაელს მიმართ, მისი უშიშროების მინისტრად ყოფნის დროსო.

ცეკას მდგანმა რაფიელ კვირკველიამ პლენუმის ფურადება მიაჰყრო ბარამიას განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ზუგდიდისადმი, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ საქმე ანტიპარტიული ნაციონალისტური ჯგუფის შექმნამდე მიეიღოდაო? მე თვითონ ვიყავი უშიშროების ორგანოებში რაფაელს დამანგრეველი საქმიანობის მოწმე, თავისი ხალხის — გუგუჩიასა და კუკუტარიას საშუალებით აგროვებდა მეცრულებს, თავის მეზობლებს, სრულიად შემთხვევით ადამიანებსო. რაფიელ კვირკველია დაეთანხმა აკაკი მგელაძეს, ყველა ამ საქმეში მცირედი როლი როდი მიუძღვის ბარამიას ცოლს, ეს მთელმა თბილისმა იცის. ბარამიამ შეცდომები რომ დაუშვა, შერა იოსავას ბრალიც არისო.

რ. კეირკველიამ გაიხსენა ლ. ბერიას ხატოვანი გამოცემა „ანტისახელმწიფო ორივე და მოაზროვნე ადამიანები ბალლინჯო-ებივით უნდა დაჭყლიტო“ . მას შემდეგ, რაც ბერია ხაქართულოდან წავიდა, მსგავსი რამ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში არ ყოფილა. როცა შონია დანიშნეს პროკურორად, ძალიან გამიკვირდა. პროკურორთა კადრებს მე განვაგებდი, შონიაზე არსებობდა ჩევნება. თავის დროზე, მაშინ შონია აფხაზეთში მუშაობდა, მასზე ამხ. ბერიამ თქვა: „აი, ნაძირალა.“ მერე ბერია წავიდა და რაფაელ წომ არ დაფარა შონიას მაკომ-პრომეტირებელი მასალები, როცა იგი ჯერ მოადგილედ, შემდგა კი რესპუბლიკის პროკურორად დანიშნეს?

სიმონ ჭელიძე პირში წაუდგა მიხა ბარამიას, ნაციონალისტური განწყობის, შოვინიზმის, ჯგუფური მიღრეუილებების შედეგად იქამდე მიხვედი, რომ ზოგიერთი მუშაკის ცოლსაც კი ღებულობდი სამუშაოზე მოსაწყობადო.

ქუთაისის ქალაქეკომის მდივანმა გრიგოლ კოკაიამ სინანულით თქვა, ბარამიას და მისი ჯგუფის ანტიპარტიული საქმიანობის გამო პატიოსანი მეგრელები ისვრებიან. ყველამ ვაცით, რომ ბარამიას მამა იყანე, 70 წლის კაცი, ხანჯლით და ნაგანით დაქარგება რაიონებში სხვადასხვა საქმის „ჩასაწყობადო“ (ამ წიგნის საგაზეოთ ვარიანტის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდების შემდეგ, ზუგდიდში მცხოვრებმა ბატონმა მამანტი პაჭმორიამ, „მეგრელთა საქმის“ გამო რეპრესირებულმა პარტიის ჩხოროწყუს რაიონში ისოდებოდა მდივანმა, მაცნობა: იყანეს უკადრისი საქციიელის შესახებ მიხა ბარამიას ვუჟმე. როგორმე აღვევთ ეს ამბავიო, მთხოვა შეწუხულმა. ის დღე იყო და იმ კაცს ჩვენი რაიონიდან ფეხი ამოვაკვეთინე, ნაგანი კი ჩამოვართვით — ა. ა.).

ცეკას ინსპექტორმა ვალერიან ქარჩავაშ ზუგდიდში სახელმწიფო ქონების გამფლანგველებისა და დამტაცებლების მფრველობაზე ილაპარაკა. შევამოწმეთ ნარაზენის მეურნეობა, დაუკითხეთ ხალხი, პასუხისებები მოვეცით, მაგრამ 3 წლის განმავლობაში ვერ მოვაღწიეთ გასამართლებას, ზუგდიდის რაიონი თავგამოდებით იცავდა მათ პირველ მდივანს ჩაჩიბაიას ძალ-

ზე დიდი მხარდაჭერა პქონდა იმ დროს, როცა უკელაზე მეტი დარღვეული იქ აღინიშნებოდა. ჩაჩიბაია ჯერ კიდევ 1944 წელს / იყო მოსახსნელი, როცა 1700 ტონა ჩაი გაუფუჭდა. ზუგდიდის ერთ-ერთ სოფელში საბჭოს შენობა გაყიდეს, საბჭო კი დაქირავებულ სახლში გადავიდა. ამ რაიონის ზელმძღვანელთა უკანონო მოქმედება გარკვეულ გავლენას ახდენდა სამეგრელოს სხვა რაიონების მუშაობის სტილზე. ჩაჩიბაიას გაულენა იგრძნობოდა აბაშაზე, წალენჯიხაზე...

პლენუშჩე რამდენჯერმე ითქვა, რომ სხვაგან არსად არ არის იმდენი ქურდობა, დატაცება, რამდენიც ზუგდიდში, სხვაგან ვერ ნახავთ იმდენ ავტომანქანას, რამდენსაც იქ, რომ ბარამიას მამასავით დათარებობს შერა იოსავას დედაც.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში თავისი მუშაობის პერიოდში (1948-1951 წ.წ.) კადრების წმენდის ანგარიშით წარსდგა მინისტრი ნიკოლოზ რუხაძე: სამინისტრო დაბინძურებული იყო კორუმპირებული პირებით, ხალხს არჩევდნენ კუთხურობის, მლიქენელობისა და მაამებლობის პრინციპით ბარამიამ და მასთან ერთად ცკ-ის აღმინისტრაციული განყოფილების ყოფილმა გამგებ კუპრავამ დადანაშაულება დამიწყეს, მხოლოდ მეგრულებს ერიო. 1948-1951 წლებში სხეადასხვა მოტივით უშიშროების სისტემიდან გავუშვით 352 ქართველი მუშაკი, მათგან: 86 ქართლელი, 59 ქახელი, 72 იმერელი, 51 გურული, 59 მეგრული, 25 რაჭველი და ლეჩხუმელი. 1951 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მუშაობს 1275 ქართველი ეროვნების ჩეკისტი, მათგან: 128 ქახელი, 295 ქართლელი, 270 მეგრული, 204 გურული, 244 იმერელი, 134 სხვადასხვა კუთხიდან. ბარამია მხოლოდ განთავისუფლებულ მეგრულებს მფარველობდა, მათი აღდგენისათვის იღვწოდა (მაღანია, თოდუა, ჩხეტია, გუჯაბიძე). ყველა განაწყენებული მეგრული ცეკაში სწორედ ბარამიას აკითხავდა. 1949 წლის თებერვალში მოსკოვში ხილით სპეცულაციისათვის დაკავეს სოხუმელები გრიგორიადი და კოსტიკიდი. მათს პასუხის-გებაში მისაცემად საქმე სოხუმის საქალაქო მილიციას გადმოეგზავნა. დაკავებულებმა ქრითამი მისცეს სოხუმის პროკუ-

რორს გვასალიას და საქმის შეწყვეტის პირობა მიიღეს. მაგრავ გვასალიამ საქმის შეწყვეტა ვერ შეძლო, რადგან ურთ-ერთ მათგანზე აფხაზეთის უშიშროებამ საქმე აღძრა შპიონაჟის ბრალ-დებით და მილიციადან მისი საქმე გაითხოვა. გვასალიას საკითხი განიხილა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, მისი ბრალ-დადასტურულებულად ცნო და დაპატიმრების ნება მისცა. საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ გვასალიას 10 წელი მიუსაჯა. პარტია ცხოველ ინტერესს იჩენდა მისდამი და იმას მიაღწია, რომ სსრკ გენერალური პროკურატურის პროკურორის ბარკალაიას და საქართველოს კომპარტიის ცეკას ფოფილი ინტრუქტორის ჭყადა-ას (ეს ქალი გვასალიას მუტუმტე) დახმარებით სსრკ უმაღლესმა სასამართლომ გვასალია გაამართლა და ციხიდან გამოუშვა.

საბოლოოდ 6. რეხაძემ (ერთადერთმა!) მიანიშნა „მკურელო საქმის“ რეალურ სამიზნებე, როცა ხაზი გაუსვა, დასავლეთის სეუ-სამსახურები ყველა შესაძლებლობას იყენებენ, ემიგრანტთა ნაოუ საური კავშირების ჩათვლით, ჩეენში თავიანთი აგენტების შემოსავაზენადო.

ზოგიერთი ორატორი, სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილების შესაბამისად, ასევე მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ქართულ ემიგრაციაში ამურიკელები ახლა უპირატესობას ანიჭებენ ვაგენი გაბუჭერის და არ ნოე ჟორდანიას.

აქ ლოგიკურად წამოიჭრება კითხვა: ხომ არ არის „მკურელო საქმე“ ამ ჰოლუციის გამოძახილი? საქმე ის გახლავთ, რომ ე. გვ. გვეჭყრი უფრო ანტისაბჭოთა და ანტირესუელი განწყობისა იყო, ვიდრე უორდანია, და ამდენად, კრემლისთვის უფრო საშიშიც, სამაში ასევე ბერიასთან თავისი ნათესაობითა და დასავლეთის სახოვლებრიობასთან მრავალრიცხოვანი კავშირებით

**დაგატახილი ინცირაცია:** სკპ(ბ) ცკ-მა 1952 წლის 29 მაისს მიიღო დადგენილება კ. ა. მოკიჩევის სსრკ გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობიდან მოხსნის შესახებ. მასში ნათესები ამხანაგების პონომარენჯის, შეირიატოვის, საფონოვა და ჟოროვის შემადგენლობით შექმნილი კომისიის მიერ ბოროტმოქმედ გვასალიას ციხიდან უკანონო განთავისუფლების გა-

რემონტათა შემოწმების, აგრძელებულ ამ საკითხთან დაკავშირებით სსრკ გენერალური პროკურორის მოადგილის ამს. მოკიჩევის მიერ მიცემული ახსნა-განმარტების შედეგად, სკპ(ბ) ცენტრალურმა კომისადამი ტეტმა დაადგინა დაკისრებული სახელმწიფო მოწალეობებისადმი კ. მოკიჩევის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტები.

სსრკ პროკურატურაში შევიდა სოჭუმის ყოფილი პროკურორის, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მიერ მექრთამეობისთვის 10 წლით თავისუფლებააღკვეთილი გვასალიას საქმე. მიუზედაც იმისა, რომ სასამართლო გამოძიებით უდაფოდ იყო დადგენილი მექრთამეობაში გვასალიას ბრალდების მტკიცებულება, ამს. მოკიჩევმა სსრკ უზენაეს სასამართლოში პროტესტი შეიტანა, რომელშიც საქმის გარემოება დამახინჯებული იყო დამნაშავის სასარგებლოდ, მიაღწია სწორი სასამართლო განაჩენის შეცვლას და გვასალიას ციხიდან გათავისუფლებას.

ამს. მოკიჩევის ახსნა-განმარტებიდან იმის შესახებ, რომ მან საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს განაჩენის პროტესტის ხელი ისე მოაწერა, გვასალიას საქმეს არ გაცნობია, ირკვევა, რომ ამს. მოკიჩევი მუშაობაში აულენს არაპარტიულ, ანტისახელმწიფო ინიციატივის დამოკიდებულებას თავისი სამსახურებრივი მოწალეობის მიმართ

შემოწმებით დადგინდა აგრძელებული საკუთრების დატაცებასა და მექრთამეობასთან ბრძოლის საქმეში ამს. მოკიჩევის არასწორი ქმედების სხვა ფაქტები...

#### სკპ(ბ) ცტ-მა დაადგინა:

თავისი სამსახურებრივი მოწალეობებისადმი ანტისახელმწიფო ინიციატივის დამოკიდებულებისა და სასამართლო საქმეთა განხილვისას საბჭოთა კანონების დარღვევისათვის ამს. კ. ა. მოკიჩევი გაირიცხოს სკპ(ბ) წევრობიდან.

ამს. მოკიჩევი მოიხსნას სსრკ გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობიდან და აეკრძალოს პროკურატურის ორგანოებში მუშაობა.

აღინიშნა, რომ სსრკ გენერალური პროკურორი ამს. საფონუი, როგორც ეს ჩანს ამს. მოკიჩევის გადაცდომებიდან და გვასა-

ლიას საქმიდან, მეოთვალყურეობას არ უწევს თავისი მოადგილობრივი მუშაობას და საქმიანისად ფხიზლად და პრინციპულად არ უდგინ პროკერატურის ცალკეული მუშაქბის მხრიდან გადაცდომებსა და კანონების დარღვევას...

\*\*\*

ასეთი პათოსით წარიმართა პლენუმის პირველი დღე.

იკვეთება კუთხურობის, მფარველობის, მექრთაშობის ნაწილი სურათი, მაგრამ რა შეაშია ნაციონალისტური, ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა ჯგუფი? ან, განა მხოლოდ სამურელო რაიონებში იყო პოლიტიკური ხელმძღვანელობის ასეთი მანკერი სტილი? მექრთაშობა, დატაცება, ნათლიმამობა ზომ სხვ კუთხებშიც იყო ფეხმოკიდებული?

მიხა ბარამიამ ბრალდებათა ნაკადში ეს სუსტი წერტიანი იგრძნო და სიტყვა ითხოვა. ამაოდ ფიქრობდა, რომ ყველაფრის მტკიცედ უარყოფით რაიმეს შეცელას შეძლებდა. სიტყვა არ მისცეს. მისცეს მხოლოდ ხუთი წერთი განცხადებისათვის.

მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის ხელმძღვანელი არ ვყოფილგარ და არც ვარ, შეიძლება ვცდები, მაგრამ ახლაც ვამბობ, რომ მინისტრი რუხაძე მრავალ საკითხში სერიოზულ შეცდომებს უშევებდა და უშევებს, კადრების მიმართ არ არის ობიექტური. ჩემთვის განსაკუთრებით პოლიტიკურად მომაკვდინებულია ანტიპარტიული ნაციონალისტური ჯგუფის ხელმძღვანელობის ბრალდება, მე ასეთი არა ვარ, ასეთი რამის წინააღმდეგ ყოველთვის ვიბრძოდი. მოშეცით საშუალება გამოიყასწორი ამ შეცდომები, რაც მქონდაო, ითხოვა.

ბარამიამდე ასეთივე თვითგამამართლებელი, ვერდაფრის უარმყოფელი სიტყვით გამოვიდა „ბარამიას ჯგუფის წევრი“ ერთსტანტინე ჭიჭინაძე: ჩემს სიცოცხლეში არავითარ დაჯგუფებაში მონაწილეობა არ მიმიღია, სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილებაში კი წერია, ვითომ ანტიპარტიული ჯგუფის წევრი ვარ. საიდან, როგორ, ეს ჩემთვის ყოფლად გაუგებარია. არავითარი დამოიღებულება, გარდა საქმისა, ამხ. ბარამიასთან არ მქონიაო...

კანდიდ ჩარეკიანი, რომელიც ისედაც შმეუნივრად ხელი ბოდა, რომ პლენუმშე საკითხის განხილვა (აბსურდულობის

გამო) საჭირო პოლიტიკური სიმწვეულით და მიზანდასა ხულობით  
არ მიმდინარეობდა, რასაც მოსკოვი არ აპატიებდა (და სამოლო-  
ოდ არც აპატია!), უშალ ჩაეჭიდა ბარამიას განცხადებას და პო-  
ლო სიტყვაში სუსხიანად განაცხადა (ეს მისი კველაზე მკაფიო  
სიტყვები იყო იმ დღეს): „ბარამია საკითხს აყენებს, რომ ჩვენ  
შეუძლებოლობა გაუწიოთ სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილების ნაწილის  
გადახედვაში. ვინ პგონია მას საქართველოს კომიტეტის ცენტრა-  
ლური კომიტეტი! ხედავთ, როგორ განაწყენდა, როგორ მოხვდა,  
როცა მეგრელთა ნაციონალისტური ჯგუფი გახსენეთ!“.

პლენუმმა ერთხმად დაადგინა:

დაიგოს ბარამიას ანტიპარტიული და ანტისახელმწიფო-  
ებრივი საქმიანობა;

მოიხსნას მიხეილ ბარამია საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მე-  
ორე მდივნის პოსტიდან და გამოყვანილ იქნეს ცკ-ის წევრთა  
შემადგენლობიდან;

მოიხსნას სამუშაოდან ავქსენტი რაფაელ და გამოყვანილ  
იქნეს საქ. კპ(ბ) ცკ-ის წევრთა შემადგენლობიდან;

მოიხსნას კლადიშერ შონია საქართველოს პროკურორის  
თანამდებობიდან და მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმე-  
ბაში მოქლი რიგი სისხლის სამართლის საქმის უკანონოდ შეწ-  
ყვეტისათვის. სარევიზო კომისიის წინაშე დადგეს საკითხი მი-  
სი პარტიის რიგებიდან გარიცხვის შესახებ;

მოიხსნან ცენტრალურ კომიტეტში სამსახურიდან: კონ-  
სტანტინე ჭიჭინაძე — პარტიული, პროფესიონალული და კომ-  
კაუშირული ორგანოების განყოფილების გამგე, მიტროფანე კუ-  
ჭავა — აღმინისტრაციული განყოფილების გამგე და გახტანგ  
კუპრავა — ყოფილი აღმინისტრაციული განყოფილების გამგე.  
კ. ჭიჭინაძე და კ. კუპრავა გამოყვანილ იქნენ საქ. კპ(ბ) ცკ-ის  
წევრთა შემადგენლობიდან.

ამ დადგენილების მიღებამდე დაისვა საკითხი (იგი აკაკი  
მგელაძემ დაჟინებით წამოჭრა) ზუგდიდის რაიკომის პირველი  
მდივნის გრიგოლ ჩაჩიბაიას შესახებ. კანდიდ ჩარკვიანმა პლე-  
ნუმს განცხადა, ჩაჩიბაია, რომელიც ბარამიას კეთილგანწყო-  
ბით სარგებლობდა, კარგა ხანია უნდა მოგვეხსნა, მის საკითხს  
ცეკას ბიუროზე განციხილავთ.

გრიგოლ დუტეს ძე ჩაჩიბაია (1906-1983 წ.წ.). წარმოშობით მარტვილის რაიონიდან იყო. პარტიული მუშაობა ნაცაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდგრადი დაიწყო. 1937 წელს გეგეჭკორის რაიონიმის მეორე მდივანი გახდა. 1938 წელს ზუგდიდის რაიონიმის პირველ მდივანად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე კირილე ბეჭედია შეცვალა. იქ უცვლელად იმუშავა 1951 წლამდე. იყო კარგი ორგანიზატორი, ზრუნავდა ქალაქის გამწვანება-კუთილმოწყობისათვის. 1951-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო. განთავისუფლების შემდეგ მუშაობდა ტენიკოს ტრესტის მმართველად თბილისში, აჩივვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად. 1972 წელს გადაიყვანეს გერიფიშის რაიონის ამყელის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელად. იყო სოციალისტური შრომის გმირი.

ამბობენ, ლეფორტოვის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ლ. ბერიამ მასთან მიევანილ გრ. ჩაჩიბაიას წინ ზუგდიდში დაღმული სტალინის ძეგლის სურათი დაუდო და სარკასტულად უთხრა, ამ კაცისთვის იქლავდი თავსო?

\*\*\*

პლენუმის მეორე დღე მთლიანად ორგანიზაციულ საკითხებს დაეთმო. საფუძვლიანად იმუშავეს პლენუმის გადაწყვეტილების ტექსტზე. კანდიდ ჩარკვიანის წინადაღებით, პროკურორისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის შეფასება „ანადამა კმაყოფილებელი“ შეცვალეს „სრულიად არადამა კმაყოფილებლით“, იქ, სადაც ქვერა „რუოლუციური კანონიერება“, „ახალი ტერმინოლოგიის შესაბამისად, ჩაწერეს „საბჭოთა კანონიერება.“

პირველ მდივანს შეახსენეს, რომ მიზა ბარამიამ თავი დანაშავედ არ ცნო და სკ(ბ) ცკ-ის დადგენილება კანონად არ მიიღო. კანდიდ ჩარკვიანმა გაღიზიანებულმა უპასუხა, ბარამია ცნობს თუ არ ცნობს, ამას მისთვის აქვს მნიშვნელობა, სხვ ბისთვის კი არაო. შემდეგ მიუთითა, საჭიროა ხაზი გაესვას ემზრანტ ევგენი გეგეჭკორის ჯაშუმური ჯგუფის მტრული შოქმე დების სერიოზულ საფრთხესო (თითქოს გრძნობდა, რომ თანაბათან ეს მიმართულება გახდებოდა მთავარი „ბარამიაზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში) და მოითხოვა, დადგენილებას დამატე-

ბოდა სიტყვები: „არ შენელდეს ბრძოლა სხვა ელემენტების მა-  
მართაც, დაუნდობლად გამსიღოთ და ამოვძირკვეოთ ისინი.“  
ოღონდ არ დაუკონკრეტებდა ვინ „ისინი“, რა ჯერის „სხვა ელე-  
მენტებზე“ ლაპარაკი, ვის მიმართაც არ უნდა შენელდეს ბრძო-  
ლა და ამოვძირკვის ღონისძიებები. ეს 30-იანი წლებიდან გად-  
მოყოლილი ტენდენციაა — ბრძოლა ზოგადად მტრის წინააღ-  
მდეგ, როცა მტერი, ნემსისა და აქლემის ქურდის მსგავსად თა-  
ნაბარ ხარისხში განიხილება — შინაურებში „კრამოლურ“ ანეკ-  
ლოტს ჰყვება თუ კრემლის აფეთქებას აპირებს.

პლენუმმა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია მა-  
ნა ბარამიას გამოსვლა, აღნიშნა, რომ მან ვერ გაიაზრა სკპ(ბ)  
ცკ-ის დადგენილება, გულწრფელობა არ გამოიჩინა პლენუმის  
წინაშე, ბოლომდე არ აღიარა თავისი შეცდომები და დაადგა  
სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილების ცალკეული პუნქტების გაბიაბრუ-  
ების გზას. ეს მის არაპარტიულობაზე მეტეველებს, იგი აგრძე-  
ლებს პარტიის მოტყუებასო.

პლენუმმა ასევე არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა კონ-  
სტანტინე ჭიჭინაძის გამოსვლა. მან პლენუმს არ უამბო „თავი-  
სი არასწორი ანტიპარტიული მოქმედებების შესახებ.“

საქმიანი წინადადება შეიტანა აკაკი მგელაძემ: ტექსტში აღი-  
ნიშნოს „მლიქვნელობისა და მამებლობის წინააღმდეგ ბრძოლის  
აუცილებლობა“.

გადწყვეტილებას ერთხმად იღებენ — „დაიგმოს, ამოიძირკვის!“  
„ბარამიას ანტიპარტიულ ჯგუფთან“ ბრძოლა ეშვში შედის.

**თემანი:** პლენუმის პირველ დღეს სახელმწიფო უშიშროე-  
ბის მინისტრმა ნიკოლოზ რუხაძემ თავისი მოადგილე გენერალი  
ირაკლი ნიბლაძე ამხილა, ბარამიას დასთან ლიდასთან საეჭვო  
საქმიანი ურთიერთობა პქონდა, თავისთან სახლშიც კი შეზღაო.

ი. ნიბლაძემ სასტიკად იუარა, ჩემთან არასდროს არ ყო-  
ფილა, სულ ერთხელ შევხვდი სხვის ოჯახში, სულრაზეო.

და რა გგონიათ, პლენუმის მეორე დღეს ნ. რუხაძემ აღია-  
რა, შევცდი, ი. ნიბლაძე მართლაც სხვის ოჯახში შეხვედრია  
ლიდა ბარამიასო.

აქ ძალაუნებურად ისმის კითხვა: კი მაგრამ, რატომ დან.  
ტერესდა ასე ცხოვლად პლენუმი, თუ სად შეზედა გენერალ  
ნიბლაძე ლიდა ბარამიას, ან რატომ პქონდა პრინციპული მისა?  
ვნელობა ნ. რუხაძისთვის, რომ თავისი მოადგილე ქვეყნის პარ.  
ტიული ელიტის წინაშე გაეშავებინა, ლიდა ბარამია პფუდა  
სტუმრადო, ი. ნიბლაძისთვის კი — იმის დამტკიცებას, რომ ეს  
ასე არ ყოფილა?

საქმე ის არის, რომ მიხა ბარამია უკვე კეთროვანია. უტო-  
მატურად კეთროვანია მისი ყველა ახლობელიც. ნ. რუხაძემ ფფ-  
ლაზე უძით იცის, რა მოელის ამ კეთროვანს: ხვალ თუ ზედ, არა  
მარტო მიხა ბარამიას, არამედ მის ცოლსა და დასაც დაამა-  
ტირებს. და შეიძლება რიკოშეტით თავისი არასასურველი მო-  
ადგილეც თავიდან მოიშოროს. ეს, ალბათ, ამ სკამმორუელის  
მოადგილემაც იცის, ამიტომ უარყოფს ლიდა ბარამიას ნაცნო-  
ბობას ასე თავგამოდებით (სხვათა შორის, ნ. რუხაძე მოგვიანე-  
ბით ცდილობდა გამომძიებლის მეშვეობით პატიმართაგან, კრ-  
ძოდ, მიხა ბარამიასგან, ჩვენებები მოეპოვებინა გენერალ-მაიორ  
ი. ნიბლაძეზე, რომელიც სძულდა, რადგან ეს კაცი არ მაღადა  
და ხმამაღლა ლაპარაკობდა რუხაძის მუშაობაში არსებულ ნაკ-  
ლოვანებებზე).

მაგრამ ამ ამბავს სხვა გაგრძელებაც აქვს. გამარჯვებულ-  
მა ირაკლი ნიბლაძემ ეტყობა ემოციები ვერ მოთოკა და გულ-  
მოცემულმა მიხა ბარამიას მიმართ ისეთი უკადრისი სიტყვები  
იხმარა, რომ კანდიდ ჩარკვიანმა მკაცრად შეაწყვეტინა, ბარა-  
მიას საკითხი ახლა წამოიჭრა, არც ჩვენ და არც თქვენ არ ვა-  
ციდით, რა კაციც ჭოტილა, ამგვარი სიტყვები არა მარტო იმა-  
მიმართ არ უნდა წარმოთქვათ, ვინც შეიძლება შემდეგში გამო-  
აშკარაჟდნენ, არამედ საერთოდ არავის მიმართო და ორჯერ მო-  
ახდევინა ბოდიში გენერალ-მაიორს.

პლენემზე, ი. სტალინის მითითების შესაბამისად, შეტანა  
საქართველოს კომპარტიის თბილისისა და ქუთაისის საოლქო  
კომიტეტები. როგორც ჩანს, ი. სტალინს უბრალო საკადრო  
წმენდა არ აკმაყოფილებდა. გამოცხადდა საქართველოს კონ-  
სტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ თბილისისა და

ქუთაისის ოლქების შექმნასთან დაკავშირებით. ახალ ოლქებში აირჩიოდა აღმასკომები „საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი შეცდომებისა და პოლიტიკური ფიასკოს შედეგების ლიკვიდაციის მიზნით“

რათა ქვეყანა გარანტიორებული კოფილიყო ნაციონალისტური საფრთხისაგან, სტალინმა ცენტრის პარალელურად მოამძლავრა და მრისხანე მუშტად შეკრა რევიონული (საოლქო) ხელმძღვანელობა. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ 1953 წლის აპრილში გაუქმდა. სამართლიანობის მიზნით უნდა ითქვას, რომ ოლქების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებები იმ პერიოდში სხვა რესაუბლივებსა და ეროვნულ აუტონომიებშიც მიიღეს.

საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებად დამტკიცდნენ მანამდე საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნები მიხეილ ლელაშვილი (თბილისი) და აკაკი მგელაძე (ქუთაისი). ისინი ცეკას ბიუროს წევრებად აირჩიეს. ცეკას ბიუროს წევრად აირჩიეს მანამდე წევრობის კანდიდატი, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძეც.

ამრიგად, დასასრულ, კანდიდ ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ განხილვა მთლიანობაში დამაკმაყოფილებელად ჩატარდა, დასახელდა ზოგიერთი ახალი გვარი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ცოტა დასახელდა, ამ ჯგუფთან გაცილებით მეტი ადამიანია დაკავშირებული, ვიდრე ითქვა (აღგილიდან — სწორია!). ეს გვალდებულებს, გასაქანი არ მოცეო იმათ, ვინც დაკავშირებული იყო ბარამიასთან და მონაწილეობდა ძირგამომთხრელ საქმიანობაში. ეს ჯგუფი ისე უნდა გავანადგუროთ, რომ მასზე მოგონებაც კი არ დარჩეს.

**ჩერადსაღები ინიციატივა**. 2004 წლის ოქტომბერში ტელეკომპანია „რესტავი-2“-მა მაყურებელს უწევნა გელა ჩარკვიანის საავტორო დოკუმენტური ფილმი „ქართველები კრუმლში და კრუმლს გარეთ“. მასში კანდიდ ჩარკვიანი ასე ხსნის სტალინური საოლქო კომიტეტების წამოწყების არსს (მისი საუბარი ვიდეოფირზე ჩაწერილია 1980-1990 წლების მიჯნაზე): „მაშინ საქართველოს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში

ჭარბობდნენ მუკრელები. იმერლები, გურულები, ქართლულები და ქახელები კი შედარებით ცოტანი იყვნენ. და აი, დასავლელების თბილისის სკენ სწრაფვე რომ შეეჩერებინათ, ისინი რომ დასავლეთშივე დარჩენილიყვნენ, აღმოსავლელნი კი უფრო წამოწეულიყვნენ წინ თბილისში, სტალინმა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ადმინისტრაციულად გამიჯნა ერთმანეთისგან.“

\*\*\*

ასეთი იყო „დღე პირველი“.

შევაჯამოთ სამი კაცი (ძმები ა. და ი. რაფაელი და ვ. მონია) უკვე დაპატიმრებულია, რამდენიმე მსხვილი პარტიული უნიტციონერი დასჯილია პარტიული ხაზით. რაც მოსარის, აფეთქებულია ნაღმი, რომელმაც ზვავი უნდა დაძრას და ქვეშ თითქმის მთელი სამეგრელო მოიფოლოს. და არა მხოლოდ სამეგრელო (გაიხსენეთ „არასაკმარისი რიცხვი დასახელდა... ამ ჯგუფთან გაცილებით შეტი ადამიანია დაკაუშირებული, ეიღრე ითქვა... გასაქანი არ მივცეთ იმათ...“).

თითქმის კველა, ვინც პლენუშჩე დაგმო „ბარამიას და მასი ჯგუფის ანტიპარტიული საქმიანობა, რის გამოც ისერუბიან პატიოსანი მეგრელები“ — კირილე ბეჭედია, რაფიელ კვირკველია, ვალერიან გუგუნავა, გრიგოლ კოკაია, გრიგოლ კარანაძე მიხეილ კვარაცხელია და სხვები, ხვალ სწორედ ამ „ანტიპარტიული ნაციონალისტური ორგანიზაციის“ წევრები აღმოჩნდებან და ნომენკლატურული საყარძლებიდან პირდაპირ ციხის ნარებზე გადაინაცვლებენ. მაგრამ ჯერ, დროებით, სანამ ნ. რუხაძის ორიინი კები ყელში სწვდებიან, ისინი „გმობენ“, რადგან სხვაგვარად თვითონაც ავტომატურად ჩაირიცხებიან დასაგმობთა რიცხეშმი (ბოლოს მაინც ასე მოხდა!). აკი ცხაკაიას რაიკომის პირველ მდგარის ვალერიან გუგუნავას სიტყვით გამოსვლისას მეღვბივით წაესოვნენ პლენუმის წევრები, შენც ბარამიას კუდი ხართ. გვარიანი შიში ჭამა წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდგარში მიხეილ კვარაცხელიამაც, დიდი ჯაფით შეძლო რეპლიკების დედგმის მოგერიება.

## დღე მეორე

კომუნისტებისთვის სკპ(ბ) ცქ-ის დირექტორებისა და საქ. კპ(ბ) ცქ-ის ნომბრის პლენურის გადაწყვეტილებების გასაცნობად ცეკას ბიურომ პარტიული ორგანიზაციებისადმი დახურული წერილით მიმართვის ფორმა აირჩია. მასში, გარდა ბარამიას ანტისახელმწიფოებრივი და ანტიპარტიული ჯგუფის იმ საქმიანობისა, რომელიც მოყვანილი იყო სკპ(ბ) ცქ-ის დადგენილებაში, შევიდა „დამატებითი ფაქტები იმავე ჯურისა, რომლებიც პლენურშე გამოვლინდა და ცქ-ს პქრინდა ხელთ“. საკითხის სერიოზულობის გამო, ბიურომ ყველა რაიონში რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელი მუშაქები მიაკვლინა.

ვთქვათ პირდაპირ: „ბარამიას ჯგუფის“ ანტისახელმწიფოებრივი და ანტიპარტიული საქმიანობის დამადასტურებელი რაიმე არსებითი ფაქტი არც სკპ(ბ) ცქ-ის დადგენილებაში იყო მოცემული და არც საქ. კპ(ბ) ცქ-ის პლენურშე გამოვლინდა (მკითხველი აკი უკვე გაეცნო ამ „გამოვლენილ ფაქტებს“). უბრალოდ, საკმარისი იყო, რაიმე გეთქვა მ. ბარამიას გასაშუალებლად, რომ მას უმაღ „ფაქტად“ მონათლავდნენ.

საქართველოს პრეზიდენტის არქივში უზარმაზარი ტომია ანგარიშებისა, თუ რა აღმავლობით განიხილეს დახურული წერილი საქართველოს კომუნისტებმა, როგორ დაგმეს, რა ზიშლი გამოუცხადეს ბარამიას ანტიპარტიულ ჯგუფს, რა მკაცრად დასჯა მოითხოვეს... ერთი სიტყვით, ყველაუკერი ისე წარიმართა, როგორც მანამდე ხდებოდა ხოლმე, როგორც ელოდნენ.

ამასობაში გაშლილი ფრთხოებით მოქმედებს ნიკოლოზ-ჩუხაძე: უშიშროების ორგანოები იჰქვრენ, დაპკითხაუენ, ამხელენ.

ნოემბრის განმავლობაში „მეცნიელთა საქმეში“ საბოლოო სახე მიიღო: ყველა ძაფი საფრანგეთში ემიგრირებულ ქართველ მენშევიკებთან მიდის. სტალინისთვის მომზადებულ დოსიერში ფიგურირებს უგენი გეგეჭკორი, როგორც ამერიკის ჯაშუში, რომელსაც კავშირი აქვს რეზიდენტთა ქსელთან სხირ ქაშირში და ბარამიას ანტიპარტიულ ჯგუფთან. ამ ორგანიზაციას ჯაშუშური საქმიანობა უნდა გაეძალა საქართველოში, რათა ძირი გამოეთხარა საბჭოთა სახელმწიფოსათვის. ორგანიზაციის მიზანი საქართველოს გამოყოფა და მისი თურქეთის შეერთება იყო.

რუხაძეს დაევალა საქართველოს, თურქეთისა და პარიზის მეცნიელთა შორის კავშირის გარკვევა. მას უნდა ემხილებინა შეაქმულება, რომელსაც საქართველოში ბერია ამზადებდა სტალინის წინააღმდეგ, თან, სხვათა შორის, ლავრენტი იმის დამალვაში უნდა დაედანაშაულებინა, რომ... ებრაელი იყო, — წერს პ. სუდოპლატოვი („სპეცოპერაციები. ლუბიანკა და კრემლი“).

სასოწარკვეთილი მისა ბარამია თავზეხელადებულ ცდა მიმართავს. 13 ნოემბერს მან ცეკას ტელეფონით სიხოუ, მოსკოვში წასვლის ნება მომეცით, რათა იქ „მომისმინონი“ უკაუთხრეს. ის კი არა, გააფრთხილეს, ფქნი არსად გაადგაო. მაგრამ მან 18 ნოემბერს ჯერ ოჯახის მეუღლებარი ნინო თოფურია გაუზავნა მოსკოვში და კრემლის კომენდატურაში ჩასაბარებლად წერილი გაატანა, შემდეგ თვითონვე წავიდა, ოღონდ ინკოგინტოდ: თვითმფრინავის ბილეთი ისევ იმ ქალს ააღებინა თოფურიას გვარზე და 25 ნოემბერს გაფრინდა (მანამდე მოსკოვში, ოღონდ არა ინკოგინტოდ, იყო კონსტანტინე ჭიჭინაძე). იქ იყს. იგნატიევს შეხვდა, რომელსაც კარგად იცნობდა, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, კერავითარ შედეგს კურ მიაღწია).

მ. ბარამია ვერც მაღენკოუთან მოხვდა და კურც ბერიასთან, სხვა კი რას გაუკეთებდა! მაღენკოუის თანაშემწისაგან შხოლოდ ის შეიტყო, რომ მისი საკითხი (ნოემბრის დადგენილების პროექტი) მოსკოვში არ განხილულა, ანუ მართლაც სტალინი

„საავტორო“ ქმნილება იყო და ცუდი წინათგრძნობით შეპყრის-  
ბილი დაბრუნდა შინ.

გუმანმა არ უმტკუნა. დაბრუნებისთვალი თრივე პარტიის  
ცენტრალურ კომიტეტში დაიბარუს, საკითხის მოსკოვში გასა-  
ჩივრება პარტიული დისციპლინის დარღვევად ჩაუთვალეს („ამით  
მათ ეჭვებეშ დაავენეს თვითანთ პოლიტიკური წესიერება“), რის  
გამოც, „პქრნდა რა სხვა მასალებიც ბარამიასა და ჭიჭინაძის  
ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე, ცენტრალურშა კომი-  
ტეტმა მათი ქმედება შეუთავსებლად ჩათვალა პარტიაში ყოფ-  
ნასთან, ისინი გარიცხა პარტიიდან და მათზე საქმე გადასცა  
სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს“.

ჩრდადსალგი ინფორმაცია. კანდიდ ჩარკვიანი იგონებს  
(დოკუმენტური ფილმი „ქართველები კუმლში და კუმლის გარეთ“):

„ნოემბრის პლენურის მეორე დღესვე სტალინთან ჩადგი ახალ  
ათონში. კარგ ხასიათზე დამხვდა. მოვახსენე, დამნაშავენი  
სამსახურიდან მოუხსენით - მეთქი. შეიძლება დამნაშავენი არც იყვნენ,  
მაგრამ ახლა უფრო ფხიშლად იქნებიანო, მიპასუხა (?! — ა.ა.).

როცა მოგვიანებით ბარამია თვითნებურად წაეიდა  
მოსკოვში, რუხაძემ წყნეთში დამირუება, აკრძალვის მიუხედავად  
ბარამია მაინც წაეიდა, შემიძლია როსტოვში ჩამოესვა და თქვენ  
რას იტყვითო. ამაზე უარი ვუთხარი, შეიძლება მერე ხელზე  
დაეხვიათ, კაცი თავის ბედის გასარკვევად მიდიოდა და არ  
გაუშევსო. თანაცვიცოდი, სტალინთან ვერ მოხვდებოდა.

მერე პოსერკებიშევმა დამირუება, თუ იცი ბარამია სად  
არისო? ვიცი, მოსკოვშია-მეთქი. თან ვთხოვე, სტალინთან  
შეხვედრა მინდა-მეთქი. დაგირეკავო. მართლაც, ჩქარა  
დამიკავშირდა, ჩამოდიო. მეორე დღესვე ჩაეედი. სტალინი  
საშინლად გაღინიანებული შემხვდა, თქვენ მიცით მათ მოსკოვში  
ჩამოსვლის უფლებაო? - მეთხა. არა, პირიქით, წამოსვლა  
უუკრძალე - მეთქი. ესე იგი პარტიული დისციპლინა დაარღვიეს,  
რას აპირებთო? დაუსჯით, სასტიკ საყვედურს გამოუუცხადებთ -  
მეთქი, ვუთხარი. საყვედური ძალზე იოლი სასჯელია, ასეთი  
დანაშაულისათვის დაპატიმრების ღირსი არიანო, თქვა და

მოულოდნელად მეორე ოთახში გავიდა. მე და ბერია მარტი დაურჩით, ჩუმად ვიცლიდით სტალინი ჩქარა დაბრუნდა, სწორ რომ დაპატიმრების ღირსი არიანო, გაიმეორა.“

სამართლებრივი სამინისტრო

უშიშროებამ უმაღლ დაპატიმრა მიხა ბარამია და კატერინაძე. თავზარდაცემულმა მიხამ წერილები გაუგზავნა კატერინა ჩარევიანს და იოსებ სტალინს, უდანაშაულო ვარო, იუ. ცეცოდა. ეინ მოუსმინა!

1951 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების საფუძველზე, პროკურატურამ დაპატიმრა და სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისცა პატიმრატიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის, მფლანგველთა და დამტაცებელთა მფარველობისათვის“ პარტიიდან უკვე გარიცხული ზუგდიდის რაიკომის პირველი მდგრანი ვრიგოლი ჩაჩიბაა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გუგუ გოძერია და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გახო ბეჭედია (დაპატიმრა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ, დაწყებით პერიოდში ძიება პროკურატურასთან ერთად წარმოებდა, შემდეგ „მ. ბარამიას საქმესთან“ გაერთიანდა). დაპატიმრეს აგრეთვე 20-მდე კაცი (2004 წელს გამოვიდა ვასი ბეჭედიას მეუღლის, ძველი კომკავშირული მუშაკის, 90 წლის ქალბატონის ლუდმილა ჭითანავა-ბეჭედიას მოგონებათა სამარტერესო წიგნი „ხიფათიანი გზა“, რომელიც ბევრ საყურადღებო ცნობას გვაწვდის მაშინდედა მოვლენებზე).

ამ პერიოდისათვის არც ერთი დაპატიმრებული არ იძლეოდა ჩვენებას „მეტრული ნაციონალისტური ჯგუფის“ „არსებობაზე, თუ ცა ნიკოლოზ რუხაძე, მისი მოადგილე მირიან თავდიშვილი, უმომბიებლები გიგი ქესანაშვილი, კუციავა, სტეპანოვი, მილიადურ და სხვები ტყავიდან ძერბოდნენ, რათა, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, პატიმრებისთვის დანაშაულის აღიარება აეძულებინათ.

როგორც ჩანს, დაპატიმრების პირველმა ელდამ ისე დარგუნა მიხა ბარამია; რომ 16 დეკემბერს გამოძიებას ასეთი ჩვენები მისცა: „საღად აფრინ-დავწონე რა ზოგიერთი მეცნულის, რომელ საც საპასუხისმგებლო პარტიული და საბჭოთა პოსტები ეკუთ

საქართველოში — ყოფილი იუსტიციის მინისტრის ა. ნ. რაფაელს, რომელიც თავის გარშემო უპირატესად მეცრელებს იკრუბდა და წინ სწორდა საპასუხისმგებლო პოსტებზე, ყოფილი რესპუბლიკის პროკურორის ვ. ა. შონიას, რომელიც უკანონო გადაწყვეტილებებს იღებდა ზოგიერთი მეცრელის საქმეზე (ნაწილობრივ ჩემი მითითებითაც) ჩადენილი დანაშაული, დაურწმუნდი, რომ ნათლად იხატება მეცრელ ნაციონალისტთა ჯგუფის არსებობა“.

ეს ამბავი უმაღლ. 1951 წლის 20 დეკემბერს ამცნო ცკ.-ის პლენურმს კანდიდ ჩარკვიანმა, გამოძიება ბარამიასა და სხვათა საქმეზე სრული სვლით მიღის და უთეოდ გამომჟღავნდება მათი ეველა დანაშაულით.

20 დეკემბრის პლენურმის დღის წესრიგში ორი საკითხი იდგა: სკპ(ბ) ცკ.-ის 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილების შესრულების მიმღინარეობა და საორგანიზაციო საკითხები.

ცნობა კანდიდ ჩარკვიანმა წარმოადგინა.

იგი იწყებს მაგალითით, რომელიც ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე დაუსახელებიათ ზუგდიდის რაიონის დიდიჭულინის ჩაის ფაბრიკის დირექტორი მელუა 1947 წელს, სისტემატური ლოთობისა და ხულიგნობისათვის, რაიონის გადაწყვეტილებით მოხსნეს თანამდებობიდან და სასტიკი საყვედური გამოუცხადეს პირად საქმეში შეტანით. მელუა, საბჭოთა მეურნეობის ინჟინირის კემულარიას საშუალებით, დაუკავშირდა მიხა ბარამიას მამას ივანეს, რომელმაც შვილთან საქმე „ჩააწეო“ და მიხა ბარამიამ, ცკ.-ს პირველი მდგრინის ადგილზე არყოფნის დროს, ბიურო ჩატარა და შეცვალა რაიონის ბიუროს გადაწყვეტილება მელუას საშსახურიდან მოხსნის შესახებ, მხოლოდ საყვედურის გამოცხადება დაუტოვა.

კ. ჩარკვიანმა ხაზი გაუსვა, რომ მ. ბარამიას წალენჯიხური კუშირების შესახებ (ადრე იქ მუშაობდა) ლაპარაკი იყო არა ამ რაიონის, არამედ თბილისისა და სხვა რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში, თვით წალენჯიხაში კი განხილვამ მკრთალად ჩაიარა. ეს გასაგებიცაა (ხმა დარბაზიდან: წალენჯიხის რაიონის ხელმძღვანელები ახლოს იყვნენ ბარამიასთან!), წინა პლენურმზე წალენჯიხის რაიონის პირველი მდგრანი მიხეილ კვა-  
7. ალექს (ალექს) ახლანიშვილი. მეცრელთა საქმე

რაცხელია გამოუიდა აქ და ფაქტობრივად კერაფერი თქვა. ამა-  
და, ცენტრალურ კომიტეტს აქვს მასალები, რომ წალენჯიხის  
რაიონის გუნდი სიმღერას მღეროდა ბარაშიაზე (გამოცემულია  
დარბაზში), წალენჯიხის საშუალო სკოლას ბარაშიას სახელი  
აქვს მიკუთხნებული, რაიონში არის ბარაშიას სახელობის კოლ-  
მეურნეობა, წალენჯიხის ერთ-ერთ ქუჩას ბარაშიას სახელი  
პქვია (ცნობისთვის: ბატონმა მამანტი პაჭყორიამ, რომელიც პარ-  
ტიის ზუგდიდის რაიონის მეორე მდივნობიდან 1948 წელს გა-  
დაიყვანეს ჩხოროწყუში პარტიის რაიონის პირველ მდივნად, ამ  
საკითხთან დაკავშირებით საგანგებოდ მომწერა, თუმცა ბარაშია  
წარმოშობით ჩხოროწყუდან იყო, ჩვენ მაშინ მისი სახელი არც  
ერთი ობიექტისთვის არ გვიწოდებია).

მოგვიანებით აკაკი მგელაძემ უფრო დააკონკრეტა: აუ-  
ტორი ბარაშიაზე სიმღერისა, რომელსაც სისტემატურად ას-  
რულებს კულტურის სახლის გუნდი, არის ფილიპე კვარაც-  
ხელია, რომელიც პარტიიდან გარიცხული და გასამართლე-  
ბულია სოციალისტური საკუთრების დატაცებისთვის. რაი-  
ონის ხელმძღვანელობა სისტემატურად ესწრებოდა ამ კონ-  
ცერტებს. რაიონის პირველ მდივანს მიხეილ კვარაცხელიას  
აქვს მიხა ბარაშიას და თავისი 1,5X1 კვადრატული მეტრი ზო-  
მის პორტრეტები. კვარაცხელიას მსგავსი ადამიანი არ შეიძ-  
ლება იყოს რაიონის პირველი მდივანი. უნდა განვიხილოთ  
მისი პარტიული საქმე. მ. კვარაცხელიამ შეიძლება ეოფილი  
ზუგდიდის რაიონის პირველი მდივანის ჩაჩიბაიას ბეჭი გა-  
ზიაროს...

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სა-  
კურორტო სამმართველოს ყოფილმა უფროსმა ბერაძემ „აღ-  
მაშფოთებელი“ რამ განაცხადა: ბარაშია თურმე არაერთგზის  
მოითხოვდა მისგან დონისძიებათა მიღებას, რათა კურორტი ლე-  
ბარდე რესპუბლიკური მნიშვნელობისად ექცია, თუმცა დაშვე-  
ბული სახსრები მოქმედი დიდი კურორტების საჭირო დონეზე  
არსებობისთვისაც კი არ არის საქმარისი. ბარაშია მხარის უკურდა  
ზუგდიდის ყოფილ ხელმძღვანელებს რაიონული ცენტრის შე-  
ნებლობისა და კუთილმოწყობის უკანონო და ანტისახელმწია-

უოებრივ ქმედებაში (?). ზუგდიდი გარუგნულად ბრწყინვადა, მაგრამ შინაგანად ლპებოდა.

რაიონის შემოწმება დაუწეიათ სოფლების წაქვინჯისა და რუხის კოლმეურნეობებში დატაცების და გაფლანგვის შესახებ სამართალდამცავი ორგანოების მასალებით. გამოირკვა: რაიონის პროკურატურა და სასამართლო ორგანოები აშკარად მოურელობდნენ გამუღლანგველებსა და დამტაცებლებს. ამ შემოწმებისას გრიშა ჩაჩიბაია და აღმასკომის თავმჯდომარე გუგე გობეჩია პირდაპირ კბილებით იცავდნენო თავის ხალხს.

ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელები აბუქებდნენ ბარამიას ავტორიტეტს. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაარქვეს. იქამდე მივიღნენ, რომ XVIII პარტყურილობის სახელობის კოლმეურნეობას, სხვა კოლმეურნეობასთან შეერთების შემდეგ, ბარამიას სახელობის კოლმეურნეობა დაარქვესო.

მეორედ გამოსცდისას ჩარკვიანმა იღაპარა კროკურატურისა და იუსტიციის ორგანოების მანკიერ მუშაობაზე. თურმე პროკურორ კლადიმერ შონიას ბინაში დიდხანს იმაღლებოდა მისი ნათესავი, სახელმწიფო ქონების დამტაცებელი ქალი ეთერია, რომელზეც სასამართლო ძებნა იყო გამოცხადებული.

პირველმა მდივანმა პლენუმს აცნობა, რომ პროკურატურის ცენტრალური აპარატის 55 პასუხისმგებელი მუშაკიდან მოხსნილი და დათხოვნილია 15 კაცი, საქალაქო და რაიონულ პროკურატურებში გადაყვანილია 6, პროკურატურის ადგილობრივი ორგანოებიდან კი მოხსნილ-დათხოვნილია 13 კაცი; იუსტიციის სამინისტროს აპარატიდან მოხსნილი და დათხოვნილია 6 მუშაკი, სულ კი ამ სამინისტროს სისტემიდან — 26 პასუხისმგებელი მუშაკი; სასამართლო ორგანოებიდან — 15 (ამ 15-დან 2 რესუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრი იყო, 13 კი — სახალხო მოსამართლე); ადგიკატურიდან გაყრილია 37 კაცი. სულ პროკურატურის, იუსტიციის და სასამართლო ორგანოებში გაიგზავნა 60 ახალი მუშაკი.

პლენუმს არ დასჭირებია განმარტება, რომ ეს მოხსნილ-დათხოვნილ-გაყრილი მუშაკები მეგრული წარმოშობისა იყენენ...

მ. ბარამიას მხილება სხვებმაც გააგრძელეს. სიმკაცრითა და კონკრეტული მაგალითების სიუხვით კვლავ აკაკი მგელაძე

გამოირჩეოდა. მან ახალი მომენტი წამოსწია წინ: ბარამიას ან-ტისახელმწიფოებრივი ჯგუფი ხელოვნურად ბერსედა მონაცე-მებს, რათა მისოვის საჭირო, დასაყრდენ ადამიანებს სოცია-ლისტური შრომის გმირის წოდება მინიჭებოდათ ასეთი ფაქტე-ბი იყო, კერძოდ, ზუგდიდში, შესამოწმებელია, იქნებ — სხვ რაიონებშიც. შემდეგ: ბარამიას დაუსხნია თავისი ნათესავი, ფო-თის „ზაგორიზერნოს“ ბაზის დირექტორი, გამფლანგველი და ქურ-დი ვ. თოლეუა. არ მოახსნევინა და არ დააჭირინა, უბრალოდ გა-ათევისუფლეს და... სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს საზით მკურნალობაც კი დაუწეულია — ა.ა.).

პლენუშჩე ხანდახან პირდაპირ სასაცილო მდგომარეობა იქმნებოდა (რა თქმა უნდა, სასაცილო — გადატანითი მნიშვნე-ლობით, თორებ სასაცილო კი არა, სატირალი იყო).

ვაჭრობის მინისტრი მიხეილ ნარსია აცხადებს, რომ ცე-კას დახურულ წერილში ნახსენები ბოროტმოქმედი (? — ა.ა.) აღმიბაია მინისტრის მოადგილის კუჭუხიბის სიმამრი ყოფი-ლა, მაგრამ დახურული წერილის განხილვის დროს გამოსვლი-სას, სიძეს ამის შესახებ არაფერი უთქვამს, რის გამოც კუჭუ-ნიბის საქციელი დავგმეთო.

ახლა სხვა, უდრო „საშინელი“ ფაქტი: ოურმც ვაჭრობის სამინისტროს აპარატში შეთავსებით მთარგმნელის თანამდებო-ბაზე მომუშავე ბარკალაია, დახურულ წერილში აღნიშნული დამნაშავე ბარკალაიას მამა ყოფილა. ის სამუშაოდან მოვხსე-ნითო, უპატაკა მინისტრმა პლენუშს.

თვითკრიტიკულად გამოვიდა აბაშის რაიკომის პირველი მდგანი სევერიან. ებრალიძე. კერძოდ, ერთი დიდი „ცოდვა“ გა-ამხილა: მეც მქონდა შეცდომა მუშაობის დროს — უნებარ-თვოდ დავიწეუ საშუალო სკოლის მშენებლობათ.

თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდგანმა კუ-ტისი ჩერქეზიამ პლენუშს მოახსენა ბარამიას დის ლიდას და-ნაშაულებრივ ქმედებათა შემოწმების შედეგები: ლიდა ბარამია თეატრალური ინსტიტუტის ლექტორად მუშაობდა, იმავდროუ-ლად პარტორგანიზაციის მდივანიც იყო. დამტკიცდა, რომ მან ჩამალა პარტიის მუშაობა ინსტიტუტში — ჩაიდინა სიყალბე-

პარტიული კრების ჩატარების შემდეგ ოქმში შეიტანა პარტიის წევრ პოპოვასთვის პარტიული სასჯელის მოხსნის საკითხი და თვითონვე „დაადგინა“ პარტიის რაიკოშის წინაშე პოპოვასთვის საყვედლურის მოხსნის შუამდგომლობის აღძრა... ცეკას ბიუროშ ლ. ბარამია მოხსნა პარტორგანიზაციის მდინობილან და მისი პარტიულობის საკითხი რაიკოში გადასცა განსახილველად.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდინარმა შოთა გეთიამ უფრო გააფართოვა მიხა ბარამიას „მტრული მოქმედების“ არეალი. მას თავისი ხალხი ჰყავდა მოსკოვშიც, რომელთა მეშვეობითაც იქ აწყობდა საქართველოში მოხსნილ მუშაკებსო. დაასახელა აფხაზეთის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი პაპასქეა, რომელიც აღრე მუშაობის ჩაშლის, ჯანდაცვის ქსელში მიღიონ მანეთზე მეტი თანხის გაფლანგვისათვის გაათევისუფლეს; ასევე მოსკოვში მოეწყო „აფხაზეთში ცხენების ქურდების მამამთავარი“ ხონელიაო.

შოთა გეთიამ შეკრებილთ მოახსენა: უკანასკნელი პლენურის შემდეგ კიდევ გადაუხედეთ კადრებს და 5 კაცი გავათვისუფლეთ, მათ შორის გულრიფშის პროკურორის თანაშემწევ წულაია. იგი ამ თანამდებობაზე თავის დროზე ყოფილი პროკურორის მამულიას დაეინიხული მოთხოვნით დაინიშნა, ხოლო მერე გაირკა, რომ წულაია რესუბლიკის პროკურორის შონიას სიძე ყოფილა. წულაია ვითომ მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაქულტეტის კურსდამთავრუბულია, შემოწმებამ კი დაგვანახა, რომ წერა-კითხვის მცირე მცოდნეაო...

მასირებულად მიაწვნენ საქართველოს ალკე ცკ-ის პირველ მდინანს ფლიიანე (მამია) ზოდელავას, რატომ არაფერს აძიობ, თუ რა კეთდება კომკავშირში 9 ნოემბრის დადგენილების შესასრულებლად, როგორ თუ გაბედე და თქვე, დირექტივა მომეცით, როგორ ვიმოქმედოთ.

კანდიდ ჩარკვიანმა კუმტად განაცხადა, ჩვენ არა გვაქვს მასალები, ზოდელავა ანტისახელმწიფო და ანტიპარტიულ პიროვნებად მივიჩნიოთ, მაგრამ ფაქტია, რომ კომკავშირის ცეკაში მნიშვნელოვანი პოსტები მეგრელებს უკავიათ. საჭირო იქნება ღონისძიებების ჩატარება, რათა ეს პოსტები დაიკავონ სხვა რა-

იონებისა და პროვინციების წარმომადგენლებმაც, ჩეენ „ლა ფა...  
დაცია უნდა გაუკეთოთ“ ამასო.

სხვათა შორის, პლენუმზე, მათდა უნებურად, გაირკვე,  
რომ გაფლანგვა, სახელმწიფო ქონების დატაცება... მხოლოდ  
„მეგრელ ნაციონალისტთათვის“ დამახასიათებელი თვისება არ  
ჰოფილა.

დასახელდა ასეთი ციფრები:

ცეკავშირის სისტემაში 1950 წელს გამოვლინდა 14275 ათა-  
სი მანეთის გაფლანგვა-დატაცება, 1951 წ. I ნახევარში — 7494  
ათასის;

გაჭრობის ქსელში: 1950 წ. — 2950 ათასი, 1951 წ. I ნახე-  
ვარში — 443 ათასი;

კვების მრეწველობაში: 1950 წ. — 2900 ათასი, 1951 წ. I ნახე-  
ვარში — 870 ათასი;

რძისა და რძის პროდუქტების წარმოების სამინისტროს  
ხაზით: 1950 წ. — 390 ათასი, 1951 წ. I ნახევარში — 152 ათასი;

მსუბუქ მრეწველობაში: 1950 წ. — 132 ათასი, 1951 წ. I ნა-  
ხევარში — 240 ათასი;

სარწმი ქოლპერაციის ხაზით: 1950 წ. — 126 ათასი მანეთი,  
1951 წ. I ნახევარში — 235 ათასი მანეთი და ა. შ.

საგანგებოდ მინდა ხაზი გაუსევა ორ გარემოებას. პლენუ-  
მი იძულებული გახდა ელიარებინა:

1. „ბევრი ანონიმური წერილი მიეიღეთ. მათი ნაწილი შეი-  
ცვს ფაქტებს, რომლებიც ჩვენს ყურადღებას იმსახურებს, მაგ-  
რამ დიდი ნაწილი იქითქენ არის მიმართული, რომ დასკრიუ-  
ტაცია გაუწიოს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს“.

2. „დახურული წერილის განხილვისას შემჩნეულია ან-  
ტიპარტიული გამოთქმები. ეკელა მეგრელი ცხადდება ბარაში-  
ას ანტიპარტიული, ანტისახელწიფოებრივი ჯგუფის თანამშრახ-  
ელად და ცუდ გამოთქმებს წმართებენ მეგრელთა მიმართ“.

განა თავიდანვე არ იყო საგუმანო, რომ სწორედ ასე მოხ-  
დებოდა? განა თავიდანვე არ იყო მოსალოდნელი, რომ ეს მარ-  
თლაც ანტიპარტიული და ანტისახელწიფოებრივი დადგენილე-  
ბა, ერთი შხრივ, მოსახლეობაში ხელისუფლებისა და პარტიის

დისკურსული აციას გამოიწვევდა და, მეორე მხრივ, ხელყოფლა ქართველი ერის მთლიანობას?

ლამის ყველა მეგრული ანტისახელწიფო ელემენტად, ანუ, ყველაფერს თავისი სახელი რომ დაუარევათ, მტრად ცხადდება! რამდენი მედროვე, სინდისგარეცხილი ადამიანი დაქარგა „მტრის“ ადგილს და შეცადა მეგრულობის გამო სარმა გამოედო მისთვის. და ბევრმა შესძლო ქიდეც ეს!

ცოტა მოგვიანო პერიოდის, მაგრამ დამახასიათებელ მაგალითს მოეყვან.

დაინიშნა თუ არა ლავრენტი ბერია ხელახლა გაერთიანებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელად, მასზე დასმენების სეტიყვა მიაწყდა სკპც ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს. მწერალი ბორის სოკოლოვი წიგნში „ბერია ყოველისშემძლე სახორცის ბეჭი“ (მოსკ. 2003), ერთ-ერთი მათგანს გვაცნობს: „ამხანაგო ხრუშჩოვი და მალენკიუკი! ყურადღება მიაქციეთ ეშმაქ მეგრულს ბერიას. ის გათახსირებული აფერისტი, ნაციონალისტია. მეგრულის გარდა მისთვის არავინ არსებობს. შსს-ში კაკუჩაიას (ლაპარაკია გენერალ - მაიორ გარლამ კაკუჩაიაზე, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა 1953 წლის 16 მარტს, მაგრამ უკვე 10 აპრილს გადაიყვანეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსად, მის აღვილზე კი ვლადიმერ დეკანოზოვი დასვეს. შეიძლება ეს გადააღვილება სწორედ ამ ანონიმური წერილის შედეგიც იყოს. ისე, ამ შეცვლამ კ კაკუჩაიას სიცოცხლე შეუნარჩუნა, ლ. ბერიას დამხობის შემდეგ მას 15 წელი მისცეს, კ დეკანოზოვი კი დახვრიტეს - ა.ა.) მოაღვილედ 90 წლის კუანა წერეთელი, უწიგნური, არაფრის მცოდნე, კულაკი დაუნიშნეს (გენერალ-ლეიტენანტი შალვა წერეთელი, რომელიც 1953 წელს, ბერიას დაპატიმრების უმაღლ დაიჭირეს და 1955 წელს დახვრიტეს, კულაკი კი არა, თავადი იყო და შედარებით ახალგაზრდაც - 59 წლის - ა.ა.). ლ.პ. ბერიამ სტალინის სიკედილის შემდეგ გაანთავისუფლა ხალხის მტრები - მეგრულები. მეგრულები ამბობენ, სტალინი

ცოცხალი რომ ყოფილიყო, ბერია ვერ შეძლებდა მუგრუდის  
გაშეებასთ. ამეამად ყველა ჩვენს რუსს ჩინის გადაპირუენტება  
არ შეუძლია ბერიას გარეშე, რუსებს თავზე დააკადა, ბერიას  
ცოლის ბიძა ისიდორ გევაჲერი (ალბათ უგენი გევაჲერისხევ  
ლაპარაკი – ა.ა.), მენშევიკი, ამერიკაში (ჩანს, საფრანგეთში  
ურევენ – ა.ა.) გრიალებს, ასევე სხვა მრავალი ნაფესავი.  
აფერისტი ბერია ახლა ყველა მეგრულს მოაწყობს. რუსად  
ხალხის მტერი არ არის, მას მდიდარი მასალები პქონდა  
ბერიაზე. გამოგზავნეთ საქართველოს შსს-ში რუსები, არ  
გვინდა აფერისტი მეგრულები ბერიას მეთაურობით ჯანდაბაში  
გაგზავნეთ თავის მეგრულებიანად. ჩვენ გვიყვარს რუსები,  
სამართლიანი ადამიანები. ახლა ქართველთა სიცოცხლე კაპიკად  
არ ღირს. დიდ თანამდებობებზე მეგრულები იქნებიან,  
დანარჩენებმა კი უნდა იტანჯონ. თვითონ შეამოწმეთ, შსს-შ  
ყველა მეგრული იქნება. ბერია თქვენ დაგასამარებით, თუ არ  
მოიცილეთ. მე არ მეძებოთ, ვერ მიპოვით“.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად ვ. კაკუშავას  
ყოფნის დროის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს საზიმურო  
ბარათი მოსკოვში 1953 წელს მარტის ბოლოსა და აპრილის  
დასაწყისში უნდა შესულიყო. იგი მიგვანიშნებს, თუ რა როგორ  
იყო მაშინ ბერიას და მისი ხალხის მდგომარეობა შინაგან  
საქმეთა სამინისტროს სისტემაში, რომელიც სავსე იყო  
იგნატიევისა და აბაკუმოვის ხალხით.

მალენკუსა და სრუმჩიუს ანონიმური აუტორი არ უქმნია  
მაგრამ მისი რჩევა კი შეისმინეს და ლავრენტი არა მარტი  
სამინისტროდან, საერთოდ, ამქვეყნიდანაც მოაშორეს.

თეთი ამ წერილზე მინდა ასეთი გარაული გამოვთქვა: იყო  
თბილისიდან კი იყო გაგზაუნილი, მაგრამ აუცილებელი სულაც  
არ არის აუტორი შსს-ს მუშაკი და ქართველი ყოფილიყო. ამის  
დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები მალაპარაკებს, რომელიც  
ორგანოების მუშაკს და ქართველს არ უნდა დაეშვა: ისიდორ  
გევაჲერი, ქართველი ემიგრაცია ამერიკაში, ბეჭრუკი წერული-  
ოუმცა, თავისთავად, ალბათ არა ერთი გადაგვარებულ  
ქართველიც წერდა ასეთ მეგრულომოქულე დასმენებს...

როგორც ჩანს, კადრებში „გადახრა“ მართლაც შეიძინებულა. ი. სტალინი კი ასეთი კუთხური „გადახრების“ სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. მას ეკუთვნის მოსაზრება, რომელიც, თუ არ, უცდები, თავის სიყრძის მეუღლარს პეტრე კაპანაძეს გაუშიარა: ნოე ქორდანია იმიტომ დამარცხდა, რომ მთავრობა თითქმის მთლიანად გურულებით ჰყავდა და კომპლექტებულიო. ასე რომ, ბელადის ეურამდე მიტანილი ყოველი ასეთი „გადახრის“ ცნობა მის გაღიზიანებას და ეჭვს იწვევდა.

მოგვიანებით, 1970-იან წლებში, როცა კანდიდ ჩარქვიანს პკითხეს, მართლა იყო თუ არა მაშინ მეგრელთა მომრავლება ხელმძღვანელობაში, მან მართებულად უპასუხა: კადრებს ვაწინაურებდით უნარის მიხედვით მეგრელი კადრების დაწინაურებაში შეცდომები რომც ყოფილიყო დაშვებული, ამის გამოსწორება ადვილად, მტრებად მათი გამოცხადების გარეშეც შეიძლებოდა, მაგრამ კარიერისტებს ხელს აძლევდათ ის, რაც მოიმეჯდეს უფრო მაღალი პოსტების დასაკავებლადო.

და ეველაფერ ამას, ფაქტობრივად, ტონს აძლევდა თვით ხელისუფლება, პარტიული ორგანოები.

მაშინ, როცა საკავშირო პროკურატურაში მომუშავე ბარკალაია დამნაშავედ მხოლოდ იმის გამო ცხადდება, რომ პარტიულმა ფუნქციონერმა აკაკი მგელაძემ მასზე ეჭვი მიიტანა (მხოლოდ ეჭვი!), ისიც ბარამიას ჯგუფის წყვრი შეიძლება იყოსო, ხოლო მამამისი, უმნიშვნელო აღგიღზე — მთარგმნელად მომუშავე კაცი, სამსახურიდან გააგდეს, დამნაშავის მამააო, როცა ლამის სახელმწიფო და პარტიულ დანაშაულად ცხადდება, რომ ქომქავშირის ცეკაში მეგრელებს მნიშვნელოვანი პოსტები უკავიათ, როცა პროკურატურის, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოებიდან ამდენი კაცი მოხსნეს და დაითხოვეს მეგრელობის გამო, განა მოსალოდნელი არ იყო „ქვედა ფუნქციი“ ქვენა გრძნობების აფუთფუთება?

მაშინ, როცა „მეგრელთა საქმის“ 26-ტომიან საგამოძიებო საქმეში ერთ-ერთ საბრალდებო დოკუმენტად დევს უშიშროების სამსახურის მიერ შედგენილი ნუსხა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მომუშავე მეგრელებისა, რომლებიც უკავი იმსახურებ-

დღენ უნდობლობას (სხვაგვარად ეს სია არ შედგებოდა), რაკეთ  
მეგრელები იყვნენ, განა ვინმეს რამელა უნდა გაკვირვებოდა?  
რასაც დათქს, იმას მოიმკი!

არადა, ჯერ მხოლოდ 1 თვე და 10 დღეა გასული საკუთხ-  
რო კომუნისტური პარტიის (ბოლშვიკების) ცკის უბეჭდითი დაზ-  
გენილების ქვეყნად მოვლინებიდან, ჯერ მხოლოდ 20-მდე კ-  
ცია დაპატიმრებული, ჯერ მხოლოდ მექრთამეობა-დატაცება-  
მფარველობის გარშემო ტრიალებენ უშიშროების მარჯვე ბიჭუ-  
ბი, დიდი ცდის მიუხედავად, ჯერ ვერა და ვერ ძიიღეს უცხოე-  
თან ამ „ჯგუფის“ კავშირის მონაცემები. 20 დეკემბრის პლუ-  
ნუშეც გაკვრით ითქვა (მხოლოდ გაკვრით, რადგან ხელთ პრა-  
უერი ჰქონდათ) სამშობლოს გამყიდველებზე, ჯაშუშებზე, დი-  
ვრსანტებზე, ვაგენი გეგეჭკორის ჯაშუშურ საქმიანობაზე, რო-  
მელსაც „ალბათ საქართველოშიც პყავს თავისი ხალხი მეგრულ  
ნაციონალისტთა რიცხვიდან“. დიან, ნიკოლოზ რუხაძე და მა-  
სი ქეშიკები ძალიან ირჯებოდნენ, მაგრამ პატიმრებს არსებითი  
ვერაფერი ათქმევინეს ამაზე.

## „იპოვეთ ცენტრი!“

გასაჭირში ჩავარდნილი ქართველი კოლეგების დასახმარებლად 1952 წლის იანვრის პირველ რიცხვებში სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან ჩამოვიდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის პასუხისმგებელ მუშაკთა (შესაბამისად ინსტრუქტირებულ გამომძიებელთა) ათეაციანი ჯუფი საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის პოლკოვნიკ ცეპკოვის ხელმძღვანელობით

**ვ. ცეპკოვი.** (დ. 1905 წელს). 1943-1946 წ.წ. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის (სამინისტროს) განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანაშემწევა, 1947-1950 წ.წ. — უკრაინის სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსი, 1950-1951 წ.წ. — მინისტრის მოადგილე კადრების დარგში, 1951-1953 წ.წ. — სსრკ უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე. 1953 წლის მარტში დააპატიმრეს „მეგრელთა საქმეში“ გამოჩენილი უკანონობისა და სიმკაცრის გამო, იმავე წლის აგვისტოში (ბერიას დაშოობის შემდეგ) გაათავისუფლეს.

მოსკოვიდან მოვლინებულ ჯგუფში შედიოდნენ ჩეკისტურ საქმეთა ისეთი ასები, როგორებიც იყვნენ საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანაშემწევები ა. ბოლხოვიტინი და უ. ცვეტავი, გა-

მომძიებლები ს. ნეფედოვი, უულიდოვი, სუხოვი, მაკარინა, სტეპანოვი და სხვ .

თბილისში პოლკუნიკ ცეპქოვის ბრიგადის ჩამოსკვლის შემდეგ უწოდებული გამკაცრდა „მეგრული ნაციონალისტების“ ციხესიმაგრის ისელაც მმიმე რეჟიმი. მათ აღარ უშევებდნენ ეზოში, აღარ აძლევდნენ წიგნებს, დაკითხავდნენ უპირატესად დამით, სცენაზე წინაპერების გაცილებით ენერგიულად. თბილისის ციხესიმაგრის გამომძიებელთა შეშაობის ასეთი გრაფიკი დაწესდა: 11-დან 17 საათამდე, შემდეგ — ინტერვალი სადილისა და დასვენებისათვის, შემდეგ — ისევ სამუშაო საათები 23-დან დილის 5 საათამდე, და მაინც, იმ შეთქმულების კონტურები, რომლის ძაფები ვათოდა და პარიზში, სტამბოლსა და ქართული ემიგრაციის სხვა ცენტრებში მიდიოდა, არა და არ იკვეთებოდა.

1952 წლის იანვარში ი. სტალინს, სსრკ სახელმწიფო უმაშროების მინისტრს ს. იგნატიუს და კ. ჩარკვიანს მიხა ბარაშვილისა და სხვათა დაკითხვის პირველი ოქმები წარუდგინეს (შედგომში დაკითხვის ოქმები სისტემატურად იგზავნებოდა ამ მასამართებზე).

რა თქმა უნდა, ადრესატები უკმაყოფილო დარჩენის მწირი შედევებით.

და აქ კვლავ მოსკოვი მოევლინა დამხმარედ გენერალ ს. რუხაძეს, ამჯერად პატიმრების წამებით გამოტეხვის, ფალსიფიცირების დიდოსტატის მიხეილ რიუმინის სახით, რომელმაც „ექიმთა საქმისა“ და „ლენინგრადის საქმის“ პირდაპირ საზღვარო გაფალბებით, ბუზიდან სპილოს შექმნით გაითქვა სახელი.

**მიხეილ რიუმინი (1913- 1954). 1941-1945 წ.წ. — შინაგანი მის არხანგელსკის საგანგებო განყოფილება „სმერშის“ გამოძიებელი, საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსი, შემდეგ იმუსანამდებობაზე — ბელომორის სამხედრო თლქში, 1945-1947 წ.წ. — სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მესამე მთავარი სამმართველოს („სმერშის“) განყოფილების ქვეგანყოფილების უფროსი გამომძიებელი, უფროსის მოადგილე, 1947-1951 წ.წ. — განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი, 1951-1952 წ.წ. — მინის**

ტრის მოადგილე და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სა-  
გამოძიებო ნაწილის უფროოსი.

ეს, როგორც იგონებენ „კილორიტული და გამორჩეულად  
საზიდარი“, დაბალი, მსუებანი, მოკლეკისერა, რვა კლასის  
განათლების მქონე, ლოთი კაცი, რომელმაც კარიერა მინისტრ  
ვიქტორ აბაკუმოვის დასმენით გაიკეთა, არარაობიდან მოკლე  
ხანში გახდა პოლკოვნიკი და აღიარებული სპეცი. ბარემ აქვე  
ვიტყვი, რომ ეს „სპეცი“ ყოვლად უწიგნურად წარმართავდა გა-  
მოძიებას და ცემა-ტყეპით სბალავდა უახრო ჩვენებებს. მისი „მე-  
თოდები“ იმდენად თვალში საცემი იყო, რომ გახმაინდა და 1952  
წლის ნოემბერში, როგორც ამბობენ, უშავლოდ ი. სტალინის  
განკარგულებით, გააპანლურეს სახელმწიფო უმიშროების სამი-  
ნისტროდან, ჯერ ბუღალტრის თანამდებობაზე გაგზავნეს პარ-  
ტიის ცენტრალური კომიტეტის რეზერვში, შემდეგ უფროის კონ-  
ტროლიორი იყო სსრკ სახელმწიფო კონტროლის სამინისტრო-  
ში. ი. სტალინის სიკედილის შემდეგ 1953 წლის 17 მარტს ბერი-  
ას ბრძანებით დააპატიმრეს და 1954 წლის ივლისში იმქვეყნად  
გაისტუმრეს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლე-  
გიის განაჩენით.

მაგრამ ჯერ მხოლოდ 1952 წლის იანვარია, პოლკოვნიკ მ.  
რიუმინის ზენიტში ყოთნის ხანა და მისი კეთილგანწყობა, ყოვე-  
ლი რჩევა, ძვირფასია პერიფერიებში შომუშავე ჩეკისტებისთვის.  
აი, ახლაც, ხელმძღვანელობის დაჯალებით, საქმიან დარიგებებს  
უგზავნის საქართველოს სახელმწიფო უმიშროების მინისტრს,  
გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ რუხაძეს („მეგრულთა საქმის“  
ტომეულებში მიკვლეული ეს წერილი ძალზე გრძელია, მაგრამ,  
ნამდვილად ღირს, მკითხველი სრულად გაეცნოს).

„პირადად ამხ. ნ. რუხაძეს

თქვენს მიერ წარმოდგენილი ანტიპარტიული მეგრულ-ნა-  
ციონალიასტური ჯგუფის წევრთა დაკითხვის ოქმები გადაივა-  
ლიერა მინისტრმა ამხ. იგნატიოვმა და მე გადმომცა მათზე მით-  
თხბათა მოსაცემად. გუვეცანი რა ოქმებს, იმ შენიშვნათა დამატე-  
ბით, რაც მე თქვენ ზეპირად მოგეცით „ეჩ“-თი, საჭიროდ მიგვაჩ-  
ნია, აღვნიშნოთ შემდეგი:

ბრალდებული ბარამია, როგორც ა. წ. 45 იანვრის ოქტომბერის  
ჩანს, დაიკითხა საკითხთა ფართო წრით, რომლებიც დაკავშირებულია  
ნაციონალისტური ჯგუფის შექმნასა და პრეზიდენტის  
მტრულ მოქმედებასთან, თანაც თითოეული ამ კითხვათაგან ამ  
დროს დეტალურად არ გამოკვლეულა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბარამიამ ჯერ კიდევ არ აღი-  
არა თავისი ხელმძღვანელი როლი ანტიპარტიული ჯგუფის შე-  
კონტრინგებაში და, აქედან გამომდინარე, უარყოფს თავის დანამ-  
ულს მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათაგან გველაშე სე-  
რიოზულში, ასეთი დაკითხვა ტაქტიკურად არასწორად უნდა  
ჩაითვალოს — იგი ასუსტებს ძიების პოზიციას და ართველებს  
სრულ მხილებას.

ბომ ცხადია, რომ ასეთი დაკითხვით ბრალდებულისთვის  
თოლდება შემდგომი გამოუტეხლობა, რადგან შესაძლებლობა ეჭ-  
ლება გაურკვეს, თუ რამდენად არას ძიება საქმეში ჩატელელი მის  
დანამაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, შემდევ კი მო-  
ფიქროს და განსაზღვროს ქცვის ხაზი შემდგომ დაკითხვებზე.

სწორი იქნებოდა ბარამიას დაუინიჭმით დაკითხვა (ხაზეასმ  
თავდიშეიღიას ან კუციაუსია — ა. ა.) და ოქტომბების შედეგენა ცალ-  
კელ საკანძო საკითხებზე, მათი დოკუმენტითი და დაწერილები-  
თა დამუშავებით (მათვე ხაზეასმა — ა. ა.), დასატიმირებულის  
სწრაფი მხილებისათვის გაანგარიშებული თანამიმდევრობით

არადა, დაკითხვაზე ბრალდებულს ჯერ ჰკითხეს, როდის  
შეამჩნია (მ. რიუმინის ხაზეასმა — ა. ა.), რომ მის გარშემო ჯგუფ-  
დებოდნენ ნაციონალისტურად განწყობილი მუშაკები მეცნიელთა  
რიცხვიდან, შემდევი კი ის, თუ როდის დაიწყო შემჩნევა ( მასშე  
ხაზეასმა — ა. ა.), რომ მის გარშემო დაჯგუფებას იწყებენ ნაცი-  
ონალისტები.

ასეთი შეკითხვების დასმით ძიება ფაქტობრივად დაეთანხმო  
ბარამიას ჩვენებებს, რომ ნაციონალისტები მის გარშემო დაჯ-  
გუფდნენ მისთვის შეკმნებულად (მ. რიუმინის ხაზეასმა — ა. ა.),  
თუმცა ბრალდებულის ეს მტკიცება სინამდევოლეს არ შესაბამება  
(თავდიშვილის ან კუციაუს ხაზეასმა — ა. ა.) და ძიების პრი-  
ცესმი, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, საჭირო  
იყო ბარამიასგან იმის აღიარება (კელავ მათი ხაზეასმა — ა. ა.).

რომ სწორედ ის ასრულებდა ხელმძღვანელი როლს ჯერად მიუძაში.

ბარაძიას განცხადების შემდეგ, რომ ნაციონალისტურად განწყობილი მეცნიერება მუშაქებმა მას გარშემო დაჯვაულება 2-3 წლის წინათ დაიწყეს, მას მიეცა შეკითხვა:

„მხოლოდ უკანასკნელ 2-3 წელიწადში გავიშინა ურდნენ მეცნიელი მუშაქები, თუ უფრო ადრე?“

ნათელია, რომ ეს შეკითხვა ჩამოყალიბებულია პოლიტიკურად არასწორად, რამეთუ მასში წამლილია განხხვავება ბარაძიასთან დანაშაულებრივ კუშირში მყოფ ნაციონალისტურად განწყობილ მეცნიერებსა და პატიოსან, პოლიტიკურად არაკომპოზიტირებულ მეცნიერებს შორის, რომელებიც მართვლია ახლო იუნენ ბარაძიასთან, მაგრამ მასთან ამ პერიდათ დანაშაულებრივი კუშირი.

უხეირო, დაპატიმრებულიან პოლემიკაზე მიმართულ კანკეტების შეკითხვები:

„ნორმალურად მიგაჩნიათ, როცა ისინი ხოტბას განხაძინენ და გემლიქვნელებოდნენ? გიჩლიუნებდათ თუ არა ეს სიცბიძლეს და სიმახეილეს?“

„განა თქვენი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, აგრეთვე მეცნიელი ნაციონალიზმის გამოულინება, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდევ მტრულ მოქმედებას არ წარმოადგენს?“ და სხვ.

ბარაძიას ზოგიერთი ჩუქენი რეშმი გადმიცემულია ბუნდუნალ, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში პოლიტიკურად არასწორილი. მაგალითად, რეშმი ფიქსირებულია ბარაძიას ჩუქენის, სადაც აცხადებს, მას შემდეგ, რაც სკპ(ბ) ცე-ის 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილებას გაუცანი, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ „ეს მუშაქები მართლაც დაჯვაულენენ“ ჩემს გარშემორ. გამოდის, რომ მხოლოდ პარტიის ცენტრულური კომიტეტის დადგენილებით გახდა ნაციონალისტ ბარაძიასთვის ნათელი, რომ იგი ნაციონალისტურ საქმიანობას ქრება.

ან: რეშმი ჩაწერილია ბარაძიას ჩუქენებები, რომელებშიც უარ-კოფილია ჩამოყალიბებული ნაციონალისტური ჯგუფის არსებობა და იქვე ლაპარაკია, რომ პრაქტიკულად ასეთი ჯგუფი იყო.

ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება.

გთხოვთ, ეს შენიშვნები გაითვალისწინოთ ბარაშიას, რაც  
უას და სხვათ საქმის გამოიხებისას.

საქმისათვის სასარგებლოდ მიმაჩნია თქვენი როგორც ინტენსიური  
სსრ სახელმწიფო უმიმროების სამინისტროდან მიღებულ მ.  
თითებებზე. იხელმძღვანელეთ ამ მითითებებით, ისინი შემუშავ  
ბულია სხვა ანტისაბჭოთა ნაციონალისტური ჯგუფების საქა-  
თა გამოიხებისას, რომლებიც მოქმედებდნენ უცხოეთის დაზუ-  
გათ დაუკალებებით

ამ მითითებათა თანა ხმად, ნაციონალისტური ჯგუფების ფ-  
კელი წევრის და კითხვისას უნდა გაირკვეს: როდის და ვის გუ-  
ლენით გახდა ის ნაციონალისტი, რა პროცესამა აქვს, რა მაზნე  
ისახავს ეს ჯგუფი. პატიმრები უნდა ვამხილოთ იმაში, რომ ის-  
ნი მუშაობაში შეცდომებსა და ჩაურდნებს კი არ უშვებდნენ, არა-  
მედ დანაშაულს ჩადიოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ  
და ამ დროს საკულტურულოდ გამოიყარებით — ხომ არ არსე-  
ბობს ცენტრი, რომელიც ბრალდებულია მტრულ საქმიანობა  
წარმართებს, რა არ ხებით ხორციელდებოდა კულტურული ცენტრის  
საკულტურულო უნდა იქნეს გამოკლეული აგრეთვე, თუ რო-  
მელ უცხოელებზე იყვნენ როინტირუბელი ნაციონალისტები,  
როგორ იყვნენ და კაუშირუბელი მათთან, რა და ხმარების მიღება  
გარაულობდნენ გარედან.

იმის გათვალისწინებით, რომ შევრულ ნაციონალისტი  
მტრული საქმიანობა ანალოგიურია იმ ნაციონალისტთა დას-  
მულებრივი საქმიანობისა, რომლებზეც სსრ სახელმწიფო უმი-  
როების სამინისტრომ მიიღო ეს მითითებანი, აუცილებელია ს-  
რამიას და სხვათა საქმის გამოიხებისას სერიოზული ფურადები  
მიუქცეს ჩამოთვლილ საკითხთა გამორკვევას.

ამასთან ერთად, გთხოვთ დაუკალება მისცეით კვლავ და კო-  
ბონ ნაციონალისტური ჯგუფის წევრები შონია და რაფიუს წევ-  
რთან ძიებაში მყოფ დაკატიმრებულ ბარკალაიასთან მათი მტრ-  
ლი კუშირის თაობაზე და დაკითხვის ოქმები გამოგზაუნოთ სსრ  
სახელმწიფო უმიმროების სამინისტროში.

რიუმინი  
19.I. 52 წ.

წერილს ახლავს რუსაბის რეზოლუცია: „ამხ. თავდიშვილებს და კუციავას. გაითვალისწინეთ ბარამიას ჯგუფის საქმის ძიებისას“.

ამით კიდევ ერთხელ ირკვევა, რომ მოსკოვი ერთობ დაინტერესებულია, რათა „ბარამიას ჯგუფს“ მიაბან უცხოეთთან კუშირი, იპოვონ „ცენტრი“...

\*\*\*

იმპერიის დედაქალაქიდან ტრაფარეტი მიღებულია და ძიება ახალ ფაზაში შედის.

აპრილის დასაწყისში ავქსენტი რაფაელი, მისა ბარამია და გრიგოლ კარანაძე მედალი რუსების გადაპყავთ — უძლობით აოსებენ. გამომძიებელთა ამოცანაა, გამოგლივონ აღიარება, რომ „ნაციონალისტური მეგრული ჯგუფი“ საზღვარგარეთთან არის დაკავშირებული ავქსენტი რაფაელს, პეტრე შარიას, თეიმურაზ შავდიასა და ილია თავაძის, ესე იგი ბერიას ახლობელ ადამიანთა საშუალებით.

ეს პიროვნებები უკვე არაერთგზის განსენეთ და კიდევ განსენებთ. მხოლოდ შავდიას გვარი არ გამოჩენილა. ვინ იყო ეს კაცი, რომლის საშუალებითაც ბარამიას თითქოს კავშირი პქონდა საზღვარგარეთთან და რომლის ბრალდებებიც საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივში „მეგრულთა საქმის“ ტომეულების პარალელურად, ცალკე კიდევ ორ ტოშია შემონახული?

თეიმურაზი ლავრენტის მეუღლის ნინა გეგეჭერიას ნახევარმძის ნიკოლოზ შავდიას შვილი გახლდათ ბერიას გაეის სერგოს თანატოლი და მეუბარი იყო. მათს ახლობლობას ხელს ისიც უწყობდა, რომ თბილისში მეზობლად ცხოვრობდნენ.

1940 წელს 17 წლის თეიმურაზი პოდოლსკის სამხედრო-მსროლელთა სასწავლებელში ჩაირიცხა, შემდეგ უფრო პრესტიჟულ ნოუბორისოფოს სატანკო სასწავლებელში გადავიდა. 1941 წლის ივლისში, ომის დაწყების პირველსავე დღეებში იგი სმოლენსკთან ტყვედ ჩავარდა. ბანაქში, როგორც გერმანული ენის მცოდნეს, თარჯიმნად ამსახურებდნენ. 1942 წლის გაზაფხულზე ეს ბანაკი პოლონეთის ტერიტორიაზე არსებული ვერმახტის ქართული დევიონის ერთ-ერთმა მეთაურმა, პოლკურნიკე გ. ალექს (ალექს) ასლანიშვილი. მეგრულთა საქმე

შალვა მაღლაკელიძემ მოინახულა. შავდია დათანხმდა მის წე-  
ნადადებას, ჩაეცვა ლეგიონერის ფორმა და ბოლშვილისტების  
საქართველოს განთავისუფლებისათვის ებრძოლა. იგი სხვა მო-  
ნალისებთან ერთად პოლონეთში, კრუმნას ბანაკში გადაიყე-  
ნეს და 796-ე ქართული ქვეითი ბატალიონის მეორე ქვედანაფა-  
ფის მეთაურად დანიშნეს.

იმავე წლის სექტემბერში თეიმურაზი ამ ბატალიონის შე-  
მაღვენლობაში მონაწილეობდა წითელი არმიის წინააღმდეგ  
ბრძოლაში ტუაფსესთან. 1943 წლის დასაწყისში ფირიშში  
მდგომ ქართულ ქვეით ბატალიონში გადაიყვანეს, რომელიც  
რკინიგზის კომუნიკაციებს იცავდა. იქ კარგი სამსახურისათ-  
ვის მედლით დაჯილდოვდა. 1943 წლის თებერვალში, როგორც  
სანდო ლეგიონერი, ქელცის (პოლონეთი) ბანაკში გაგზავნეს,  
სადაც პროპაგანდისტებს აშხადებდნენ ოკუპირებულ საბჭო-  
თა ტერიტორიებზე დაწესებულებებში სამუშაოდ. შავდია სე-  
ციალურად შექმნილ მე-2 „K“ („ძავკასია“) ჯგუფში ჩარიც-  
ხეს, რომელიც ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელებისა  
და ჩრდილოკავკასიელთაგან იყო დაკომპლექტებული. მათ  
ჩრდილოეთ ქავკასიისა და ამირკავკასიის მართვის ორგანიზ-  
ბისთვის აშხადებდნენ. მაგრამ 1943 წლის ბოლოს, როცა კუ-  
კასიის დაპყრობის იმედმა ჩაილურის წყალი დალია, რეკრუტო-  
უმრავლესობა, მათ შორის თ შავდიაც, ეროვნულ ფორმირ-  
ბებში დააბრუნეს.

1944 წელს თავისი უშუალო უფროსის, შტანდარტენფიუ-  
რერ პ. წულუკიძის რეკომენდაციით სს-ში შევიდა და უნტერშატ-  
ფიურერის წოდება მიიღო. იგი პარიზში გაგზავნეს სს-ის ქართუ-  
ლი ასეულის შემადგენლობაში. მონაწილეობდა ფრანგი სამხედ-  
რო ტუკების გერმანიაში კონვილებაში, ციხეების დაცვაში, გე-  
ტლაპოს მიერ დაპატიმრებულ ფრანგ პატრიოტთა, მოკაუშირეთ  
მედესანტებისა და 1944 წლის ივლისის ანტიპიტლერიული შე-  
ქმულების მონაწილე გერმანელი ოფიცირების დაწერუტებში.

პარიზში თ შავდია გერმანიაში ქართველ უმიგრანტთა და-  
დერს მექი კედიას შეხვდა. 1944 წლის აგვისტოს დასაწყისში,  
სხვა ესესელებთან ერთად, განსაკუთრებულ საბრძოლო ჯგუფ  
ში შეიყვანეს, რომელიც პარიზიდან უკანდასუელი გერმანულ

არმიის ზურგის დაცვას უზრუნველყოფდა. აქ ბეღმა უმუშთლა — ფრანგმა კომუნისტმა პარტიზანებმა დაატყვევეს.

შევი დღე ელოდა, მაგრამ მხსნელად პარიზში დაფუძნდეს ბული ე.წ. „ანტივლასოური კომიტეტი“ მოვლინა (ამ საეჭვო ირგანიზაციაზე მოგვიანებით გვექნება ლაპარაკი): დატყვევებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბანაკიდან გაათვისულდა ქართველმა ემიგრანტმა კონსტანტინე კობახიძემ და „ანტივლასოურ კომიტეტში“ მიიყვანა, ხადაც კომიტეტის ხელმძღვანელმა გიორგი გეგელიამ გადასცა ცნობა, თითქოს იგი წინააღმდეგობის წევრი იყო და თავი გამოიჩინა პარიზის განთავისულებისათვის ბრძოლებში. ამ ცნობის საფუძველზე დახმარების სახით თვეში 500 ფრანგს იღებდა. სხვა ქართველ დეგიონერებთან ერთად ვერსალის საბჭოთა სამხედრო ტეკვის ბანაქში მოათავსეს. ხვდებოდა ქართველ ემიგრანტებს. 1944 წლის აგვისტოში წარუდგა თავის ნათესავს ვეგენი გეგეჭკორს, რომელმაც ფულითა და ტანსაცმლით მოამარავა. ამასობაში სსრკ კონსულმა (და, იმავდროულად, შინსახეობის რეზიდენტმა) ა. გუზოვსკიმ ბერიას პროტექტეს, სსრკ საგარეო საქმეთა სახეობის მოადგილის ვლადიმერ ლეკანოზოვის მოწერილობა მიიღო შევდიას აუცილებლად მოძებნის შესახებ. გეგელიამ კონსულს მაშინვე წარუდგინა „ძებნილი“.

აქამდე ჩვენ კეთილსინდისიერად მოყვებოდით თეიმურაზ შევდიას აცაბაცა კვალს არქიში დაცული მასალების მიხედვით თითქოს გაუგებარი არაფერია.

ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუაზა ტომი, თავის „მეტრელთა საქმეში“, შევდიას ბედით ლავრენტი ბერიას ცხოველი დაინტერუსების პირველ და უტეუარ ნიშნად სწორედ „ანტივლასოური კომიტეტის“ მიერ მის დახსნას მიიჩნევს, მეორე ნიშნად კი — ამ სახელგატებილი კაცის სამშობლოში პირდაპირ სასწაულებრივ დაბრუნებას.

ეს დაბრუნება ისე განხორციელდა, რომ თეიმურაზი კონტრდაზვერვა „სმერშის“ თვალთახედვის არეში არ მოხვედრილა, რომელიც რეაპტრიანტთა ფილტრაციას გამადიდებელი შეშით ახდენდა.

საქმე პირდაპირ გენიალურად აწყო. 1945 წლის 5 აპრილს

პარიზიდან თბილისში ორი თვითმფრინავი გამოიყრინდა, რომელიც საც 1921 წელს დემოკრატიული მთავრობის მიერ საქართველო-დან საფრანგეთში გატანილი განძი მოპერინდა. ეს დაბრუნებული გოლისა და სტალინის მოლაპარაკების შედეგად განხორციელდა. თვითმფრინავში ისხდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე შარია ისტორიკოსი-ხელოუნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი და ა. გუზოვესკი. განძს ორი მცველიც მოპყვებოდა, რომლებსაც წილები არმიის ფორმა ეცვათ ერთი მათგანი თ შავდია იყო, მეორე — მისი მუკობარი, აგრეთვე ეერმახტის ყოფილი ლუგიონერი მელქე (საბჭოთა სამსუბურო ფორმები ვეგენი გუგეჭერის პირადი იუბის მიერ იყო შეკერილით, საგანგებოდ უსვამს ხაჩს ფრანსუას ტომი). გამოფრუნის წინადღეს თეიმურაზ შავდიამ ვეგენი გვეჯერი და მისი მეუღლე მოინახულა, ქალბატონმა გუგეჭერის ნინა ბერიასთვის მას საჩუქრები — ნატის ორი ხელთამანა სუნამო „ლორიგანი“ და აბრეშუმის თავსაფარი გამოატანაო, ესე იცოდნენ.

ასე უმტკივნეულოდ დაბრუნდა თეიმურაზ შავდია თბილისში. 1952 წლის თებერვალში „მეცნიელთა საქმესთან“ დაკავშირდით დაპატიმრებამდე, მშვიდად ცხოვრობდა საკუთარ სახლში მრიასა და რაფაელს მტარეველობით.

პ. სუდოპლატოვი წერს („სპეცოპერაციები, ლუბიანკა და კრემლი“), უახლოეს თანამშრომლებს ბერიამ ამცნო, თეიმურაზ გესტაპოში ჩანქრებილი ჩემი პირადი აგენტი იყოო.

დაპატიმრეს თე არა, შავდიამ უშედეგოდ სცადა თავის მოგიჟიანება. 1952 წლის ივლისში მას 25 წელი მიუსაჯეს. სტალინის სიკვდილის უმაღლესათავისუფლეს, მაგრამ ბერიას დამნის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ ჩასვეს.

ასეთი იყო თეიმურაზ შავდიას „საქმე“. მას ლავრენტის გასაშუალებლად, მისი ორპირობის, მოლალატეობის დასამტკიცელად აქტიურად იყენებენ მწერლები და ისტორიკოსები.

მართლაც საკითხავია, რამ აიძულა ბერია ჩაუტარებინა პრიზიდან სამშობლოში ყოფილი ესესელის ჩამოვანის როგოდა უაღრესად საშიში ოპერაცია. ვითომ ცოლის სიყვარულმა და პატივისცემამ? პასუხს, ალბათ, ვერასოდეს შეკიტეობით მკლავირი ფრანსუაზა ტომი, მაგალითად, ვარაუდობს, შავდიასნათ

უკროპაგამოულილ ადამიანებს ბერია სოციალურ დასაყრდენად  
მოიაზრებდა სტალინის სიკვდილის შემდეგ დაგვეგმილი პოლი-  
ტიკური და სოციალური რეფორმების განხორციელებისასთან დაკავშირდებოდა  
მნელად გასაჩიარებელი კურსია!

ლაურენტი თავის თამაშს თამაშობდა. ქსელები პქონდა გაბ-  
მული ქართულ ემიგრაციასთან. ეს ერთ-ერთ ბრალდებად წაუყე-  
ნეს კიდევ სასამართლოზე (მას თუ მის ორეულს, მნიშვნელობა  
არა აქვს). ოღონდ, რა პქონდა ჩატიქრებული: ემიგრაციის გან-  
რჩნა-დაშლა, მათი სამშობლოში ჩამოტყუება თუ ემიგრაციის  
ფსონის ყოველი შემთხვევისათვის შემონახვა, მნელი სათქმელია.  
ერთი რამ კი ცხადია: შავდიას საქმე ბერიას იმ საიდუმლო პო-  
ლიტიკის ანარეკლია, რომელიც ბედისწერად ექცა.

## მოსკოვში, სტალინის პარზე

ცოტა ხანძი საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეიცვალა. კანდიდ ჩარკვიანმა აშკარად ვერ გაამართლა, „მურელთა საქმეს“ ვერ მისცა ის ელერადობა და მასმტაბი, როგორ საც მისგან მოითხოვდნენ. მან ამ საკითხს ორი პლენურმა მუშავენა, მაგრამ საქმე, ფაქტობრივად, აღგიღიდან არ იძეროდა.

1952 წლის 25 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური ბიურო მოსკოვში გამოიძახეს. კანდიდ ჩარკვიანს სკ(მ) ცკ-ის პრეზიდიუმისათვის 1951 წლის 9 ნოემბრის დაღგენიურ ბის შესრულების მიმდინარეობა უნდა მოქმედინა.

სანამ მას სიტყვას მისცემდნენ, პრეზიდიუმის სხდომის თავზე მჯდომარებ გ. მალენკოვმა მოკლე შესავალი სიტყვა წარმოაქვა, ასსნა, თუ რით იყო გამოწვეული პრეზიდიუმის სხდომის საქართველოს ანგარიშის მოსმენა: რესპუბლიკის კომპარტიის ცეკაში მოხდა მსხვილი პოლიტიკური ჩატარება, საქართველოში მოქმედებდა მტრული ანტიპარტიული ჯგუფი, 1951 წ. 9 ნოემბრის დაღგენილება, რომელიც საქართველოს პარტიულ ირგანიზაციას ქმნია, არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

კანდიდ ჩარკვიანმა საათზე მეტი ილაპარაკა. აღიარა, რომ საქ. კპ(მ) ცკ-ში მართლაც მოქმედებდა ანტიპარტიული, მტრული ჯგუფი, პრეზიდიუმს მოახსენა იმ ღონისძიებებზე, რომელ ბიც გაატარეს პარტიული მუშაობის გადასაწყობად, პარტიულ თრიუნიზაციებში სიუხიზლის ასამაღლებლად, სამეურნეო და კულტურულ შექნებლობაში პარტიული ხელმძღვანელობის უსაუმჯობესებლად.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველო

კომპარტიის ცეკას ბიუროს წევრები, გამოუიდნენ სკპ(ბ) ცკ-ის პრეზიდიუმის წევრებიც. სიტყვა პირველმა ლ. ბერიამ ითხოვა. მან გაიმეორა ზოგადი ბრალდებები: საქართველოში ფართოდ გაურცელებულია მექრთამეობა, ხაზინის ქურდობა და საბჭოთა ყოფისთვის მიუღებელი სხვა მოგლენები. ანტიპარტიული ჯგუფი ხელს უწყობდა მათ გაურცელებას, მფარველობდა მექრთამეებსა და თაღლითებს. ბარამიას ხელმძღვანელობით მოქმედმა ანტიპარტიულმა ჯგუფმა შეფობა აიღო სამურელოს პროექტიაზე, ყოველნაირად აფარებდა ხელს თავისი კუთხის ხალხს.

— მეც დამნაშავე ვარ, — განაცხადა მან, — ამ ანტიპარტიული ჯგუფიდან ეიღაც-ეიღაცებს მე თვითონ გავუწიე რეკომენდაცია, მაგალითად — რაფაგას კანდიდატურას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე და პასუხისმგებლობას არ ვიხსნი. ანტიპარტიული ჯგუფის დანარჩენი წევრები მე არ დამიწინაურებია. ბარამია ჩემს დროს პარტიის რაიონის მდივნად მუშაობდა. მე მას ვიცნობდი როგორც სუსტ მუშაკს, ამის მიუხედავად, ის სულ ზევით-ზევით მიღიოდა და რაც უფრო წინ სწევდნენ, უფრო და უფრო იხრწნებოდა.

ბერიას ხმაში მრისხანება და აღმფოთება ისმოდა. დასასრულ განაცხადა, წინადაღება შემომაქვს ჩარკეიანი მოიხსნას საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის პოსტიდანო.

ბოლოს იოსებ სტალინი გამოიდა. მან უდიდესი სირცხვილი უწოდა საქართველოში მექრთამეობის, ხაზინის ქურდობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების, საკოლმეურნეო ქონების განიავების აყვავებას. როცა ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობას შეეხო, სტალინმა მიიჩნია, რომ „მეგრულთა საქმის“ გამოძიება საქმაო ენერგიულობით არ მიმდინარეობდა. მე მომახსენეს, — თქვა მან, — რომ ანტიპარტიული ჯგუფის მოთავე ბარამიამ და ყველა მისმა წევრმა აღიარეს დანაშაული და პატივებას ითხოვენ, ამის შესახებ მათ პირადად მომწერეს.

ი. სტალინმა არავითარი კომენტარი არ გაუკეთა პატიმართა ამ თხოვნას. მან მხარი დაუჭირა კანდიდ ჩარკეიანის განთავისუფლებას და მის ადგილზე აკაკი მგელაძის დანიშვნას.

გადაწყდა, რომ თბილისში ცენტრალური კომიტეტის პლენურმს ღავრუნტი ბერია დასწრებოდა.

პოლიტბიუროს 25 და 27 მარტის სხდომების შედეგად ვა ახალი მრისხანე დოკუმენტი.

სკპ(ბ) ცკ-ის 1952 წლის 27 მარტის დადგენილება „საქართველოს კომპარტიაში საქმის მდგომარეობის შესახებ“ (სხდომის ოქმში დადგენილების სახელწოდება სტალინის ხლით არის ჩაწერილი)

„ხელმძღვანელობდა რა სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით, „საქართველოში მექრთამეობისა და ამ ბარაზისა ანტიკარტიული ჯგუფის შესახებ,“ საქართველოს კეც-მა ზოგიერთი დადგებითი მუშაობა გახსწია ამ დადგენილებას აღნიშნული ნაკლოუნებების აღმოსაფხვრულად.

მაგრამ განვლილ პერიოდში სკპ(ბ) ცკ-ში შემოუიდა ხერობული სივნალები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ საქართველო კპ(ბ) ცკ-ის მუშაობაში შეცდომების და ნაკლოუნებების გამოსწორების საქმე ძირმედ, ჭრიალით, არადამაყმაყოფილების მიდის, რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში და ანტიკარტიულთა შორის უკმაყოფილებას გამოიქვამენ ბარაზის მტრული დაჯგუფების საქმიანობის შედევების ლიკვიდაცია სათვის ბრძოლაში საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ზოშინის გამო.

ამ კლირულად, გამოიძების მსელელობისას გამოიწვია რომ როცა ხელმძღვანელ თანამდებობებზე არჩევდა შეძლებული რეპუტაციის და ანტიკარტიულ აღამიანებს, სანდაცნებულ ბარალოდ გაიძევერებსა და მექრთამებს, რათა თუმცა განკარგულებაში ჰყოლოდა სრულიად დამჯერი ხალხი, ბარაზის უკაფი (ბარაზია, ჭიჭინაძე, შარია, რაფაელ, შონია და სხვ.) მასში ისახავდა საქართველოს კომპარტიაში ძალაუფლების ხელის ჩავდებას და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაუცირის. ამ დროს იგი უცხოელი იმპერიალისტების მხრიდან და ხმარებას იმედოვნებდა.

ამ გარემოებათა გამო საკუშირო კპ(ბ) ცკ-ის წინაშე წმოიქმნა საკითხი: I. როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ საქართველოს კპ(ბ) ცკ-მა და, უპირველეს ფულითა, მასში პაკელემა მდივანმა ამა. ჩარკვიანმა ვერ შეამჩნიეს პარტიის ქართველი სალხის მიმართ უკვე რამდენიმე წლის განმცემაში მტრულად მოქმედი ბარაზის ჯგუფის არსებობა? იმის

როგორც ჩანს, ბარამიას ჯგუფი, რომელიც სარგებლობდა საქ. კპ(ბ) ცე-ის ხელმძღვანელობა პოლიტიკური სიძევით, აქამდე დაუსჯელად გააკრძლებდა პარტიის საქმიასა და საქართველოს ხალხის საქმისათვის ზიანის მიუწვდომას, სკპ(ბ) ცე-ს მითხვება რომ არ მოუცა ამ ჯგუფის ღიაკეთდაცის აუცილებლობის შესახებ. 2. რა გარანტია არსებობს, რომ მომავლში არ განმეორდება მსაჯის შეცდომები და ჩატარდები და რა არის საჭირო, რომ ასეთი რამ აღარ მოხდეს?

ამ საკითხების გასარკვევად სკპ(ბ) ცე-ში საჭიროდ ჩაითვალა საქართველოს კპ(ბ) ცე-ის ბიუროს წევრთა გამოძახება მოსკუში, რათა მათთან ერთად განხილათ საქართველოში შექმნალი მდგომარეობა და ემსჯელათ ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე.

საქართველოს კომპარტიაში საქმის მდგომარეობის ერთობლივი განხილვის შედევად გამოირკვა შეძლევი.

საქართველოში კვლავაც არასასურველად რჩება საქმის მდგომარეობა მინაპარტიული დემოკრატიის მხრივ. საქართველოს კომპარტიაში თვითკრიტიკა, ისევე როგორც ერიტიკა ქუვილან, პარტიის რიგითი წევრების მხრიდან, როგორც წესი, მიღებული არ არის. უფრო მეტიც, საქართველოში დუნიან იმ ადამიანებს, რომლებიც ამხელენ ნაკლოუნებებს საქართველოს კპ(ბ) ცე-ის მუშაობაში. საქართველოს კპ(ბ) ცე-ში გამეფებულია გულარხეინობის და პირადული კეთილდღეობის ეითარება. გატაცებული არიან სამეურნეო წარმატებებით და უინწყდებათ, რომ სამეურნეო წარმატებებს ჩრდილოუნი მხარეც აქვს, თან სდევს მუშაობაში ნაკლოუნებებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება, მთაქვს ობიექტელური დამშეიდება და წარმომობს პოლიტიკურ სიძევეს. ამას გარდა, საქართველოს კპ(ბ) ცე ცუდად არის დაკავშირებული მუშაობა და გლეხს მასებთან. რესტაბლივის კომპარტიის ცე-ისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელები იშვიათდა არიან ადგილობრივ ორგანიზაციებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, და თუ არიან, ისიც — გულით.

გამოირკვა აგრეთვე, რომ საქ. კპ(ბ) ცე-ში, ცე-ის ბიუროს და პირველ რიგში ამს. ჩარკვიანის მრალით, დაემწევებას მიეცა ლენინის უმნიშვნელოუნესი მითითება იმის შესახებ, რომ ორგანიზაციული ბოლშევიკური ხელმძღვანელობის საუფელს

შეადგენს კადრუბის სწორი შერჩევა და გადაწყვეტილების შეს. რელების შემოწმება. ამხ. ჩარკვიანმა დიდი შეცდომა დაუწერა რაც იმაში მდგომარეობს, რომ მან მოუღი თრავანიშაციული ჭაობა, ადამიანთა შერჩევისა და შესრულების შემოწმების საქმე მე ბარამიას, ჭიჭინაძეს და მათ მომხრუბს მიანდო. ეს უკანას კნელები კი, როგორც ამჟამად გახდა ცნობილი, ამას პარტია სათვის მტრული მიზნებით იყენებდნენ.

გამოირკვა, რომ საქ. კპ(ბ) ცე იშვიათდ იწვევს ცე-ს პლანუმებს, ცუდად აქვს თრავანიშებული საქართველოს ცე-ის ბიუროს მუშაობა, ცე-ის წევრებს არ უგზავნის ცე-ის ბიუროს ოქმებს, რის შედეგადაც ცე-ის წევრები ცუდად არიან ინფორმაციული პარტიული და სამეცნიერო მუშაობის უმნიშვნელოვანების საკითხებზე პარტიული გადაწყვეტილებების შესახებ, რაც სრულიად არანორმალურია.

ბოლოს, გამოირკვა, რომ საქართველოს კპ(ბ) ცე გადაშერელ ბრძოლას არ სრმართვეს საკოლმეურნეო დოულათისადმი ზოგიერთი რაიონული ხელმძღვანელის არასწორი, დანაშალებროვი დამოკიდებულების ფაქტებისადმი, კოლმეურნეობებისათვის მძიმე გადასახადების დაკისრების და საკოლმეურნეო ქრების ხელფორის ფაქტებისადმი და კერ ხედებოდნენ, რომ ასეთ ფაქტები ზიანს აექცებს გლობობას, ძირს უთხრის პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უტორიტეტს საქართველოში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკპ(ბ) ცე აღვენს:

1. ამხ. ჩარკვიანი მოიხსნას საქართველოს კპ(ბ) ცე-ის პირველი ძღიუნის თანამდებობიდან და გაწეულ იქნეს სკპ(ბ) ცე-ის განკარგულებაში სხვა სამუშაოშე დასანიშნად (1952 წ. 11 აპრილს პოლიტბიურომ კ. ჩარკვიანი სკპ(ბ) ცე-ის ინსპექტორად დაამტკიცა — ა. ა.).

2. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ(ბ) ცე-ის ბიუროს წევრთა წინადაღება და საქართველოს კპ(ბ) ცე-ის პირველ ძღიუნის თანამდებობიდან რეკომენდაცია მიეცეს ამხ. მგელაძეს და განთავისუფლდეს ივი პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის პირველი ძღიუნის თანამდებობიდან (1952 წ. 5 აპრილს პოლიტბიურომ დამტკიცა საქ. კპ(ბ) ცე-ის პლენურის დადგენილება ა. მგელაძის საქ. კპ(ბ) ცე-ის პირველ ძღიუნის დადგენილება — ა. ა.).

3. საქართველოს კპ(ბ) ცე-ს დაუკალოს:

ა) უმოკლეს გადაში აღმოფხერას აღნიშნული ნაკლებ-  
ნებები, გადამწყვეტად გამალოს ქვევიან კრიტიკა და თვით-  
კრიტიკა ორგანიზაციაში, დამკვიდროს შინაპარტიული დემოკ-  
რატია ზემოდან ქვემომდე და უძვაცრესად დასაჯოს კრიტიკის  
ჩამოყოლინი და შინაპარტიული დემოკრატიის დამწლვევნი;

ბ) ბოლომეული ტრანსფორმაციული ბულმძღვანელობის სა-  
ფუძვლად საქმით აქციოს აღამიანების სწორი შერჩევისა და  
კარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების მე-  
მოწმების პრინციპი;

გ) რეზულარულად, თევში ერთხელ მაინც, მოიწვიოს სა-  
ქართველოს კ(ბ) ცე-ის პლენუმები და მათზე განიხილოს რეს-  
პუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის უმნიშვნელო-  
ვანები საკითხები, სერიოზულად გააუმჯობესოს ცე-ის ძიუ-  
როს მუშაობის ორგანიზაცია, შემოიღოს საქართველოს კ(ბ)  
ცე-ის წევრთა სისტემატური ინფორმირება, ამ მიზნით მათთვის  
ცე-ის ბიუროს თქმების დროული დაგზაფხუნა;

დ) ბოლო მოუღოს ზოგიერთი რაიონული მუშაკის დანა-  
შვლებრივ დამოიიდებულებას საკოლმეურნეო საქუთრებისად-  
მი, გადაჭრით აღკვეთოს საზოგადოებრივი ქონების დატაცება,  
პასუხისმგებაში მისცეს ამ დანაშაულის ჩამდენი პირები.

განხაუთებული ფურადღება მიაქციოს ჩამორჩენილ სა-  
სოფლო-სამეურნეო რაიონებს, მოუღო ძალისხმეულობის იქითები,  
რომ ამ რაიონების კოლმეურნეობებს წამოწევის და  
თუთანთხ სამეურნეო ძღვომარტობის გაუმჯობესების შესაძლებ-  
ლობა მიეცეთ

ე) კადრების შერჩევისას გაითვალისწინოს საქართველოს  
ცალკეული ნაწილების პრეცინციული განსაკუთრებულობანი, რა-  
იონების ხელმძღვანელებად დააწინაუროს აღვილობრივი ხალხი.

4. საქართველოს კ(ბ) ცე-ს დაკალოს, ა. წ. აპრილში  
მოიწვიოს კ(ბ) ცე-ის პლენუმი, რომელზეც განიხილავენ ამ  
დაღვენილებას, შეიძუმეულებენ ღონისძიებებს მისი შესრულები-  
სათვის და მოაწეობენ საქართველოს კ(ბ) ცე-ის პირული მდივ-  
ნის არჩევნებს.

საქართველოს კ(ბ) ცე-ის პლენუმის მუშაობაში მონაწი-  
ლეობისათვის მიეღონებაში გაიგზავნოს სკ(ბ) ცე-ის პოლიტ-  
ბიუროს წევრი ამხ. ლ. პ. ბერია.”

••• 1-2 აპრილს გაიშართა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პლატფორმი, რომელზეც კანდიდ ჩარკვიანი აკაკი მგელაძით შეაცვალა. ბერია სიტყვით გამოუიდა და კრიტიკის (ძირითადად, ზოგადი კრიტიკის) ცეცხლი ჩარკვიანის წინააღმდევე წარმართა: თუ ცა წარსულში საქართველოს ბევრი მტერი ჰყავდა, ჩარკვიანი ბოლშევიკური სიფხიზღვე არ ჰყო და მისი საკადრო პოლიტიკური უკეთესის სურვილს ბადებს. არაუფექტიანი იყო ბრძოლა კორუფციის წინააღმდევე. ბოროტმოქმედება ხდება ვაჭრობის სამინისტროში. ზოგიერთი ამხანაგი სამართლიანად აკრიტიკებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმისთვის, რომ კომპარტიის ცკ-ის ბიურო ხშირად ითავსებს მინისტრთა საბჭოს როლს. შემდეგ ბერია აღნიშნავს, რომ თბილისა და ქუთაისის ოლქების შექმნა აძლიერებს სახელმწიფო და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელ როლს მრწველობაში, სოფლის მეურნეობასა და კულტურაში.

პლენუმის მთავარი ამოცანა იყო ჩარკვიანის კრიტიკა და ლაურენტი მეაცრად განაგრძობს: ეკონომიკის საკითხებში ჩატლულ ჩარკვიანს, დაავიწყდა სტალინის სწავლება, რომლის მსხვედვითაც არ შეიძლება ეკონომიკისაგან პოლიტიკის გამოჯონა ჩარკვიანმა ვერ დაინახა, რომ ბარამიას ჯგუფი იმპერიალისტულ და სამარჯვით საქართველოში კაპიტალიზმის რესტაურაციას აშენდებდა. ჩარკვიანს ბრალი მიუძღვის, რომ მან საქართველოში არ აამოქმედა ცკ-ის 1948 წლის 2 ივნისის ინსტრუქცია, რომელიც მტრული ელემენტების დეპორტაციას მოითხოვდა და აშხანაგ სტალინის არაერთგზის მითითების მიუხდავად, არაური გააქცია საქართველოს სახლვრების განსამტკიცებლად და ა. შ. და ა. შ.

საერთოდ კი ლაურენტი სრულიად გაემიჯნა საქართველოზე გაშლილ „ეუდიანებზე ნადირობას“: მხოლოდ სკპ(ბ) ცკ-ისა და პირადად ამხანაგ სტალინის წყალობით გახდაო შესაძლებელ ბარამიას მტრული ჯგუფის მხილება და ნეატრალიზება!

კ. ჩარკვიანი უნიათოდ იცავდა თავს: რაფაელ იმიტომ დაუინიერთ იუსტიციის მინისტრად, გეგონა, ამ უმნიშვნელო აღგილებულ გადაყვანით ხელს აღარ შეგვიძლიდა. ახლა ვაღიარებ ჩემს შეკლომას, რადგან ამ ადგილზეც კი რაფაელ სიძნელეები შევატენ ემიგრანტებთან ბრძოლაში. მაგრამ არ შეიძლება ცეკა დაუდინ-

გაულოთ ასეთი პოლიტიკისათვის, რადგან რაფაელ არ გვეთათბის რებოდა და ყველაფერს ერთპიროვნულად აკომიდა, ისეცც, როგორც რესპუბლიკის პროკურორი შონიაო.

მამხილებელი იყო რუხაძის გამოსვლა. დასაწყისში მან ერთგვარად შეაჯამა „მექრელთა საქმე“. ბარამიამ აღიარა, რომ შექმნა ნაციონალისტური ჯგუფი დანაშაულის ჩამდენ პირთა დასაფარავად, რაფაელ კი, 1943-1944 წლებიდან დაწეებული, ძირგამომთხრელ საქმიანობას წარმართედა, 1948-1949 წლებში მე უშედგოდ ვცდილობდი ჩარკვიანის გაფრთხილებასო.

პლენუმმა „მთლიანად მოიწონა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საქართველოს კომპარტიაში მდგომარეობის შესახებ“, მიიღო იგი განუხრელი შესრულებისათვის, აირჩია ახალი ხელმძღვანელობა და ცეკას დაავალა დაზურული წერილის შედგენა პარტიულ ორგანიზაციებში დასაგზავნად, რომელშიც განმარტებული იქნებოდა ეს გადაწყვეტილებები.

ლავრენტიმ სტალინს მაშინვე მოახსენა ტელეფონით, პლენუმი მაღალ დონეზე ჩატარდა, მთლიანად მოიწონეს და შხარი დაუჭირეს ცენტრალური კომიტეტის 27 მარტის დადგენილებასო.

ამრიგად, საქართველოში დასრულდა კანდიდ ჩარკვიანის მმართველობის 13-წლიანი პერიოდი.

დაიწყო აკაკი მგელაძის ერთწლიანი ზეობა.

„ბარამიას ჯგუფის“ წინააღმდეგ ბრძოლას ახალი იმპულსი მიეცა — ჩარკვიანის კრიტიკა და გინება. დაიწყო მასზე კომპრომატების შეგროვება. მაგალითად, 1952 წლის 12 მაისს ილია თვაძეს მთელი დამე (7 საათი და 15 წუთი) დაპკითხავდნენ „ჩარკვიანის, ბარამიას, შარიას და სხვათა მხრივ საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ხელმძღვანელობის ანტიპარტიულ პრაქტიკაზე, სსრკ მთავრობის მოტყუების ფაქტებზე, თაღლითებისა და არამზადების მფარველობაზე“.

## უსამართლობის თარიღი

აკაკი მგელაძემ თითქმის მაშინვე გააკეთა მნიშვნელოვანი „აღმოჩენა“: ანტიპარტიულ აგენტურას მიაკვლია კომკაფშირის რიგებში. ამის შესახებ 1952 წლის 21 აპრილს კომკაფშირის თბილისის საქალაქო კონფერენციაზე განაცხადა: „ბარამიას მტრულ ჯგუფს თავისი აგენტურა პყავდა საქართველოს კომკაფშირში ყოფილი აღქან ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნინა უვანიასა და მისი მომხრების სახით, ხოლო კომკაფშირის ცკ-ის ბიურომ და ყოფილმა პირველმა მდივანმა ზოდელავამ ვერ შენიშნეს კომკაფშირულ ორგანიზაციაში ბარამიას ამ ანტიპარტიული ჯგუფის აგენტურის არსებობა. აქ წაკითხული აღქან ცკ-ის დახურული წერილის ტექსტიდან შევიტყვეთ (თითქოს აღქან ცკ-ის დახურული წერილი პარტიის ცკ-დან არ იყო ნაკარნახევი და რედაქტირებული — ა. ა.), რომ თბილისის რიგ რაიონებში არსებობდა ანტისაბჭოთა ახალგაზრდული ორგანიზაცია.“

მაგრამ ამაზე მოგვიანებით

1952 წლის 20 თებერვალს ნ. რუხაძემ დაიმოწმა ი. სტალინის მითითება და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მანისტრის გრიგოლ კარანაძის დაპატიმრების წინადადება წამოაყნა. იგი იმავე ღამეს აიყვანეს.

**გრიგოლ კარანაძე (1902-1970).** სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში იყო 1929 წლიდან, 1937-1938 წ.წ. პარტიის სიღნაღის რაიონშის პირველი მდივანია, 1938-1942 წ.წ. — ფ.

რიმის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, შემდეგ – სახელმწიფო უმიშროების სახალხო კომისარი, 1942-1943 წ.წ. – დაღესტნის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, 1943-1952 წ.წ. – საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (მინისტრი). 1952-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო „მეცნიელ ნაციონალისტთა ჯგუფის“ საქმეზე. 1953 წ. პრილ-ოქტომბერში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა. 1953 წლის ოქტომბერში ორგანოებიდან დაითხოვეს, პენსიაზე იყო. 1957-1970 წ.წ. საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა.

### დაპატიმრეს პეტრე შარიაც.

პეტრე შარია (1904-1979 წ.წ.). დაიბადა გალში. დაამთავრა მოსკოვის წითელი პროფესურა. 1921-1925 წ.წ. კომუნისტური აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტია, 1929-1934 წ.წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგობს. იმავდროულად, 1931-1934 წ.წ. საქ. კპ(ბ) ცქ-სთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის („იმელის“) ფილიალის დირექტორის მოადგილეა, 1934-1936 წ.წ. – საქ. კპ(ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე, 1936-1938 წ.წ. – საქ. კპ(ბ) ცქ-ის მეცნიერებისა და სკოლების განყოფილების გამგე. 1938 წლის შემოდგომაზე სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარად (ერთხანს სახეობის პირველ მოადგილედ) და სსრკ სახელმწიფო უმიშროების მთავრი სამმართველოს უფროსად გადასულმა ლ. ბერიამ თან წაიყვანა მოსკოვში და თავისი სამდინაროს უფროსობა ჩააბარა. 1939 წელს სსრკ შინსახეობისან არსებული განსაკუთრებული ბიუროს უფროსია, 1940 წელს – სასწავლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი, 1941-1943 წ.წ. – პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილე. შემდეგ საქართველოში აბრუნებენ: 1943-1948 წ.წ. საქ. კპ(ბ) ცქ-ის მდივანია. ამ პერიოდში შერისხეს კომუნისტისთვის (ძით უმეტეს, ცეკას მდივნისთვის) შეუფერებელი მისტიკური ლექსის დაწერისთვის. 1948-1952 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე იყო. 1952-

1953 წ.წ. ციხეში იჯდა „მუზრული ნაციონალისტური ჯგუფის“ საქმის გამო. განთავისუფლების შემდეგ, 1953 წლის აპრილში ნისში სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ბერიას თანაშემწე და ძველებურად „სპინრაიტურის“ შეფის დამხობისთანავე, 1953 წ. იქნის ბოლოს, დააპატიმრებდა და 1954 წლის სექტემბერში სსრკ უზენაესი სასამართლოს საქ ხელიოდორი კოლეგიამ 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. და მაინც, და ფორტოფოს ციხიდან უღადიმირის ციხეში გადაყვენაშედე დაწერა პოვემა „პარტიას“. გაათავისუფლეს 1963 წ. მუშაობდა მოთა რეს. თაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. ა. ჩეჩელი იყო (1944 წ.) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემის აკადემიკოსად. 1943 წელს მიენიჭა სახელმწიფო უმიშრობის მე-3 რანგის კომისრის, 1945 წელს კი — გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

ასევე ნ. რუხაძის წინადადებით, რომელიც იმოწმებდა ქარკვიანის მითითებას, 1952 წლის 21 ოქტომბერის დააპატიმრებდა ცხაკაიას რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, იმ პერიოდში ტექნიკური კულტურუბის სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი აღექმდან კვარაცხელია.

აღექმდანდრუ (ალექს) კვარაცხელია (1909-1983 წ.წ.). ათ შვილიანი ოჯახის უფროსი გაერიყო იყო. ზუგდიდის საშუალო სკოლის დასრულებისთანავე თბილისში, ამიერკავკასიის კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო ორწლიანი სკოლის მსმენელად აგზავნიან. შემდეგ წითელ არმიაში მსახურობს პოლიტმუშავად. 1937 წელს ჯარიდან გამოიწვიეს და ზუგდიდის მანქანა-სატრაქტორო სადგურის (მტს) დირექტორად დანიშნება. წელი წადნახვარი იმუშავა ამ თანამდებობაზე და პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანად აირჩიეს, 1941 წლის დასაწყისში კი — წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივანად. მისი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი განსაკუთრებით გამოვლინდა ომის დროს. რისთვისაც 1945 წელს სამამულო ომის I ხარისხის ორდენის დაჯილდოვდა (ამ ორდენით ზურგის მუშაკებს იშვიათად აჯარდოებდნენ). 1945 წ. ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივნად უ-

დაჲყაუთ 1948 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება გიენიჭა. იმავდროულად დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1952 1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო. განთავისუფლების შემდეგ საქ. კ(ბ) ცკ-ში მუშაობდა. 1953 წლის ონისის ამბების შემდეგ წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად აგზავნიან. 1978 წლამდე, მთელი 24 წელი უცელელად ხელმძღვანელობდა ამ მეურნეობას, ერთ-ერთ საუკეთესოს საქართველოში. სამამულო ოშის I ხარისხის ორდენის გარდა, დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რუოლუციის, შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

იმავე დღეს აიყვანეს პარტიის წალენჯიხის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი მიხეილ კვარაცხელია, რომელიც იმ დროს არსად არ მუშაობდა.

მიხეილ კვარაცხელია (1910-1987 წ.წ.). დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში. მიღებული პქონდა უმაღლესი აგრონომიული განთლება. სხვადასხვა დროს მუშაობდა წალენჯიხის რაიონის მიწგანის გამგედ, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, ხობის მტს-ის დირექტორად. მინიჭებული პქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. დაჯილდოებული იყო ორი ლენინის, შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

21 თებერვალს დააპატიმრეს აგრეთვე ხობის რაიკომის პირველი მდივანი მიხეილ სიორდია, 23 თებერვალს კი — ცეკას ყოფილი ინსტრუქტორი (იმ დროისათვის ისიც მოხსნილი იყო სამუშაოდან) მარიამ ჭკადუა.

1952 წლის 6 მარტს ნ. რუხაძემ კვლავ დაიმოწმა ი. სტალინის მითითება და დააპატიმრა სკ(ბ) ცკ-ის ყოფილი ინსპექტორი ალიოშა მირცხულავა.

ალექსანდრე (ალიოშა) მირცხულავა. დაიბადა 1911 წ. ხობის რაიონის სოფელ პირველ ხორგაში. დაამთავრა სოფლის 7-9. ალექს (ალეკო) ასლანიშვილი. მუგრელთა საქმე

წლიანი სკოლა, ზუგდიდის პედაგოგიური ტექნიკუმი, მოგვანებით — სკპ (ბ) ცკ-თან არსებული უმაღლესი პარტიული ცხლა. მუშაობდა კომკავშირის ხობის რაიონის მდივნის მოაღვევლედ, შემდეგ — მდივნად, ალკე მცხეთის, ხონის რაიონის მდივნად, საქ. ალკე ცკ-ის მეორე მდივნად. 1938-1941 წწ. საქართველოს აღმართული პირველი მდივნია, 1942-1943 წწ. — პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნი, იმავე წლებში იყო 46-ე არშიის სამხედრო საბჭოს წევრი, 1943-1950 წწ. — აფხაზეთის ასსრ სახეომსაბჭოს (მინისტრობის საბჭოს) თუმჯდომარე, 1950-1952 წწ. მოსსკოვში მუშაობს სკპ(ბ) ცკ-ის ინსტუტორად. „მეგრულთა საქმესთან“ დაკავშირებით შერისხეს და ჯრტრუსტ „საქტოროფის“ მმართველად გადაიყვანეს, 1952 წლის მარტში კი დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ, 1953 წ. არილიდან სექტემბრამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნია, ამ პოსტზე შეცვალა აკაკი მგელაძე. შემდეგ სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოზეა. დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, წითელი არსკვლავის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით. ხანდაზმულობის მიუხედავად მხნედ არის და აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობს.

1952 წლის 11 მარტს ნ. რუხაძის მითითებით დააპატიმრეს პარტიის თბილისის ორჯონიერის რაიონის პირველი მდივნი ნინა ჟვანია.

ნინა ჟვანია (1917-1990 წწ.). დაიბადა ქ. ფოთში. დაამთარა მშობლიური ქალაქის საქართველო-საფაბრიკო სკოლა და სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ტექნიკუმი. 1937 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური ფაკულტეტის საგეგმო სექტორზე. იყო სანიმუშო სტუდენტი და აქტიური კომკავშირული. 1938 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, დაამტკიცეს ჯერ საქ. ალკე თბილისის კომიტეტის განყოფილების ინსტრუქტორ-პროპაგანდისტად, მერუ-განყოფილების გამგედ. 1939 წლის იანვარში ალკე ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს, იმავე წლის ნო-

ებერში საქ. ალექ ცკ-ის მდივნად გადმოიყვანეს. 1948 წლიდან კარტიულ სამუშაოზეა: სხვადასხვა დროს ეკავა საქ. კპ(ბ) ცკ-ის პასუხისმგებელი ორგანიზატორის, თბილისის ორჯონიშვილის რაიკომის პირველი მდივნის, თბილისის კომიტეტის მდივნის თანამდებობები. 1952-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო. 1956 წლიდან 1964 წლამდე მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის კულტურისა და მეცნიერ მუშაქთა ფილიალის დირექტორად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს თბილვაჭრობის დირექტორად, აბრუშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორად. 1964 წლის ოქლისში გადაიყვანეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასწომის თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც მეოთხედ საუკუნეზე მეტნანს, სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა. დაჯილდობული იყო ლენინის, წითელი გარსკვლავის, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

20 მარტს უშიშროების მუშაკებმა დააპატიმრეს ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი, ყოფილი ფოთის ქალაქეომის პირველი მდივანი გრიგოლ კუკაია...

1952 წელს აპრილის პირველ რიცხვებში, საქ. კპ(ბ) ცკ-ის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ, დაპატიმრებები გახშირდა. 6. რუხაძემ „ინსტანციიდან“ და ცეკას ახალი ხელმძღვანელობიდან მიღებული მითითებები დაიმოწმა და წინადაღება წამოაეცნა მოშადებული იყო ცნობა იმ პირთა დაპატიმრებებზე, რომლებიც საქმეში გადიოდნენ „ბარამიას ჯგუფის“ დაპატიმრებულ წევრთა ჩვენებებით.

4 აპრილს გაფორმდა მასალები საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილის ი. მალანიას პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, როგორც პირისა, რომელიც ფიგურირებდა საქ. კპ(ბ) ცკ-ის პირველ დახურულ წერილში (!). შემდგომში მალანიაზე საქმე შეწყდა.

6 აპრილს დააპატიმრეს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ზუგდიდის რაიგანყოფილების უფროსი ლ. გაბისონია.

1952 წლის აპრილსა და მაისში, ძიების მასალების მიხედვით შედგენილი ცნობების საფუძველზე, დააპატიმრეს:

პართუნ კორთხონჯია — გეგეჭელის რაიკომის კორელი მდიგანი, იმ დროისათვის რესპუბლიკის უმაღლეს ჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე;

გალერიან გუგუნავა — ცხაკაიას რაიკომის პირველ მდიგანი;

ალექსანდრა იოსავა — მიხა ბარამიას მეუღლე;

კლადიმერ სიჭინავა — ზემო სვანეთის რაიკომის პირველ მდიგანი;

კირილე ბეჭუავა — აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილ პირველი მდიგანი. იმ დროს არსად არ მუშაობდა, მოხსნილი იყო.

სეურიან ეძრალიძე — აბაშის რაიკომის პირველი მდიგანი მამანტი პაჭურია — ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდიგანი.

მამანტი პაჭურია. დაიბადა 1915 წ. სოფელ ცაიშმი (ზუგდიდის რაიონი). 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მასწავლებლობა და ზუგდიდის პედაგოგიურ სასწავლებელში. მაღლე რაიონის პროკურორად ნიშნავენ. მოგვიანებით პარტიის ზუგდიდის რაიკომი მეორე მდიგნად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე 1948 წლამდე მუშაობდა. შემდეგ პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდიგნად დაწინაურდა. მიიღო სოციალისტური შრომის გმირის წოდება 1952-1953 წ. წ. დაპატიმრებული იყო „მეგრელთა საქმის“ გამორეაბილიტაციის შემდეგ ისტორიის მეცნიერებათა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. დღემდე მუშაობს ით. ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალში.

სეურიან ეძრალიძე. დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხას კარში. სხვადასხვა დროს მუშაობდა რაიონული განების რედაქტორად, პარტიის რაიკომის მდიგნად. დაპატიმრებაშე პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდიგანი გახლდათ 1955 წლის აპრილში ცისიდან განთავისუფლების შემდეგ იყო ანაულიის მერძევეობა-მეკამეჩეობის მეურნეობის დირექტორი, ჯანას კარის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ქალაქის საყოფაცხოვის კარის მდიგანი.

რებო მომსახურების სამმართველოს უფროსი. მინიჭებული პქმნდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. გარდაიცვალა 1984 წელს.

იცვორმაცია განსჯისათვის: ყველა ამ პირის დაპატიმრებაზე არსებობს... პარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი წერილობითი მითითება.

12 მაისს პირადად ნ. რუხაძის მიერ შედგენილი და ი. სტალინის, ხ. იგნატიევისა და ა. მგელაძისათვის წარდგენილი ცნობის საფუძველზე გაიცა საქ. კპ(ბ) ცკ-ის მითითება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსის, გენერალ-მაიორ კონსტანტინე ბზიავას დაპატიმრებაზე.

კონსტანტინე ბზიავა (1905-1972 წ.წ.). 1927 წლიდან მუშაობდა საბჭოთა დაზვერვის ორგანოებში. 1940-1943 წ.წ. იყო ჯერ აჭარის, შემდეგ აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახკომი, 1943-1946 წ.წ. — კაბარდოს ასსრ შს სახკომი, 1946-1952 წ.წ. — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. 1943 წელს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების კომისრის წოდება, 1945 წელს — გენერალ-მაიორისა. 1952-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო „მეცნიელთა საქმესთან“ დაკავშირებით ერთ-ერთ ბრალად ის წაუყენეს, ბარამიასთან შინსახკომის თანამშრომელთა განცხადებები მიპქონდა რუხაძეზე კომპრომატებითო.

14 მაისს, სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ტრანსპორტის დაცვის სამმართველოს წინადაღებითა და საქართველოს კომპარტიის ცეკას მითითებით, დააპატიმრეს ფოთის პორტის უფროსი კონსტანტინე რუჟავა.

6 ივნისს კი საქართველოს აღკა ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანის, იმ დროისთვის შერისხული და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასქომის განყოფილების გამგედ ჩამოქვეითებული მამია ზოდელავას ჯერი დადგა.

იულიანე (მამია) ზოდელავა (1917-2004). დაიბადა როგორც საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა. პილატი ნიკურ ინსტიტუტში ინჟინერ-შენებლის სპეციალობა მიღება. 1940 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა: იყო რკინიგზის სისტემის პარტიული, ინსტრუქტორი — რაიკომსა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. 1943 წელს ალექს ცე-ის მეორე მდივნა აირჩიეს, 6 თვის შემდეგ კი — პირველ მდივნად. 1952-1953 წელს ციხეში იჯდა „მეგრელთა საქმის“ გამო. განთავისუფლების შემდეგ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშნეს, სადაც მხოლოდ 8 თვე დასტანდა და მუშაობა. იყო კვების მრეწველობის სამინისტროს კაბინეტური შენებლობის სამმართველოს უფროსი, „ცეკაუშირის“ თავმჯდომარის მოადგილე, ხილ-ბოსტნეულის მეურნეობაის მინისტრის მოადგილე.

### 7 იულისს ერთბაშად მოხვეტეს:

ლიდია ბარამია — მიხა ბარამიას და;

გარლამ შხარულუა — ჩხოროწყვეს რაიკომის ყოფილი მდგანი, იმჟამად ქ. ცხაკაიას ქირის ქარხნის დირექტორი;

ანტიფო ჭუჭა — გალის რაიკომის პირველი მდივანი.

ანტიფო ჭუჭა (1910-1986 წ.წ.). დაიბადა ჩხოროწყვეს რაიონის სოფ. ნაკიანში. საშუალო სკოლისა და სასოფლო-სამურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიიღო აგრონომიული განათლება. ერთხანს შმობლიურ ტექნიკუმი მასწავლებლობდა, დირექტორის მოადგილეც იყო. 1938 წელს თბილისში გადადის „საქართველოს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების“ გამგებელი. 1939 წლიდან საქ. კპ(ბ) ცე-ის ინსტრუქტორია, შემდეგ — განყოფილების გამგის მოადგილე. ომის დროს კომისარი იყო, მალე აფადმყოფობის გამო დემობილიზაციით გამორჩეულ 1943-1950 წ.წ. პარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანია. 1950-1952 წ.წ. — საქ. კპ(ბ) ცე-ის პასუხისმგებელი ორგანიზატორი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსი აგრონო-

მი. „მეგრულთა საქმის“ გამო პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ პარტიის ხობის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. 1954-1965 წლებში მუშაობდა ზუგდიდის მტს-ს დირექტორად, სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსად, რაისაბჭოს აღმასრომის თავმჯდომარის მოადგილედ, ზუგდიდის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსად, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად. 1966 წელს დანიშნეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალის დირექტორად, სადაც 1985 წლამდე, პენიაზე გასელამდე იმუშავა. არჩეული იყო სამი მოწვევის საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მინიჭებული პქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, იყო ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ორი მონოგრაფიისა და 23 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

1952 წლის ოქტომბრიდან 1953 წლის ოქტომბრიდან შენაგანი ციხე კიდევ უფრო შეივსო. მისი ბინადარნი გახდნენ:

ა. კაკი კილანონია — აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილი განყოფილების გამგე, რომელიც იმ მომენტში უკვე გაგდებული იყო და არსად არ მუშაობდა;

გ. კალანდია — აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე (ისიც აღარსად არ მუშაობდა);

ე. ჯიქია — ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე;

გ. პაპასქეუა — აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის მინისტრი;

რაფიელ კვირკველია — საქ. კპ(ბ) ცკ-ის ყოფილი მდგანი, დაპატიმრების დროს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორი.

დააპატიმრეს მეგრული გვარის მქონე ბევრი სხვა პასუხისმგებელი მუშაკი.

თანე ჯაფაზიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, მეცნიერმა და მწერალმა, ას გარდაცვლილმა აკაკი თოფურიამ მიამბო, თუ რა ფათერაკა გადახდა მაშინ მის ძმას (ეს ამბავი ბატონ აკაკის 1996 წელს გამოცე-

მულ მოგონებათა წიგნშიც „სინდისის ღმერთების ბარიკებებიზე“ აქვს შეტანილი):

„ფოთიდან შემაშფოთებელი ამბავი შემატყობინება. მუჭა რელთა საქმესთან“ დაკაუშირებით დაპატიმრებული ფოთის საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირებით მდივნის გრიგოლ კოკაიას კვალდაკვალ პასუხისგებაში მიუციათ ჩემი უფროსი მან, რომელიც აღრუ ქალაქების სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ მუშაობდა, იქიდან კი, როგორც ტექნიკისი, ნაბადის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. სასამართლო პროცესზე, მტკიცებულებების უქონლობის გამო, ვანოს საქმე კვლავ საქალაქო პროკურატურაში დაებრუნებინათ, პატიმარი კი ქუთაისის ფსიქიატრიულ საჯადმეოფორში გადაუყვანიათ „მკურნალობისთვის“.

ქუთაისში ჩაედი ავადმყოფი ძმის სანახავად. ჩემი დანაკვისთანავე დასუსტებულმა და ღონებისდილმა გამწარებით შემომჩიდა:

— რა მინდა მე აქ, რატომ მომიყვანეს? რას მიგონებენ, რას მწამებენ. კოკაიასთან ერთად თურქეთში დადიოდი წყალქვეშა გემითო. ტყუილი უნდათ მათქმევინონ. ვინ გვყოლია პროკურორებად და მოსამართლებად, ვინ ყოფილან! მიშველე, მის სენი გიჟებისაგან. ისევ სასამართლოში, ხალხის წინაშე დამყენონ. იქ გავცემ მაგათ პასუხს.

იგი შფოთავდა, ღელავდა, სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა. ნაომარი კაცი თავის ხვედრში დიდ გაუგებრობას ხედავდა, მოსალოდნელ რაღაც უბედურებას გრძნობდა. ამიტომ ტაროდა და ცახცახებდა.

მივედი და მთავარ ექიმს ვკითხე: — ხომ ხედავთ, საესებით ნორმალური ადამიანია, არასწორი დიაგნოზით არის მოწვევრილი თქვენთან. არ შევეძლოთ უკან დაგებრუნებინათ?

— ეს აღემატება ჩემს კომპეტენციას. პაციენტი პროკურორის კონტროლზეა. მათ გარუშე უფლება არ მაქვს — მისუხა მან.

— სწორი დიაგნოზის დასმის უფლება თქვენ პროკურატურისგან იღებთ?

— არა, მაგრამ როცა მათი ზედამხედველობის ქვეშაა, უნი-  
თმანეთთან გათანხმებთ

იმავე დღეს ქუთაისის ოლქის პროკურორის შიო რქევიაშ-  
ვილის კაბინეტში ერთი საათი გრძელდებოდა ჩვენი საუბარი ამ  
თემაზე. ერთი მხრივ, იგი განიცდიდა ზემოდან დაწოლის სიმძი-  
მეს, მეორე მხრივ, შინაგანი სინდისის კარნახით გრძობდა, რომ  
ფუჟე ნიადაგზე იდგა, ამიტომ ვერ პოულობდა მომზდარი ფაქ-  
ტის გამართლების რაიმე იურიდიულ ძალას.

— საავადმყოფოს მთავარი ექიმი ადასტურებს, რომ პაცი-  
ენტი არ შეეჭერება მის პროფილს, მაგრამ ვერ იყენებს თავის  
უფლებას იმის გამო, რომ ფოთის პროკურატურას ეს ხელს არ  
აძლევს. თქვენი როლი?

— ჩემი როლი სხვა შემთხვევაში უკანონობის აღმქენეთი  
იქნებოდა, მაგრამ „მეგრულთა საქმეს“ უშუალოდ რუსაძე ხელ-  
მძღვანელობს... ფოთის პროკურატურას დაკალებული აქვს მი-  
აღწიოს პატიმრის მიმართ წაკიდებული ბრალდების აღიარე-  
ბას. როცა აღიარების რეალური სარჩევლი არ არსებობს, მი-  
მართავნ უკიდურეს ზომას, მათ შორის სულიერი შერყვევის ცდას.  
ასეთ დროს პიროვნება კარგავს ცნობიერების უნარს და უკელა-  
ფერზე შეგიძლია ხელი მოაწერიონ.

— ნაომარ კაცს აგიჟებენ, სად ვართ, ფაშისტურ გერმა-  
ნიაში?

...პროკურორი ცხეირსახოცით ოფლს იწმენდდა. კრინტი  
არ დაუძრავს. მერე ტელეფონის ყურმილი აიღო და ფოთის პრო-  
კურორს დაელაპარაკა:

— ქუთაისიდან დააბრუნებენ თქვენს მიერ დანაშაულებრი-  
გად საგიჟეთში მოთავსებულ ბრალდებულს, სასამართლო დაუ-  
ნიშნეთ და შედეგი მაცნობეთ.

სანამ „მეგრულთა საქმე“. დამთავრდებოდა, ჩემი ძმა უკავე  
განთავისუფლებული იყო ციხიდან, მაგრამ მამა გადაიყოლა ჯაუ-  
რმა, — ოხვრით დაასრულა ბატონმა აკაკიმ.

ასეთი „ბედნიერი დასასრული“ იშვიათი იყო. ყველას როდი  
შეწედა შიო რქევიაშვილის პატიოსანი და მამაცი პროკურორი.

ფართოდ იჩინა თავი აღაშიანთა მანკიერმა თვისებებშა, რაც გვარმა ჭორმა, მითქმა-მოთქმაშ სამჯრელოს ქუთხის წარმატებად და სამუშავად. გვირცელებული იყო ასეთი კალამბერი: „ამოსულა ბერქთან ია, რა გინდოდა შენ აქა, საწყალს ყლორტებს ძირში ჭრიან, უმწარებენ სააქაოს“ (მეორე ხელი, ალბათ, მიხვდა, რომ ია აქ მეგრელის, უფრო სწირად, მეგრელი გვარების ია-ზე დაბოლოების მინიშნებაა). პარტია და უშიშროების სამსახური „რკინის დისციპლინას“ ამყარებდნენ „მტრული ელემენტების“ გასანადგურებლად....

მოხმირებული დაპატიმრებები შიშსა და მიუსაფრობის გრძნობას იწვევდა ხალხში. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ სჯეროდა „მეგრელთა საქმისა“, მტკივნეულად განიცდიდა, ცილისწამებად და პროკაციად მიაწინდა.

ამასთან დაკავშირებით ბატონი მამანტი პაჭკორია იგონებს:

„1952 წლის შემოდგომაზე კომკავშირის ქუთაისის საოლქო კომიტეტის ახალგაზრდა მუშაკი ედუარდ შევარდნაძე მელინებით ჩავიდა ზუგდიდში. სოფელ ცაიშის საშუალო სკოლაში ეოფნისას იგი შეხვედრია ჩემს მეუღლეს, პედაგოგ თინა ითხავას, რომელსაც ქუთაისის პედინსტიტუტიდან იცნობდა. ბატონ ედუარდს უკითხეას, როგორ მოხვდი ამ სოფელშით და როცა გაუგია, რომ „მეგრელთა საქმის“ გამო დაპატიმრებული ქმრის შმობლებთან ჩამოვიდა ჩხოროწყუდან ბავშვებიანად და აქ სკოლაში მოწყობო სამუშაოდ, შეწუხებულს უთქვაშს, მოვრინილი საქმეა, არათერი გამოუვათ, მოითმინეთ, ყველაფერი კარგად დამთავრდებათ. ეს ნათქვაში იყო არა უბრალოდ ქალის სანუგეშოდ, არამედ რწმენით და არსებითად. აღვილია არ იყო მაშინ პასუხისმგებელი მუშაკის მიერ ამ რწმენის გამოხატვა და იმედიანი სიტყვების თქმა რეპრესირებულის ოჯახისადმი“.

\*\*\*

სტალინი თვალს ადვენებდა საქმის მსვლელობას. მას სისტემატურად ეგზაუნებოდა დაკითხების ოქმები (მარტო 1952 წლის 16 აპრილიდან 3 სექტემბრამდე სხვადასხვა პირის 9 დაკითხების ოქმი გაეგზავნა), ინფორმაციები გამოძიების პროცესი მიმდინარეობაზე.

გარევეულ მითითებებსაც იძლეოდა. ოდონდ, „მეგრულთა საქმის“ საგამოძიებო მასალების ტომეულებში არ ჩანს სტა-ლინის ხელმოწერილი რაიმე დოკუმენტი, რაც იმის თქმის უფ-ლებას გვაძლევს, რომ წერილობითი მითითება მას, აღბათ, სა-ერთოდ არ გაუცია.

მკითხველს გავაცნობ სტალინისადმი მიწერილ ერთ წე-რილს იმის დასტურად, რომ ბელადი არა თუ ცხოვლად იყო დაინტერესებული „მეგრულთა საქმის“ გამოძიების მიმდინარე-ობით, არამედ იმასაც კი უთანხმებდნენ, თუ რა მიმართულებით წარემართათ გამოძიება.

### „ამბ. ი. სტალინს

გამოძიება მტრული მეგრულ-ნაციონალისტური ჯვეფის საქმეზე შეკვე 6 თვეზე მეტია გრძელდება. საქმის გამო დაპა-ტიმრუბულია 26 კაცი ხელმძღვანელი პარტიულ-საბჭოთა აქ-ტოვიდან.

გამოძიების მსელელობა თქვენ გ ხსენდებოდათ დაკითხუ-ბის ცალკეული თქმებით

საქმეზე დაპატიმრუბულებმა აღიარეს თუიანთი დანაშაუ-ლებრივი საქმიანობა, აკრეთვე დაასახლეს მათ მიერ გადაძი-რებული პირები.

გაჯამებთ რა გამოძიების შედევებს, მიგვაჩნია, რომ ბარა-მიას საქმეზე დაპატიმრუბულთა ძირითადი დანაშაულებრივი კავ-შირები გახსნილია. დაპატიმრუბულთა შემდგომი დაკითხვები მოწმობს, რომ საკუთა დამატებით გამოულინდნენ პირები, რომ-ლებიც დაპატიმრებას ექვემდებარებიან. ამის მიუხედავად, გა-მოძიებას დასახული აქვს ამოცანა, გამოავლინოს ბარამიას ჯვეფის წევრები ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში და საქართველოს აღკქ-ში.

ამფამად გამოძიება მუშაობს დაპატიმრუბულთა დანაშაუ-ლებრივი საქმიანობის დოკუმენტაციაზე და აპირებს დაიწყოს დაპატიმრუბულთა და მოწმეთა დაპირისპირება, რათა დააზუს-ტოს შოგიერთი ვითარება, აკრეთვე მიაღწიოს ა. ნ. რაფუას, კ. ი. შონიას და კ. გ. ჭიჭინაძის უფრო გულაბდილ აღიარებას,

რომლებიც ჯერ კიდევ უარყოფენ ნაციონალისტური აქციას წევრობას.

გთხოვთ, საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს

— ნება დართოთ კურსი აიღოს გამომიების 1952 წლის I ივნისისთვის დამთავრებაზე. გამომიების დამთავრების აუცილებლობა იმ გარემოებისაც არის გამოწვეული, რომ ზოგიერთი ძირითადი ბრალდებულის (ბარამია, შონია, ჭიჭინაძე) ჯანმრთლობა უარესდება, განსაკუთრებით — ბარამიასი.

— ნება დართოთ მოამზადოს საქმე სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის საკანკებო საქუუბულოს დახურულ სხდომაზე მოსახმენად, ამ საქმის ორ-სამ ჯერულდ გაფორმოს.

ამ წინადაღების მიზანშეწინილობა იმითაც არის განსართებული, რომ დაპატიმრუბულმა ბარამიამ და სხვებმა ჩუქუპა არ მისცეს თავიანთ კავშირზე ე. გვევტკორის ჯაშუშურ ორგანიზაციასთან.

გთხოვთ მითითებებს.

საქ. კპ(ბ) ცკ-ის მდივანი ა. მეელაძე

საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნ. რუსაუ 1952 წლის მაისი (რიცხვი მითითებული არ არის).

ეს წერილი მრავალმხრივად არის საინტერესო, ჯერ ერთი იმით, რომ თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენ ორგანულად არის სტალინი ჩართული გამომიების შევლელობაში: მას უასებებენ თუ როდის დაამთავრონ გამომიება, უფრო სწორად, ნუ ბართვას სთხოვდნენ საერთოდ დაამთავრონ ეს უპერსპექტიულ გამომიება, რადგან საეჭვოა დამატებით გამოვლინდნენ პირები, რომლებიც „დაპატიმრებას ექვემდებარებიან“, დაპატიმრებულებულ მა ჩვენება არ მისცეს თავიანთ კავშირზე ვეგენი გეგეჭკორის ჯაშუშურ ორგანიზაციასთან და, ალბათ, არც არასოდეს მისცემენ. პოდა, რაღა აზრი აქვს გამომიების გაგრძელებას?

მართალია ბელადს აღუთქვამენ მეგრელი ნაციონალისტების გამოვლენას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებას და კომქავშირში, მაგრამ ამით უფრო თავს იმშვიდებენ, რად-

გან მშევრივ რად უწყიან, რომ გენერალ კონსტანტინე ბზიავასა და მამია ზოდელავას დაპატიმრებამ სასურველი შედეგი არ გამოიღო.

ახლა ეველაზე ღირსეული გამოსავალი გამოძიების დასრულება და საქმის სასამართლოსთვის გადაცემა: საბჭოთა ტრადიციისამებრ, სასამართლო ისე განსჯის, როგორც სახელმწიფო უშიშროების გამომძიებელთა კოჭლი დასკვნები უკარნახებს.

მაგრამ წერილის აუტორებს იმედი არ გაუმართლდათ ეტყობა (დოკუმენტებში ეს არ ჩანს) ბელადმა სულმოკლებს დაუცაცხანა და მათაც გააგრძელეს ქვიშის ორკის გრეხება. ძიება ურც 1 ივლისისათვის დასრულდა და ვერც საერთოდ 1952 წელს. იგი სტალინის გარდაცვლებამდე, 1953 წლის მარტის პირველ რიცხვებამდე გრძელდებოდა. მას საერთოდ არ წერა დასრულება.

\*\*\*

საქართველოს ახალ ხელმძღვანელს აკაკი მგელაძეს მოქმედების წყურვილი კლავს. მან ხომ ბელადს აღუთქვა, რომ ახალ-ახალ შეთქმულებებს აღმოაჩენდა, განსაკუთრებით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქებსა და საქართველოს კომკავშირში.

უპირველეს ყოვლისა, სცადა თავიდან აეცილებინა სტალინის რისხეა „საქმის“ გამოძიების წარუმატებლობის გამო და მოელი პასუხისმგებლობა 6. რუხაძეს დააკისრა. 13 მაისს მან წერილი გაუგზავნა ბელადს, რომელშიც პირდაპირ ადანაშაულებს 6. რუხაძეს, ინფორმაციებს მიმაღავს ბარამიას ჯგუფის ჯერ კიდევ თავისუფალ წევრებზე. წერილში ხაზგასმულია რუხაძის საეჭვო კავშირი და მეგობრობა ცკ-ის მდგვანთან, ყოფილ ფინანსთა მინისტრ რაფიელ კვირკველიასთან. ამასთან, გამჭეირვალედ არის მინიშნებული... შეიძლება, თვით რუხაძეც საიდუმლოდ ბარამიას ჯგუფს ეკუთვნოდესო; მითითებულია, რომ რუხაძემ, ბარამიასთან შეთანხმებით, გადაწყვიტა დაპატიმრებები მხოლოდ იმ პირებით შემოეფარგლა, რო მღებიც უკვე იმყოფებოდნენ ძიებაში. თუმცა თვით წერილში, როგორც „მეგრულთა საქმის“ სხვა დოკუმენტებში, ბერიას სახელი აშკარად არ ფიგურირებდა, სტალინი უნდა მიმხედარიყო, რომ რუხაძის ცდის

სულისხამდგმელად, დაქმუხრუჭებინა საქმე, თვით ყოფლისშემდეგ ლავრენტი მოიაზრებოდა...

1952 წლის 26 მაისს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის IX პლენურ მი გაიმართა. დღის წესრიგში ერთობ შთამბეჭდავი საქონის დღვე „სკპ(ბ) ცკ-ის 27 მარტის გადაწყვეტილებათა ცხოვრუბაში გატრუების უზრუნველყოფის შესახებ კოლმეურნეობებში სახოგადო ებრთვი ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“. მოს სენებით ცეკას მდგანი კლადიმირ ცხოვრუბაშვილი გამოიიდა.

— საქართველოს კომპარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტში დიდი ხნის მანძილზე დაუსჯელად მოქმედ მოღალუტეთა ჯგუფს, — კარგად გაწალდეს გზას მიჰყვა მომსხვენებლი, — განზრახული პქონდა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება და მოეშხადებინა საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია საქართველოში. ამ დროს იმედოვნებდნენ უცხოელი იმპერიალისტების მხრიდან დახმარებას...

პლენუმზე ითქვა, რომ 15 აპრილიდან 10 მაისამდე პირველად პარტიულ ორგანიზაციებში დიდი აღმავლობით, ორგანიზებულად განიხილეს საქ. კპ(ბ) ცკ-ის დახურული წერილი, რომელშიც დაწერილებით იყო გადმოცემული სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილება „საქართველოს კომპარტიაში საქმის მდგომარეობის შესახებ“. კრება გამართულა 9213 ორგანიზაციაში, დაწერებია 149120 კომუნისტი, ანუ კომუნისტთა საერთო რაოდენობის 87 პროცენტი, კამათში კი გამოსულა 41596 კაცი — 34 პროცენტი.

პლენუმის მონაწილეებს გააცნეს „ცინცალი“ ფაქტები: თურმე ზუგდიდის რაიონის ყოფილი მდივანი გრიგორ ჩარიბაია კოლმეურნეობის თავმჯდომარეულებისაგან სისტემატურად იღებდა მსხვილ თანხებს და პროდუქტებს; გეგეჭკორის რაიონის ყოფილ მეორე მდივანს ვასილ ბეჭედიას უფასოდ მაქონდა ხე-ტყე, პროდუქტები და სხვა საქონელი; ანტიპარტიული ჯგუფის მფარველობის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს სუსტი კოტროლის შედეგად, ზუგდიდის, ხობის, გეგეჭკორისა და სხვ რაიონებში სოციალისტური შრომის გმირის წოდებას დაუ-

საზურებლად იღებდნენ კოლმეურნები და რაიონის ხელმძღვანელი მუშაქები.

ილაპარაკეს მიწერებზე, მოტყუებაზე საერთოდ რესპუბლიკაში, დასახელდა საინტერესო ფაქტები.

ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიეს მცხოვრებმა იოსეფიძიმ, რომელსაც ეზოში მხოლოდ 4 მირი ჩაის ბუჩქი ედგა, 1951 წელს ანაზღაურებად მიიღო 14 ათასი მანეთი, თითქოს კარგიდამოდან ჩააბარა 1401 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

1951 წელს შრომადღების მინიმუმი ვერ გამოიმუშავა 140356 კაცმა, ანუ შრომისუნარიან კოლმეურნეთა 23,6 პროცენტმა. აქედან:

ზუგდიდში — 5262 კაცმა (34,6%)

თერჯოლაში — 2466-მა (45,6%)

წულუეიძეში — 1847-მა (32,6%)

გურჯაანში — 5575-მა (43,5)

საგარეჯოში — 2885-მა (40,8%)

ხაშურში — 3876-მა (40,0%)

რესპუბლიკაში საერთოდ არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია 24917 კაცს.

არადა, ამ რაიონებში კოლმეურნეობები მუშებს ქირაობდნენ და დიდალ თანხას უხდიდნენ, რაიონის მდივნები კი თავს იმართლებდნენ, სახოფლო სამუშაოებს იმიტომ გაგვიანებთ, რომ მუშახელი არ გვყოფნისო.

ეს მრავალმხრივ საინტერესო სტატისტიკაა. უპირველეს ყოვლისა, თვალნათლივია, რომ საკოლმეურნეო შრომიდან გაქცევა, მიწერა და მოტყუება საყოველთაო მოვლენაა, „მეცრული ნაციონალიზმი“ არაფერ შუაშია. თუ დაუუკვირდებით, ზუგდიდის რაიონი რესპუბლიკის სხვა რეგიონებს სჯობს კიდეც. ამდენად იგი თვალსაჩინოებისთვის არ გამოდგებოდა.

პლენუმმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, სისხლის ღვარი დააყენა:

სხვა სამუშაოშე გადასვლასთან დაკავშირებით ცეკას მდივნობიდან და ბიუროს წევრობიდან გაათავისუფლეს რაფიშლ კვირკველია (ეს „სხვა სამუშაო“ აგარის შაქრის ქარხნის დირექტორობა იყო... დროებით, დაპატიმრებამდე. სხვათა შო-

რის, რაფიელ კვირკველია კანდიდ ჩარგვიანმა 1951 წლის დეკემბრის პლენურზე ცეკას ბიუროს წევრად აირჩია და ამჟამ ქათოგვარი ლოიალობა გამოიჩინა მეგრელთა მიმართ. ვერ მიხედა, რომ, როგორც მეგრელი, რ. კვირკველიაც „მტერი“ იქნებოდა, აკაკი მგელაძემ კი ეს „მტერი“ უმაღლ გაშიფრა და სხვებს მასშვება გვერდით).

საქ. კპ(ბ) ცკ-ის წევრობიდან გაირიცხნენ გრიგოლ ჭავაძა, კირილე ბეჭაძა, ვალერიან გუგუნავა და გრიგოლ კარანაშვილი, როგორც პარტიიდან გარიცხულები და სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემულნი.

საქ. კპ(ბ) ცკ-ის წევრობის კანდიდატობიდან გაირიცხნენ ნინა უვანაია და ანტიფო ჭუევია, ნ. უვანია — როგორც პარტიის დან გარიცხული.

საქ. კპ(ბ) ცკ-ის სარევიზიო კომისიის წინაშე დაისკა საკითხი მიხეილ კვარაცხელიას ამ კომისიიდან გარიცხვის შესახებ, როგორც პარტიიდან გაგდებულის და სისხლის სამართლის მიცემულისა.

## გენერალის პრახი

ცოტა ხნის შემდეგ ერთობ მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. 1952 წლის ივნისის პირველ რიცხვებში ნიკოლოზ რუხაძე სტალინის განკარგულებით გაათავისუფლეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის თანამდებობიდან.

გენერალმა რუხაძემ იმედი ვერ გაამართლა. იგი კარგა ხანია ხვდებოდა, რომ მის თავზე საავტორო ღრუბლები გროვდებოდა, გადაწყვიტა „ვა-ბანქზე“ წასულიყო ბელადის თვალში შერყეული ავტორიტეტის აღსაღენად და კრემლში გაგზავნა... დასმენა, თვით საქ. კქ(ბ) ცკ-ის პირველ მდივანზე, რომელთანაც ბოლო ხანს ერთობ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

აკაკი მგელაძეს, რომელმაც თავისი გაინაღდა და ოუსპექტიების თავკაცი გახდა, სულაც არ აძლევდა ხელს გვერდით ასეთი საშიში კაცის ყოლა, რომელსაც დამოუკიდებელი და პირდაპირი კავშირი ჰქონდა ი. სტალინთან და პატიომოუკრულ ოცნებებში თავს უფრო მაღალ სავარძელში ხედავდა, ვიდრე ოუსპექტლიკის უშიშროების მინისტრის სკამი იყო. ნიკოლოზ რუხაძე აკაკი მგელაძეს თავის მიერ გაწალდულ გზაზე შეაშარეულად მოსულად მიიჩნევდა და იმაზე ოცნებობდა, როდის წაიმტვრევდა ის კისერს.

მაგრამ ვერ გათვალა და ამან დაღუპა. ვერ მიხვდა, რომ სტალინი ამ ორს შორის არჩევანს ა. მგელაძეზე შეაჩერებდა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ბევრად უფრო უშეცდომოდ მოქმდებდა, ვიდრე „ძელებისმტვრეველი“ გენერალ-ლეიტენანტი.

1952 წლის 1 ივნისს კრემლში მგელაძის შესახებ გაგზავნილ აღვენ (აღვეო) ასლანიშვილი. მეტროს საქმე

ნილ ცნობაში რუხაძე ბელადს ატეობინებდა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნად ყოფნისას მგელაძე ურთიერთობი დასკრიმინაციის პოლიტიკას ატარებდა რუხი და სომხეთსა და ხელის წინააღმდეგ, აფხაზური და რუსული დასახელებები ქართულით შეცვალაო. იქნე ანტიპარტიულ საქმეებში არა მხოლოდ მგელაძეს ადანაშაულებდა, არამედ საქართველოს თითქმის მთელ ხელმძღვანელობას, რომელიც რუსპუბლიკის კომპარტიის პირველ მდივნად მგელაძის დანიშვნის შემდეგ მთლიანად სტალინის კადრებით იყო დაკომპლექტებული. ამასთან, ნ. რუხაძის ინფორმაცია ოდენ „მეგრული ჯგუფის“ დაპატიმრებულ წევრთა ჩექჩაბებს ეფუძნებოდა, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ ზრდიდა ეჭვს ამ დოკუმენტის მიუკერძოებლობის შესახებ.

6. რუხაძის მიერ გავზავნილ ცნობას (დასმენას) მოსკოვიდან ზედიშედ 3 დოკუმენტი მოჰყვა, რომლებიც უკომენტაროდაც მშენებრად გაარკვევს მკითხველს მოვლენათა მსვლელობაში (დოკუმენტები შესულია კრებულში „სკპ(ბ) ცკ პოლიტბიურო და სსრკ მინისტრთა საბჭო. 1945-1953“, მოსკოვი, 2002).

### სკპ(ბ) ცკ-ის ტელეგრამა:

„საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდგვანის ამბ. მეგრლაძეს და საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ბიუროს სწავლის წევრებს სკპ(ბ) ცკ-მა მიიღო და განიჩილა ამხანავ რუხაძის „ცნობა“ ამბ. მეგრლაძის წინააღმდეგ ბარამიას ჯგუფის განცხადებებზე, აგრძელები მისი შეტყობინება „აფხაზეთში არა სასიკეთო მდგრამობის შესახებ, “ბერძნების გადასახლებასთან და თითქოს ამბ. მეგრლაძის მიერ დაშვებულ დარღვევებთან დაკავშირებით“

სკპ(ბ) ცკ მიიჩნევს, რომ ამბ. რუხაძე დაადგა არა სწორ და არაპარტიულ გზას, დაპატიმრებულები მოწმეებად გაიფარა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ამბ. მეგრლაძის წინააღმდეგ.

სკპ(ბ) ცკ-ს აზ ეჭვება: ამბ. რუხაძის გზას რომ დაყდგეთ და დაპატიმრებულები მოწმეებად მოუიხმოთ ამბ. რუხაძის წინააღმდეგ, ბარამიას ჯგუფის დაპატიმრებული წევრები მას-

ზე ბევრად მეტ და შეუდარებლად უფრო მეტ ცედს იტყოდნენ, გაქტია, რომ ამ რეა თვის წინათ ბარამიას მეთაურობით სწორედ ისინი მოითხოვდნენ ამხ. რუხაძის მოხსნას მინისტრის პოსტიდან და მას ადანაშაულებდნენ ათასებარ სისხლის სამართლის საქმეში.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. რუხაძეს უფლება არა აქვს გვერდი აუაროს საქართველოს კა(ბ) ცე-ს და საქართველოს მთავრობას, რომელთა დაუკითხადაც მათს წინააღმდეგ მასალები გამოვზავნა სკპ(ბ) ცე-ში, რამდენადაც საქართველოს სახუშიშროების სამინისტრო, როგორც საკუშირო-რესუბლიის სამინისტრო, ემორჩილება არა მხოლოდ ცენტრს, არამედ საქართველოს მთავრობას და საქართველოს კა(ბ) ცე-საც.

სკპ(ბ) ცე ამხ. რუხაძეს შენიშვნას აძლევს დაშვებული შეცდომისათვის, რომელსაც შეუძლია ზიანი მოუტანოს პარტიასა და სახელმწიფოს და აფრთხილებს მას, მომავალში აღარ დაუშვას მსგავსი გადაცდომა.

სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი საქ. კა(ბ) ცე-ის ბიუროს ურჩევს გაერკვეს ბენებულ მასალებში და სკპ(ბ) ცე-ს აცნობოს თავისი გადაწყვეტილება.

სკპ(ბ) ცე  
1952 წლის 4 ოქტომბერი

ეს ნიშანი იყო.

მწვანე შექი აინთო: აკაკი მგელაძეს ნიკოლოზ რუხაძის თავიდან მოშორების ნება მიეცა. მანაც მყისიერად ისარგებლა და უშიშროების მინისტრი თანამდებობიდან მოხსნა.

ეს გადაწყვეტილება უმაღ აცნობეს კრემლს. პასუხად იქიდან მითითებები მოუიდა.

სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის  
1952 წლის წ. 9 ოქტომბერის დადგენილება

„საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის შესხებ“

I. დამტკიცდეს საქართველოს კა(ბ) ცე ბიუროს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მა-

ნისტრის თანამდებობიდან ამხ. რუხაძის მოხსნის შესახებ, მასი სსრკ სახელმწიფო უმიშროების მინისტრის განკარგულებაში დატოვებით.

2. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ბიუროს წინადაღება საქართველოს სსრ სახელმწიფო უმიშროების მინისტრად ამხ. ა. ი. კოჭლავაშვილის დანიშვნის შესახებ.

3. დაევალოს ამხ. რუხაძეს საქართველოს სსრ სახელმწიფო უმიშროების სამინისტროს საქმეების ჩაბარება, ბოლო ამხ. კოჭლავაშვილს — საქმეების მიღება.

საქმეების მიღებასა და ჩაბარებაზე კონტროლი დაუყოლოს კომისიას ამხ. ამხ. ს. ა. გოგლიძის (თავმჯდომარე), საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მდივნის ა. ი. მგელაძისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ნ. კეცხოველის შემადგენლობით.

საქმეების ჩაბარება და მიღება დამთავრდეს ორი დეკადის განმავლობაში მუშაობის დაწყების დღიდან“.

ამრიგად, ნ. რუხაძეს შავი სამუშაო შეასრულებინეს და მოისროლეს. მისი ადგილი დაიკავა გენერალ-მაიორმა ალექსანდრე კოჭლავაშვილმა (1901-1977), რომელიც 9 თევ (1953 წლის 16 მარტამდე) ხელმძღვანელობდა ამ უწყებას.

მაგრამ ნ. რუხაძის ფათერაკები მოხსნით არ დამთავრებულა. მაშინდელი ტრადიციის შესაბამისად, შეცდომა მხოლოდ ციზით უნდა გამოსწორებულიყო და მისმა გუშინდელმა მუკობრებმა და თანამოაზრებმა დამხობილი მინისტრის დაპატიმრება გადაწყვიტეს. მაგრამ მოსკოვმა ეს წინადაღება ნააღრება მიიჩნია.

ი. სტალინის 1952 წ. 25 ივნისის ტელეგრამა

„ამხ. ამხ. გოგლიძეს, მგელაძეს, კეცხოველს

საკითხს რუხაძის დაპატიმრების შესახებ ნააღრება კოელით გირჩევთ. საქმეების ჩაბარება-მიღება მიიყენოთ ბოლობე, რის შემდეგაც რუხაძე გამოვზაროთ მოსკოვში, სადაც გადაწყდება მისი ბედის საკითხი“.

რუსაძის დამხობაშ დაპატიმრებულთ იმედის ფრთხი შეასხა. თითქმის ყველა მათგანმა დაწერა საჩიუარი კოფიდ სახელმწიფო უშიშროების მინისტრზე, მისი უდანაშაულო მსხვერპლები გართო. გაშექდა რუსაძის ბიოგრაფიის ყველა ჩრდილოვანი მხარე, მისი კავშირი დაპატიმრებულ სსრკ სახუმიშროების მინისტრ ვიქტორ აბაკუმოვთან, მისი „უდირსი ქცევა 1945 წელს ბერლინში სამსახურებრივი მოვლინებით კოფნისას“.

სსრკ უშიშროების მინისტრ ს. იგნატიოვისადმი 1952 წლის 6 აგვისტოს განცხადებაში მ. ბარამია აღნიშნავს: „ბევრი ლაკარაკი იყო რუსაძისა და აბაკუმოვის ახლო ურთიერთობებზე ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც ორივენი კონტრდაზვერვის ხაზით მუშაობდნენ და, მით უმეტეს, როდესაც მინისტრები გახდნენ. როგორც ამბობდნენ, რუსაძე სისტემატურად უგზავნიდა საჩუქრებს აბაკუმოვს თბილისიდან, აგრეთვე ძვირფას საჩუქრებს ბერლინიდან, სადაც ჩავიდა“.

შემდეგ მ. ბარამია უფრო აკონკრეტებს: ბერლინში მოვლინებისას, მგონი 1945 წელს, რუსაძემ დრო იხელთა და აგროვებდა იქ ნაირნაირ ტანსაცმელს, აგრეთვე მანქანებს, ძვირფასეულობებს და, როგორც ამბობდნენ, ვაგონებით ჩამოჰქონდა თბილისში დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ტვირთის სახით მე ისევე, როგორც ბევრმა ჩემმა მეზობელმა, ვიცი, რომ მის ბინაში თვეობით მუშაობდნენ, რათა დაეჭირებინათ და დაემონტაჟებინათ რაღაც განსაკუთრებული, ბერლინიდან სპეციალურად ჩამოტანილი საშარეულო და სააბაზანო მოწყობილობათ.

შემდგომში, რუსაძის საქმის გამოძიებისას, გაირკვა, რომ მასზე უამრავი „კომპრომატი“ არსებობდა. მაგალითად, ასეთი: რუსაძის ბიძაშვილი, მწერალი შალვა სოსელია (სოსლანი), რომელიც ომამდე მოსკოვში, სტალინის სამდინოში მუშაობდა, ტსკვედ ჩაგარდა, სდ-მ გადაიბირა, ომის შემდეგ კი სსრ კავშირში დაბრუნებაზე უარი განაცხადა...

საქ. კპ(ბ) ცკ-ის X პლენუმზე, რომელიც 1952 წლის 28 ივნისს გაიმართა, რუსაძე მთავარ ბრალდებულად იქცა: „მისი საქმიანობა მიმართული იყო სკპ(ბ) ცკ-ის აზრის წინააღმდეგ, ამხანაგ ბერიას წინააღმდეგ, რომელიც არჩევდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელ კადრებს“.

საერთოდ კი „რუხაძის ბედის საკითხი“ ძალზე მარტივად გადაწყვდა. იგი მოსკოვში გამოიძახეს, სადაც დაპატიმრეს და სირკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ღევთობოლოების საპყრობილები („შინაგან ციხეში“) უკრეს თავი (სხვათა შორის, დაპატიმრების ორდერს მისი მეცობარი მიხეილ რიუმინი აქტივულ ხელს). იქ საში წელიწადი იჯდა, 1955 წლის სექტემბერში კი თბილისში გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს „ბერიას თანამშრახელთა ჯგუფთან“ — აქესენტი რაფაელთან, მაღვა წერეთულსა და სხვებთან ერთად (ესეც ბედის ირონია იყო).

მაგრამ კედელთან არ მიუყენებიათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ როცა განაჩენის გამოტანის შემდეგ თბილისიდან მოსკოვში გადაპყავდათ, გულის შეტკით გარდაიცვალა. სხვათა შორის, სასამართლოზე თავი დამნაშავედ ცნო. სამაგიდუროდ, კატეგორიულად უარყოფდა პატიმართა ცემას რეინის ნაჭრით, ამ ტკიცებდა, რომ საცემად მხოლოდ სეველ თოკს იყენებდა...

გენერალ რუხაძის კრაზი იმან გამოიწვია, რომ მან ვერ შეძლო მოეწყო პოლიტიკური პროცესი, სადაც საქართველოს კომპარტიის ძევლ ცენტრალურ კომიტეტს დაადანაშაულებდნენ საქართველოში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციური ცენტრის შექმნაში. მისი რეფისორების ჩანაფიქრით, საქმე ისე უნდა წარმოჩნილიყო, თითქოს ეს „ცენტრი“ შეკრა ემიგრაციაში ძყოფ ქართველ ნაციონალისტებს, რომლებსაც სურდათ საქართველო მოწყვეტათ საბჭოთა კუმირიდან და თურქეთისთვის შევერთებინათ.

„მეგრელთა საქმის“ ერთ-ერთ ბრალდებულს, ჩხოროწყვერაიკომის ყოფილ პირველ მდივანს მამანტი პაჭკორიას, თავის 1977 წელს დასტამბულ ბროშურაში „ლავრენტი ბერია და „მეგრელთა საქმე“, ანასტას მიქოიანის მოგონება მოპევას. როცა კრემლში „მეგრელთა ანტიპარტიული ჯგუფის“ საკითხი იძლებოდა, მან თურმე ეჭვი გამოიტქვა, თურქეთთან ამ ჯგუფის კუმირს საქართველოში არ დაიჯერებენ, სკომბს საფრანგეთში მყოფ მენშევიკურ მთავრობასთან ურთიერთობას გავუსვათო ხაზი. თურქეთი უფრო ახლოთა საქართველოსთან, ვიდრე საფრანგეთი, რა-საც ჩავწერთ, იმას დაიჯერებენო, მიუღია პასუხად.

მაგრამ არც მთლად ასე იოლად იყო საქმე. ძალიანაც მოინდომებს როგორც ადგილობრივმა, ისე მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოსულმა ჩეკისტებმა, მაგრამ „მეგრულ ნაციონალისტებს“ შეხვეულთან ჯაშუშური კავშირი და საბჭოთა კავშირიდან საქართველოს ჩამოცილების მცდელობა ვერ და ვერ აღიარებინეს.

არადა, დაწოლა ძალიან დიდი იყო.

მწერალ კირილ სტოლიაროვს მოჰყავს მოსკოვსა და თბილისს შორის გამართული ტელეუონოგრამის ჩანაწერი, რომელიც, ჩემი ვარაუდით, 1952 წლის 19 თებერვალს უნდა შემდგარიყო:

„ი. სტალინი: დაკავებულია თუ არა გეგელია?

ნ. რუხაძე: არა, ამხანაგო სტალინ, არ აგვიყვანია.

ი. სტალინი: რატომ?

ნ. რუხაძე: ვიმუშავეთ მასზე, მაგრამ ჯერ რეალურს ვერაფერს მივაღწიეთ.

ი. სტალინი: დააპატიმრეთ, ურტყით, დახვრიტეთ!

ნ. რუხაძის ჩანიშვნა: „ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ იმ დღესვე შესრულდა“.

ი. სტალინი: ვინ დააპატიმრეთ დამატებით?

ნ. რუხაძე: ახალი არავინ მიმატებია, მე ვერ ვწევეტ ამ საკითხს, ამხანაგო სტალინ.

ი. სტალინი: ჩარკვიანს თუ უგზავნით ჩენებებს და თუ კითხულობს მას?

ნ. რუხაძე: ვუგზავნი, ამხანაგო სტალინ, კითხულობს, მაგრამ ბრძანებებს არ იძლევა.

ი. სტალინი: დააპატიმრეთ კარანაძე. იგი ბარაშიას ახლობელია.

რუხაძის ჩანიშვნა: „მითითება შესრულებულია“.

ი. სტალინი: დაპატიმრებულია თუ არა შარია?

ნ. რუხაძის ჩანიშვნა: „დამით ბელადმა ჩარკვიანს შარიას დაპატიმრების მითითება მისცა, დილით ავიყვანეთ“.

ნ. რუხაძე: დაპატიმრებულია, ამხანაგო სტალინ!

ი. სტალინი: საქმეს საფუძვლიანად მიუდევით. გაარკვი-

ეთ, ვინ მიავლინა იგი პარიზში, რა დაუალებით, ვისთან პქონდა ურთიერთობა და ვის ჯაშუშობდა.

ი. სტალინი: ბარამია ჯაშუშია, საჭიროა მისი მნიღვება; მას უეჭელად პქონდა კავშირი გეგეჭერთან, საჭიროა არხის დადგენა.

6. რუხაძე: ყოველ ღონეს ვიხმარ, ამხანაგო სტალინ!“

ცდა მართლაც არ დაუკლიათ 6. რუხაძეს და უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, მაგრამ, ფაქტობრივად, მაინც არაფერი გამოვიდა.

ინვორჩაია განსამისათვის. გიორგი გვევლია 1925 წლდან იმყოფებოდა ემიგრაციაში პარიზში. იგი ბერიას ერთ-ერთ სანდო აგენტი იყო საფრანგეთში, ჯერ კიდევ 1927 წლიდან ჩანერგეს იქ ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ წრეებში. მეორე მსოფლიო ომის წლებში ხელმძღვანელობდა პარიზში შექმნილ ე. წ. „ანტივლასოუერ კომიტეტს“. 1944 წელს, საფრანგეთის კომპარტიის არალეგალურ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით დაავალეს პროპაგანდისტული საქმიანობა საფრანგეთში დისლოცირებულ ე. წ. აღმოსავლეთის ჯარებში — გერმანელების მიერ გადაბირებულ სსრ კავშირის მოქალაქეებით და კომპლექტებულ სამხედრო შენაერთებში, მათი „გახრწინის“ მიზნით რაც შექება თვით „ანტივლასოუერ კომიტეტს“, როგორც ჩანს, ის ჯერ კიდევ 1943 წლის ბოლოს პროსაბჭოურად განწყობილ რუსი ემიგრანტების მიერ შექმნილი „რუსი პატრიოტების კუშირის“ ფილიალს წარმოადგენდა. 1944 წლის შემოდგრმისათვის, გერმანიის ჯარების მიერ პარიზის დატოვების შემდეგ, ამ კავშირს არაოფიციალურად სათავეში ჩაუდგა სსრკ კონსული ალექსანდრ გუზოვსკი, რომელიც სინამდევილეში პარიზში სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის რეზიდენტი იყო. ა. გუზოვსკი საფრანგეთში ჩასვლისთანავე შეკიდროდ დაუკავშირდა გიორგი გვევლიას, რომლის რეალური ამოცანაც სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ვერმახტის ყოფილი ქართველი ლეგიონერების მოქებნა, ტანკაცმლით მომარაგება და შეძლვ საჭიროა სამხედრო ტყვების ბანაკებში გადაყვანა იყო.

ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუაზა ტომი თავის „მეგრელთა საქმეში“ წერს, იმ ქართველ დევიონერებს, რომლებიც ადგილობრივი პარტიზანების წინააღმდევ იძრძოდნენ საფრანგეთის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში და ტყველ ჩაუკარლნენ მათ ან ბრძოლების ბოლო დღეებში გადავიდნენ პარტიზანების მხარეს, გეგელიას ძალისხმევით მიეცათ ფიქტიური ღოვანენტები წინააღმდევობის მოძრაობაში მონაწილეობის შესახებო. 1951 წელს, „მეგრელთა საქმის“ დაწყებისა და გეგელიას და „ანტივლასოური კომიტეტის“ საქმიანობაში მონაწილე ბერიას სხვ ხალხის დაპატიმრების შემდეგ, იმ ყოფილ ღეგიონერთა უმრავლესობა დააპატიმრეს და საქართველოდან გაახახლეს.

გიორგი გეგელია შინსახკომის დაუაღებით 20 წელი იმყოფებოდა ემიგრაციაში. 1947 წელს საშობლოში დაბრუნდა. დაპატიმრებიდან ცოტა ხანში ჩასვეს მისი ცოლიც, ეროვნებით ფრანგი ლიუსეტ სან-რემი, რადგან მან ქმრის დაჭურის შემდეგ საშობლოში დაბრუნების სურვილი გამოიქვა.

გ. გეგელია გაუკაცერად უძლებდა გამომძიებელთა ცდებს, ეთქმევინებინათ, თუ უშუალოდ ვინ იყო „ანტივლასოური კომიტეტის“ შემქმნელი და ვინ ხელმძღვანელობდა ქართველი ღეგიონერების „ანტიფაშისტებად“ გადანათვლას. იგი უცვლელად ერთ პასუხს იძლეოდა, ჩემი ინიციატივით ვმოქმედებდიო. კარგად იცოდა, ის პასუხი, რასაც მისგან ითხოვდნენ, გილიოტინაზე აიყვანდა: თუ „პროლეტარულ სასამართლოს“ გადაურჩებოდა, ჩაშვებს ლაურენტი მოუღებდა ბოლოს. გიორგი გეგელია 1953 წ. 14 დეკემბერს გაანთვისულეს, რადგან არც ერთი ბრალდება არ დაუმტკიცდა.

\*\*\*

ცრუ ჩვენებათა მისაღებად და წინასწარ შედგენილი „დაკითხვის“ ოქმების ხელმოსაწერად დაპატიმრებულთა მიმართ იყენებდნენ იძულების სხვადასხვა საშუალებას, ფიზიკური ზემოქმედების მეთოდებს: კვირეებით ამყოფებდნენ ცივ ან ცხელ კარცერში, სცემდნენ ჯოხებით, ხელბორჯილს ადებდნენ ზურგს გადაგრეხილ ხელებზე, დიდი ხნით უსპობდნენ ძილის

საშუალებას, აშიმშილებდნენ, არ უწვდნენ ელემენტარულს, მედიცინო დახმარებას და ა. შ.

ოღონდ, ისიც სათქმელია, რომ მთავარ „დამნაშავებებს“ ტუ-  
დიციული ჩეკისტური მეთოდებით არ აწამებდნენ. აქედან უნდა  
ვიყარაუდოთ, რომ სტალინი რუხაძისგან მოითხოვდა რეალურ-  
ფაქტების გახსნას და არა ცრუ და აბსურდული „აღიარებების“  
ამოქანას წამების გზით.

გამომძიებლები სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილებას უფრიალუ-  
დნენ და პატიმრებს არწმუნებდნენ, „მეგრული ნაციონალის  
ტური ორგანიზაციის“ არსებობის ფაქტი პარტიას ჟაკი უკ-  
ეოდ დადასტურებული აქვს, ეს დამტკიცებას აღარ საჭიროებულ  
თქვენგან ვითხოვთ ჩვენებებს მხოლოდ პრაქტიკულ მტრულ მუ-  
შაობაზე და თანამშრახველთა დასახელებას, რაც სასამართლ-  
ზე მდგომარეობას შევიმსუბურებოთ.

ზოგმა ვერ გაუძლო და ხელი მოაწერა ოქმს თვით გ-  
მომძიებელთა მიერ ნაკარნახევი „აღიარებით“.

მართლაც მაგარი უნდა ყოფილიყავი, რომ გაგებლო.

ვისაც როგორ შეეძლო ისე ცდილობდა თავის შველას.

პეტრ შარიამ, მაგალითად, 1952 წლის 27 თებერვალს, და-  
კითხვისას, მოულოდნელად განაცხადა, განსაკუთრებული მიზ-  
ვნელობის რამ მაქს სათქმელი და მხოლოდ ნ. რუხაძის თანა-  
წრებით ვიტყვიო. ნ. რუხაძე უმაღ მოიდა ცეკვულთან ერთად. ამი-  
შემდეგ მან ახალი პირობა წამოაყენა — ჩარკვიანის დასწრებულ  
მოითხოვა. როცა ისიც მივიდა, ასეთი რამ განაცხადა:

„იმ დღეების განმავლობაში, რაც პატიმრობაში გაყარას  
გავიხსენე რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი და გარემოება, გ-  
ვანალიზე ისინი და მივედი დასკვნებამდე, რომელთაც დიდ  
მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უმიშროებისა-  
ვის. მე რომ ახლა ცალკეულ ფაქტებზე დავიწყო ლაპარაკი, ქ-  
ალბათ არაფრისმეტყველი არ იქნებოდა და მთაბეჭდილება შე-  
გექმნებოდათ, რომ მე პალუცინაციები მაწუხებს. მაგრამ სი-  
გონებაზე ვარ და ამ შესავალს იმიტომ ვაკეთებ, რომ ჩემი ქვე-  
რე განცხადება უცნაურად არ მოგეჩვენოთ. ამიტომ შევაწუხე  
ნ. ჩარკვიანი. მე ვაცხადებ, რომ იმ ძალზე მნიშვნელოვან ფა-

ტებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უშიშროებას ქვება, მინდა ვაცნობო მხოლოდ სსრკ სახელმწიფო უშიშროების განისტრის ს. დ. იგნატიევს და სეპ(ბ) ცკ-ის პასუხისმგებელ წარმომადგენელს, ვისაც ი. ბ. სტალინი და გ. მ. მალენკოვი ჩემს შოსმენას დაავალებენ. გთხოვთ დამიჯეროთ, რომ გამოუღიარ საშობლოს ინტერესებიდან, ჩემი პირადი ბედი ამჟამად არ მაინტერესებს და მესმის, რომ თუ ჩემი განცხადება დაუსაბუთებელი აღმოჩნდება, ძლიერი მდგომარეობა დამიმტკიცება. ამიტომ, კიდევ ერთხელ გაცხადებ, რომ ჩემი ჩვენება ამ განცხადების თაობაზე, შესაძლოა მხოლოდ მოსკოვში მოუცე”.

უმაღ გეცემათ თვალში, რომ პეტრე ეშმაკობს, მას თბილისდან გაღწეუ უნდა, მოსკოვში ბერია გეულება, რომლისგანაც შველას მოელის. ეს რომ მართლაც ასეა და სათქმელი არაფერი აქვს, იმითაც დასტურდება, რომ არც მოსკოვში ჩაუვევანიათ და არც თითქმის მთელი თვე აღარ დაუკითხავთ (ამის შემდეგ დაკითხეს მხოლოდ 18 მარტს). ნამდვილად არ ღირს მარჩიელობა, ხომ არ ჩაიყვანეს იგი მოსკოვში ამ ორი დაკითხვის შუა პერიოდში და ხომ არ გააკეთა იქ თუისი „უმნიშვნელოვანესი განცხადება“, საკარაულოდ ბერიას წინააღმდეგ, ხომ არ უბრძანა თუისი ხალხის მეშვეობით ღავრუნტიმ მას ენაზე კბილის დაჭრა და ა. შ.

არ ღირს იმიტომ, რომ მოსკოვი არ დაინტერესებულა შარიას ამ „სენსაციური“ განცხადებით ნ. რუხაძეს რომ დაემალა (ან რატომ დამალავდა?), ცეპკუი არ დაიდებდა პირზე ბოქლომს და თვის უფროსს ს. იგნატიევს უმაღ აცნობებდა, ამ კაცს რაღაც უსაშველო აქვს სათქმელიო. „საქმეში“ ამ განცხადებით რაიმე დაინტერესების — მოსკოვთან მიწირ-მოწირის არაეთარი კული არ ჩანს. ალბათ აქვე, თბილისშევე, გაირკვა რომ პეტრეს ბეჭრი არაფერი პქონდა სათქმელი, მით უფრო — ღავრუნტიზე. ბერიაშის იცოდა, ცაში და მიწისქეემეთში რა იყო და პეტრეს გამცემლობა გამოეპარებოდა? პოდა, მასზე გული რომ არ შეცვლია, ამას ისიც ადასტურებს, რომ სტალინის სიკედილის შემდეგ სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშნულმა ღავრუნტიმ პეტრე შარია ციხიდან განთვისულების უმაღ თანაშემწედ აიყვანა.

საერთოდ, პეტრე შარია ცოტა უცნაური კაცი იყო. ზემო  
გაკვრით ვახსენე, რომ 1948 წელს იგი მისტიკური ღეჭვის ჩა-  
წერისათვის შერისხეს.

შეიძლება დიდი გადახვევა გამომივიდეს, მაგრამ თავს უქ-  
ლებას მივცემ მკითხველს მოუუთხრო ეს ამბავი, რომელიც ბუ-  
რი რამით არის საინტერესო და საფურადლებო.

1948 წლის 28 მაისს ქანდიდ ჩარკვიანმა მოსკოვში შემდე-  
გი შინაარხის წერილი გაგზავნა:

„ამხანავ ო. ბ. სტალინს

ამხანავ ა. ა. უდანოვს

თქვენი დაუალების თანახმად, შევამოწმე საქართველოს  
კა(ბ) ცე-ის პროპაგანდის დარგში მდივნის ამხ. შარიას მიეს  
მისი ვაჟის გარდაცვალების გამო დაწერილი იდეოლოგიური  
მაჯნე ღვევესის გამოცემის გარემოებანი. ამხ. შარიას საქართვე-  
ლოს კა(ბ) ცე-ისა და პირადად ჩემთვის არაფერი უცნობებია  
ამ ფაქტზე. ამხ. შარიას სიტყვით წიგნაკი მან 1943 წელს დაწერ-  
ა მოსკოვში, უშავლოდ შეიღლის სიკვდილის შეძლევ. მაშინ ამა-  
შარია სხრკ სახელმწიფო უმიშროების სამინისტროში მუშა-  
ობდა. გამოცემისაც მოსკოვში გამოსცა 1944 წლის ბოლოს. ა-  
დროისათვის იგი უკვე საქართველოს კა(ბ) ცე-ში მუშაობდა და  
მოსკოვში მივლინებით იძყოფებოდა.

წიგნის 75-ეკუმპლარიანი ტირაჟიდან შემოწმების დღი-  
სათვის ამხ. შარიას 53 ცალი პქონდა დარჩენილი. 13 ცალი,  
მასთ თქმით დაურიგა ახლო მცვობრებს მწერალთა და მუცნიწ-  
თაგან, 10 ეკუმპლარი კი არ იცის ვინ წაიღო.

ამ წიგნაკის დაწერის ფაქტს ამხ. შარია ხსნის საყვარელ  
შეიღლის სიკვდილით გამოწვეული მძიმე ფსიქოლოგიური და მო-  
რალური ძღვომარებით

ამხ. შარია აღიარებს, რომ დაუშვა ბოლშევიკისთვის უს-  
ტიობებით, უხეში პოლიტიკური შეცდომა, რომელიც დადა ს-  
ნია შეიგნო, მაგრამ გამბედაობა არ უკო ამის შესახებ პარტიის  
თვის განეცხადებინა.

როცა ამხ. შარიას წიგნაკს გაუცანი, გამაოცა მისმა პ-  
ნაარხშა. ეს არის ნაწარმოები, რომელიც ერთიანად გამსჭ-

დუღლია რელიგიურ-მისტიკური მსოფლმხედველობით, თვით სულის უცდევებისა და იმქანიური ცხოვრების რეალობის აღიარებამდე ეს.

საქართველოში ამს. შარიას ჩამოსელის პირველ თვეებში ჩენ, ხელმძღვანელი მუშაკი, უკრძალით, რომ ივი მეტის-მეტად აკადემიურად განიცდიდა შეიღის სიკედილს. გარეულად ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მოსკოვიდან გადმოიტანა ურნა მიცვალებულის ფერილით, ძალზე ბეჭრ დროს უთმობდა მის საფლავზე ძეგლის დადგამას და ა. შ. მავრამ ამს. შარიას ამ ქცევას განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევდით, რადგან მის პირად საქმედ მივიჩნევდით..

მარიას მიერ დაშეებული უხეში პოლიტიკური მეცდომა, რომელიც მის იდეურ მერყეობაზე მიგვანიშნებს, ყოვლად გაუგართლებლად და მეცნად დასაგმობია. ასეთი ანტიპარტიული ქმედებისათვის პარტიიდან გარიცხეის ღირსია, მაგრამ მხედველობაში ვიღებთ რა იმას, რომ შარიამ მთლიანად შეიგნო თვით დანაშაული და პირობას დებს, ეს შეძღვომი მუშაობით გამოისფილოს, შესაძლებლად მიმაჩნია გთხოვთ, ნება დაგვროთ, რომ მის მიმართ არ გამოვიყენოთ ეს უკიდურესი ზომა.

შარია იდეოლოგიური ფრონტის განათლებული და უნარიანი მუშაკი, კარგი ლიტერატორია, შეუძლია ცოცხლად და მიშიდებულად გადმოსცეს თავისი აზრები. ერთი სიტყვით ივი პარტიისთვის საჭირო და სახარვებლო მუშაკია. ამიტომ ჩადენილი მძიმე დანაშაულის მიუხედავად, შეიძლება, რომ ამს. შარია დაუტოვოთ პარტიაში და ვაკმაროთ ცკ-ში სამუშაოდან მოხსნა და პარტიული სახელის დაკისრება.

განსახილვების წარმოვიდგენთ საქ. კპ(ბ) ცკ-ის დადგენილების პროექტში დაწერილებით არის მოთხოვნილი პეტრეს მიერ შეიღის სიკედილთან დაკავშირებით იდეოლოგიურად მტრული პოეტური ნაწარმოების დაწერის ამბავი, რომელიც გამსჭვალულია ღრმა ქადაგიში მითა და რელიგიურ-მისტიკური განწყობით, რომ მასში ლაპარაკია „ჩვე-

საქ. კპ(ბ) ცკ-ის დადგენილების პროექტში დაწერილებით არის მოთხოვნილი პეტრეს მიერ შეიღის სიკედილთან დაკავშირებით იდეოლოგიურად მტრული პოეტური ნაწარმოების დაწერის ამბავი, რომელიც გამსჭვალულია ღრმა ქადაგიში მითა და რელიგიურ-მისტიკური განწყობით, რომ მასში ლაპარაკია „ჩვე-

ნი სინამდვილის მიღმა არსებულ იდუმალ უკეთეს სამყაროში". აუტორი ამ ქვეყანას უწოდებს უთავბოლოდ და უაზროდ მძიეულობილს, დაწყევლილ ჯოჯოხეთს, სადაც შეიღლის სიკვდილის შექმნა და მისი ცხოვრება მხოლოდ წამებაა....

სკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 31 მაისს მიიღო დადგენილება „ამხ. პ. ა. შარიას შესახებ“. დაამტკიცეს კ. ჩარკვანის მიერ წარდგენილი საქ. კპ(ბ) ცკ-ის დადგენილება: 1. იდეოლოგიურად მავნე გალექსილი წიგნაკის დაწერისა და გამოცემისათვის პ. შარია მოიხსნას საქ. კპ(ბ) ცკ-ის მდივნის თანამდებობიდან და გამოეცხადოს საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. 2. გაიგზავნოს ამხ. შარია პედაგოგიურ სამუშაოზე თბილისის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, იმ პირობით, რომ საქ. კპ(ბ) ცკ მეთვალყურეობას გაუწევს მის მუშაობას.

ჟელთ მაქვს პარიზში გამომავალი ისტორიული აღმანახის „მინუშეეს“ 1989 წლის მე-7 ნომერი (იგი, ისვევ როგორც მკელევარ ფრანსუაზა ტომის ნაშრომი „მეურელთა საქმე“, საფრანგეთიდან მომაწოდა იქ მივლინებით მყოფმა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი მამულიამ, რისთვისაც დიდ მაღლობას ვუხდი), რომელშიც დაბეჭდილია ფ. ბლაგოვეშჩენსკის მოვონება „სტუმრად პ. ა. შარიასთან“. აუტორი გვამბობს თბილისში პეტრე შარიასთან სტუმრობის შესახებ, მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 1979 წლის მარტის ბოლოს.

ფ. ბლაგოვეშჩენსკი წერს, პ. შარია მიიჩნევდა, რომ „მეურელთა საქმის“ მიზანი „სტალინისა და ბერიას წაჩიუბება იყოო“. დაპატიმრებულთა სიაში შარია პირველი აღმოჩნდა. ბელადმა იგი ჯერ სიიდან ამოიღო, მაგრამ შემდეგ, როცა დაარწმუნეს შარიას დამნაშავეობაში, მან თეთოონ დარეკა, დაამატიმრეთო. არავითარი წყენა ამის გამო მას არ პქონდა, თქმა „ასე იყო საჭირო“ — გვიამბობს ფ. ბლაგოვეშჩენსკი.

ძიების დროს შარიას ორი ძირითადი ბრალდება წაუკისეს: პირველი, საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნობის დროს მის მიერ ნაციონალისტებისა და ბურუაზიული ინტელიგენციის მფარველობა. კერძოდ ის, რომ თითქოს მისი ინ-

ციატიუით საქართველოს უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების  
ხელმძღვანელებად აღმოჩნდენ მელი, რეორლუციამდელი ინ-  
ტელიგენციის წარმომადგენლები; მეორე, შარიას დანაშაულებ-  
რივი საქმიანობა პარიზში ყოფნის დროს.

გამოძიებას ყველაზე მეტად სწორედ ეს მეორე ბრალდება  
აინტერესებდა. ხომ გახსოვთ სტალინისა და რუსაბის ტელე-  
ფონოგრამა, როცა ბელადი კითხულობს: „დაპატიმრებულია  
თუ არა შარია? საქმეს საფუძვლიანად მიუდევით გაარკვიეთ,  
ვინ მიავლინა იგი პარიზში, რა დავალებით, ვისთან პქონდა ურ-  
თიერთობა და ვის ჯაშუშობდა“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდი-  
ვნი პეტრე შარია პარიზში 1945 წლის იანვრის ბოლოს ჩაეიდა.  
ოფიციალური ვერსია საქართველოს ისტორიული განძის სამ-  
შობლოში დაბრუნება იყო. არაოფიციალური კი ის გახლდათ,  
რომ ლავრენტი ბერია ძალიან იყო დაინტერესებული ქართულ  
ემიგრაციასთან 1937-1938 წლების წმენდისა და ომის დროს  
გაწევეტილი კავშირების აღდგენით, მომენტი (თვით სტალინის  
თანხმობით პარიზიდან განძის ჩამოსატანად დელეგაციის გაგ-  
ზავნა) მშვენივრად გამოიყენა და იქ პ. შარია მიავლინა.

სახუშიშროების სახომის პარიზის რეზიდენტურამ პეტ-  
რეს სამი კაცის რეკომენდაცია მისცა: გიორგი გეგელიას, ა. ნი-  
კარაძის და აკაკი მეუნარგიასი. პ. შარიასა და პარიზის ქარ-  
თულ ემიგრაციას შორის შეამავლის როლი გეგელიამ იკისრა.  
ძიების თვალში განსაკუთრებულ ეჭვება იწვევდა, რომ პ. შარია  
სამჯერ შეხვდა ე. გეგეჭკორს. ამას გარდა, ბრალად წაუყენეს,  
რომ პარიზიდან დაბრუნების შემდეგ შეადგინა და სტალინს გა-  
უგზავნა ანგარიში ქართული ემიგრაციის შესახებ, სადაც იქ გაც-  
ნობილ ემიგრანტებს, კერძოდ ვეგენი გეგეჭკორს, დადებითად  
აფასებს, მიუთითებს მათს პროსაბჭოურ ორიენტაციას. სხვათა  
შორის, ამ ანგარიშში ა. შარია წინადაღებას იძლეოდა დაეფი-  
ნანსებინათ, ანუ გადაებირუბინათ ე. გეგეჭკორი და შესანიღბად  
მისთვის შეექმნათ ფირმა საიდუმლო საქმიანობის დაფინანსე-  
ბის მიზნით.

ამასთან ერთად, შარიას პარიზში ყოფნის ერთ-ერთი ძი-

რითადი მიზანი იმ ემიგრანტი ქართველების რეპატრიაცია უყო, ვინც საქართველოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. ეს დანაშაულად ჩაუთვალეს. როგორც 1952 წ. 24 თებერვალს მოწმედ დაკითხულმა დიდმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა უკვენა, „იმ პერიოდში ემიგრანტებს შორის გაჩნდა საქართველოში დაბრუნების მასობრივი სურვილი, ემიგრაციაში ყოფნა მათ უსარგებლოდ მიაჩნდათ. ამას დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის გერმანიაზე გამარჯვებამ“. დაბრუნებულთა უმრავლესობა 1951 წლის შემოდგომაზე ერთიანად მოხვეტეს და გასახლეს.

„საქმეში“ არსებობს 1952 წლის 27 მარტით დათარიღებული აგენტურული შეტყობინება (წყარო „ბაგრატიონი“), რომელშიც ვკითხულობთ პარიზში ჩასულ პ. შარიას თვეი მეტად ამაყად და ქედმაღლურად ეჭირა, ხაზგასმით გაუცხოებული დამოკიდებულება პქონდა ქართველი ემიგრანტების მიმართ, თვით ექვთიმე თაყაიშვილის მიმართაც კი, მიუხედავად იმისა, რომ დაგალებული პქონდა ეზრუნა მასზე და უზრუნველეყო მისი საქართველოში გამომგზავრება (ცრთ-ერთი დაკითხვისას პ. შარია თვითონაც აღიარებს, საფრანგეთში შეუფერებლად ვიქცეოდით — ა. ა.). ისინი ერთმანეთს საბჭოთა ელჩიმა გუზოვსკიძ გააცნო. თაყაიშვილის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა: ლუერის საცავის სარდაფში გაციებულიყო, როცა ქართული განძის არსებობას ამრწმებდა და საბჭოთა წარმომადგენლების ყოველმხრივი დახმარება რომ არა, სიკვდილს ვერ გადაურჩიებოდა. და აი, მიუხედავად ამისა, შარიამ მას შეუთვალა (შალვა ამირანაშვილის მეშეობით), ეს დიდი პატივია პირადად თქვენთვის, ასე რომ გელოლავებით, თორემ ასეთი მაღალი თანამდებობის პირი სულაც არა ვარ ვალდებული, თან გვევლოდეთო. ეს მწარედ მოხვედრია გულში თაყაიშვილს ჯერ კიდევ პარიზში. შემდეგ იგთვე მოხდა თბილისში, სადაც შარიამ ბედის ანაბარა მიატოვა სასტუმროში და დიდსანს არ გახსენებია მისი თვეი.

იმავე შეტყობინებაში ნათქვამია, როცა შარიასთან თვეის ხანმოკლე ნაცნობობის მონაცემებს აწონ-დაწონის, ექვთიმე თაყაიშვილი მის დაპატიმრებას კვალიფიკაციას აძლევს, როგორც

გაუგებრობის შედეგსთ: „... ეს საკმაოდ ჭიქვიანი და მომზადებული კაცია, თითქოს ერთგული კომუნისტიც იყო. ნუთუ რამეს ჩაიდენდა?“ უჭირს დაიჯეროს მეგრულ ნაციონალისტთა „მეთავარებულების“ არსებობა. „ოუმცაღა, — დასძენს იგი, — მისი უცნაური ყოფილობა მაღალი თანამდებობით, მისი რაღაც მისტიკური ლექსები, არც ისე ჭიქვიანური საქციელია! შესაძლოა, ასევე უჰკურდ ჩავარდა რაიმე უკიდურესობაში?“

გაზეთ „საქართველოს“ 1991 წლის აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა მწერალ როდიონ ქორქიას ჩანაწერები „რაც მინახავს ან გამიგონია სარწმუნოდ“ (შემდეგ იგი უურნალმა „საისტორიო ვერტიკალებმა“ გადაბეჭდა, 2003 წ. №4). მინდა მკითხველს გავაცნო ერთი ეპიზოდი, რომელიც შარიას პარიზში ყოფნას ეხება.

„ერთხელ შალვა ამირანაშვილმა გამოგვიძახა კლ. ზამბაზიძე, ლედი ბაბილუა და მე. გვითხრა საქართველოს განძის ჩამოტანის ამბავი.“

შალვასთან ყოფილა პეტრე შარია. მივედით ჩვენს საელჩოში, მოუაგვარეთ განძის მიღების საკითხი. იქ ექვთიმე თაყაიშვილი დაგვხვდა. ჩვენთან სულ იყო თარჯიმანი და საელჩოს წარმომადგენელი. ნორ ეორდანიამ გამოგვიძახა. მე მარტო არ წავედი. ჩვენს ელჩს ვუთხარი, გამატანეთ პასუხისმგებელი მუშავი-მეთქი. ელჩი მიხვდა, გაიცინა და გამატანა. ნორ ეორდანიასთან მე დინჯად მეჭირა თავი საუბარში, პეტრე კი სულ ერეოდა საუბარში. შევატყვე, რომ ეორდანიას ეს არ მოეწონა. განძის მიცემის პროცედურები რომ დამთავრდა, დე გოლის ადიუტანტმა, პოლკოვნიკმა სუფრა გაგვიშალა ერთ ბაღში. იყვნენ რამდენიმე ფრანგი ოფიცერი, თაყაიშვილი, თარჯიმანი და ჩვენ.

პოლკოვნიკმა ჯერ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეცობრობის სადღეგრძელო დალია, მერე — სტალინისა. ყველანი ფეხზე წამოვდექით მერმედ დე გოლის სადღეგრძელო ასწაა. ყველანი წამოვდექით შარია არ ადგა. წწყინა პოლკოვნიკს და მოითხოვა: აღექითო!

შარია მაინც არ ადგა, მაშინ პოლკოვნიკმა ეს დე გოლის შეურაცხყოფად მიიღო და დუელში გაიწვია.

— მე პრინციპულად დუელის წინააღმდეგი ვარ. — თქმა  
შარიამ

მაშინ პოლკოუნიქმა თქვა, მე გამიგია, რომ ქართველი მამაცი ხალხია, მაგრამ ლაჩარი ყოფილხართო. მაშინ მე ადგი და მოვახსენე პოლკოუნიქს, ვიღებ თქვენს გამოწვევას... გუსტა და პოლკოუნიქს და დუელი იქვე მოწესო, ბაღში დავდექით ბარა ერზე. ერთი ფრანგი ოფიცირის რევოლუციონი მომცეს. პირველად გუნდა მესროლა, მაგრამ ჰაერში გავისროლე, მერე შეკრდა მუქა. ვინე პოლკოუნიქს და წინადადება მიეცი: შზად ვარ! ეს ურან გებს თან გაუკვირდათ, თან მოწონათ. პოლკოუნიქმა მითხრა:

„მამაცი ყოფილხართ ქართველების სახელი აღადგინეთ თან მადლობელი ვარ, რომ დე გოლს პატივი ეცითო.“ მოუდა და გადამეტვია.

ყველაფერ ამას შარია ისევ სკამზე დამჯდარი უკურნებდა შორიდან. ბანკეტი მხიარულად გაგრძელდა.

ერთხელ შარიას შევესწარი: ჩემს ჩემოდანში იჩხრიებოდა. ცხადია, შხერავდა, არ მენდობოდა.

დუელის ამბავი შალვამ უფრო დაწერილებით გვითხრა, მაგრამ მე მოკლედ ვწერ დიდი წნის ამბავია და სუსტად მას-სოფს.

შალვამ მითხრა: შენ ეს მოთხრობადაც გამოიყენე, თუ გინდა, ოღონდ არ დაგიბეჭდაუენ, სანამ შარია ცოცხალიაო. მე მაინც ჩაწერილი მაქვს დღიურში, ოღონდ ვერ გამოვიყენებ. მომავალში — ჩემი სიკვდილის შემდეგ — ვინმე გამოიყენებს, რადგან უბრალო ეპიზოდი არაა...“

\*\*\*

მისა ბარამიაზე, როგორც „ნაციონალისტური ანტისაჭიროსა, ანტიპარტიული ჯგუფის“ ხელმძღვანელზე, უშაუალოდ ნიკოლოზ რუხაძე იყო „გაპიროვნებული“. გარეგნულად მას ჰატიმართან თავაზიანად ეჭირა თავი, ცდილობდა ეჩვენებინა, რომ იბიექტურად ეკიდებოდა მის საქმეს. მერე თანდათან ტონი შეცვალა. 1952 წლის 2 იანვრის დაკითხვაზე მან პატიმარს, რომელიც კვლავ ჯიუტად უარობდა მტრული ჯგუფის არსებობას და წევრებს არ ასახელებდა, თვითონ ჩამოუთვალა საქართვე

ლოს თითქმის ყველა მეგრული წარმომავლობის ხელმძღვანელი მუშაკი, შენი თანამოაზრები არიანო. მერე დაემუქრა, ისეთ დღეს წაგიდებ, მაინც გაღიარებინებ ძირგამომთხრელ საქმიანობასო. მუქარა აუსრულა კიდეც — ძილი მოანატრა... მოული ღამე დაპკითხავდნენ ჯერ გთვი ქესანაშვილი, შემდეგ სტეპანოვი და საკანში მხოლოდ დილით უშვებდნენ, როცა ძილი უკვე აკრძალული იყო. ასე გრძელდებოდა ზედიზედ 100 დღე. როცა ღამლამობით დაკითხვებზე იბარებდა, გამომძიებელი ქესანაშვილი აიძულებდა „სწორდის“ მდგომარეობაში მჯდარიყო, თვითონ კი 3-4 საათის განმავლობაში, შეუწყვეტლად აკაკუნებდა ლითონის ნივთით შუშაზე, რაც გამანადგურებლად მოქმედებდა ნერვულ სისტემაზე.

გამომძიებელმა ნეფელოვმა 1952 წლის აპრილ-მაისში მოული თვით ჩასვა კარცერში აღიოშა მირცხულავა. იქ დღეში მხოლოდ 250 გრამ პურს და წყალს აძლევდნენ. თავდიშვილისა და ცეპკოვის ბრძანებით ხელბორკილები დაადეს და რამდენიმე თვე არ მოუხსნიათ ცეპკოვი „ურჩევდა“, თუ ჯამუშობას აღიარებდა და ჩეენებას მოგვცემ შარიაზე, ბარამიაზე, თავაძეზე, კარანაძესა და სხვებზე, სიცოცხლეს შევინარჩუნებთო.

საქმეში არის ასეთი ბარათი: „საქსსრ სახუშიშროების სამინისტროს შინაგანი ციხის უფროსს, კაპიტან ამბ. ქნიაზევს. დაკითხვისას უტაქტო მოქმედებისთვის დაპატიმრებული გრიგოლ თეოფილეს-ძე კარანაძე ხუთი დღით ჩახვით კარცერში. საქსსრ სახუშიშროების მინისტრი, გენერალ ლეიტენანტი ნ. რუხაძე. 1952 წ. 14 მარტი.“

არ შეიძლება არ შეგძრას ამ დოკუმენტის თვალთმაქცობამ და ცინიზმა: ჯალათი მსხვერპლს „უტაქტობისთვის“ სჯის.

გრიგოლ ჩაჩიბაია იგონებდა, რომ 1952 წლის გაზაფხულზე ერთ-ერთი დაკითხვისას, მუქარისა და შეურაცხვოფის შემდეგ, გამომძიებელ კუციავას კაბინეტში, სადაც მინისტრის მოადგილე მ. თავდიშვილი, გამომძიებელი მილილოვი და ერთი მოსკოველი პოლკოვნიკი იმყოფებოდნენ, ტანსაცმელი გაახდევინეს და საცვლების ამარა იატაქზე დააგდეს, ცდილობდნენ ეთქმევინებინათ, მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის წევრი ვა-

რო. შემდეგ კუციავამ ჯოხით ცემა დაუწყო. სჯობს ახლა კუნძული, თორემ ცოცხალი აქედან ვერ გახვალო, ეუბნებოდა რეზის კისტი. როცა მაინც ვერ აღიარებინეს, ჯოხით ძვალი და რეზის გაუერთიანეს.

აქესენტი რაფაელ უძილობით დააოსეს, დღე-ღამეში შეს ლოდ 1 საათით წაძინების უფლება პქონდა, ხმირად კი საქონდ თვალს არ ახუჭვინებდნენ: საქნიდან ყველაფერი გაიტანეს — სკამი, ტუმბო, ნაგვი ყუთი, რაზეც ჩამოჯდომა და ჩამოვლება შეიძლებოდა. ასე გრძელდებოდა ნახვარი წელიწადი. ამასთან, მთელი სამი თვე — 1952 წლის 6 დეკემბრიდან 1953 წლის 11 მარტამდე — ხელბორკილები არ მოუხსნიათ. ორჯერ მეზობელ ოთახში სცემებს მისი ყოფილი ცოლი, რომელთანაც განკორწინებული იყო და მისი წიფილ-კიფილი მოასმენინეს.

მამია ზოდელავას 38 დღით დადებულმა ბორკილმა ჟღები დაუსივა, საშინელი თავის ტკიფილები დაეწყო.

ბატონი მამანტი პაჭიორია გვიამბობს: ერთხელ მ. თუდოშვილის კაბინეტში დამკითხეს. უძილობით ქანცგაწვეტილი მომაწოდეს წინასწარ გამზადებული „ჩემი“ 14-ფურცლიანი ჩუნება. იგი ისე თსტატურად იყო შედგენილი, რომ ზოგ აღგიღა მართლა მოწერულობით ხელი. კვონათ დაუძლურებული შეცდა ბოდი და ყველაფერს ერთად მოვწერდი ხელს. როცა ეს არ ვქნი, ლანძღვა-გინება დამიწყეს. მოთმინებიდან გამოსულმა მათ ვუთხარი, იქნებ დრომ მოიტანოს და ასეთი საქციელისთვის თქვენ აღმოჩნდეთ იზოლაციაში, ჩვენ კი თავისუფალი-მეთქმადგან დაკითხვის ოქმს ხელი არ მოვწერე, თანაც ეს ვთქვა, ბორკილი დამადეს. მაგრამ ეს ამბავი ამით არ დამთავრულება. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვში რომ გადაგვიყენეს და ვითარება შეიცვალა, შემოგვთავაზეს, დაგვეწერა, თუროგორ გვეპურობდნენ გამომძიებლები თბილისში. სხვა ფაქტებთან ერთად ზემოხსენებული ეპიზოდის ჩაწერასაც ვაპირებდა. მაგრამ ჩემმა მცვობარმა იღია თავაძემ მთხოვა (მოსკოვში, თბილისისგან განსხვავებით, ორ-ორი ვიდავით საქნებში, იღია ჩემთან ივდა), ნუ იზამო. თურმე ერთხელ უფროს გამომძიებელ ბოლოვიტინს (იგი თავდიშებილთან ერთად მონაწილეობდა ჩემს და

յոთხევებში) ბუტერბროდის ნაჭერი მიუწოდებია მისთვის, პოდა  
მოსკოვის ციხეში შექვედრისას უთხოება, თქვენმა მეგობარმა არ  
ჩაწეროს, რომ უკანონოდ მოვექეციო. ილიას თხოვნას ანგარიში  
გვუწი: ფაქტი კი ჩავწერე, მაგრამ — შერბილებულად. ზოგი-  
ურთ გამომძიებელს ვატყობლით, რომ არ სჯეროდათ ის ბრალ-  
დებები, რომლებსაც გვიყენებდნენ. მოსკოველმა ჩეკისტმა ფარ-  
ქუმა დაუფარავად მითხრა, ვიცი, რასაც ვაკეთებთ, ყველაფერი  
ბლეფიათ. ყველაზე მეტად უნდოდათ იმაზე მოგვწერა ხელი,  
რომ ჩვენ უცხოეთის დაზვერვასთან ვიყავით დაკავშირებული, მაგ-  
რამ ამას ვერ მიაღწიეს, თუმცა გვემუქრებოდნენ, რეპრესიებს კი-  
დვ უფრო გაფამკაცრებთ და მაინც ამოგადგმვინეთ ენასო.

• • •

1930-იანი წლების ბოლოს და ომის შემდეგ, საბჭოთა დაწ-  
ვრუა აქტიურად მუშაობდა უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ემიგ-  
რანტთა შორის.

საფრანგეთში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურის 1946  
წლის მონაცემებით, საქართველოს დემოკრატიული მთავრო-  
ბის ლიდერებმა ნოე ფორდანიამ და ვაგნი გეგეჭკორმა მეორე  
მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ხელახლა ჩამოწყეს საბ-  
ჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა: გამოსცემდნენ ანტისაბ-  
ჭოთა გაზეთებს, ლიტერატურას, მათი ეს საქმიანობა თითქოს-  
და ამრიკული დაზვერვის რეკომენდაციით წარიმართებოდა.

1945 წლის აპრილში, როგორც ვთქვით, საზღვარგარეთუ-  
ლი მივლინებიდან დაბრუნდა პროფესორი პეტრე შარია, რომე-  
ლიც საფრანგეთში იმყოფებოდა ქართველი ემიგრანტებისათ-  
ვის კბილის მოსახინჯად (ოფიციალურად: საქართველოს ის-  
ტორიული განძის ჩამომტანი დელეგაციის შემადგენლობაში).  
მისი მოხსენების შემდეგ გადაწყვიტეს, გაეძლიერებინათ მუშა-  
ობა ემიგრაციასთან. ამ მიზნით პარიზში ორი წლით მიავლინეს  
ილია თავაძე (1905-1973 წ.), რომელიც სსეციალურად ამის-  
თვის გაათავისუფლეს რეპუბლიკის სახელმწიფო კინტროლის  
სახალხო კომისრის თანამდებობიდან და სსრკ საფრანგეთის  
საელჩოს პირველ მდივნად დანიშნეს.

იგი ერთობ განათლებული კაცი გახლდათ. უმაღლესი სას-

წავლებელი (ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი), და ასპირანტურა მოსკოვში პქონდა დამთავრებული. ყოფილი ფიას ასწავლიდა მოსკოვსა და თბილისში. 1937 წ. — საქ. კიბ. ცქ მდინის თანაშემწე, 1938-1939 წ.წ. — ცქ-ის პროპაგანდის განყოფილების გამგე, 1939-1943 წ.წ. — ცქ-ის მდინანი პროპაგანდის დარგში, 1943-1945 წ.წ. სახელმწიფო კონტროლის სალშო კომისარი იყო.

იღია პარიზში ნოე ეორდანიასა და ვეგენი გეგეჭკორის დაუახლოვდა, საშმობლოში დაბრუნებაზე მათს დაყოლიებას ცდოლობდა, მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია. იგი მოსკოვში გაიწვიეს, მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების გამგედ, ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგის მოადგილედ, 1952 წ. აპრილ-ოქტომბერში ეღწიო იყო სირიაში.

სკეცსამსახურებმა იღიას ნაცვლად საფრანგეთში ცოდნებარი დავით მატარაძე და შინსახომის მაიორი ვარდო მაქსიმელაშვილი გააგზავნეს. მათ კარგი ურთიერთობა პქონდათ იღვა თავაძესთან და აცნობეს, დაპატიმრებას გიპირებენო. იღია მართლაც დააპატიმრეს (1952 წლის 10 თებერვალს), როგორც „მარაშიას ჯგუფსა“ და საფრანგეთში მყოფ ქართულ ემიგრაციას შორის „მეკავშირე“. იჯდა 1953 წლის აპრილამდე. განთავისულების შემდეგ — აპრილ-ივნისში თბილისის პარტსკოლის დარექტორი იყო. ივლისში ისევ დააპატიმრეს და შხოლოდ 1955 წლის მარტში გამოუშვეს საბოლოოდ. იმავე წელს თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორად დანიშნეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა. 1954 წ. სადოკტორო დისერტაცია დაიცვა ფილოსოფიაში.

„მეგრელ ნაციონალისტებთან“ კაეშირის გამო თვით დავით მატარაძე და ვარდო მაქსიმელაშვილიც დააპატიმრეს 1952 წლის 6 მარტს, თუმცა მათ საფრანგეთში საკმაოდ წარმატებოთ იმუშავეს ემიგრანტთა საშმობლოში დასაბრუნებლად (პირველი ტალღა 1947 წელს ჩამოვიდა), რომელთაც აქ გადასახლდა და ციხე ელოდათ (1951 წლის დეკემბერში 6. რუსაძემ 42 უ

47 რეემიგრანტი დაპატიმრა, რათა მათი ჯაშუშობა და „მეგრულთა ჯგუფებთან“ მტრული კავშირი გამოეჩხრიკა).

სამივეს დაპატიმრებისას ძიებამ ძირითად ბრალდება და წა-  
უქნა თითოდან გამოწოვილი „ცოდვა“: რეპატრიანტთა ნიღბით  
საქართველოში განხრას აბრუნებდით საბჭოთა ხელისუფლე-  
ბის მოწინააღმდეგებს, აგრეთვე უცხოეთის სპეცსამსახურე-  
ბის აგენტებსო.

\*\*\*

მკითხველს გენერალ პავლე სულოპლატოვის საინტერე-  
სო მოგონება უნდა გავაცნო:

„1951 თუ 1952 წელს იგნატიევმა თბილისში წასელა მიბ-  
რძანა. უნდა შემეფასებინა ადგილობრივი სადაზვერვო სამსა-  
ხურის შესაძლებლობა და დავხმარუბოდი მას პარიზში ქარ-  
თველ მენშევიკთა ლიდერების, ბერიას ცოლის ნინო გვეჭკო-  
რის ნათესავების მოტაცების მოშადებაში. შედეგი პირადად იგ-  
ნატიევისთვის უნდა მომექსენებინა. მაცნობეს, რომ ამ ოპერა-  
ციის ჩატარების ინიციატივა თბილისიდან, გენერალ რუხაძი-  
დან მოდიოდა და იგი თვით სტალინმა მოიწონა. რუხაძე დაუი-  
ნებით მოითხოვდა, ოპერაცია ქართველ აგენტებს ჩაეტარები-  
ნათ. იგი საგანგებოდ ჩამოფრინდა მოსკოვში და ეს იდეა იგნა-  
ტიევს გააცნო. იმან, რაც თბილისში ვნახე, პირდაპირ შემძრა.  
ერთადერთი უნარიანი, საფრანგეთში კარგი კავშირების მქონე  
აგენტი გეგელია ციხეში იჯდა ჯაშუშობისა და მეგრულ ნაცი-  
ონალიზმში ბრალდებით. რუხაძის აგენტების ნდობა არ შეიძ-  
ლებოდა, მათ ჩემთან რუსულად დალაპარაკებაზეც კი უარი  
თქვეს (პ. სულოპლატოვს ალბათ იმის თქმა უნდა, რომ მათ  
რუსული ხეირიანად არ იცოდნენ — ა. ა.). რუხაძის მოადგი-  
ლე, რომელიც პარიზში გამგზავრებას გუვმავდა, არასოდეს ნამ-  
ყოფი არ იყო საზღვარგარეთ (ლაპარაკი უნდა იყოს აღლექსი  
ბერიშვილზე — ა. ა.). იგი დარწმუნებული იყო, თუ ქართველ  
ემიგრანტებს სამწვადეს და ერთ კალათა ქართულ დვინოს ჩაუ-  
ტანდა, ქეიფს მოაწყობდა პარიზის კულტურულ ცნობილ რუსტო-  
რანში, მათს კეთილგანწყობას მოიპოვებდა. იყო აგრეთვე პარიზში  
კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის გაგზავნის წინადაღება, მაგ-

რომ ყველა ხედებოდა, რომ ამგვარი გრანდიოზული გაჯმები ნიდაუდა რუხაძის სურვილს, პარიზში თავისი ცოლი გავაზაქა. ქალი მორიდებული ადამიანი და კარგი მომღერალი იყო (რუხაძის ცოლი ტატიანა დუნენქო მომღერალი კი არა, ხაოსერო კონცერტმაისტერი გახლდათ — ა. ა.), მაგრამ დელეგაციაში მხოლოდ თბილისის კონსერვატორია შეეძლო წარმოდგინა. ქმრის გვემებზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა. ამასობაში მოსკოველმა გამომძიებლებმა, რომლებიც „მუკრელთა საქართველოს“ სწავლობდნენ, რუხაძეს ახარეს, თითქმის უკვე დავადგინეთ კუშირი ბერიას ოჯახსა და დაპატიმრებულ ნაციონალისტებს მორისო. რუხაძის კაბინეტში, მინის ქვეშ, ახალგაზრდა ბერიას — მისი მოსისხლე მტრის სურათი შევნიშნე. რუხაძე, სტალინისათვის რომ ეამებინა, ტყავიდან ძვრებოდა, ჯერ სადაზვერფა სამსახურიდან ბერიას ყოფილ ხელქვეითთათვის, შემდეგ კი მისთვის სახელის გასატეხად. რუხაძის „სამოცვარულო“ აუნტიურიზმმა შემაშინა და სასწრაფოდ დაბრუნდი მოსკოვში, რათ შეელაფერი იგნატიევისათვის მომებსენებინა. მან და მისმა პირველმა მოადგილემ ოგოლცოვმა ყურადღებით მომისმინეს, მაგრამ შენიშნეს, ამ საქმეზე დასკვნების გამოტანა ჩვენი საქმე არ არის, „ინსტანციის“ საქმეა, რადგან რუხაძე პირადად აწარმოებს სტალინთან ქართულ ენაზე მიმოწერასო (? — ა. ა.).

მაგრამ სტალინი უკვე ხედებოდა, რომ რუხაძე და რიუმინი საშიში გახდნენ: იმის ნაცევლად, რომ უბრალოდ მიეღწიათ დალატის აღიარებისათვის, ისინი გამომიების პროცესში დიდ ინტერესს იჩინდნენ პარტიულ და სამთავრობო ზედაუნებში ინტრიგებისადმი. 1946-1951 წლებში სსრკ სახელმწიფო უმიშროების მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი ვიქტორ აბაკუმოვი 1951 წლის ივლისიდან იყო დაპატიმრებული. დახრიტებს 1954 წლის დეკემბერში — ა. ა.) 1952 წლის 11 ოქტომბერს ბერიას და მალენკოვს ციხიდან წერდა, რომ რიუმინი დაინტერესებული იყო მინა ურთიერთობებით პოლიტბიუროში, იყენებდა ინფორმაციებს სრულიად საიდუმლო მოხსენებით ბარათებიდან, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო სტალინს უგზავნიდა.

სტალინმა გადაწყვიტა მსხვერპლად შექმნირა რიუმინი და რუხაძე. რუხაძე მაღლე ლეფორტოვოში ჩასუს, რიუმინი სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან მოხსნეს და 1952 წლის ნოემბერში ორგანოებიდან დაითხოვეს. სტალინის სიკვდილის შემდგვ იგი დააპატიმრეს, მაგრამ სტალინი ცოცხალიც რომ ყოფილიყო, მას მაინც მოსპობდა", — დაასკვნის პ. სუდოპლატოვი.

\*\*\*

ქართველი ინტელიგენცია, როგორც ცნობილია, საბჭოთა რეჟიმის პირველი დღიდანვე „ბურუუაზიული ნაციონალიზმის“ ბუღდედ გამოცხადდა და მის, როგორც „მტრული ძალის“, წინააღმდეგ უმკაცრესი ღონისძიებები ხორციელდებოდა. საბჭოთა წყობილების პირველ ოცნებელში ქართველი ინტელიგენციის მძღავრი „წმენდა“ მოხდა, რასაც ათასობით სიცოცხლე შექმნია. მან ომის წლებშიც მძიმე დანაკლისი განიცადა. 1946 წლიდან ქართველი ინტელიგენციის მიმართ ეჭვი კვლავ წინა პლანზე დადგა.

1951 წლის ბოლოსთვის ფარულად მოშადდა ინტელიგენციის შუა აზიაში მასობრივი გადასახლება. ამ აქციისთვის რუსეთიდან საგანგებოდ მოიწვიეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფები. გადასახლებას დაექვემდებარა ეველა ოჯახი, რომლის წევრიც ტევედ იყო ნამდოფი 1941-1945 წლების ომში ან ნათესაურად იყო დაკავშირებული უცხოეთის ქართულ ემიგრაციასთან. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში სარკინიგზო ეშელონები ჩააყენეს. მანამდე კი, 1951 წლის 16 ნოემბერს, სკპ(ბ) ცქ-მა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის „წინადადების საფუძველზე“ (მკითხველი ხედება, თუ როგორ „წარედგინებოდა“ ასეთი წინადადებები ცენტრს: მოსკოვიდან იგზავნებოდა შეა ტექსტი, რომელიც შენი სახლით შენს წინადადებად უნდა გაგეგზავნა უკან!), ი. სტალინის პირდაპირი მითითებით მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“. 1951 წლის 29 ნოემბერს ამავე სახელწოდებით მიიღეს საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილებაც, რომლითაც სანქცია მიეცა

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ წარდგენილ წე. ნადადებებს გასახლების წესებისა და პრინციპების შესახებ.

გასახლეს 11200 მოქალაქე (ისტორიკოსები აკადემიკები, ატა სურგულაძები 20.000 კაცი ასახლებენ), სახელმწიფო წინასწარ შეუტყობინებლად, მოუმზადებლად შეუარეს კვინებში. ხალხს, უმრავლეს შემთხვევაში სრულიად უდანაშაულოს, ფაქტობრივად, ქუჩაში სტაცებლნენ ხელს და ასახლებ. ღნენ, თითქმის ყოველგვარი საარსებო საშუალების გარეშე. ბერი ზანდაზმული მამულიშვილი მგზავრობას შეწირა (გზაში გარდაიცვალა და სადღაც ტრამალში დაკრძალეს თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწე სამსონ ფირცხალავა, რომელიც ცოტა წინ წინათ ემიგრაციიდან დაბრუნდა ნანატრ სამშობლოში). ქართველობა ჩაასახლეს ყაზახეთის „მშიერი უდაბნოს“ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშებად. ბევრი მათგანი სამუდამოდ დარჩა უცხო მიწაში.

ეს ორი ავტედით აქცია — „მეგრელთა საქმე“ და „საქართველოდან მტრული ელემენტების გასახლება“ ხილული და უხილავი ძაფებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული: ფოფლ ქართველ ემიგრანტთა რეპრესიები „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის“ ფალსიფიცირებით დაიწყო. სქემა ერთობ მარტივი იყო — საქართველოს „მეგრელი ნაციონალისტების“ და კაუშირება რეემიგრანტებსა და საზღვარგარეთ მყოფ მეგრელ ემიგრანტებთან. ბევრი ვარაუდობს, რომ ამ აკანტიურის საბოლოო მაზანი მის იდეურ სულისჩამდგმელად და ორგანიზატორად ღურენტი ბერიას გამოცხადება და მისი ხელისუფლებიდან სამოშორება იყო.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის უფროსის მოადგილე გერა სულაძე ასეთ ეპიზოდს გვაცნობს: ნ. რუხაძემ ი. სტალინს მოახსენა: ძიების პროცესში გამოულენილი ფაქტები დაღადგენტ. რომ საქმე მხოლოდ ზოგიერთი გახრწნილი ხელმძღვანელი მექქრთამეობით არ შემოიფარგლება. ხაზინის ქურდთა და მექოთამეთა ჯგუფს, ცკის მეორე მდივნის ბარამიას ხელმძღვანტლობით, შორს მიმავალი მიზნები ამოძრავებდა — ისინი სამუ-

რელოს აუტონომიაზე საუბრობდნენ... დაპატიმრებულებმა აღმარეს, რომ უწყვეტი კონტაქტები პერიოდათ საზღვარგარეულ მენშევიკურ ცენტრთან”. სტალინი თურმე მდუმარედ ისმენდა, მინისტრის ინფორმაციას, შემდგე ჯიქურ შეუხედავს ნ. რუხაძისთვის: „ვშიშობ, ქართველ ჩეკისტებს გაჭირდებათ ამ საქმეში დამოუკიდებლად გარკვევა. ამ დღეებში ძიებაში ლუბიანკის გამოცდილ მუშაქთა ჯგუფი ჩართვება”.

მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, ვერც ლუბიანკელმა სპეცებმა (ცეპენის ჯგუფი) მოახერხეს იმის დამტკიცება, რასაც ნ. რუხაძე აუნსად მოახსენებდა ი. სტალინს, რადგან ასეთი აღიარება („სამეცნიეროს აუტონომიაზე საუბარი”, „უწყვეტი კავშირი საზღვარგარეთის მენშევიკურ ცენტრთან”) არც ამ მოხსენებამდე და არც შემდეგ, როცა ნ. რუხაძე მოხსნეს და გამოძიების კონტროლი, თვით ბელადის ინიციატივით, სსრკ უშიშროების მინისტრის მოადგილეს ოგოლცოვს დაუგალა, ვერავის დააცდენინეს.

მიზნობრივი გადახმვა. ვარაუდს, რომ „მუგრელ ნაციონალისტთა“ დაკავშირება რეემიგრანტებსა და საზღვარგარეთ მყოფ მეგრელ ემიგრანტებთან გამიზნული იყო ბერიას მოსაცილებლად, თავისებური გაგრძელება პერიოდა. ცნობილია, რომ ბერიას (ან მის ორეულს, ეს საქმის არსეს არ ცვლის) სასამართლოზე ერთ-ერთ ბრალდებად „კონრრევოლუციურ ქართულ ემიგრაციასთან დანაშაულებრივი კავშირი“ წაუყენეს (ისე, მრავალ ნამდვილთან ერთად, უამრავი აბსურდული ცოდვაც აპკიდეს).

ამონაწერი „ბერიას, გოგლიძისა და სხვათა საბრალდებო დასკვნიდან“: „კონტრდაზეერვაში ჯაშეშერი მუშაობის დროიდან, სამშობლოს მოღალატე ბერია თვითი გამცემლურ საქმიანობაში კონტრრევოლუციურ ქართულ ემიგრაციაზე ჩადიოდა ფსონს.

თავის მხრივ კონტრრევოლუციური ქართული ემიგრაცია ხოტბას ასხამდა ბერიას, მასზე ამგარებდა იმედებს.

ბერიასადმი ქართული ემიგრაციის დამოკიდებულებას აღასტურებს ჩვენება ხაქართველოს დემოკრატიული რესპუბ-

ლიქის შინაგან საქმეთა მინისტრთან განსაკუთრებულ დაუტვილდათა მოხელის ემულიან ლომთათიძისა, რომელიც 1945 წელს პრაღაში დააპატიმრა საბჭოთა კონტრდაზეურგამ და ამჟამად მხჯავრდადებულია.

წინასწარი ძეგის დროს დაკითხულმა ლომთათიძემ უჩინა:

„ნოე ფორდანიას, საბჭოთა საქართველოში მყოფი თავისი ემისტების საშუალებით, ავრეთვე, ერთი წერილებით, რომელიც 1937 წელს მიუვიდა საქართველოდან, პეტონდა ცნობები, რომ ლ. პ. ბერია, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა ანტისაბჭოთა მოძრაობას საქართველოში. იქაური მრავალრიცხუანი წეარო დაბეჯითუბით ატყობინებდა, რომ ლ. პ. ბერია ნაბიჯებს დვაძღა პირადად მისი ერთგული ქართველი კომუნისტების გასართოანებლად საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ ქართველ მენშვიკებთან, ავრეთვე, საბჭოთა წეობით უკმაყოფილო სხვ ელემენტებთან...“

დამასახიათებელია, რომ ემიგრანტი მენშვიკები და სხვები მეგრულთა რიცხვიდან, ყოველთვის ხიმტით ხვდებოდნენ ბერიას გაკრიტიკების ცდას. გაუშეიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ემიგრანტული მეგრული წრები აღმერითებდნენ ბერიას.“

საქმის მასალებით დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი კონტრულულუციური ქართული ემიგრაცია ქმნიდა ბერიას ეულტს, მაინც გვდა მონათესავე ბურჟუაზიულ ნაციონალისტად, მაგრა იქ მხარი დაეჭირა მისთვის, თუ ბერია კონტრულულუციურ სახელმწიფო გადატრიალებას მოახდენდა.

თავის მხრივ ბერია, რომელსაც შესაძლებლობა პეტონდა აქტიურად დაპირისპირებოდა საზღვარგარეთ ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა საქმიანობას, არა თუ არ აკითხდა ამას, პირიქით მღლიდა დაგვევიდა ღონისძიებებს... იგი წინასწარგანხრახულად არ წრმართა არაუითარ აქტიურ მუშაობას კონტრულულუციური ქართული ემიგრაციის წინააღმდევ, ემიგრაციის ღიადერებთან უკირის დასამდარებლად არაერთგზის გაგზავნა საზღვარგარეთ აუკის ემისტები. იგი პირადად ამჟარებდა კონტაქტს საბჭოთა უკირში შემოგზაუნილ ქართველ ემიგრანტთა ლიდერების აგენტებ-

თან, რომლებიც სხვადასხვა უცხოურ დაზეურებასთან იყვნენ და-  
კავშირუბელი.

...ამ საქმის მიებისას მიკელეულია უტესარი დოკუმენტები,  
რომლებიც აღასტურებს ძერიას მჭიდრო საიდუმლო კონტაქტს  
კონტროლური უციური ქართული ემიგრაციის მეთერუბთან.

...ამრიგად, საქმის მასალებით მტკიცდება, რომ ძერიას  
მუდმივი დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა კონტროლური-  
ურ ქართულ ემიგრაციასთან. იფარულა მათ განადგურებისაგან  
და, თავის მხრივ, სარგებლობდა იმპერიალისტურ სახელმწი-  
ფოთა სადაზვერულ ორგანოებთან დაკავშირებული რეაქციული  
ემიგრაციული წრების მხარდაჭერით“.

ემელიან ლომთათიძემ, რომელსაც 1946 წელს 10 წელი  
მიესაჯა (ბეღნიერი შემთხვევის წყალობით საქართველოს  
სახელმწიფო უშიშროების არქივში არქივში მიუკვლიე ე. ლომ-  
თათიძის „საქმეს“), ბერიას შესახებ ჩვენება თავისი საქმის მიე-  
ბისას კი არ მისცა (ვერც გამომძიებელი და ვერც პატიმარი იმ  
დროს — 1946 წელს ამის გულში გავლებასაც კი ვერ გაბედა-  
დნენ, ასეთი რამ მის საქალალდეში საერთოდ არ არის — ლ.  
ბერია მაშინ სსრკ შინაგან საქმეთა სახელმი იყო!), არაშედ მოგ-  
ვიანებით, როცა დამხობილი ლავრენტის სასამართლო პრო-  
ცეს აშშადებდნენ. ამას, არაპირდაპირად, ადასტურებს 1954  
წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მალენკოვისადმი  
მიწერილი ე. ლომთათიძის თხოვნა შეწყალების შესახებ.

რა რეალური საფუძველი ედო მის განცხადებას, ძნელი  
სათქმელია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. ისე, არც  
დაგვიანებული შერისძიება და სანაცვლოდ შეწყალების მიღე-  
ბის იმედია გამორიცხული. მაგრამ, „მავრმა თავისი საქმე გაა-  
კეთა“ და... ემელიან ლომთათიძე 1955 წელს გარდაიცვალა კლა-  
დიმირის ციხეში.

## კომკავშირის დარბაზა

აკაკი მგელაძემ ვერ შეასრულა სიტყვა: საქართველოს კომკავშირში მტრული, ანტისაბჭოთა მეგრული ორგანიზაცია ვერ აღმოაჩინა. ოღონდ ეს კია, კომკავშირის ცეკას ნამდეილი „გრძელი დანების დამე“ მოუწყო. 1952 წლის გაზაფხულშე, თითქმის მოსვლის უმაღლ, დაფურთხა საქ. ალპე ცქ-ის ხელმძღვანელობა პირველი მდივნის მამია ზოდელავას მეთაურობით. იმ თაობის ახალგაზრდებს ახსოვთ რუსთაველის თეატრში გამართული თავეყრილობა, სადაც პირდაპირ ცოდვის კითხვა დატრიალდა მამია ზიდელავას თავს.

— შესენებისას შეკრების მონაწილენი პროსპექტის გადაღმა, ძერეინსკის სახელობის კლუბში, კინოფილმს დაკარით შეა სეანსხე მოულოდნელად სინათლე აითო და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის აკაკი მგელაძის სახელით გამოცხადდა, ყველანი რუსთაველის თეატრში დარუნდით, კრება ვადამდე უნდა გაგრძელდესო. თავპირისმტკრუვით გამოვცვივდით სხვათა შორის, უკვე მოხსნილშა და შერისხულმა მამია ზოდელავამ, რომელსაც გამოსვლის უფლება მისცეს, იმ დღეს შესანიშნავი სიტყვა თქვა, მან თავი დამნაშავედ არცნო და მტკიცედ განაცხადა, მე მაინც ვრჩები ჩემი ქვეყნის, ჩემი პარტიის, ჩემი კომკავშირის ერთგულ ჯარისკაცადო... მის სიტყვებს მქუჩარე ტაშით შეხვდნენ — იხსენებს საქართველოს დამსახურებული ეურნალისტი, მაშინ კომკავშირის თეთრი წეროს რაიკომის სასკოლო განყოფილების გამგე ნათელა ფალოძე, რომელსაც მომდევნო თვეებში დიდი ჯაფა დააღვა: რა-

კომის პირველ მდივნად არ ამტკიცებდნენ, წარმოშობით გუგუჭ-  
კორის რაიონიდან ხარო. და არც დაამტკიცებდნენ, კომკავში-  
რის თბილისის საოლქო კომიტეტის მდივნი კოტე გურგენიძე  
რომ არ წარმველებოდა, ფაილოძები... ხონელები, ანუ იმერ-  
ლები არიანო.

მაშინდელი ალკა ცქ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის  
განყოფილების გამგის მოადგილე კულტურის დარგში ფარსა-  
დან თოფურია დღესაც მდელვარებით იხსენებს 1952 წლის  
აპრილის დასაწყისში აკაკი მგელაძის მისელას კომკავშირის  
ცეკაში. რეპტუბლიკის ახალი ხელმძღვანელი გაეცნო აპარა-  
ტის შტატს, ბუნებრივია, საგულდაგულოდ მეგრელი თანამ-  
შრომლებით დაინტერესდა — საიდან მოვიდნენ, ვისი რეკო-  
მენდაციით მოვიდნენ... როცა ჯერი ჩემშე მიდგა, ძირფესვია-  
ნად გამოიკითხა, ვინ მოიგვანა თოფურია კომკავშირშით. უთ-  
ხრეს, რომ მე, 22 წლის ემანუელი, 1944 წლის ოვლისში, თბი-  
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულ-  
ტეტის დათვარების შემდეგ, ალკა ცეკას მაშინდელი პირველი  
მდივნის მაქსიმე ბალავაძის რეკომენდაციით ამირჩიეს კომკავ-  
შირის აბაშის რაიონის პირველ მდივნად; მოკლე დროში მი-  
ვიღე ი. სტალინის მადლობა სატანკო კოლონა „ნორჩი თაო-  
ბის“ ასაგებად თანხების შეგროვებისათვის; 1946 წლის თებერ-  
ვალში გამგზავნეს მოსკოვის ცენტრალურ კომკავშირულ სკო-  
ლაში სასწავლებლად, 1948 წელს, იქიდან დაბრუნების შემ-  
დეგ, კი აქ ცეკაში მიმიღეს სამუშაოდ... აკაკი მგელაძე ყოვე-  
ლოვე ამას უკამაყოფილოდ ისმენდა, შემდეგ კი წარბმექრულმა  
თქვა: 30 წლის კაცი და კომკავშირული? და მამია ზოდელავას  
შემცვლელს, უკვე პირველ მდივანს მამია მეგრელიშვილს მოკ-  
ლედ უთხრა, აქედან მოაშორეთო. მადლობა ღმერთს, მამია  
მეგრელიშვილმა სულ არ გამწირა და გაზეთ „ახალგაზრდა  
კომუნისტის“ რედაქციაში გამიშვა პროპაგანდის განყოფილე-  
ბის გამგედ. ასე გავხდი ეურნალისტი, — იცინის საქართვე-  
ლოს დამსახურებული ეურნალისტი ფარსადან თოფურია.

კვლავ რესთაველის თეატრში გამართულ შეკრებას —  
კომკავშირის XIX ყრილობას (1952 წ. 15-17 მაისი) დაუუბრუნ-

დეთ, სადაც სასტიკად გვემეს და საბოლოოდ მოიკვეთეს უკვე მოხსნილი მამია ზოდელავა.

ყრილობას სიხარულით ეცნობა, რომ მოღალატება საჭულველი ხროვა ბარამიას მეთაურობით, რომელსაც სურდა ხელში აეღო ძალაუფლება საქართველოს კომპარტიაში და დაქმით საბჭოთა ხელისუფლება, გამოაშეკარავებულია!

მაგრამ იქვე, სინაულით და თანამდებობიდან გაყრილო მიმართ მრისხანებით გაცხადდა, რომ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და მის ბიუროს შეძლოთ ეთქვათ თავისი სიტყვა მეგრულ ნაციონალისტთა ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ არ თქვეს, რადგან კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სათავეში იდგა ზოდელავა — „ეს უპრინციპო დიდკაცი კომკავშირში, დონდლო და უხერხემლო ადამიანი, ბიუროკრატი“, რომლის გულსაც, ცხადია, არ მოეფონა ბარამიას ანტისახელმწიფოებრივი, მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფის გამოაშეკარავბა. ასეთი ადამიანების ადგილი არ არის კომკავშირში, არ არის ჩვენს შორის!..

ახალმა პირველმა მდივანმა მამია მეგრულიშვილმა და ლუგატებს გაანდო ძეველი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მსური, უპატიოებელი დანაშაული: კომკავშირის ცეკას ბიურომ და პირველ რიგში ამხ. ზოდელავამ, პოლიტიკური სიბეცისა და სიბრძნეის შედეგად, ვერ შენიშნეს და ვერ ამხილეს ბარამიას მტრული ჯგუფის წევრის ნინა ეკანიას ანტიპარტიული საქმიანობა, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტზე იყო, ხოლო შემდეგ, თავის მფარველების და ხმარებით, პარტიულ სამუშაოზე დააწინაურეს.

საქმე იქამდეც მოვიდა, რომ მამია ზოდელავას პირში წაუდგნენ, მტრული პოლიტიკური მოსაზრებით შერთუ ნინა ეკანია შენს ძმასო.

ეს „ბრალდება“ ყრილობაზე ცეკას მდივანმა გივი ურიდაში ისროლა ხელთაომანიერით რად დირს, მაგალითად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ერთხანს (ერთხანს კი არა, მთელი ცხრა წელი წადი! — ა. ა.) ცენტრალური კომიტეტის მდივნად სკოლები დარგში მუშაობდა ბარამიას ბანდის წევრი ეკანია, მომავალში

ზოდელავას რძალი. ეჭვგარეშეა, რომ ზოდელავასა და ქვანიას შორის ოჯახური კავშირების დაამყარება ერთადერთ, ანგარებით მიზანს ისახავდა — უფრო მოსახურხებელი ხდებოდა ძირი გამომთხრელი საქმიანობის წარმართვა საერთო ძალის სმენით ეს, როგორც არ უნდა უარყოფდეს ამას ზოდელავა, ასეა... ზოდელავას მოღვაწეობა ატარებდა მტრულ, ძირგამომთხრელ ხასიათს. აი, რატომ უნდა აგოს უმკაცრუსად პასუხი თავისი მოღვაწეობის გამო... ზოდელავას მეღაკუდობა ვერ მოაღწენებს ერთობის სიფხიზღვეს, ყრილობის დელეგატები ყველაფერს გაიგებენ და გამოაშკარავებენ... ჩეენ საბოლოოდ უნდა ჩამოვგლიჯოთ ნიღაბი ზოდელავას და იგი ჩეენს წინაშე უნდა წარსდგეს ისეთად, როგორიც იყო და არის სინამდვილეში. სახელდობრ, ბარამიასა და მისი ბანდის მტრული, ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი დირექტივების აქტიური გამტარებელი და შემსრულებელი...

გაიგეთ რამე, მაინც რა ბრალი მიუძღიდა მამია ზოდელავას? თუმცა მთელი „მეგრულთა საქმე“ ხომ სწორედ ასეთი ზოგადი, დეკლარაციული და ყინულზე დაწერილი სიყალბე იყო!

მაგრამ წინმასწარა, ენაგრძელ კომქაუშირელებს რას დაემდურები, როცა თვით აკაკი მგელაძე იძლეოდა ქარსიტყვაობის, არაკონკრეტული, თოთიდან გამოწყვილი ბრალდებებით ადამიანთა ბედის გადაწყვეტის მაგალითს. ასეთი იყო მისი კომქაუშირის XIX ყრილობაზე გამოსვლაც.

„ამხანაგმა სტალინმა თავისი გენიალური გამჭრიახობით გადაარჩინა საქართველოს კომპარტია და, შესაბამისად, მისი ერთგული თანაშემწე — კომქაუშირი სერიოზული პოლიტიკური კატასტროფის საშიშროებისაგან, რის გამოც ჩეენ უსაზღვროდ მადლიერი ვართ მისი“ — პათოსით თქვა ცეკას პირველმა მდივანმა.

მაინც რა კატასტროფისგან გადაარჩინის გამო ვართ ბელადის მაღლიერი? და ამხანაგი აკაკი განმარტებუს, ბარამიას მტრული მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფი მიზნად ისახავდა ყველა ხელმძღვანელ პოსტზე მეგრულები პყოლოდა, რათა ძალაულება ჩაევდო ხელშიო.

„ყვილოთ ასეთი ფაქტი. ჩეენ დავაპატიმრეთ პარტიის რაი- ალენ (ალექს) ასლანიშვილი. მეგრულთა საქმე

კუმის ყველა მდიდარი (! — ა. ა.) სამეცნიელოს რაიონებისა, ყველა მათგანი ბარამიას მტრული ჯგუფის წევრი აღმოჩნდა. კომქავშირში კი ბარამიას ჯგუფის წევრთა გამოვლენა წეს ზოშინით მიმდინარეობს, თითქმის არავინ არის გამოაშეარაუ-ბული. ზოდელავას, კომქავშირის ცენტრალური კომიტეტის ფ-ფილ პირები მდიდარის, რომელიც წარმოშობით იმავე ჩხოროწ-ეს რაიონიდანაა, საიდანაც ბარამია, შეეძლო ძალიან დახმ-რებოდა პარტიას, თუ იტეოდა კომქავშირის რაიკომის ყოფილი მდივნებიდან ვისხე აქვს ეჭვი...“

აკავი მგელაძე პირდაპირ გაოცებულია და ამ გაოცებას არც მაღავს: „რას ითხოვს მისგან ცენტრალური კომიტეტი? უპირველესად იმას, რომ დაგვეხმაროს გაიმეორების გამოაშეა-რავებაში. ზოდელავას ცოდვის გზით სიარული იქიდან იწყება, რომ იგი ცრუობს, ცბიერობს, მაგრამ მას ავიწყდება, რომ უერ-ვის მოატყუებს...“

მართლაცდა, რას ითხოვდა მამია ზოდელავასაგან პარტი-ის ცენტრალური კომიტეტი (და უშიშროების სამსახური)? სრუ-ლიად უბრალო რამეს, ძალზე მიღებულს, გაურცელებულს და აპრობირებულს იმ დროს: დამსმენობას, უდანაშაულო ხალხის ჩაშებას, არარსებულ ბოროტმოქმედებაში მათ მხილებას, ისეთ „მტრების“ გამოაშეარავებას, როგორიც მისი რძალი ნინა უ-ნია იყო!..

და საქართველოს კომქავშირი მრისხანებს: ჯერაც ბოლომ-დე არ არის ამოძირებული მეცრულ-ნაციონალისტური ელ-მენტი, იგი უნდა ამოვწევათ და ამოვძირკვლოთ გახურებული რეა-ნის შანთით!..

\*\*\*

მართალია „მეცრულ ნაციონალისტებს“ ჯაშეშობა და მოღალატეობა ვერა და ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ „ანტისახელ-მწიფოებრივი ქმედება“ კი — უხვად. მაგალითად, მიხა ბარამი-ას მიერ აღებული ინიციატივა კურორტ ლებარდემდე საუტო-მობილო გზის გაყვანის შესახებ, ანტისახელმწიფოებრივ საქ-მედ შეაფასეს და არა მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკი-ცების ღონისძიებად, აგრუთვე იმის საშუალებად, რომ ამ გზის

შენებლობაზე ხშირად შეხვედროდა სამეცნიეროს რევიონის ხელ-  
მიღებანელებს — ე. ი. „ანტიპარტიული ჯგუფის“ წევრებს (ეს  
გზა და თვით კურორტი ლებარდე მთლიანად ადგილობრივი მა-  
ლებითა და თანხებით იგებოდა, სამეცნიეროს რევიონის ყოველ  
რაიონს თავისი უბანი და კონკრეტული დაუალება პქონდა მიცე-  
მული).

ასევე ანტიპარტიული პოზიციებიდან ხდებოდა თურმე  
ქ. ზუგდიდში სპორტული კომპლექსისა და თეატრის შენებლობა  
მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით, მცირებალუანი (მიკრო)  
პიდროველექტროსადგურის აგებისა და ქვანახშირის საძიებო სა-  
მუშაოთა დაწყება ჩხოროწყუში და სხვა. მათი საქმიანობის ფვე-  
ლა ნაკლოვანი მხარე ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად ჩაითვა-  
ლა, სასარგებლო წამოწყებანი და წარმატებები კი — „ანტიპარ-  
ტიული ჯგუფის“ მიზნების შენიდების საშუალებად.

ისეთ ბრალდებებს ვისმენდით გამომძიებლებისაგან, მათი  
საშკარაოზე გამოტანა უხერხელადაც კი მიმაჩნია, — ისევ-  
ნებს ბატონი მამანტი პაჭკორიას, — როცა ჩვენი საქმე სასიკე-  
თოდ შემობრუნდა და თბილისიდან მოსკოვში გადაგვიფვანეს, იქ  
ეს ბრალდებები სასაცილოდაც არ ეყოთ.

1950 წელს მამია ზოდელავა, სხვებთან ერთად, მიხა  
ბარამიას ერთი ნათესავი გოგონას ქორწილში იყო. მოსკოველმა  
გამომძიებლებმა ცეპქოვმა და მაკარენქომ საქართველოს  
კომისარელთა ყოფილი თავკაცი აიძულეს „ელიარებინა“, რომ  
ეს ქორწილი კი არა, მეგრელ ნაციონალისტთა შეკრება იყო,  
ხოლო მეგრელი ვაჟის მიერ მეგრელი ქალიშვილის ცოლად  
შერთვა — ნაციონალისტობის გამოვლენა. იმ საღამოს ვიღაცამ  
მიხა ბარამიას სადღევრძელო თქვა და მაკარენქომ ეს ფაქტი  
შეაფასა როგორც ბარამიასთვის იმის სურვება, რომ  
საქართველოში ძალაუფლება დაეპყრო.

„მაკარენქომ განმიცხადა, მეგრელები იმიტომ აქებენ  
საფიანო საშარეულოს, რომ ნაციონალისტები არიან, თქვენ  
კი, ხელმძღვანელი მუშაკები, ზომებს არ იღებდით ასეთი  
გამოვლინებების წინააღმდეგ, არ ძირკვავდით მათ, რადგან

თვითონ ხართ მეგრული ნაციონალისტებით,“ — წერს პატ.

განმარტებით ბარათში მამია ზოდელავა.

მაგრამ ამაზე უარესი „ბრალდებებიც“ არსებობს. აუკინებელი საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი კირილე ბეჭედა უჩენებს: „პოლკოვნიკმა სტეპანოვმა ცეპენის ბრიგადიდან, გამოძიებისას უმაღლ მომთხოვა მთლიანად მეღიარებინა ჟელაფერი, თორემ საკანში სული ამომხდებოდა. საქმარის მასალები და საფუძველი მაქვს საიმისოდ, რომ დღესვე გაგანადგურო, როგორც მტერიო. სტეპანოვმა ბრალად დამდო, რომ მე ვარ თურქეთის, ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის ჯაშები, ბოლოს, რატომდაც, განსაკუთრებით გაუსვა წაზი, ბრაზილიის ჯაშეშიც წარო, რის თაობაზეც მოგვიანებით სპეციალურად დამკითხეს. ამას გარდა, დამაკავშირა პოლიტემიკრანტ გეგეჭკორიან, მაძულებდა მეღიარებინა, თითქოს გეგეჭკორის ნათესავი ვიყავი, რაკიდა წარმოშობით გეგეჭკორის რაიონიდან ვარ, ვმუშაობდი უბანზე, რომელიც თურქეთს ესაზღვრება. პოლუ, თურმე, რატომ არ უნდა ვყოფილიყავი დაკავშირებული ქართველ მენშვერებთან პარიზში?..“

არადა ასეთი „ბრალდებებით“ სავსეა „მეგრულთა საქმის“ ტომეულები.

თურმე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი მიხა ბარამიას, რომელიც სამსახურებრივი მიელინებით ჩადიოდა ხოლმე სამეგრულოს რეგიონში, რაიონების ხელმძღვანელება რეინიგზის სადგურზე ხედებოდნენ და წასვლისას აცილებდნენ არა როგორც ცეკას მდივანს, არამედ როგორც „მეგრულთა ანტიპარტიული ჯგუფის“ მეთაურს.

მიხას 1950 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭენში დედა გარდაეცვალა. დიდთოვლობა იყო და რათა მიმოსილა გაადვილებულიყო, რაიონში პირველმა მდივანმა მამანტი პაჭკორიამ საბჭოთა მეურნეობის დირექტორს სთხოვა, იქამდე მისასვლელ გზაზე ტრაქტორი გაეტარებინა (როგორც საქონდო ხდებოდა და ხდება თოვლისგან გზების გაწმენდა). ეს თხელი შემდეგ... ანტისახელმწიფოებრივად შეფასდა (მიცვალებული ხომ ანტიპარტიული ჯგუფის ოჯახის წევრი იყო!).

ანტიპარტიულ საქმედ ჩაუთვალეს ქუთაისის საოლქო  
კომიტეტის მდგანს გრიგოლ ჯოკაიას ფოთის ქალაქების მდგვა-  
ნად მუშაობისას პალიასტომის ტბაზე თავის ხელით მონაბი-  
რებული ორიოდე იხვის საჩუქრად გავზარა მისა ბარამიასთვის...

რა გვინიათ, ეს ბრალდებები გამოშეიებლებმა დაკითხვე-  
ბისას ერთი ახსენეს და მორჩა? ნურას უკაცრავად, მოწყობი-  
ლია დაპირისპირებები, ჯვარედინი დაკითხვები, მიღებულია  
„ალიარებითი ჩეენებები“, შვესებულია ათობით ფურცელი...

## ქვემდინიშვნის თორავი

1952 წლის 15-16 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური XV კრილობა გაიმართა. ჩვეული მგზნებარებით გამოვიდა პირველი მდივანი აკაკი მგელაძე. მისი სიტყვა მრავალმხრივ არის საფურადლებო. ჯერ ერთი იმით, რომ ახალი მდივანი ქვას და ღორღს აყრის თავის წინამორბედს და, მისდაუნებურად, კანდიდ ჩარკვიანს მთლიანად ამართლებს ისტორიის წინაშე, რომ მას, ფაქტობრივად, არავითარი ბრალი ამ სამარცხვინო საქმეში არ მიუძღვის, და მეორეც, პირდაპირ ამბობს, ყველაფერი მოსკოვიდან, უშავალოდ ი. სტალინიდან მოდისო:

„სარგებლობდა რა ცენტრალური კომიტეტის ძევლი ხელმძღვანელების, უპირველეს ყოვლისა პირველი მდივნის ჩარკვიანის სიბეჭით, ბარამიას მტრულმა ჯგუფმა რამდენიმე წლის მანძილზე დაუსჯელად იპარპაშა საქართველოში და დიდი ზიანი მიაყენა კომპარტიას და ქართველ ხალხს. და კიდევ დიდხანს გააგრძელებდა მავნებლობას, სკპ(ბ) ცკ-ს და პირადად ამხ. ატალიის რომ არ მიეცათ მითითება ამ ჯგუფის ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ. ჩარკვიანი სერიოზულ სიგნალებს იღებდა ბარამიასა და მისი თანამოაზრუების ანტიპარტიული, ანტისახლმწიფოებრივი საქმიანობის შესახებ, მაგრამ იგი ამ სიგნალების მიმართ ბრმა და ყრუ რჩებოდა. ამ სიგნალებზე, როგორც წესი, უპასუხებდა, „სინამდვილეში ასე არ არის, ეს თქვენ გეჩვენებათ“. საჭირო გახდა სკპ(ბ) ცკ-ის და პირადად ამხ. სტალინის ჩარეცა, რათა რადიკალურად შეცვლილიყო მდგრადულობა საქართველოს კომპარტიაში და მისი ცენტრალური კა-

გიტეტიდან განედვნათ ბარამიას ანტიპარტიული, ანტისახულ-  
მწიფოებრივი ჯგუფი“.

და ისევ ძველი კვეის ღეჭვა: თურმე ძიებამ გამოარევდა, ან-  
რომ არჩევდა რა ხელმძღვანელ პოსტებზე ანტიპარტიულად გან-  
წყობილთ ან სულაც თაღლითებსა და მექრთამუშაბს, რათა თავის  
განკარგულებაში პყოლოდა მორჩილი ადამიანები, ბარამიას ან-  
ტიპარტიულ, ანტისახელმწიფოებრივ ჯგუფს განშრახული  
კქონდა დაეპყრო ძალაუფლება საქართველოს კომსარტიაში და  
მოემზადებინა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკ-  
ვიდაცია და ამ დროს იმედოვნებდა საზღვარგარეთელი იმპერია-  
ლისტების დახმარებას...

მაგრამ არის სიახლეც: სამსახურიდან მოხსნილია ცენ-  
ტრალური კომიტეტის მდივანი რაფიელ კეირკელია, როგორც  
იმ პირებთან კავშირით სახელგატებილი, რომლებიც მიცემული  
არიან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში. „კეირკელია მტკი-  
ცელ იყო დაკავშირებული რუხაძესთან და პირდაპირ ფეხქვეშ  
ვებოდა, ეტეობა გრძნობდა თავის დანაშაულს (?) — ა. ა.). კეირ-  
კელია ორპირი კაცია“.

გამოსვლისას საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზი-  
დიუმის ყოფილმა თავმჯდომარემ, იმხანად კომბინატ „საქანახ-  
შირის“ თავმჯდომარედ ჩამოკეთებულმა ვასილ გოგუამაც ეს-  
როლა „ტალაზი“ კანდიდ ჩარკვიანს, რითაც საინტერესო ადა-  
მიანური შტრიხი შემატა მის პიროვნულ პორტრეტს. ამბავი, რო-  
მელიც მან ყრილობაზე გააცხადა, პირდაპირ არ არის დაკავში-  
რებული „მეგრელთა საქმესთან“, მაგრამ იმდენად უჩვეულოა  
პარტიის დიქტატურისა და აუტორიტარიზმის იმ პირების ეპო-  
ქისათვის, რომ საამბობლად ღირს.

კანდიდ ჩარკვიანი არწყენინების ტაქტიკას ატარებდა, გან-  
საკუთრებით ხელმძღვანელი მუშაკებისადმით, — პყვება ვასილ  
გოგუა. — უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფაკულტეტის პარტიუ-  
ლი ორგანიზაციის მრავალრიცხოვან დახურულ კრებაზე, ვინმე  
პასუხისმგებელი ხელმძღვანელი მუშაკის ცოლმა მოიგონა, რომ  
მას ოქროს საათი მოპარეს. პარტორგანიზაციის ხელმძღვანე-  
ლები იმდენად ბრიფები აღმოჩნდნენ, რომ კარები ჩაკეტეს და

ორი საათის განმავლობაში ჩხრეულნენ კომუნისტებს. განაცი-  
ბია, რომ ასეთი კურიოზული ფაქტი ცენტრალური კომიტეტის  
ბიუროს მსჯელობის საკითხი გახდა. ჩხრეულის მომწყობნი დაუ-  
საჯეთ მოვხსენით, პარტიული სასჯელი დავადეთ მაგრამ ბიუ-  
როს წევრებმა ვერ შეიტყვეს ვინ იყო ის ქალი. შემდგა კი, საქა-  
რისას, კანდიდ ჩარკვიანმა თქვა, აღექსანდრე თოფურიძის ცო-  
ლი იყო (ცენტრალური კომიტეტის მდგანი ა. თოფურიძე XV  
ერილობის დროს კარგა ხნის გარდაცვლილი გახლდათ — ა.  
ა.). მე ვუსაკვედურე, რატომ არ თქვით ეს ბიუროზე-მეთქი. მან  
მიპასუხა, რა საჭიროა მან ამის შესახებ იცოდესო. ისე გამოი-  
და, რომ უშუალო დამნაშავე ამ საოცარი შემთხვევისა — თო-  
ფურიძის ცოლი დაუსჯელი დარჩა, მისმა ქმარმა კი, ცეკას მდი-  
განმა, რომელიც აღშეოთხებული მონაწილეობდა ბიუროშე ამ  
საკითხის განხილვაში, არ იცოდა, რომ უშუალო დამნაშავე მა-  
სი ცოლი იყო.

ვ. გოგუას „დაავიწყდა“ იმის თქმა, რომ ა. თოფურიძე აუდ-  
მყოფი კაცი იყო (ამ აუდმყოფობამ მალე მოინელა კიდეც) და ქ-  
ჩარკვიანი გაუფრთხილდა მის ჯანმრთელობას.

\*\*\*

ოგოლცოუი ზემოქმედების ფიზიკურ მეთოდებს არ მიმარ-  
თავდა, უფრო სატუსალო რეჟიმის კიდევ უფრო გამკაცრუებით,  
უძილობითა და მორალური სტრესებით ცდილობდა სასურეე-  
ლი შედეგის მიღწევას. ბევრმა მართლაც „აღიარა“, მაგრამ არა  
— მთავარი, პირველხარისხოვანი.

გელა სულაძე გვიამბობს (ოღონდ ისევ წყაროს დაუსახ-  
ლებლად), როცა ოგოლცოუმა ი. სტალინს მოახსენა, ეს საქე-  
დასრულებულად მიმართია, ბრალდებულებმა დანაშაული აღ-  
არეს და დროა სასამართლოს გადავცეთო, სტალინმა უპასუხა:  
„განა ამ საქმის ყველა მონაწილე გამოაშკარავებულია? ვებ  
მხოლოდ ჭიჭყინები მოჰყვა ბადეს, ღლავი კი ღაღად დაცუ-  
რავს? რუხაძეც თვლიდა, რომ საქმე დასრულებულია და რა  
გამოვიდა? ხვალ იგი თვალ აღმოჩნდება განსასჯელის სკამი-  
ვინაიდან პატიოსანი ჩეკისტის ნიღაბქვეშ ტერორისტის ნაძ-  
ღვილ სახეს მაღვდა“.

ამ დროს ნიკოლოზ რუხაძე ლეფორტოვის ციხეში აკან-  
კალებული ხელით წევრია სტალინს: „მე მადანაშაულებენ პო-  
ლიტიკიუროს წევრის, ამხანაგ ბერიას წინააღმდეგ ტერორის-  
ტული აქტის მოშზადებაში, საქართველოში ნაციონალისტური  
ტენდენციების გაღვევებასა და საქართველოსათვის სამეცნიეროს  
დაპირისპირებაში, პატიოსანი ადამიანების დატესალებაში. ჩემ  
მიერ განვლილ უმწიკვლო ცხოვრებას ვფიცავ, ამხანაგო სტა-  
ლინ, რომ უდანაშაულო ვარ“.

სტალინმა შშენივრად უწყოდა ეინ რა ხვითოც იყო, გან-  
საკუთრებით — ნ. რუხაძე, რომელიც ლიმონიეით გამოწურა და  
მერე სანაგვეში გადაუძახა. ვის მიიჩნევდა იგი ღლავად, რომე-  
ლიც ჯერაც „ლალად დაცურავს?“ ლაურენტი ბერიას? შეიძლე-  
ბა, რატომაც არა! ყოველ შემთხვევაში, აქ საინტერესოა ცნო-  
ბილი ემიგრანტი პოლიტოლოგის აბდურახმან აუტორხანოვის  
დაკვირვება („სტალინის სიკვდილის საიდუმლო“, თბ. 1998):

ცეკას წევრთა სიაში ბერია, რომელიც „მეგრელთა საქ-  
მემდე“ მესამე იყო მოლოტოვისა და მალენკოვის შემდეგ, მეხუ-  
თე ადგილზე აღმოჩნდა. ამას გვამცნობს სკპ XIX ყრილობის  
1952 წლის 6 ოქტომბრის დილის სხდომის ოქმი. პარტიას რომ  
ეს გაუგებრობად არ ჩაეთვალა, „კულტურული იერარქია“ იგვე თა-  
ნამიმდვერობით გაიმეორეს საღამოს სხდომაზეც.

ყრილობაზე ბერია სიტყვით გამოუიდა. მან გამოსვლის დი-  
დი ნაწილი ნაციონალურ პოლიტიკასა და კავშირში შემაყალ-  
რესპუბლიკებს მიუძღვნა. მაგრამ არც ერთი სიტყვით არ შექ-  
ბია საქართველოსა და „ქართველ ბურჟუაზიულ ნაციონალის-  
ტებს“. არადა, მის თანამემამულებს ვეღარ იტკვდა თბილისის,  
ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის ციხეები. მათი დაცვა ბერიას არ  
შეეძლო, მაგრამ არც გაუმტკუნებია ისინი, როგორც ამას „ბურ-  
ჟუაზიული ნაციონალისტების“ წინააღმდეგ იმ პერიოდის კაშ-  
პანია მოითხოვდა.

სხვათა შორის, ბერიამ უადგილოდ, და ამდენად, ძალიან  
გაბედულად, შეახსენა პარტიას თავისი ნაციონალური პოლი-  
ტიკის პრიორიტეტები. მან თქვა, რომ არსებობს საშიშროება  
პარტიის ნაციონალური პოლიტიკიდან გადახვევისა. პირველ

ადგილზე დგას „დიდმპურობელური შოვინიზმის“ (ე. ი. რუსული შოვინიზმის), მეორეზე — „ბურეუაზიული ნაციონალური მის“ (ე. ი. ადგილობრივი ნაციონალიზმის), მესამეზე — „ანტერნაციონალური კოსმოპოლიტიზმის“ (ე. ი. „სიონიზმის“ შესხვა „იზმების“) საშიშროება.

ყრილობის ბოლო სხდომის ოქმებში ბერიამ მეტუთუდან კვლავ მესამე ადგილზე გადაინაცვლაო, აჯამებს თვის დაკვირვებას ა. ავტორხანოვი.

\*\*\*

მიიწურა 1952 წელი. სიახლე არ მოუტანია 1953 წლის პირველ ორ თვესაც...

აი, ბელადისთვის გაგზავნილი საქართველოს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ბოლო წერილი (იგი 1953 წლის მარტით არის დათარიღებული. რიცხვი მითითებული არ არის, ყოველ შემთხვევაში, „მუზრელთა საქმეში“ დარჩენილ ექნებარჩე). ისე კი, ალბათ, I-დან 5 მარტამდეა გაგზავნილი):

### „აშხანავ სტალინს

წარმოგიდვენთ მ. ი. ბარამიას 1953 წლის 27 იანვრის, 25 და 26 თებერვლის დაკითხვის, მ. ი. ბარამიას, ნ. ა. უვანიასა და მ. გ. ჭეკაძესა 29 იანვრის დაპირისპირების, მ. ი. ბარამიასა და ი. ს. ზოდელავას 20 თებერვლის დაპირისპირების, აგრეთუ. ი. ს. ზოდელავას 18 და 27 თებერვლის დაკითხვის ოქმებს.

გამოიხების მსელელობისას გაიხსნა, რომ ბარამია, მოქმედებდა რა თავის თანამშრაცველების — საქ. ალექს კოფილი ძღვინების ზოდელავასა და უვანიას საშუალებით, ძარღამოსთხრელ მუშაობას წარმართვდა კომქავშირში.

ბარამიას და მტრულ მოქმედებაში მის თანამონაწილეებს დაუინებით დაკითხავენ მუგრულ-ნაციონალისტური ჯგუფის სახლვარეარეთთან, კერძოდ, გეგეჭკორის დაზურვასთან კავშირის თაობაზე, მაგრამ ისინი აგრძელებენ ასეთი კავშირის არსებობის უარყოფას. ბარამიასა და ზოგიერთი სხვა დაპატიმრებულის მიმართ ციხეში მკაცრი ზომების მიღებამ, ჯერჯერობით შედევი არ გამოიდო.

მექითხველი, ალბათ მიხვდა, რაც იგულისხმება „დაპატიმონულთა მიმართ ციხეში მკაცრი ზომების მიღებაში“.

აღრეც კოქი, 30-იანი წლების ტოტალური რეპრესიების საქმაოდ ბევრი სისხლის სამართლის საქმე მაქვს გადათვალი-ერებული. უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, მაშინ, როგორც წესი, ყველაფერი „აღიარებით“ მთავრდებოდა. ფიზიკური თუ მორალური წამებით, ასე თუ ისე, ამას ყოველთვის აღწევდნენ. აქ კი არ შეიძლება არ მოგხიბლოს პატიმართა ერთი ნაწილის შემართებამ და გაუტეხლობამ (მაგალითად, კონსტანტინე ჭიჭინაძისამ). მართალია 30-იანი წლებისგან განსხვავებით, 50-იანი წლების დასაწყისში გამოძიების შეასაუკუნეობრივი მე-თოდები „სრული მასშტაბით“ აღარ გამოიყენებოდა, მაგრამ და-პატიმრუბულთა მიმართ „ციხეში მკაცრი ზომების მიღება“ გვა-ვრაუდებს, რომ ახლაც შავ დღეში ჰყავდათ.

იმის ნათელ მაგალითად, თუ რას „აღიარებდნენ“ პატიმრები და იმის წარმოსადგენად, თუ რა ფიზიკური და მორალური ზემოქ-მედების საფუძველზე შეიძლება იყოს მიღებული ეს „აღიარებე-ბი“, მოვიყვან ნაწყვეტებს მიხა ბარამიას დაკითხვის ოქმებიდან.

### 1953 წლის 25 თებერვალი:

„გ. ბარამია — მე გულახდილად ვაღიარე ის ფაქტი, რომ ჩამოვაჭალიბე და მთელი რიგი წლების მანძილზე სასუები ვუ-დექი მეგრულ ნაციონალისტთა ჯგუფს, რომელშიც გაერთიანე-ბული იყვნენ ნაციონალისტური და ანტიპარტიული ელემენ-ტები, ავრეთვე ვაჩვენე, რომ ჩვენ საქართველოს პარტიულ და სახელმწიფო აკარატში ვეწეოდით ძირგამომთხრულ მუმაობას, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების ღიკეთდაცია რესუბლიიკაში. ამასთან ვმოქმედებდით ამერიკული და ინგლი-ნელი იმპერიალისტების ინტერესებისათვის.“

კითხვა — ხწორუდ აქ მაღაუთ რაღაცას. როგორ იბრძო-დით ამ მიზნის მისაღწევად?

გ. ბარამია — მე უკვე მოგეცით ჩვენება, რომ მეგრულ ნაციონალისტთა ჯგუფის მონაწილეები ფართოდ ნერგულნენ კო-მუნისტური პარტიისათვის უცხო მამებლობისა და ქლესო-

ბის ჩვეულებს, ამასთან მიშნად ისახავდნენ კადრების პოლიტიკურ გურგაბრწყნას; ნერგავდნენ „კუთხურობისა“ „და „შეფობის“ ან-ტიპარტიულ პრინციპს, რითაც ზიანს აექნებდნენ ქართველი, ხალხის ეროვნულ ერთანობას; უხეშად თულავდნენ უქტქებ საბჭოსა კანონებს, უქომავებოდნენ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევათ პატრონობდნენ და ხელს აფრიდნენ ბრალეულ მუშაქებს და როდესაც ხელში აიღეს საონგანიშაციო მუშაობა და კადრების განაწილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, გამოიყენეს ეს, რათ მასუბავებ პოსტებზე დაუსცათ ჩვენდამი ერთგული ადამიანები. ჟავანასენელი წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობაში სულულა გულარებინობისა და მოჩვენებით კეთილდღეობის ანტიპარტიულა კოსარება, რაც ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრუი საქმიანობისთვის სასიცოო პირობებს უქმნიდა მკრელ ნაციონალისტთა ჯვეფის მონაწილეებს, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობდი... კოველნაირად ვუწეობდი ხელს ობივატელური თეატრალური და მოჩვენებით კეთილდღეობის ვითარების შექმნას პარტიული ორგანოების საქმიანობაში. მივატოვეთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, გარღვევდით შინაპარტიულ დემოკრატიას, კახშობდით კრიტიკას, განსაკუთრებით ქვემოდან მომავალს, გადუნებდით პარტიულ სიფხიზლეს და პოლიტიკურ სიმწევეს მუშაობაში, არაფრად ვაგდებდით მასების ხმას... ჩვენ ვმოქმედებდით როგორც პარტიის მტრები და ძირს კუთხრით მასებთან კომპარტიის განუყრელი კავშირის ლენინურ-სტალინურ პრინციპს... კომუნისტებს წართმეული პქნინდათ შესაძლებლობა, გავეკრიტიკებინეთ ჩვენ კი ვისარგებლეთ ამით, რათ შეკვენარჩუნებინა პასუხსაგები პოსტები, თვითდან აგვეცილებინ მხილებები... ჩვენ, მცვრელი ნაციონალისტები, ვხელმძღვანელობდით ჩვენი მტრეული მისწრაფებებით და უგულებელეყოფა პარტიის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას, რომ ორგანიზაციული ხელმძღვანელობის საფუძველია კადრების სწორი შერჩევა მათი პოლიტიკური და საქმიანი თვითებების მიხედვით და მიღებულ გადაწყვეტილებათ შესრულების შემოწმება. პარტი-

ის ეს მოთხოვნა ჩვენ შეცდალეთ ჩვენი ანტიპარტიული პრინციპით — გარჩევდით და განაწილებდით მუშაქბის კუთხერობას, ძმაბიჭური დამოკიდებულების, პირადი ერთგულებისა და ნათესაობის ნიშნების მიხედვით, რათა ჩვენს განკარგულებაში გვერდოდა დამჯერი ადამიანები... აი, ასე ვმოქმედებდით ჩვენ, როგორც პარტიის მტრები, ასე კუთხოდით ძირს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას საქართველოს კომპარტიაში. ასეთივე დანაშაულებრივი მუშაობა სარმოებდა კომკამირშიც“.

აი, ასეთ „თვითმხილებებს“ მოიპოვებდნენ რამდენიმესაათანი დაკითხვების შედეგად. (იმ დღეს მაგალითად, დაკითხვა დილის თერთმეტი საათიდან დღის ხუთის ნახვრამდე გრძელდებოდა). ფაქტობროვად, მიხა ბარამია იმეორებს 1951 წლის 9 ნოემბრის დაღვენილების „ფუძემდებლურ“ დებულებებს. და ეს — გამოძიების მეთოთხმეტე თვეს, გამომძიებლებს, ფაქტობროვად, ხელთ არაფერი აქვთ წყალწყალა „აღიარებების“ გარდა, რომლებიც ისევ მათი ჩეკისტური სიმარჯვის შედეგია. ასე გრძელდება „კვის ღეჭვა“...

ახლა უფრო მძიმე ბრალში — „საზღვარგარეთის წრეებთან ბარამიას მტრული ჯვეფის ურთიერთობაში“ პატიმართა გამოტეხვის შედეგები ვნახოთ, იმავე მიხა ბარამიას ჩვენების მაგალითით.

### 1953 წლის 25 ოქტომბერი:

„მ. ბარამია — ჩემს მიერ შექმნილმა ანტიპარტიულმა მჯრელ ნაციონალისტთა ჯვეფმა, რომელიც არსებითად გადაიქცა ნაციონალისტურ ფრაქციად, რაღაც მეორე პარტიად საქართველოს კომპარტიის შიგნით, დიდი ზიანი მიაფენა ქართველი ხალხის ინტერესებს. მჯრელი ანტიპარტიული ნაციონალისტური ელემენტები, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობდი, ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს კომპარტიის შიგნით, არღვევდნენ მის ერთოანობას, რყვნილნენ პარტიულ და საბჭოთა კადრებს, ძირს უთხრიდნენ ხალხის ნდობას პარტიისადმი იმით, რომ ფეხქვეშ თულაველნენ საბჭოთა კანონებს, ზიანი და ვნება მოპქონდათ ყველგან: სახალხო მუსუ-

ნეობაში, იდეოლოგიურ ფრონტზე, კომუნისტიში. და, ბოლოს კ კვლაბე ძიმი დანაშაული, რომელიც მე უკვე გაღიარე: ჩენ ვისწრაფეოდით ხელში ჩაგვევდო ძალაუფლება და მოულო ჩენი მტრული საქმიანობით საქმე მიგვყავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციისაცნ. უდავთა, რომ ჩენი ასეთი დანაშაულებრივი საქმიანობა სხვა არა იყო რა, თუ არა მოქმედება, რომელიც ემსახურებოდა საზღვარგარეთული იმპერიალისტების ინტერესებს და, უწინარეს ფოლისა, ამერიკული იმპერიალისტების ინტერესებს.

კითხვა: და მაინც, ნუ გვონიათ, რომ კველაფერი გვითხრით არსებობს უცილობელი დამამტკიცებელი სამუშავი (? — ა. ა.), რომ თქვენი ჯგუფი დაკავშირებული იყო გვემჭრიას დაზერვასთან.

გ. ბარამია — არ უარვეოუ, გამოძიებას აქვს საქმარის საფუძველი, მიიჩნიოს, რომ მე და ჩემს თანამშრახელებს მურულ-ნაციონალისტურ საქმიანობაში გვერნდა ურთიერთობა ქართულ ემიგრანტულ წრებთან საზღვარგარეთ კურძოდ, მათ თუკაცებთან — ფორდანიასა და გვემჭრიასან. ეს ეჭვები მით უფრო საფუძვლიანია, რომ ჩენ და ისინი არსებითად ვაკეთებდით ერთ საერთო საქმეს — ძირს ეუთხრიდით საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში.

კითხვა — რამდენადაც თქვენ ამას აღიარებთ, ბარემ ბოლომდე თქვენით სიმართლე, ვისი მეშვეობით და როგორ ნორციელდებოდა საზღვარგარეთთან კავშირი?

გ. ბარამია — საქმეც ის გახლავთ, რომ ამ საკითხზე მე სათქმელი არაფერი მაქვს. ისევე როგორც აქამდე, ახლაც მტკიცედ გაცხადებ, რომ პირადად მე არავითარი კავშირი არ მქონია არც ფორდანიასთან, არც სხვა არავისთან საზღვარგარეთ მფრინავით უკარგელ ემიგრანტთა რიცხვიდან. ჩემი ტრაგედია ის არის, რომ შესაძლებლად მიმაჩნია ამგვარი კავშირის არსებობა ჩემს თანამშრახელობისას განვითაროთა მეშვეობით, მაგრამ კურნავის დაკასახლებ — მათგან არავის უთქვამს ჩემთვის რაიმე. გთხოვთ დამიჯეროთ, რომ როდესაც განზრახული მქონდა ძალაუფლება საქართველოში მეცრულ ნაციონალისტებთან ერთად მოშვერია.

პოვებინა, მე მაინც ისე არ დაუცემულვარ, რომ პირი შემუქრა ეორდანიახთან და გვეტარობან ან მათს ბატონ-პატრონებთან — ამერიკელ იმპერიალისტებთან... ამრიგად, ძალაუფლების ხელში აღების რეალური წანამძღვრები ჩვენ ეპვე გვქონდა. დაუფარავად რომ ვიღააპარაკოთ, საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის სამთავრობო ორგანოებში ნაციონალისტთა მიერ ძალაუფლების ხელში ჩავდება, ფაქტობრივად, მოახსივებდა ნაბიჯს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ღირებიდაციის გზაზე. მავრამ ამახთან, ვიმეორებ, რომ მე არ მივეცი თუ ს უფლება, დამჯუარებინა კონტაქტი საზღვარგარეთის წრეებთან.

კითხვა — არა ხართ მართალი. ვამოძიების განკარვულებაში არის ცნობები, რომ პარიზის ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელი ბირთვისათვის ცნობილი იყო „ოპოზიციის“ არსებობა საქართველოს კომპარტიაში. უეჭველია, რომ ლაპარაკი შეიძლებოდა ეოფილიყო მხროლოდ თქვენს მტრულ ჯგუფზე. ან არ არის?

გ. ბარამია — ალბათ, ასეა, მავრამ პირადად მე არ ვიცი, როგორ შეიძლებოდა საზღვარგარეთ გაევონა ცნობებს ჩვენი მუზრულ-ნაციონალისტური ჯგუფის არსებობის შესახებ.

კითხვა: უფრო მეტიც. საქართველოში შემოგზავნილ მენშევიკთა დესახანებს მითითება პქონდათ, კონტაქტი დაეძიარებინათ ე. წ. ოპოზიციასთან. თუ თქვენ გვონიათ, რომ ოპოზიციად „ალბათ“ თქვენი ჯგუფი იგულისხმება, მაშინ მის რომელ მონაწილე ხთან იყო დამძარებული კავშირი?

გ. ბარამია — პირადად ჩემთან მენშევიკთა არც ერთი დესახანი არ ვამოც სადებულა და მე არც კი შემიძლია ვუარსუდო ჩემს თანამხრახელისაგან ვისთან შეიძლებოდა პქონდათ მათ კავშირი.

კითხვა — თქვენ პროგრეციულად გიჭირავთ თუ ვამოძიებაზე, რასაც ადასტურებს შემდევი ფაქტები: ა. წ. 13 იანვარს თქვენ აჩვენეთ, რომ თქვენი ჯგუფის კავშირი საზღვარგარეთთან ხორციელდებოდა შარიასა და თავაძის მეშვეობით, მავრამ არ გითქვამთ კონკრეტულად როგორ ხორციელდებოდა ეს კავშირი და რა იყო მისი არსი. შემდევ თქვენ იუარეთ ეს ჩვენებები. როდემდე გინდათ ასე გააგრძელოთ?

გ. ბარამია — ა. წ. 13 იანვრის დაკითხვაზე მე ნამდვილად კონკრეტული ჩემს ჩვენებაში, რომ ჩვენი მტრული ჯგუფის ჟავში საზღვარგარეთთან, კერძოდ, გვეჭრილთან, ხორციელდებოდა მარასა და თავაძის მეშვეობით მაგრამ როდესაც ამ ჩვენებებს ვიძლეოდი, მე ვმოქმედებდი ნაჩეარებად, დაუფიქტებლად და ახლა ვერაფრით ვერ დაუადასტურებ მათ სისწორეს. აი რატომ მოიჩინიე საჭიროდ, უარი მეთქვა ამ ჩვენებებზე.

კითხვა — უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ თქვენ კვლავინდებურად განაგრძობთ ორპირობას და ჩქმალავთ ჰუმარიტ მდგომარეობას.

გ. ბარამია — არა, მე ღრმად განვიცდი ჩემს არასწორ საქციელს საქართველოს კომპარტმენტის ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის II ნოემბრის პლენურშე, როდესაც პარტიას დაუუმაღლე ჩემი და ჩემი თანამშრაბელების ნაციონალისტური საქმიანობა, ხოლო ჩემმა შემდგომმა დაკავებამ და 14 თვეშე მეტი წელის განმავლობაში პატიმრობამ იმ დასკვნამდე მიმიჯუნა, რომ ორპირობას არავითარი აზრი არა აქვს... ჩემს ჩვენებებში სიმართლე კონკრეტული მტრული ჯგუფის განშრახვაზეც — ხელში ჩაუდო ძალაუფლება, რასაც მოჰყვებოდა საბჭოთა სეფარდის ლიკვიდაცია საქართველოში, მაგრამ რაც არ ფორმილა — მე მხედველობაში მაქვს ბრალდება საზღვარგარეთთან კავშირის შესახებ — ამას ვერ დაუიძრალებ“.

აი, ასე: პატიმრები „უმცირეს ბოროტებას“ ირჩევდნენ — ისინი „აღიარებლნენ“ მეგრული ნაციონალისტური ანტიპარტიალ-ანტისაბჭოთა ჯგუფის არსებობას, მაგრამ, არამც და არამც, — საზღვარგარეთთან კავშირს. იცოდნენ, სხვაგვარად ამას მხოლოდ ერთი განაჩენი მოჰყვებოდა — დახვრუტა.

## ცუცულის დანგრევა

1953 წლის 5 მარტს იოსებ სტალინი გარდაიცვალა. გაურკვეველია, მოასწრო თუ არა მან თბილისელი ყორჩების ბოლო რელაციის წაკითხვა.

ბელადის გარდაცვალების უმაღლ მდგომარეობა შეიცვალა.

იმავე დღეს — 1953 წლის 5 მარტს სასწრაფოდ გაიმართა სკკპ ცკ-ის, სსრკ მინისტრთა საბჭოსა და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომა, რომელმაც ხელისუფლება გაანაწილა. ლავრენტი ბერია სსრკ მინისტრთა საბჭოს თუმჯდომარის (გ. მ. მალენკოვის) პირველი მოაღილე და შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. აშკარად გამოიკვეთა მალენკოვ-ბერიას ტანდემის გამარჯვება. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ხელისუფლების ხელში ჩაგდების გზაზე.

ლ. ბერიამ ენერგიული მოქმედება დაიწყო წინასწარ მოფიქრებული პროგრამის მიხედვით. მისი წინადაღებით 1953 წ. 27 მარტს გამოიცა სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომელიც იმ დროს ციხეებსა და ბანაკებში მყოფი 2526402 პატიმრიდან გათავისუფლდა 1181264 კაცი; დააყენა პოლიტიკური პატიმრების ფართო ამინისტიის წინადაღება, მაგრამ ცეკას პრეზიდიუმელი კოლეგები არ დაეთანხმენ. შექმნა სპეციალური საგამოძიებო კომისია: გადამოწმდა ზოგიერთი ფალსიფიცირებული გახმაურებული საქმე და მრავალი უკანონოდ დაპატიმრებული, დახვრეტის მომლოდინე ტუსალი განთავისუფლდა, მათ შორის, „მეგრელთა საქმის“ გამო უკვე 15 თვე ციხეში მყოფი 37 კაცი.

ს. ალექს (ალექს) ასლანიშვილი. შეგრელთა საქმე

ამ კომისიისათვის საქართველოს უშიშროების მინისტრის  
მოადგილემ პოლკოვნიკმა მირიან თავდიშეილმა შეადგინა ცნო-  
ბა, რომელიც 1953 წლის 27 მარტით არის დათარიღებული.  
მასში შევით თეთრზე წერია: „მასალები, რომლებიც საფუძვლად  
დაედო ბარამიას ჯგუფის წევრთა ბრალდების გამო საგამომუ-  
ბო საქმის წარმოქმნას, არ გაგვაჩნია. ვის მიერ და რა ინფორ-  
მაცია გაიგზავნა ინსტანციაში ამ საკითხზე, ჩვენთვის უცნო-  
ბა. მოცემული საქმის წარმოშობის მომენტში და მიების მხედ-  
ლობისას, გამომძიებლები უყრდნობოდნენ საქ. კპ(ბ) ცკ-ის და-  
ბურულ წერილებს და საქ. კპ(ბ) ცკ-ის პლენურის გადაწყვეტი-  
ლებებს მ. ი. ბარამიას ჯგუფის თაობაზე. არ გაგვაჩნდა და არ  
გაგვაჩნია მოქმედი ძიების რაიმე დამუშავება პირველ პერიოდ-  
ში დაპატიმრებულ პირებზე“.

ესეც შენი კანონიერება, ესეც შენი საბჭოთა მართლმსა-  
ჯულება!

არადა, მ. თავდიშეილი არ ტყუის, იგი უკვე გრძნობს ყელ-  
ში წაჭრილ ყულფს და ცდილობს კომისიის წინაშე გამოჩენი-  
ლი გულახდილობით იხსნას თავი.

საგამომძიებო კომისიის საქმიანობაში ბერიამ ყველაზე ერ-  
თგული თანამშრომლები ჩართო, მათ შორის, თავისი მოადგი-  
ლები: გენერალ-პოლკოვნიკი ბალჩო ქობულოვი და გენერალ-  
ლეიტენანტი ლ. ვლოძიმირსკი (იმავდროულად შეს განსაკუთ-  
რებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამომძიებო ნაწილის უფროსი).

1953 წლის 16 მარტს პატიმრები თბილისიდან ეტაპით მოს-  
კოში, სსრკ სახელმწიფო უშიშროების უწყების შინაგან ციხე-  
ში გადაიყვანეს.

1953 წლის 8 აპრილს ლ. ბერიამ გრიფით „სრულიად სა-  
იდუმლო“ სკპ ცკ-ის პრეზიდიუმს მოსწრა წერილი „ე.წ. მე-  
რული ნაციონალისტური ჯგუფის საქმის არასწორი წარმოე-  
ბის შესახებ“.

მასში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის მარტის დასაწ-  
ყისში სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროში შევიდა შეტყობი-  
ნებები, რომ საქმე ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის  
არსებობის შესახებ შეთითხნილი იყო, დაპატიმრებულთა საქ-

მეზე გამოძიება კი საბჭოთა კანონების უხეში დარღვევით მიმდინარეობდა. ამ შეტყობინებების შესამოწმებლად გამოყოფილმა საეციალურმა კომისიამ, საგამოძიებო მასალების და დაპატიმრებულთა განცხადებების შემოწმების შედეგად, დაადგინა, რომ ე. წ. მეგრელ ნაციონალისტთა მთელი საქმე წარმოადგინს ფოფილი საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ნ. რუხაძის და სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან მისი მფარველების პროფესიულ გამონაგონს. 1951 წლის შემოდგომაზე ნ. რუხაძემ, რომელიც დანაშაულებრივ კარიერისტულ მიზნებს ისახავდა, საქართველოში დასასვენებლად მყოფი ი. სტალინს ცრუ ინფორმაცია მიაწოდა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში საქმეთა მდგომარეობის შესახებ, პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ნაკლოვანებების არსებობა წარმოადგინა, როგორც მის მიერვე გამოგონილი მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის ძირგამომთხრელი მტრული საქმიანობის შედეგი. ი. სტალინმა აუცილებელი შემოწმების გარეშე ირწმუნა რუხაძის პროფესიული ინფორმაციაო.

როგორც ვხედავთ, აქ მთელი ამ საქმის წამოწყება ნ. რუხაძეს ბრალდება და ეს გასაგებიც არის: ლ. ბერია, ჯერჯერიბით, საჭიროდ არ მიიჩნევს ეს-ესაა გარდაცვლილი ბელადის ავტორობის წამოწევას მისი ავტორიტეტის დაცვის მიზნით თუმცა იმას კი არ მაღავს, რომ ი. სტალინი სისტემატურად რეკაუდა თბილისში უშუალოდ სახელმწიფო უშიშროების მინისტრ ნ. რუხაძესთან და პარტიის ცეკას პირველ მდივან ა. მგელაძესთან, ითხოვდა გამოძიების მიმღინარეობის ანგარიშს, დაკითხვათა ოქმებს, საგამოძიებო ღონისძიებების გააქტიურებას, რომ იგი უკმაყოფილო იყო გამოძიების შედეგებით და საჭიროდ მიიჩნევდა დაპატიმრებულთა მიმართ ფიზიკური ზემოქმედების ხერხების გამოყენებას ჯაშუმურ-ძირგამომთხრელი საქმიანობის აღიარების მიზნით.

აქ მთავარი ის არის, რომ ლ. ბერია ამტკიცებს, საქმე ფალ-სიფიცირებულია, ყველაფერი მოგონილიაო.

წერილში ლაპარაკია აგრეთვე იმაზე, რომ 1951 წლის 16 ნოემბერს სკპ(ბ) ცკ-მა, საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის წინადადების საფუძველზე, ი. ბ. სტალინის პირდაპირი მითითებით, მიი-

ღო დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრუ-  
ლი ელემენტების გასახლების შესახებ“. დადგენილება შესრულდა  
უხეში თვითნებობით და მოქალაქეთა ელემენტარული უფლებების  
ბის აღმაშვოთებელი დარღვევით, სრულიად გაუგებარი აჩქარ-  
ბით, პაიპარად შედგენილი სიებით, რომლებიც არსად არავის შე-  
უძრებებია. არსებითად არაფრით მოტვირებულმა და ამასთან,  
დანაშაულებრივი მეოთხებით განხორციელებულმა ამ ღონისძი-  
ებამ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას უდიდესი ზიანი  
მიაყენა, გამოიწვია არა მარტო უკანონოდ გადასახლებული მო-  
ქალაქების, მათი მეჯობრებისა და ნათესავების, არამედ საქარ-  
თველოს მოსახლეობის ფართო მასების სამართლანი უკმაყო-  
ფილება. საქართველოს მოქალაქეებს, განსაკუთრებით ინტელი-  
გენციას, დღემდე ვერ გაუგიათ ამ თარუშის არსი და მიზანი, მას  
თუმცურ-ლენგისა და შაპ-აბასის შემოსუვებს ადარებენ.

ღ. ბერია მოითხოვდა სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემ-  
ბრისა და 1952 წლის 27 მარტის დადგენილებების შეცვლას  
და მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმეზე კველა დაპა-  
ტიმრებულის განთავისუფლებას მათი სრული რეაბილიტაციით,  
აგრეთვე სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წ. 16 ნოემბრის და სსრკ მინისტრთა  
საბჭოს 1951 წ. 29 ნოემბრის დადგენილებების გაუქმებას სა-  
ქართველოს სსრ მოქალაქეების გასახლების შესახებ და კვ-  
ლა გასახლებულის უკან დაბრუნებას.

ლავრენტი ბერიას ამ წერილის საფუძველზე, ზუსტად ორი  
დღის შემდეგ, 1953 წლის 10 აპრილს სკპ(ცკ-ის პრეზიდიუმმა  
მიიღო „მკაცრად საიდუმლო“ დადგენილება ე. წ. მეგრული ნა-  
ციონალისტური ჯგუფის საქმის ფალსიფიკაციის თაობაზე.

„სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახელმწიფო  
უშიშროების სამინისტროების მიერ

საბჭოთა კანონების დარღვევების შესახებ:“ .

„როგორც სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრისა და 1952  
წლის 27 მარტის დადგენილებებიდან ცნობილია, საქართველოში  
კითხმდა განსხვილი იფო მეგრული ნაციონალისტური ორგანი-  
ზაცია საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ყოფილი მეორე მდივნის მ-  
ბარამიას მეთაურობით, რომელიც მიზნად ისახვდა საქართვე-

ლომი საბჭოთა ხელისუფლების ღიკეიდაციას იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით ამასთან დაკავშირებით, უშიშროების ორგანოებმა დააპატიმრეს რიგი პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომელთა საქმესაც წელიწერზე მეტ ხანს იძიებდნენ.

გამოიძიების დაუშევებელი გაჭიანურების გამო, რაც 15 თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა, აკრეთვე დაპატიმრებულთა მიმართ გამომძიებლების თვითონებობის და უკანონობის შესახებ მიღებული სიგნალების გამო, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემოწმა ამ საქმეზე არსებული კველა საგამოძიებო მასალა. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში არანაირი მკრული ნაციონალისტური ჯეუფი არ ყოფილა და არ არის, რომ მთელი ეს უაზრო კერძისა საქართველოში მკრული ნაციონალისტური ჯეუფის შესახებ, საქართველოს სსრ სახელმწიფო უმიმროების ყოფილი მინისტრის ნ. რუხაძის პროეკტი ული გამოინავონია.

რუხაძემ, რომელიც დიდხანს ინახავდა დანაშაულებრივ კარიერისტულ მიზნებს, ისარგებლა იმით, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს პარტიული და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში ნაკლოვანებები იყო. რუხაძე არ შემოიფარგლა პროკურაციული ცდებით, ერთმანეთისთვის დაეჯახებინა ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები და ი. სტალინს განშრაზე მცდარი ინფორმაცია წარუდგინა საქართველოში მკრული ნაციონალისტური ჯეუფის არსებობის შესახებ.

რუხაძემ პარტიისა და საჭოთა ხელისუფლების ერთგული აღამიანები სკპ(გ) ცე-ის წინაშე გამცემებად და მოღალა-ტკებად წარმოაჩინა და სსრკ სახელმწიფო უშიშროების ყოფილ მინისტრის მოადგილესთან რიუმინთან შეთქმულებით მიაღწია ი. ბ. სტალინის სანქციის მათს დაპატიმრებაზე და მოქმედების თავისუფლება გაინაღდა მათგან იმ დანაშაულებას აღიარების გამოსაძლავად, რომლებიც მათ საერთოდ არ ჩაუდენიათ სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან საქართველოში გაიგზავნა სპეციალურად ინსტრუქტირებულ გამოძიებელთა 10-კაციანი ბრიგადა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის ცეკვი-

յուս ხელმძღვანელობით დაპატიმრუბულებს სკუმინენ, ადგენერატორების ხელმძღვანელებს, დიდი ხნით არ აძლევდნენ ძილის საშუალებას, იყენებდნენ საბჭოთა კანონებით მეცნად აკრძალული ძალატანების სხეულის მეთვალებს, მათგან მოითხოვდნენ ჯამუშერის მიწვამომთხოვლი მუშაობის „აღიარებას“. ამასთან, გამომძლებლები პროფესიულად უკადებდნენ დაპატიმრუბულებს, რომ გამოიძიების ამგენარი ხერხები და მეთვალები გამოიყენებოდა სკ(ბ) ცე-ის პირდაპირი დაქალებით

ასეთი გზით ცდილობდნენ რიუმინი, რუსაბეჭი და მათთანამშრა ბევერები მათ მიერკუ წამოწევებული ე. წ. მეგრული ნაცონალისტური ჯგუფის შესახებ პროფესიული საქმის დადატურების მიღწეუას. მინისტრი ამხ. ივანტიუკი ამ ნაძირალების ვაკლენაში აღმოჩნდა, საქმეშე გამოიძიება მოლიანად მათ მიანდო და არანაირად არ რეაგირებდა დაპატიმრუბულის ძრავალიც ხოუან საჩივრებზე გამოიძიების მიერ მათ მიძართ დანაშაულებრივი მეთვალების გამოუენების შესახებ (ამ საქმის გამოიძიების 15 ოვის მანძილზე დაპატიმრუბულებმა 145 საჩივრის განცხადება შეიტანეს — ა. ა.).

საქართველოს კ(ბ) ცე-ის კოფილ მდივანს კ. ნ. ჩარევანს, შემდეგ მის შემცველელს ამ პოსტზე ამხ. ა. ი. მეგელაძეს არა მარტო ელემენტარული ქრიტიკული დამოკიდებულება არ გამოუელენიათ რუსაბის მიერ შეთითხონილი ცრუ მონაცემების მიძართ, არამედ თვითონაც მნიშვნელოვნად ხელს უწეობდნენ მას ამ საქმეში.

ა. მეგელაძემ, იმის ნაცვლად, რომ გარკვეულიფო შექმნილ ვითარებაში და აღეკვეთ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თვითხებობა, თვითონ აქტიურობდა ამ პროფესიული საქმის გაბერვასა და ყოვლად უდანაშაულო ადამიანების შედგომ უკანონო დაპატიმრებაში.

## II

საქართველოს კ(ბ) ცე-ის წინადადების საფუძველზე, 1951 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა სკ(ბ) ცე-ისა და სსრე მინისტრის საბჭოს დადგენილებები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დანაშაულის მტრული ელემენტების გასახლების შესახებ. როგორც მა-

ნაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა, ეს დადგენილებები მა-  
ლებულია საქართველოს კპ(ბ) ცქ-ისა და საქართველოს სსრ  
სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ სკპ(ბ) ცქ-ის  
მცდარად ინფორმირების საფუძველზე. ამას გარდა, თუთ ამ  
დადგენილებების შესრულებისას სსრ და საქართველოს სსრ  
სახელმწიფო უშიშროების სამინისტროებმა დაუშვეს აშკარა  
თვითნებობა და საბჭოთა კანონების უხეში დარღვევები. ამ თვით-  
ნებობისა და უკანონობის მსნევრპლი განდა ათასობით სრუ-  
ლიად უდანაშაულო საბჭოთა მოქალაქე.

სადამსჯელო ორგანოების მსგავსი თვითნებობა და მათ  
მიერ საბჭოთა კანონების დანაშაულებრივი დარღვევები სერიო-  
ზულ ზიანს აუენებს პარტიის საქმეს, საბჭოთა სახელმწიფოს  
ინტერესებს.

### ცქ ადგენები:

1. სკპ(ბ) ცქ-ის 1951 წლის 9 ნოემბრისა და 1952 წლის 27  
მარტის დადგენილებების შესაცვლელად გაღიაროთ, რომ საქ-  
მე ე. წ. „მეურული ნაციონალისტური ორგანიზაციისა საქარ-  
თველოს კპ(ბ) ცქ-ის ყოფილი მეორე მდივნის მ. ბარამიას ზელ-  
მძღვანელობით, “გამოვონილი და დანაშაულებრივი კარიერის-  
ტული მიზნებით შეთითხნილია საქართველოს სახელმწიფო  
უშიშროების სამინისტროს ზოგიერთი ყოფილი მუმაკის ზელ-  
მძღვობით

2. ე. წ. „მეურული ნაციონალისტური ჯგუფის“ საქმეზე  
დაპატიმრებული მ. ი. ბარამია, ა. ნ. რაჭაელა, პ. ა. შარია, ი. ს.  
ზოდელავა, ა. ი. მირცხულავა, ვ. ი. შონია, გ. ტ. კარანაძე და  
სხვები, 37-ე კაცი, განთავისუფლდეს პატიმრობიდან სრული  
რეაბილიტაციით, ხოლო საქმე მათ მიმართ წარმოებით შეწყდეს.

3. ცნობად იქნეს მიღებული ამბ. ლ. ბერიას განცხადება,  
რომ ე. წ. „მეურული ნაციონალისტური ჯგუფის“ საქმის საგა-  
მოძიებო მასალების ფალსიფიკაციისათვის, აგრეთვე გამოძიე-  
ბის მეთოდების დამანიქვებისა და საბჭოთა კანონების უხეში  
დარღვევებისათვის უკვე დაპატიმრებული რუხაძისა და რიუმა-  
ნის გარდა, სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააპატიმრა  
და სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისცა ყოფილი სსრ

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოვალეობაზე ცეკვით, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ფოფილი მოადგილე თავდიშებილი, ამავე სამინისტროს უფროსი გამოძიებელი ქახანაშვილი და სხვ.

4. გაუქმდეს სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 16 ნოემბრის დადგენილება და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელექტრიკის გადატენილების შესახებ“ როგორც არასწორი, საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ სკპ(ბ) ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს შედომაში შევანის შედეგად მიღებული.

5. დაკალოს სსრკ მინაგან საქმეთა სამინისტროს, გადატეროს კველა დაპატიმრებული მოქალაქის საქმეს, რომელიც გასახლებული იყვნენ საქართველოს სსრ ტერიტორიიდან სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებული სამართლოს მიერ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის დადგენილების საფუძვლზე და კველა უკანონოდ გასახლებულ მოქალაქე დაბრუნდეს ადრინდელ საცხოვრებელ ადგილზე.

6. დაკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრკ გადასახლებებიდან განთავისუფლებულ მოქალაქებს დაუბრუნოს ის ქონება, რომლის კონფინაციაც მოხდა მათ გასახლებისას.

\*\*\*

სკპ ცკ აღნიშნავს, რომ ცალკეული დამნაშავებისა და კიგინდარების ბოროტგანზრახული პროცესის შედეგად ცოლისწამების მსხვერპლი აღმოჩნდა საქართველოს კომუნისტური პარტია — ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი ორგანიზაცია-თავანი, რომელიც ბოლშვიკთა პარტიისათვის ყოველთვის ერთგული საყრდენი იყო და თანამიმღევრულად ატარებდა ლენინერ ხაზს, როგორც სოციალისტურ რევოლუციამდე, ისე საბჭოთა მმართველობის წლებში. აუნტიურისტები რუბაძე, რიუმინი და მათი დამქაშები არ გაჩერებულან იმის წინაშე, რომ ჩრდილი მიეკუნებინათ ქართველი ხალხისათვის, რომელიც საუკუნეების მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული დიდ რესტაურანტთან და ჩვენს ქვეყნაში მოქლი სოციალისტური მშენებ.

ლობის განმავლობაში დაამტკიცა თავისი ურფევი ერთგულება  
საბჭოთა კუმირის ხალხების ურღვევი მეცობრობისადმი.

...

სკპ ცქ-ის დადგენილება „ფოფილი სსრ და საქართვე-  
ლოს სსრ სახელმწიფო უმიშროების სამინისტროების მიერ საბ-  
ჭოთა კანონების დარღვევების შესახებ“ ამნ. ლ. პ. ბერიას ბა-  
რათიან ერთად, სსრ შე სამინისტროს საგამოძიებო კომისიის  
დადგენილების დართვით, დაუზუნოს სკპ ცქ-ის წევრებს, სკპ  
ცქ-ის წევრობის კანდიდატებს და მოკავშირუ რესპუბლიკების  
ცე-უბის, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირ-  
ველ მდივნებს.

დაუაღმოთ მოკავშირუ რესპუბლიკების ცენტრალური კო-  
მიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირ-  
ველ მდივნებს, სკპ ცქ-ის დადგენილება და მასალები ამ სა-  
კითხზე გააცნონ მოკავშირუ რესპუბლიკების ცე-უბის, პარტიის  
სამხარეო და საოლქო კომიტეტების ბიუროს წევრებს.

სკპ ცქ-ის პრეზიდიუმი“

იმავე დღეს, 1953 წლის 10 აპრილს, სკპ ცქ-ის პრეზიდი-  
უმმა მიიღო „მკაცრად საიდუმლო“ კიდევ ერთი დადგენილება  
„სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებულ ღო-  
ნისძიებათა შესახებ“, რომლითაც მოიწონა ლ. ბერიას ძალის-  
ხმევა იმ დანაშაულებრივ ქმედებათა გამოსავლენად, წლების  
განმავლობაში რომ ხდებოდა სსრკ ყოფილ სახელმწიფო უშიშ-  
როების სამინისტროში და კლინდებოდა პატიოსან ადამიანებ-  
ზე ფალსიფიცირებული საქმეების შეთითხვენაში, მოიწონა, აგ-  
რეთვე, საბჭოთა კანონიერების დარღვევის შედეგების გამოსას-  
წორებლად განხორციელებული ღონისძიებები, იმის გათვალის-  
წინებით, რომ „ეს ღონისძიებები მიმართულია საბჭოთა სახელ-  
მწიფოსა და სოციალისტური კანონიერებლად“.

...

განთავისუფლებები უმაღ დაიწყო. აი როგორ აღწერდა  
ამას ავქსენტი რაფაელ: „გამომიძახეს გენერალ-ლეიტენანტ  
ვლოძიმირსკის კაბინეტში და ყველაფრის დაწვრილებით დაწვ-  
რა მიბრძანეს. ამის შემდეგ ბერიას კაბინეტში წაშიუვანეს, სა-

დაც ლავრენტი პაულეს ძე და ქობულოვი იმყოფებოდნენ. ბერი-  
აბ გამომკითხა, თუ როგორ დამაპატიმრეს, როგორ მიღიოდა  
ძიება. შემდეგ დამაიმდეა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა,  
გამანთავისუფლებდნენ. ისიც დაუმატა, რომ ჩემს დაპატიმრე-  
ბაზე სანქცია სტალინმა გასცა. „შენ სტალინთან წახვედი, მან  
კი როგორ გადაგიხადა!“ — ჩაიცინა და ამით მაგრძნობინა, რომ  
ბოლო დროს მას ჩამოუცილდი და შედეგი დამსახურებულად  
მოვიძე. მაშინ ბელადის სიკვდილის შესახებ არაფერი ვიცოდა  
და ბერიას ამგვარმა საუბარმა გამაოცა.“

ციხიდან განთავისუფლებული რაფაელ პირდაპირ ქობულო-  
ვის კაბინეტში დანიშნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონ-  
ტროლის მინისტრად.

ქობულოვის კაბინეტიდანეე გაათავისუფლეს გრიგოლ კა-  
რანაძეც, რომელიც, რაფაელსაგან განსხვავებით, მხოლოდ საქარ-  
თველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშ-  
ნეს.

აქ მცირე გადახვევას გავაკეთებ, რომელიც, ვფიქრობ, სა-  
ინტერესო იქნება მკითხველისთვის.

აქესენტი რაფაელ ლავრენტი ბერიას ახლობელი და მისან-  
დო კაცი რომ იყო, ეს უკვე ვთქვით ამბობენ, როცა ჭაბუქა-  
ლავრენტიმ და ნინა გეგეტკორმა 1922 წელს საიდუმლოდ დაი-  
წერეს ჯვარი მარტვილის ეკლესიაში (კომუნისტისა და ჩექის-  
ტის ჯვრისწერა არ ვებოდა!), აქესენტი მეჯვარე იყო, სწორედ  
მათი პატივისცემით დაარქვაო თავის უფროს ქალიშვილს უცნა-  
ური სახელი ნილა (ნი-ნო და ლა-ვრენტი).

1955 წლის სექტემბერში თბილისში, რკინიგზელთა სახ-  
ლში მიმდინარე ნიკოლოზ რუხაძის, აქესენტი რაფაელს, შალვა  
წერეთლისა და სხვათა სასამართლოზე, ნ. რუხაძემ, რომე-  
ლიც სტალინის სიკვდილის შემდეგ ლ. ბერიას გულისამაჩუ-  
ყებელ წერილებს წერდა ლეფორტოვოს ციხიდან, მამასა და  
მარჩენალს უწოდებდა და „მეგრელთა საქმეში“ მთელ თავის  
ცოდვას გარდაცვლილ ბელადსა და აკაკი მგელაძეს აწმენ-  
დდა, თავდაცვის ძირითად მიმართულებად დამხობილი ლავ-  
რენტისა და მისი ხალხის მხილება და დადანაშაულება აირ-

ჩია. ფორმალურად ეს სწორი იყო: იქ, საბრალდებო სკაშეე გვერდიგვერდ ისხდნენ ის — ბერიას ცნობილი მტერი და ბერიას ახლობლები — ავქსენტი რაფაელი, შალვა წერეთელი... რისთვის მასამართლებთო, „გაკეირვებული“ კითხულობდა, მეხომ ამ ხალხის მტრუბს ვებრძოდიო.

მაგრამ ეს გაკეირვებული პოზა დიდხანს არ შერჩენია. სახელმწიფო ბრალმდებელმა, სსრკ გენერალურმა პროკურორმა რომან რუდენჯომ ლ. ბერიასადმი ციხიდან მიწერილი მისი „უქვემჯვრდომლესი“ წერილებიც გამოაშვეურა და ერთი საზარელი ფაქტიც წარმოაჩინა: ნ. რუხაძეს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საგანგებო განყოფილების უფროსად ყოფნისას, შეკვეთით მოუწვევია ავტოაგარია, რომელსაც ემსხევრპლა სახელმწიფო უშიშროების მაშინდელი მინისტრის ავქსენტი რაფაელს შეიძლი (ოღონდ არ გაცხადებულა, ვისი დავალებით და რა მიზნით იყო მოწყობილი ეს ტერორისტული აქტი).

ამბობენ, ამის შემდეგ ნ. რუხაძეს ჩაღუნული თავი აღარ აუწევია, ა. რაფაელს კი ვეღარ აკავებდნენო.

საბოლოო სიტყვაში ავქსენტის თავის მართლება არ დაუწყია. მე, უბრალოდ, ქვეყნის ხელისუფლების შეცვლის მსხვერპლი კარ, მხოლოდ იმას ვნანობ, ამ არაშზადა რუხაძესთან ერთად რომ მასამართლებთო.

ამ ამბის გაგრძელებად რაფავების გვარის თავკაცმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მერაბ რაფაელ მიამბო:

თავის დროზე „მეგრულთა საქმეზე“ დაპატიმრებულმა შოთა ჯგუშიამ (მაშინ 37 „მთავარ დამნაშავესთან“ ერთად უამრავი „წვრილფეხა“ მეგრულიც მოხვეტეს სხვადასხვა ბრალდებით — ა. ა.) 1980-იან წლებში სოხუმში გამაცნო პოლკოვნიკი კაკუში, პენსიაში გასვლამდე აუხაზეთის უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსანი. იგი დიდ სამამულო ომამდე იმ ლაბორატორიის დაცვის უფროსი ყოფილა, სადაც ავქსენტი რაფაელს ძმა ნიკოლოზი, რომელიც შემდეგ გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს, ხელყუმბარების გამოგონებაზე მუშაობდა. თურმე ნიკოლოზის მიერ შექმნილი ორი ტიპის ხელყუმბარა PGP-1 და PGP-2 (ручная граната Рапава) სერიულად გამოვიდა კიდეც, ოღონდ

მისი შემქმნელის ტყვედ ჩავარდნის შემდეგ ბოლო P (Panava) მოაცილეს და მხოლოდ PG (ручная граната) დაუტოვეს. სხვათა შორის, კაკუჭმა მაშინდღიდან სამახსოვროდ შემორჩენილი ლაპა, ბორატორიის დაცვის დამტკიცებული სქემაც მიჩვენა.

აი, ამ პოლეოზნიკმა კაკუჭმა მიამბო უშიშროების მაღალი წრეებიდან გამოეუნილი ამბავი, რომ სიკვდილმისჯილი ნ. რუხაძე გულის შეტკიც კი არ მომკვდარა თბილისიდან მოსკუში მატარებლით ეტაპირებისას, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, არამედ „სტოლიპინის გაგონში“ (ერგონულად ასე ერქვა პატიმართა გადასაყვან გაგონს) დაახრჩო მასთან ერთდ მჯდომმა ავქ. რაფაელ, სადღაც როსტოკთან. გვამი სადგურ აქ-საიში ჩამოიდეს მატარებლიდან. რაკი რუხაძეცა და რაფაელ მოსკუში მაინც დასახვრეტად მიჰყავდათ, ეს ამბავი აღარ გაა-მაურეს და ბუნებრივ სიკვდილად გააფორმესო.

ახლა კვლავ მთავარ სათქმელს მივყვეთ

ამრიგად, „მეგრულ ნაციონალისტთა“ საქმის ძიება შეწყდა და ოცდაჩეიდმეტივე პატიმარი სასწრაფოდ გაათავისუფლეს.

ამბობენ, მათთან ლეფორტოვში თვით ლაურენტი მივიღა და პატიმრებს მიესალმა: „გამარჯობათ, თქვა ცოდეფი, შეური ქოდგუნანო, საწყალეფი?“ (გამარჯობათ, თქვე საცოდავებო, სუ-ლი გიდგიათ, საწყლებო?)

ვერ გეტყვით, რამდენად ზუსტია მისალმების ეს ტექსტი ან, საერთოდ, მართლა მიაკითხა თუ არა მოსკოვის „შინაგან ციხეში“ მათ ლაურენტიმ, მაგრამ იმ პერიოდის ფოლკლორი და-ჟინებით ირწმუნება, ნამდვილად ასე იყოო (ან, რატომ არ შეიძლება ასეც მომხდარიყო?). გრიგოლ ჩაჩიბაიას ქალიშვილმა ქალბატონმა გულნარამ მიამბო, მამაჩემი იხსენებდა, თბილი-სიდან მოსკუში ეტაპირებული რამდენიმე პატიმარი ბერიასთან მიგვიყვანესო. ამასევე ადასტურებს მამანტი პაჭკორია: გრიშა ჩაჩიბაიამ მითხრა, რომ ბერიამ თავის კაბინეტში მიიღო რამდე-ნიმე პატიმარი, 7-8 კაცი: ბარამია, ჩაჩიბაია, კარანაძე, ბეჭედია და ესაუბრა მათ თავისი მოადგილების თანდასწრებით. იქნებ მაშინ მიესალმა ლაურენტი გაუბედურებულ თანამემამულებს

მეგრულად, თუ საერთოდ მოხდა პატიმრუბის ასეთი ჯგუფური წარდგენა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრთან?

ფ. ბლაგოვეშჩენსკი კი თავის ნარკვეჭში „სტუმრად ნ. ა. შარიასთან“ ასეთ ვარიანტს გვთავაზობს:

„1953 წლის მარტში ბერია პირადად წაუიღა ლუბიანკაზე (? — ა. ა.) მეგრულების გასანთავისუფლებლად. როცა ყველა ერთად შეიქრიბა, ბერიამ სიცილით გაახსენა შარიას, იმან ჩაგსვა, ვისზეც წერდი, ყველა დროის და ხალხის უდიდესი გენიააო“.

უფრო სარწმუნო აუქსენტი რაფაელს და მამია ზოდელავას მოწმობაა მასთან თითო-თითოდ შეხვედრაზე, ისიც განთვისუფლების შემდეგ.

ბატონმა მამიამ გარდაცვალებამდე ცოტა წნით ადრე, 2004 წლის გაზაფხულზე, მიამბო: „ლეფორტოვოდან ბერიას კაბინეტში მიმიყვანეს. ეს ძალზე ხანმოკლე შეხვედრა იყო. ლავრენტიმ დაკავირვებით შემომზედა, ერთხანს ასე ჩუმად მიყურა, შემდეგ მკითხა: როგორ ფიქრობთ, ვინ იყო დაინტერესებული თქვენი დაპატიმრებით? აკა კი მგელაძე და ნიკოლოზ რუხაძე! — ვუპასუხე უფოშმანოდ. აშკარა იყო მან ეს ისედაც იცოდა, უბრალოდ, თვითი დასკვნის დადასტურება მიიღო. მეტი არაფერი უკითხავს.“

დაკვირვებლი მკითხველი შენიშნავდა, რომ თავის ახლობელ ადამიანებს — აუქსენტი რაფაელს და გრიგოლ ჩაჩიბაიას ლავრენტიმ კითხვა კი არ დაუსვა, ვის თვლი შენი უბედურების მიზეზადო, არამედ პირდაპირ, სარკასტულად მიუთითა სტალინზე.

„მეგრული ნაციონალისტების“ ადგილი ლეფორტოვოში ვ. ცეპქუმა და მისმა ბიჭებმა დაიკავეს. იქვე დარჩა ნ. რუხაძეც, რომელიც ცრემლიანი წერილებით მომბავდა ლ. ბერიას და პატიებას სთხოვდა.

ასეა, დრონი მეფობენ და არა მეფენი!

## ფარსი

ყოფილი „მეგრული ნაციონალისტების“ ნაწილი სკკპ ცკი ის პრეზიდიუმის 10 აპრილის დადგენილებამდე გაათვისეულეს.

წინადღით, 9 აპრილს, კრემლში საინტერესო შეხვედრა შედგა. საქნიდან ლამის ის-ის იყო გამოსული ალიოშა მირცხულავა გიორგი მალენკოვმა და ნიკიტა ხრუშჩოვმა იხმეს და... საქართველოს კომპარტიის ცეკვას პირველ ძღივნად მუშაობა შესთავაზეს.

— მორიდებლად, მაგრამ გულწრფელად ვიუარე, საქართველოში მაღალ როგორი ვითარებაა და გამიჭირდება-მეთქი, — გვიაძიობს ბატონი ალიოშა, — ყოველმხრივ დახმარებას დამპირდნენ, პრეზიდიუმის სხდომაზე მოხვალ და იქ გადაუწყვიტოთ.

მალენკოვის კაბინეტიდან ბერიასთან შევედი, მისი კაბინეტი იქვე ახლოს იყო და მასაც ვთხოვე, არ გავეშვით ამ თანამდებობაზე. არც ბერიამ მიიღო ჩემი უარი, ამაზე უკვე მოლაპარაკებული ვართო და დარიგება დამიწყო, როგორ მოვქცეულიყავი: ყველა რეაბილიტირებულს ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობები შეუქმნით, თვითინთ ბინებში დააბრუნეთ, რაც წართმეული აქვთ, უკლებლივ ყველაფერი დაუბრუნეთ ბევრი საკითხია გასარკვევი, თუ როგორ მოხდა ეს უბედურება. ყველა მოულენა ძირიფესვიანად შეისწავლეთ, ერიდეთ სამაგიეროს გადახდასო.

მეორე დღეს, 10 აპრილს, სკკპ ცკ პრეზიდიუმის სხდომა შედგა, რომელიც გ. მალენკოვს მიჰყავდა. მან თქვა, რომ ეს დადგენილება (ხელში ეკავა სტალინის ხელმოწერილი დადგენი-

ლება), რომლითაც შეურაცხვოფილია ქართველი ხალხი და უდანაშაულოდ რეპრესირებული არიან რესპუბლიკის თვალსაჩინო ხელმძღვანელი მუშაკები, არასდროს არსად არ განხილულა, დამასჭველ შერაცხულთათვის არაფერი უყითხოვთ, არ არსებობს წაყუნებული მძიმე ბრალდებების დამადასტურებელი დოკუმენტები, სტალინი შეაცდინესო. გ. მალენკოვა მთავარ დამნაშავებად დაასახელა ა. მგელაძე და ნ. რუხაძე და ა. მგელაძის მკაცრად დასჯა მოითხოვა. ასევე გამოიდა ნ. ხრუშჩოვიც.

ვ. მოლოტოვმა მხარი დაუჭირა გ. მალენკოვს და ნ. ხრუშჩოვს, მ. ბარამია სოფლის მეურნეობის კარგი მცოდნეაო.

მიიღეს სინამდვილის ამსახველი და დამადასტურებებლი სკეპ ცპ-ის პრეზიდიუმის 10 აპრილის დადგენილება, ა. მგელაძე მოიხსნა თანამდებობიდან. ამ ადგილზე ჩემი კანდიდატურა წამოაყენეს.

პრეზიდიუმის სხდომის დამთავრების შემდეგ გ. მალენკოვი და ლ. ბერია ხანგრძლივად და გულთბილად მესაუბრნენ. გადმომცეს დადგენილებები: უდანაშაულოდ რეპრესირებულთა შესახებ, გადასახლებულთა საშმობლოში დაბრუნების შესახებ, თბილისისა და ქუთაისის ოლქების გაუქმების შესახებ, მირჩიეს თუ როგორ გაგვეხორციელებინა ეს დადგენილებები. ცენტრალური კომიტეტიდან არავის გამოეგზავნით, თქვენ თვითონ გენდობითო. ამასთან, ხაზგასმით მთხოვეს, გონიერება გამოიჩინეთ და შურისძიება არამც და არამც არ დაუშეათო. მეც, სწორედ ასე ვიყავი განწყობილი.

რეპრესირებულთა და გადასახლებულთა საშმობლოში დაბრუნება ერთმანეთს დაემთხვეა. ხალხი აღფრთხოებით ხვდებოდა მათ რკინიგზის სადგურებზე, განსაკუთრებით თბილისში, ზეიმები იმართებოდა,

შინ დაბრუნებულებმა, მძიმე განსაცდელის, გაჭირვებისა და შეურაცხვოფის გადატანის მიუხედავად, სულგრძელობა, წესიერების უმაღლესი გრძნობა გამოიჩინეს და რეპრესიებითვე სამაგიეროს გადახდა არ მოუთხოვიათ.

სამაგიეროდ კუმლში წარიმართა საქმე უკუღმა. 1953 წ. 26 ფეხის ლავრენტი ბერია დაპატიმრუს, გაასამართლეს და 1953 წლის 23 დეკემბერს დახვრიტეს.

თუმცა, არის დაბეჯითუბული ხმები, რომ იგი დაპატიმრუბისთავე ან დაპატიმრუბიდან რამდენიმე დღეში მოკლეს და სასამართლო უბრალოდ ფარსი იყო. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ცნობილმა ეკონომისტმა იოსებ არჩევაძემ მიამბო 1990 წლის ნოემბერში სსრკ სახელმწიფო საგვემო კომიტეტის მთავარი სპეციალისტის (იგი კურიორებდა წარმოებას სსრკ სარეკომი დაწესებულებებში — ციხეებსა და კოლონიებში), ძალზე სერიოზული და განათლებული ადამიანის მიერ განდობილი, რომ მას „1980-იან წლებში ვლადიმირის ციხის ტერიტორიაზე უჩვენეს აღვილი, სადაც 1953 წლის 29 ფეხის საბჭოთა არმიის ორი პოლკუნიკის თანდასწრებით ჩამარჩეს საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი პავლეს ძე ბერია.“

არსებობს მეორე ვერსიაც, რომელიც ძალიან პგავს პირველს: ქალაქ ვლადიმირის ციხის უფროსმა, პოდპოლკუნიკმა კოზიკმა სიკვდილის წინ აღიარა, რომ 1953 წელს იგი პოლკუნიკმა კალისტრატოვმა დაიბარა და აუწყა, საიდუმლო სამთარობო დავალება უნდა შევასრულოთ, კერძოდ, ერთ-ერთი დამნაშავის ცხედარი სადმე მიყრუებულ აღვილას დავმარხოთ. დამნაშავის ვინაობა კოზიკისთვის არავის უთქამს, მაგრამ მან თვალი მოჰკრა ბრეზენტში გახვეულ ცხედარს, რომელიც მოშორებულ უკაცრიელ აღვილას ჩაულეს. ამის შემდეგ კალისტრატოვმა არყით საესე მათარით შესანდობარი თქვა და სხვებსაც დააღვეინა. თან ყველანი გააფრთხილა, საიდუმლო არავისთვის გაემხილათ კოზიკი ვარაუდობდა, რომ ბრეზენტში ბერიას ცხედარი იყო გახვეული. ისე, ლავრენტის ვაჟი სერგო წერს, რომ 1953 წლის 26 ივნისს კაჩალოვის ქუჩაზე, საკუთარ ბინაში მოკვლის შემდეგ, მამამისის ცხედარი სახლიდან სწორედ ბრეზენტში გახვეული გაიტანეს...

კოულისშემძლე ლავრენტი დაამხეს და თუკი რამ საბჭოთა

ხელისუფლებას ცოდნა პქონდა, სულ მას მიაწერეს. „მუგრელთა საქმეც“ კი შემოუბრუნეს.

სკპ ცქ-ის 1953 წ. იულისის ცნობილ პლენურზე ნ. ზრუმჩოვმა პირდაპირ განაცხადა, რომ „ყალბია მეგრელთა საქმე საქართველოში“, შემდევ კი ასეც ახსენა — „სამარცხვინო ქართული საქმე“. ყველაზე „რელიეფური“ იყო შეირაღებულ ძალთა (თავდაცვის) მინისტრის ნიკოლოზ ბულგანინის გამოსვლა:

„არ შეიძლება, ეროვნულ საკითხზე ლაპარაკისას გვერდი აუარო საქართველოს საკითხს. თქვენ მასალები წაკითხული გაქვთ. ამ გაიძვერამ (ბერიამ — ა. ა.). საქართველოს მიმართებაში თავის თავზე აიღო მონოპოლიური უფლება ერთპიროუნულად გადაწყვეტა საქართველოს ყველა საკითხი. გამოვთქამ ცქ-ის პრეზიდიუმის საერთო აზრს: მან ეს საქმე ისე აურ-დაურია, რომ სერიოზულად დაგვჭირდება გარკვევა, თუ რა ხდება დღეს საქართველოში...“

ამხანაგებო, არის ლაპარაკი ბერიას თითქოს დადებით როლზე ექიმების განთავისუფლების („ექიმთა საქმე“ — ა. ა.), „საქართველოს საქმის“ ღიკვიდაციაში. აქაც უნდა ვამხილოთ ის. არავითარი მისი დადებითი როლი აქ არ არის. პირიქით, ყველაფერი ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ პოპულარობა მოეპოვებინა (? — ა. ა.).

სინამდვილეში როგორ იყო საქმე? უნდა გითხრათ, რომ ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში ჩვენ, ცქ-ის პრეზიდიუმის წევრები ერთმანეთში ვლაპარაკობდით, რომ ექიმთა საქმე ყალბია, რომ ქართული საქმე ყალბია... ბერიამ იცოდა ამ ლაპარაკების შესახებ. გეკითხებით, რაღა დარჩენოდა მას სტალინის სიკვდილის შემდეგ, როცა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა? რა თქმა უნდა, მას ამ საქმეებისათვის ბოლო უნდა მოედო და ეს საქმეები დასრულდა არა იმის გამო, რომ პირადად მან რაიმე დადებითი როლი შეასრულა, არამედ იმიტომ, რომ გარემოებამ აიძულა. მან იცოდა ცეკას აზრი, ცეკას პრეზიდიუმის წევრთა აზრი ამ საკითხებზე“.

ხრუმჩოვს, ბულგანინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს და სხვებს „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის“ გამო ბერიას გაშავებაში 14. ალექს (ალექს) ასლანიშვილი. მეგრელთა საქმე

მხარი აუბეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარებელი გალერიან ბაქრაძემ და მისმა პირველმა მოადგილემ ზაქარია კეცხოველმა.

— ის, რომ ბერია ყოველთვის პირადი კარიერისტული მოსაზრებიდან გამომდინარე მოქმედებდა, სხვათა შორის, ჩანს მისი მუხანათური ქმედებით ე.წ. მეგრულ ნაციონალისტთა პროგრაფიულ საქმესთან დაკავშირებით ბერიამ თავიდანუ ჰყელაზე უკეთ იცოდა, რომ ეს პროგრაფია იყო, იცოდა, ვინ და როგორ ქმნიდა პროგრაფიულ მასალებს პატიოსან აღამიანებზე, თვითონ გამოხარდა პროგრატორები მგელაძე და რუხაძე, იცოდა, რომ აწამებდნენ პატიოსან მუშაკებს, მაგრამ უკანასკნელ მომენტამდე, სანამ ეს მისთვის მომგებიანი არ გახდა, არაფერი უთქვამს ამაზე. პირიქით, ცეცხლზე ნავთს ასხამდა, რაც ჩანს თუნდაც მისი გამოხვლიდან საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენურზე 1952 წლის აპრილში. ამს. სტალინის სიცოცხლეში ბერიამ არაფერი გააკეთა ე.წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმეში სინათლის შესატანად და მხოლოდ ამხანაგ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში ჩაუდგა, ამოათრია ეს საქმე იაფი ავტორიტეტის მოსახვეჭად, — თქვა ვ. ბაქრაძემ.

როგორც ვხედავთ, მან სიტყვა-სიტყვით გაიმუორა ბულგანინის პირდაპირ სასაცილო „არგუმენტაცია“. მაგრამ იგი ამაზე არ შეჩერებულა.

— ბერიამ ამ საქმეშიც აამდვრია წყალი, რადგან ზელალებით ეველა დაპატიმრებულის რეაბილიტაცია მოხდა, რის შედეგადაც განთავისუფლებული აღმოჩნდნენ ისეთი გაიმურები, როგორიც არის შარია. იგი ციხიდან სკეპ ცკ-ის პრეზიდიუმის 10 აპრილის დადგენილებამდე ბევრად აღრე, მარტის შუა რიცხვებში გამოუშვეს, რადგან შარია ბერიას „ანდერბის აღმსრულებელია“. ამას გარდა, იყვნენ ცალკეული ადამიანები, რომლებსაც სერიოზული სამეურნეო და ყოფითი დანაშაულებანი პქონდათ. ამისთვის ისინი რაღაც ხარისხით აუცილებლად უნდა დასჯილიყვნენ, სინამდვილეში კი ყველა ხელაღებით გამართლეს და ახლა ისინი თავაღერილი დადიან, როგორც ყვე-

ლა ცოდვამიტებულნი და დიდ პოსტებს ითხოვენ. ისე რომ,  
ცალკეულ პიროვნებებში დამატებით უნდა გავერკვეთ.

შემდეგ ვ. ბაქრაძემ კიდევ ერთი ნიუანსი გააცნო პლენუმს.

სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის 1953 წლის 10 აპრილის დადგე-  
ნილება ამ დოკუმენტის საქართველოს კომპარტიის ცეკას პლე-  
ნუმისათვის გაცნობას ითვალისწინებდა. ლ. ბერიას ვ. ბაქრა-  
ძისთვის დაურეკავს და უკითხავს, როგორ აპირებ პლენუმის-  
თვის ამ დადგენილების მოხსენებასთ. დადგენილების ტექსტს  
წავიკითხავო, უპასუხა ვ. ბაქრაძემ. არა, — უთხრა ლავრენტიმ,  
— წაიკითხე ყველაფერი თავიდან ბოლომდე, წერტილიდან წერ-  
ტილამდე.

საქმე ის არის, რომ პრეზიდიუმის დადგენილებას ერთვო-  
და ლ. ბერიას მოხსენებითი ბარათი და სპეციალური კომისიის  
ოქმი, რომლის წაკითხვასაც საჭიროდ არ მიიჩნევდა ვ. ბაქრაძე.  
ლავრენტის კი სურდა მსმენელთათვის ნათელი გამხადრიყო მი-  
სი დამსახურება მეგრულთა საქმისა და გადასახლებულთა საქ-  
მის ლიკვიდაციაში. ვ. ბაქრაძეს მაინც არ წაუკითხავს დამატე-  
ბები. ეს ლ. ბერიამ შეიტყო და ტელეფონით გაღანძლა, უკვი-  
რა, შენ არასწორად ჩაატარე პლენუმი, არაფერი არ გეხმის,  
მეუნისერვე ხარ და არა პოლიტიკოსიო (ვ. ბაქრაძე ერთხანს  
საქართველოს კეების მრეწველობის მინისტრად მუშაობდა — ა.  
ა.). გეინდოდა პრეზიდიუმის დადგენილების განხილვა ცეკას  
და საოლქო კომიტეტების პლენუმებზე დაგვესრულებინა და შემ-  
დგომ საყოველთაო სჯა-ბაასში აღარ გადაჭრილიყავით, რად-  
გან საკითხი ნათელი იყო, მაგრამ ბერიამ გვაიძულა ფართო კამ-  
პანია გაგვეშალა და ამ საქმეში ყველა კომუნისტი ჩაგვება. თვე-  
ნახევრის განმავლობაში მთელი აქტივი ამ საქმით იყო დაკავე-  
ბული და კინაღამ საგაზაფხულო სამუშაოები ჩავაგდეთო, თქვა  
დასახრულ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარებ.

სრულიად გასაგებია ვალერიან ბაქრაძის მონდომება, პლე-  
ნუმს ლ. ბერიას შესახებ რაიმე მაკომპრომეტირებელი მიაწი-  
დოს (ლავრენტის თანამემამულისაგან თქმული განსაკუთრებით  
ფასეულია!), მაგრამ ბულგანინის ყოვლად უსუსური „არგუმენ-  
ტებისა“ არ იყოს, ვ. ბაქრაძის ეს ბოლო „სამხილიც“ არ გა-

მოდგება „ხალხის მტრისა და იმპერიალიზმის დაქირავებული კაშუმის“ ჩასაქოლად. ე.წ. მეგრული ნაციონალისტური ანტისაბჭოთა და ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ სკრი ცკ-ის, პრეზიდიუმის დადგენილების მხოლოდ ცეკას და საოლქო კომიტეტების პლენუმებზე განხილვა საქმეს ნამდვილად არ წაადგებოდა. 1951 წლის 9 ნოემბრის უღვთო დადგენილებას იმდენი უბედურება, ადამიანური ტრაგედია, ავი მითქმა-მოთქმა და დაპირისპირება მოჰყვა, რომ ახლა მისი გამბათილებელი დოკუმენტის საზოგადოებრიობისთვის ფართოდ და საფუძვლიანად გაცნობა დიალაც საჭირო და აუცილებელი იყო. ის შეიძლება პაპარად სხვაგან, საღმე შორს, ყირგიზეთში ან ლატეიაში განეხილათ, მაგრამ არამც და არამც — საქართველოში.

ისე რომ, შეიძლება გაიგო ვ. ბაქრაძის მონდომება, მაგრამ არა მის მიერ მოჟვანილი მაგალითის სიბრძნე...

რაც შეუხება საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ზაქარია კეცხოველს, მანაც ძირითადად ვ. ბაქრაძის ხაზი გააგრძელა. ამასთან, საკითხი სხვა კუთხით დასვა — წლევანდელი აპრილის შემდეგ, ანუ ცკ-ის პრეზიდიუმში „ნაციონალისტი მეგრელების საქმის“ განხილვისა და მათი განთავისუფლების შემდეგ, საქართველოში ი. სტალინის ახლობელი ადამიანების დევნა-შევიწროვება დაიწყოო. ე. წ. მეგრული ნაციონალისტების საკითხის, ამ მოულენის შესახებ არსებული დოკუმენტების შეფასებისას, ხდება იმ ფაქტის იგნორირება, რომ ი. სტალინმა პარტიის ყურადღება მიმართა ნაციონალიზმის არსებულ გამოულინებაზე. ბერიამ ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ ნაჩქარევად მიიღო გადაწყვეტილება ხელადებით ყველა დაპატიმრებულის განთავისუფლებაზე. მე არ გამტკიცებ, რომ ყველა მათგანი ნაციონალისტი იყო ან არსებობდა რაიმე ორგანიზაცია, მაგრამ მათ შორის ისეთები კი იჟვნენ, ვინც მსხვილ ბოროტმოქმედებაში იმხილებოდა. ამ საქმეში კარგად გარკვევაა საჭირო. ხოლო ის, რომ მოული საქმე დავიჟვანოთ ბერიას სურვილამდე, პოპულარული გამოჩენილოფო, ჩემი აზრით, არასწორიათ, — გადაპკრა ნ. ბულგარის ზ.

კეცხოველმა (შეიძლება მისდაუნებურადაც — მაშინ ასეთი სისამამე უჩვეულო და მოულოდნელი იყო).

— უკანასკნელ პერიოდში ბერიას სამდონოდან სურვილისამებრ განკარგულებებს იძლეოდა შარია, საქართველოში კი ბრმად და უსიტყვოდ ასრულებდნენ მის განკარგულებებს ბერიასთვის არასასურველი ხალხის გადაუენების და საჭირო ადამიანების დანიშვნის შესახებ. შეიძლება ეს ნაციონალიზმი არ არის, მაგრამ უკელა შემთხვევაში დიდი საძაგელი რამ არის — ასე დაამთავრა გამოსვლა ზაქარია კეცხოველმა.

პლენუმის დასრულების შემდეგ, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს აღიოშა მირცხულავას, რომელმაც სიტყვით გამოსვლისას არც მწვადი დაწვა და არც შამფური, ანუ, ბერია კი გააკრიტიკა, მაგრამ, ასე ვთქვათ, ზოგადად, ზანგრძლივად ესაუბრნენ გ. მალენჯოვი და ნ. ხრუშჩოვი.

მათ აინტერუსებდათ თუ როგორ განვითარდებოდა მოულენები საქართველოში, არ სჯეროდათ დაპირება, არაფერიც არ მოხდებაო. მაგრამ ფორმალურად მაინც დაეთანხმნენ, ოღონდ კასუხისმგებლობა მას დააკისრეს.

ამ მოლაპარაკების პარალელურად, ზურგს უკან, ნ. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით ფარული აქცია მიმდინარეობდა: თბილისში გაგზავნეს 100 ოფიცრისგან შემდგარი რაზმი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკონიკ პავლე ბატოვის მეთაურობით, რომელსაც დაუაღებული პქონდა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობასთან ერთად, რესპუბლიკის პარტიული და სამთავრობო ორგანოებისგან დამოუკიდებლად ემოქმედა. მოსკოვის განკარგულებით, სამხედროებმა საქართველოს დელგაციის დაბრუნებამდე დააპატიმრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები ვარლამ კაკუჩაია, შალვა წერეთელი (მინისტრი ვლადიმერ დეკანოზოვი პლენუმშე მიწვევის საბაბით ჩაიტყუეს მოსკოვში საქართველოს დელგაციის შემადგენლობაში და ჩასვლისთანავე აიყვანეს), ავესენტი რაფაელა, ლ. ბერიას მოხუცი დედა მართა და ნათესავები.

13 ივნისს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბი-

ლისის საქალაქო კომიტეტის პლენურების გაერთიანებული სხდომა გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ აქტივთან ერთდ. მასშე მიწვეული პყავდათ ამირკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობა სარდლის, არმიის გენერალ აღექვსი ანტონოვის მეთაურობით. მათთან ერთად იყო გენერალი პავლე ბატონიც.

იგი მოსკოვიდან კარგად იცნობდა ალიოშა მირცხულავს, იცოდა, რომ იქ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა და ახლა ეონა, ისიც მოსკოვიდან არის მოულინებულით. სანამ პლენური დაიწევდოდა, მან ალიოშა გვერდზე გაივგანა და გაანდო მისთვის 6. ხრუშჩოვისა და 6. ბულგანინის მიერ მიცემული საიდუმლო დავალება — საქართველოში მოსალოდნელ გაროულებათა ჩახშობა. გაკვირვებული იყო, აგერ ხუთი დღეა თბილისში ვარ, რამდენჯერმე ანტონოვთან ერთად დღითაც და ღამითაც შემოვიარე ქალაქი და ახლომახლო რაიონები, მაგრამ რაიმე საეჭვო, უკმაყოფილების ან დაჯგუფების მსგავსი ვერაფერი შევნიშნე, მოსკოვი კი ყოველდღე გვთხოვს ინფორმაციასო. ა. მირცხულავამ გენერალი დააშვიდა, უწესრიგობა და არულობა არ იქნებაო და პრეზიდიუმში მიიწვია.

როცა ა. მირცხულავა თავმჯდომარეობას შეუდგა, პ. ბატონიშვილმე გაიკვირვა, სხდომას რატომ პირველი მდივანი არ წარმართვისო. როცა შეიტყო, პირველი მდივანი სწორედ ვე არისო, საშინლად შეწუხდა და დატრიხა. შესვენებისას ა. მირცხულავასთან მივიდა და შინაგანი მდელვარებით გაფითრებულმა სიხოვა, ნურავის, განსაკუთრებით ა. ანტონოვს, ნუ ეტკვით ჩემს წერანდელ ნათქვამსო და როცა დარწმუნდა, მასპინძელი მის შეცდომას საიდუმოდ შეინახავდა, მაშინდა გამოიხდა თვალში.

პლენური (და შემდგომი მოულენებიც) მართლაც შშვიდად წარიმართა. სხვათა შორის, მხოლოდ გაზეთ „შარია კოსტოკას“ რედაქტორმა ოთარ ეგაძემ გაბედა და მოსკოვიდან ჩამოსულ სკკპ ცკ-ის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განწყვილების გამგეს ევგენი გრომოვს მოსთხოვა, ერთი ფაქტი მაინც დაგვისახელეთ ბერიას ძირგამომთხრელი საქმიანობის დასტურად, კონკრეტულად რომელი იმპერიალისტური ქვეყნის ავენტი აღმოჩნდა იგი და რა სახელმწიფო საიდუმლოება გახცაო,

რითაც ერთობ დიდ უხერხულობაში ჩააგდო სტუმარი, რადგან არავითარი კონკრეტული პასუხი მას არ ჰქონდა.

მაგრამ ლ. ბერიას ბრალი და დანაშაულობანი და მის თავს დატრიალებული ამბის სამართლიანობა-უსამართლობა სულ სხვა განსჯის თემაა. ეს ბოლო ეპიზოდი, უბრალოდ, იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანე, თუ როგორ შიშობდა მოსკოვი, რომ ლავრენტის დამხობას საქართველოში გამოსვლები და არეულობა მოპყვებოდა და ჩუმად როგორ გვჭმავდა სისხლიან ანგარიშსწორებას.

\*\*\*

„მეგრულთა საქმე“ ბოლო მასშტაბური ჩეკისტური სიყალბე აღმოჩნდა. მას, როგორც ვნახეთ, არანაირი იურიდიული სარჩევლი არ ჰქონდა, მხოლოდ „პარტიის ნებას“ ეფუძნებოდა. მაშინ ასე იყო: პარტიის ნება, ანუ ცეკას გადაწყვეტილება სისხლის სამართლის კოდექსს უთანაბდებოდა, ხშირად აღემატებოდა კიდეც. ამიტომაც შეუძახეს პლენურშე მისა ბარამიას, როგორ თუ თავს იმართლებ და არ აღიარებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების უტყუარობას, „ჩეკინ არ გვახსოვს პარტიის ისტორიაში, რომ საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ცოცხალ ფაქტებზე არ ყოფილიყოს აგებულიონ“.

სწორედ პარტიის ხელდასხმით და მისი „ფარისა და მახვილის“ — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მონდომებით იყო, რომ „ბურუუაზიული ნაციონალისტების ჯგუფმა, რომელსაც ბარამია მეთაურობდა, თავისი მტრული მოღვაწეობით ჩვენს რესპუბლიკას შევი და ამაზრზენი ლაქა მოსცხო“...

უშიშროების სამსახურმა იქნებიტური მეთოდებით დააწამებინა ცილი ადამიანებს საკუთარ თავზე. მისა ბარამიას დააწერინეს: „1949 წლიდან დაეუახლოვდი ნაციონალისტურად განწყობილ მეგრულებს, რომელთაც ხელმძღვანელი პოსტები ეჭირათ საქართველოს პარტიულ და მთავრობის ორგანოებში, შეუქმენი მათგან მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფი და მასზე დაყრდნობით დავიწყე ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა“. მისას მეუღლეს აღექსანდრა იოსავას „აღია-

რებინეს“, რომ იცოდა ქმრის ანტიპარტიული, ნაციონალისტურ მოღვაწეობის შესახებ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც ასისტენტად მუშაობდა, თავის გარშემი იკრუბდა დაშამუჭუებს და მლიქვნელებს და ამით ქმარს ხელს უწყობდა მტრული მიზნების განხორციელებაში. პეტრე შარიას ათქმუინეს, მეცნიერებულ-ნაციონალისტურ ჯგუფში ავქსენტი რაფაგაშ ჩამითრიაო, ჩაჩიბაიას კი მის გადამბირებლად თვით ბარამია დაასახელებინეს...

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ ბოლომდე, ძირ-ძირობამდე მაინც გაურკვეველი დარჩა ამ საქმის აუტორია ჩანაფიქრის მიზანი და დანიშნულება.

ხატოვნად რომ ვთქვათ, გადაიქროლეს ქარიშხლებმა, წყალნი წყალნენ, წყალნი მოყიდნენ, დარჩნენ ქვიშანი... დღეს აღარც საბჭოთა კავშირია და აღარც საბჭოთა რეჟიმი. იმ აბსურდული, სამარცხვინო და გაუგონარი „საქმის“ მონაწილეთაგან ორიოდ კაციდა თუ შემორჩა. მაგრამ ცოცხლობს ხსოვნა გადატანილ დიდ განსაცდელზე, ქართველების ერთიანობაზე და-ლერებულ მახვილზე, უნასივით გასისინებულ ეჭვებსა და ჭორებზე, აღამიანთა ქვებუდანობასა და გაუტანლობაზე.

დიახ, უკალოდ არაფერი იკარგება და ალბათ არც მაშინ დელი შიში, დამცირება და შეურაცხოფა დაწერილა ყინულზე (ჯერ მარტო მაშინდელი მწარე ხუმრობა რად ღირდა, „საქართველოში იებს კრეფენო“ — მეცნიელი გვარების ია-ზე დაბოლოების გათამაშებით). და ახლა მეჩვენება ხოლმე, რომ, როცა სამეცნიერო მწვავედ (ზოგჯერ იქნება მეტისმეტად ემოციურად და ხაზგასმულად) რეაგირებს ამა თუ იმ უსამართლობაზე, ეს მაშინ მოჭიმული ნერვების შორეული თრთოლვაა.

პოდა, სიტყვა მინდა დავასრულო ჩვენი პოლიტიკოსებისა თუ პოლიტიკანებისადმი მიმართვით, რომლებიც ძალზე თამა-მად და იოლად მანიპულირებენ კუთხეური ფასეულობების და-მოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ჩვენი ერის ისედაც ნაწამები და დაღლილი სხეული მეტ მოსაოუთებას საჭიროებს. გუვუ-რთხილდეთ მასაც და ერთმანეთსაც!

აქვე ერთ საკითხზეც უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა.

არის მოარული აზრი, რომ მაშინ, 1950-იანი წლების და-საწყისში, თითქოს განხრახული იყო „მეგრულთა მასობრივად აერა და საქართველოდან გასახლება“.

მაგრამ ეს მხოლოდ ზეპირსიტყვიერება არ არის. მაგალი-თად, სქელტანიან უურნალ „აიას“ (ქუჯი-ფარნავაზის საზოგა-დოების უურნალი) 2000 წლის მე-8 ნომრის პუბლიკაციაში წე-რილობით, როგორც უტყუარი ფაქტი, არის „დადასტურებული“ ასეთი გეგმის არსებობა:

„...გაგაფრთხილა, რომ იწყება თბილისში მცხოვრებ მეგ-რულთა აღწერა, მათი დეპორტაციის მიზნით ვერ გეტვით, თბი-ლისიდან უპირუბდნენ გასახლებას თუ საერთოდ საქართველოდან“.

„...ეს დიდი ტრამვა იმ დიდი გრძნობიდან მოდიოდა, რომე-ლიც მე იმ ქვევნის მიმართ მქონდა, საქართველო რომ ჰქვია და რომელმაც იქიდან გასახლება მომინდომა. ვიმეორებ, არა აქვს მნიშვნელობა, რომ ის ვერ განხორციელდა, იგი უკვე მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღებით“.

„...როცა დაიწყეს მეგრულების დენა-დაპატიმრება და შხადებოდა მათი მასობრივი დეპორტაცია“.

„აკ. მგელაძე, ნ. რუხაძე, ა. ბერიშვილი, გ. ელისაბედაშ-ვილი, ვ. გვარატაშვილი და მისთანანი, ხომ „მეგრულთა საქმის“ აგორებით არწმუნებდნენ სტალინს მთელი სამეგრულოს მოსახ-ლეობის აყრისა და გასახლების აუცილებლობაში“.

იმ წერილების ავტორები, საიდანაც ეს ციტატები ამო-ვარიდე, ფრიად პატივსაცემი ადამიანები არიან, უპირველეს ყოვლისა იმ ღრმა ტკიფილისათვის, რასაც 1990-იან წლებში სამეგრულოსთვის ნებსით თუ უნებლიერ მიუენებული წყენის გამო განიცდიან. მე მათ გულწრფელად ვუთანაგრძობ. ის, რაც მოხდა, არამც და არამც არ უნდა მომხდარიყო და ეს მხოლოდ მათი კი არა, ჩემიც, როგორც რიგითი ქართველი კაცის და მილიონობით ჩემნაირის პირადი ტკიფილი, შეუ-რაცხელოთა და დამცირებაც იყო და არის.

ოღონდ წყენამ არ შეიძლება აფსურდამდე მიგიყვანოს. ჯერ ერთი, ულოგიკობითა და უსაფუძვლობით გამაოგნა სიტ-

ევებმა: „სამეგრელო რომ ჩამორჩენილი იყოს, ამის სურვილი ბევრს აქვს საქართველოში და ცდილობს კიდევ... ამიტომ ებრძოდნენ სამეგრელოს ავტონომიას, რადგან მაშინ მისი დიდი პოტენციალი, ხელოუნების, მეცნიერების, სპორტის თუ სხვა სფეროებში, რომელიც მის გარეთ იფურჩქნება და იხარჯება, ადგილზე დარჩებოდა...“

მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მთავარი შემდეგ მოდის: „სიცხე და სიწითლე ვიგრძენი, როცა დღეს ვდგვარ არა მარტო საქართველოს მოქალაქეობაზე, არამედ საერთოდ ქართველობაზე უარის თქმის ზღურბლთან.“

შეიძლება განაწყენდე ხელისუფლებაზე, ადამიანებზე, მაგრამ სამშობლოზე განაწყენება არ შეიძლება!..

თუმცა მთელი ეს „ფილოსოფიური წიაღსვლა“ მხოლოდ სიტყვამ მოიტანა, მთავარი სათქმელი კი სხვა მაქეს: „აიას“ ავტორები ცდებიან, როცა ამტკიცებენ, მეგრულთა მასობრივი გასახლება იყო გადაწყვეტილიო.

საიდან, რის საფუძველზე, რომელ დოკუმენტებზე დაყრდნობით ცხადდება ეს ჭორი სინამდვილედ?

არ ყოფილა ასეთი რამ, არეის მოსვლია თავში, მათ შორის — სტალინს. ნუ აეკიდებთ მას კიდევ ერთ მძიმე ცოდვას. ნურც — აკაკი მგელაძეს. სხვათა შორის, იგი პირველი დააფრთხო მეგრულთა რეპრესიის შხარდმა მასშტაბმა და ცეკას პლენურზე ყველას გასაგონად განაცხადა, ხდება დამახინჯებები — ზოგიერთები პატიოსან მეგრულ მუშაკებსაც ანტიპარტიულობას აბრალებენო.

ასე რომ, ამ ნახევარი საუკუნის წინათ აგორებული ჭორი კვლავ ცოცხალია და სმენას უწამლავს ადამიანებს.

ერთიც. ვთქვათ, ერთი წუთით დავუშვათ, რომ ასეთი განზრახვა მართლაც იყო. რა შეაშია აქ საქართველო (გაიხსენია „საქართველო... რომელმაც იქიდან გასახლება მომინდომა.“)? თანაც, თურმე, მნიშვნელობა არ პქონია, რომ ეს გასახლება ვერ განხორციელდა, რადგან „იგი უკვე მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღებით“.

კელავ ვიმეორებ: რა შუაში იქნებოდა საქართველო, ეს კელური გადაწყვეტილება კიდეც რომ მიღებულიყო? რა შუაში იყო საქართველო მთელი „მეგრელთა საქმის“ გამო, თუმცა კი სტალინიც, მგელაძეც და რუხაძეც ქართველები იყვნენ? ვინ რას ეკითხებოდა საქართველოს და ქართველ ზალბს?

განა საქართველო იყო დამნაშავე 1952 წელს მისი ტერიტორიიდან „მტრული ელემენტების“ — რეპატრიანტების, ნატუვებისა და მათი ოჯახის წევრების — 12 ათასი ქართველის შეა აზიაში გადასახლებაში, თუმცა საკაეშირო მთავრობამ ეს აქცია ვითომც სწორედ „საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის თხოვნით“ განახორციელა?

## დაბოლოს...

ამ რამდენიმე წლის წინათ (უფრო ზუსტად — 1999 წელს) საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის მაშინდელმა უფროსმა გახტანგ აბაშიძემ გამაცნო განსაკუთრებული დოკუმენტი — ყოფილი მთავარი საბჭოთა იდეოლოგის, სკპპ ცკ-ის მდინის, პოლიტბიუროს წევრის, ცნობილი რეაქციონერისა და მოვინისტის მახეილ სუსლოვის დახურული მოხსენება. გაგაცნობთ ნაწყვეტს, რომელიც „დიდი რუსეთის გადარჩენის“ ამ რეზი კარდინალისეული გეგმის კავკასიურ ნაწილს წარმოადგენს.

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას დაკარგავს, მანამდე უნდა აუმუშავოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვანაირი იქნება. მორუულ აღმოსავლეთში მომსახურე ჩვენ გენერლებს უნდა მოცემოთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათს ჩამოსასახლებლად გევტირდება შეი ზღვის სანაპირო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები სახლობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისეულებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეცნიეროს, სეანეოს, აჭარას და სხვა კუთხებს უნდა მოცემოთ დამოუკიდებლობა. მათში ცალკალკე უნდა გაეაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დაუკირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის როლი უნდა შევასრულოთ.

პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დაგარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებული, სხვადასხვა ერთს წარმომადგენელი არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძვების საშუალებას მოგვცემს“.

მოხსენება შედგენილია სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1950-იანი წლების ბოლოს.

არსებობს მსგავსი შინაარსის სულ ახალი ღოკუმენტები – რუსეთის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის სტრატეგიის კათედრის 1998 წლის მოხსენება და ნაციონალ-ბოლშვილის, რუსული იმპერიული ძალების არაოფიციალური იდეოლოგის აღმენიშვილის აღმენიშვილის ნააზრევი...

რუსეთის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის სტრატეგიის კათედრის მოხსენებიდან:

„თუ რუსეთი შეძლებს აღიდგინოს გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობა და მოიშორებს ატლანტიკურ ხელმძღვანელობას, ეს დიდებული იქნება და მაშინ ახლო აღმოსავლეთის ქუქნებს კვლავ ეძლევათ შესანიშნავი შანსი – ხელახლა შევიდნენ რუსულ კვრაზიაში. დაბრუნებულ ახლო აღმოსავლეთს ამით მიეცემა შესაძლებლობა გარანტირებული პქონდეს კულტურული, რელიგიური, ენობრივი, ეკონომიკური და, გამორიცხული არ არის, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკური უფლებები, მაგრამ არა სახელმწიფო უფლებრივი, აუტონომიაც კი“

ნაციონალ-ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერი დუგინი აგრძელებს (ციტატა ამოღებულია მისი წიგნიდან „გეოპოლიტიკის საუცხვლები, რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი“):

„შევი ზღვის მოულ სანაპიროზე მოსკოვის კონტროლი უნდა იყოს ტოტალური და შეუზღუდული. დასაშეებია, რომ ეთნო-კულტურული ნიშნით მრავალ ზონად დაიყონ ყირიმელი თათრები, კაზაკები, აფხაზები, ქართველები და ა. შ. მაგრამ მოსკოვის აბსოლუტური სამხედრო და პოლიტიკური კონტროლის ქვეშ ესოდენი სახელმწიფოების თანასწორი ურთიერთობა უნდა შეიცვალოს წმინდა გეოპოლიტიკური სისტემით, ცენტრის ურთიერთობით პერიფერიასთან. ამის განხორციელება შესაძლებელია ფედერაციის შექმნით, რომელშიც გაერთიანდებიან ეთნოკულ-

ტურული ნიშნით ზონებად და რეგიონებად დაყოფილი სამი ცა-  
კასიური რესპუბლიკა და რუსეთის ტერიტორიაზე არსებული  
ზოგიერთი ავტონომია. ცენტრი ამ ფედერაციას მიანიჭებს კულ-  
ტურულ-ეკონომიკურ თავისუფლებას, მაგრამ უმკაცრესი სტრა-  
ტიგიული ცენტრალიზმის პირობებში“.

ამრიგად, თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ მოიაზრებდნენ  
იმპერიული ძალები თავიანთ სტრატეგიულ მიზნებს გუშინ და  
როგორ მოიაზრებენ დღეს. ფაქტობრივად, ერთნაირად! გასაგე-  
ბია, რომ რუსები თავიანთი ინტერესებიდან ხედავენ და აგებენ  
სტრატეგიას, სხვა ქვეყნის შვილები — თავიანთი ინტერესები-  
დან. მაგრამ ამ იმპერიულ მიზნებს განხორციელება არ უწე-  
რია, თუ შემსრულებლები არ გამოჩნდებიან. და რაოდენ სამწუ-  
ხაროა, რომ ამგვარი შემსრულებლები ისევ ჩვენში, ქართველებში  
გამოიძებნებიან ხოლმე. ასე იყო ისტორიულად, ასეა დღესაც.

ამ მძიმე ბრალდების დასამტკიცებლად ისევ ციტატებს  
მოუკრძობ, ოღონდ უკვე ქართველი გაზიერებიდან.

„საქართველოს აღორძინება“: „ქართველმა ერმა შეიმუ-  
შავა თვითგადარჩენის ახალი მექანიზმი — რეგიონალური სამ-  
თავროები. ისინი იფარავდნენ ერს, რადგან ერთიანი, მთლიანი  
და განუყოფელი სახელმწიფოს დამარცხება თითქმის ერთს სრუ-  
ლი განადგურების ტოლფასი იყო. ერთადერთ გამოსავლად მრა-  
ვალი მცირე სამეფოს არსებობა გადაიქცა, რომელთაც ერთი  
ენა და სარწმუნოება აღუდაბებდა და ქმნიდა ერთიან ქართველ  
სიკრცეს. ის ფაქტი, რომ იმერეთის სამეფო ირანთან ომის დროს  
ოფიციალურად მხარს არ უჭერდა კახეთის სამეფოს და პირი-  
ქით, ერთს ფიზიკური გადარჩენის შესაძლებლობას იძლეოდა.  
ერთის გადარჩენისთვის თავს ზვარაკად ხან სამეცნიელო სწირავ-  
და, ხან — იმერეთი, ხან — ქართლი თუ კახეთი. და ეს იყო ის  
სიგელი, რომლის საფუძველზეც ქართველები ინარჩუნებდნენ ერთვნულობას. დღეს ეს ფუნქცია აჭარაშ აიღო თავის თავზე (?!  
— ა. ა.). ასეთია ქართველი რეგიონალიზმის საფუძვლები. ეს  
პოლიტიკური მემკვიდრეობა მოგვეყვება ჩვენ გენური მეხსიერე-  
ბის დონეზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ  
სიმღიდრეს წარმოადგენს“.

დაუკვირდით ამ ციტატის რეზიუმეს: საქართველოს ერ-

თანი სახელმწიფოს ნაცვლად შემოთავაზებულია რაღაც პრლიტიკური აქტონომიის მქონე რეგიონები, რომელიც ქმნიან „ერთიან ქართულ სივრცეს“. ლაპარაკი არ არის არავითარ სახელმწიფოზე და სახელმწიფობრიობაზე. ლაპარაკია რეგიონებად დაქუცმაცების, დაშლის აუცილებლობაზე, თითქოს იმ მიზეზით, რომ ამით გადავარჩენთ ჩენებს გენოფონდს. ვისგან ვიცავთ ამ გენოფონდს, ეს სხვა საკითხია.

ახლა ციტატა განხეთ „XXI საუკუნიდან“ (1999 წ. №25):

„საქართველო წარმოადგენს ორი ქვეყნის, ორი კულტურის, ორი ერის — ქართლისა და კოლხეთის გაერთიანებას. ისინი წარსულში არსებობდნენ როგორც ორი დამოუკიდებელი ქვეყანა. კოლხები არიან ვეიპტელების შთამომავლები, ხოლო ქართები მოიყვანა ალექსანდრე მაკედონელმა, გაურკვეველია — საიდან. კოლხების შთამომავლები არიან მეგრულები, აფხაზები და სვანები. ფარნავაზმა გააერთიანა ბარბაროსი ქართები და დაიპყრო კოლხეთი. ქართების საქართველოში მოსვლამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დომინირებდა კოლხური კულტურა, ენა და ხელისუფლება, რისი დადასტურებაცაა მეგრული დაბოლოება — კახეთი, ხევსურეთი, ჩულურეთი და სხვა... დასაცავით საქართველოში არის ორი ტიპის მოსახლეობა: მკეიდრი და არამკეიდრი. ჭოროხის ხეობაში ვინც ცხოვრობს, ისინი არიან კოლხები, ანუ ადგილობრივი მოსახლეობა. გურულებში და იმერლებში ჭარბობს ებრაული სისხლი. სიტყვა „გურია“ წარმოშობილია „ურიასაგან“...

განხეთი დაეინებით ამკეიდრებს „დამპყრობელი ქართებისაგან“ კოლხეთის — დასაცავით საქართველოს განთავისუფლების იდეას. ამკეიდრებს აზრს, რომ ქართველი ერი სინამდვივლეში არ არსებობს, რომ ეს არის სრულიად სხვადასხვა წარმოშობის, კულტურის, მენტალიტეტისა და ტრადიციების ეთნიკური ჯგუფების დროებითი, უფრო მეტიც — ძალადური კავშირი.

თურმე მეგრული ენა ძირითად ქართულს კი არ გამოვყო, როგორც ეს დღემდე უკონათ ენათმეცნიერებს, არამედ... შემდგვერების დაუახლოება ქართულ ენას გეოგრაფიულად ხანგრძლივი მეზობლობის გამო.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დამიტ-  
რი შეველიძე გაოგნებული წერს („დილის გაზეთი“, 1999 წ. 16  
ოქტ.), რომ ავტორი ქართველი ხალხის ისტორიას თავდაყირა  
აკენებს და ისე ქმნის თავის ანტიქაროულ, ანტიეროუნულ კონ-  
ცეციიას. დასავლურ-კოლხურ მართლაც დიდებულ კალტუ-  
რულ წარსეულს უპირისპირებს და პრიორიტეტულად განიხი-  
ლავს აღმოსავლეთ-ქართველი კალტურულ-პოლიტიკური ის-  
ტორიის დამცრობის ხარჯზე — თურმე კოლხებს ფარნავაზამდე  
800 წლით ადრე შეუქმნიათ დამწერლობა; ქართველ-იბერიე-  
ლები მუდამ მტრობდნენ კოლხ-ეგრისელებს, აგრესიულად იყ-  
ვნენ მათდამი განწყობილი; სწორედ ამის გამო კოლხურ-ეგრი-  
სულმა ცივილიზაციამ დაკარგა ოდინდელი დიდება და მის და-  
ღუპაში დიდი როლი შეასრულეს ქართველებმა. სწორედ მათ  
თანდათან, საუკუნეების მანძილზე მოახდინეს დასავლეთ სა-  
ქართველოს, ანუ მთლიანად ეგრისის კალტურულ-პოლიტი-  
კური ექსპანსია, „გააქართველეს“ იმერლები, გურულები, შეა-  
ვიწროვეს მეგრელები, რომლებიც დღეს „საქართველოს უსა-  
ხელო და უენო პროვინციაში“ ცხოვრობენ და ყოველთვის ამისი  
შემოქმედი ქართველები არიან.

ერთი სიტყვით, ავტორი იმგვარად გადმოგვცემს და მიმო-  
ხილავს მოვლენებს, რომ აღმოსავლელი ქართველები დასაუ-  
ლელთა ტრადიციულ მოწინააღმდეგებად, მტრებად და დამ-  
პყრობლებად წარმოადგინოს, დღევანდელ გაუთვითცნობიერე-  
ბელ ამერ-იმერ მკითხველს წინააღმდეგობის, ურთიერთდაპი-  
რისპირებისა და შედლის სინდრომი შეჰყაროს და გაუღვიოს.

ამ ე. წ. კონცეციის ავტორი ქარგად ცნობილი ისტორიუ-  
ლი ფაქტების ტენდენციური, სუბიექტური ინტერპრეტაციით,  
სიყალბეს „ასაბუთებს“. გეგონება საქართველოს ისტორია მის  
მიერ ვიწრო კუთხეური მსოფლგაგების საკეპ მანქანაშიაო გა-  
ტარებული. დაშვებულია დიდი შეცდომა (და მერამდენედ?)  
უმაღლესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის — ქარ-  
თველი ერის ერთადერთობისა და მთლიანობის წინაშე, — გან-  
გაშით დაასკვნის პროფ. დ. შეველიძე.

დიახ, ჯერ კიდევ ფარნავაზის სახელმწიფოს შექმნამდე  
საუკუნეებით ადრე არსებობდა ძველი კოლხეთი! იგი მხოლოდ

დასაულეთ საქართველოს არ მოიცავდა, მასში აღმოსავალეთ და სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილიც შედიოდა. ამ-დენად, კაუკასიაში ქართველი ტომების გამართიანებელმა იყო კოლხეთი, კოლხური კულტურა და კოუელივე, რაც ძველ კოლხეთთანაა დაკავშირებული, არის არა დასაულეთ საქართველოს ლოკალური კულტურა, არამედ ზოგადქართული ეთნოსისა, კულა ქართველური ტომისა. ეს შექება ენასაც. კოლხური კულტურის არეალზე, როგორც მიიჩნევა, გაერცელებული იყო იმ დროისათვის სუსტად დიუქერენცირებული ფუძე ქართულიდან გამოყოფილი ე.წ. ზან-ქართული (ჯერ კიდევ დაუშლელი) ენა, — წერს ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე წიგნში „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე“ (თბ. 1994 წ.).

ერთმანეთს შევადაროთ სუსლოვის და რუსეთის გენტაბის მოხსენებები, დუგინის ნააზრევი და ზემოთ ნახსენები ქართული გაზეობიდან ამოკრებილი ციტატები. განა იდეოლოგიური თანხვედრა გამოკვეთილი არ არის, განა ეს შეკვეთის შესრულება არ არის? უკეთეს შემთხვევაში (თუ ისინი შეკვეთას არ ასრულებენ), ამ ბოროტი, ანტიქართული სტატიების ავტორები გამყალებლები არიან, ისტორიას, სინამდევილეს აყალბებენ. გვთავაზობენ საქართველოს რეგიონებად დაშლას, ისევ როგორც რუსი იდეოლოგები, დაშლას და ფედერაციის შექმნას. უფრო მეტიც — საქართველოს გახლეჩას „ქართველებად“ და „კოლხებად“.

ხანგრძლივი საუკუნეების მანძილზე ვქადაგებდით, რომ საქართველო მხოლოდ მაშინ იყო ძლიერი, როცა ერთიანი იყო, რომ მომავალში მხოლოდ ერთიანობით თუ გადაურჩებით. არაო, უეოდალიზმის ხანაში დავბრუნდეთო. ეს ყოფილა ჩვენი თავდაცვის სისტემა.

ტუემ თქვა, ნაჯახი რას დამაკლებდა, ტარად ჩვენი მმა — ხე რომ არ ჰქონდეს გაერილიო...

ამ თემას შევავსებ ნაწყვეტებით ზეიად გამსახურდიას საეტაპო წერილიდან „სამუგრელოს საკითხი“ (საუბრები სამურზაყანოში 1980 წელს)“:

„ჩვენი მტერ-მოუგარუნი დღეს საკმაოდ დაუფარავად აცხადებენ: საქართველო საერთოდ არ არსებობს. არის სწავლას ხელშები: ქართლელები, კახელები, იმერლები, სენინი, რაჭკვლები, გურულები, აჭარლები და ა. შ. მათ ერთმანეთთან მცირე აქვთ საერთო, ისინი სწავლასწევა ხალხებია, ამიტომ იმსახურებენ ცალ-ცალკე ავტონომიას...“

ეს ტენდენცია ჯერ კიდევ ცარიშმის კოლონიზაციონული პოლიტიკიდან იღებს სათვეებს. ის რესი შეუინისტები, რომელიც სახარუბის მეცნიელების უნივერსიტეტის ცდილობდნენ მე-19 საუკუნეში, რათა მეცნიელი ქართველისათვის დაეპირისპირებინათ, მე-20 საუკუნეში უმექენიდრულდ როდი გადაეცემულან. მათი საქმის გამცრისელებლებმა „კომუნისტური მანიფესტი“ ასარგმნინეს მეცნიელ ენაზე ჩვენი კრის უნივატებს. ქართველურ ენებს შორის განსხვავებით წახალისებულნი, ისინი ცდილობენ დამოუკიდებელ, სწავლასწევა ეროვნებათ ენებად გამოაცხადონ ეს ენები...“

საკმარისია მოიაროთ ჩვენი რაიონები, დარწმუნდებით, თუ რაოდენ არასრულყოფილად ესმის „საქართველოს“ ცნება ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს. თუმცა უნდა ითქვას, რომ შეუცნებელ ადამიანებთან ერთად, ამ ცნებას აფალმებენ და აკრისებენ შენიდბული მტრებიც, ქართველ გვარსა და ეროვნებას ამოფარებული ფსკედონტელიგენტები, რომელთაც კარიურა დაუცენებიათ ერის სიყვარულზე მაღლა...“

შეუხსენებთ, რომ მეცნიელი იგივე ქართველია, დასულეთ ქართველი, სამეცნიელო საქართველოს ქუთხეა, მეცნიელი კი ქართველური ენაა. ხოლო ის ხალხი, ვინც თავისი უმცენების შეღვად „ქართლელს“ ვერ არჩევს „ქართველისაგან“, ე. ი. ქართველს უწოდებს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ძველრის, ჩვენი მტრების წისქეილზე ასხამს წყალს, უმცრებით ან შეცნებული ბოროტგანზრა ხეით..“

„აფხაზეთის საკითხის“ ფეხეებიც „სამეცნიელოს საკითხშია“ ღრმად გადგმული. ქართველი ეროვნული შეცნების დაბალი დონე სამეცნიელოში იწვევს სამეცნიელოს გაუცხოებას საქართველოდან. დაუშეკვირდეთ, რაოდენ დაბალ დონეზე დგას

ქართული კულტურის, ქართული წიგნის პროპაგანდა სამეცნიერომა!..

მთავარია გაფალებით ხალხში ეროვნული თეითშვენება, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. მიუცეთ ხალხს ცოდნა ჩვენი ისტორიის, ჩვენი ეროვნული კინაობის შესახებ, რათა აღარც მეტელი, აღარც კახელი, აღარც გურული, აღარც აფხაზი აღარ სამოვალს პროფესიონალობა ანუსწევ, რომელთაც მიზნად დაუსახავთ საქართველოს კუთხებად დაქუცმაცება და მტრისათვის ხელის შეწობა მის მოსპობასა და ასიმილაციაში.

ქართველი მკითხველისათვის ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღალადით“ ცნობილი პროფესორის პატკანოვის საისტორიო სკოლის მიმდევარი ნიკო მარი „მეცნიერულად ასაბუთებდა“ ერთიანი ქართველი ერის არარსებობას. მან ქართველი ერის ეთნოგრაფიულ ჯგუფებს „იაფეტური“ ხალხები დაარქვა, ხოლო ქართველურ და მის მონათესავე ენებს „იაფეტური“ თუ „ოყბალებაინური“, ეველაფერი გააკეთა იმის „დასასაბუთებლად“, თითქოსდა მეგრულები ქართველები არ იყვნენ, — წერს მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე თავის გახმაურებულ ნაშრომში „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ (ტ. 2), ერთი წყაროს (გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ — ა.ა.) არასწორი კომენტირებით მან ქართველ მეცნიერებს მიაღებინა დოგმა, თითქოსდა „ქართების“ ტომშა კულტურულ-ეკლესიური ზემოქმედების საშუალებით მეგრული „ხალხი“ „გააქართველა“ IX-X საუკუნეებში.

ივანე ჯავახიშვილმა პასუხი გასცა ამ ყალბ თეორიას და დასაბუთა, რომ ქართველი ენა არათუ IX-X საუკუნეებში იცავდასახლეთ საქართველოში კულტმსახურების ენად, არამედ თეით წარმართობის დროსაც კი დასაცლეთ საქართველოში — სამეცნიეროლოსა და სეანეთში, წარმართველი კულტმსახურება ქართველ ენაზე აღესრულებოდა. ივანე ჯავახიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართველი ხალხის ქრისტიანობამდე ჩამოყალიბების თეორიას, კერძოდ დაამტკიცა, რომ არსებობდა საერთო (ყველა ქართველი ტომისთვის) სარწმუნოება და არსებობდა კულტმსახურებისთვის საჭირო ყველა ქართველი ტომისთვის საერთო ენა.

მაგრამ მის დროს არსებული განსაკუთრებული სახოგალოებრავი ვითარების გამო მას არ გაუღრმავებია ეს თეორია. სამაგინიროდ, ნ. მარის თეორია ქართველი ხალხის ეთნიკური არაერთგვაროვნებისა და ამ ხალხის გვიან ხანაში ჩამოყალიბების შესახებ, წახალისებული იყო იმდროინდელ ხელისუფალთა მიერ, დაასკვნის ა. ჯაფარიძე.

ერთიანი ქართველი ცნობიერება ერთიანი ქართველი სახელმწიფოს შექმნამდე გაჩნდა. იგი იქცა იმ დუღაბად, რომელმაც ერთად შეკრა მანამდე განცალკევებული ნათესავი ტომები. ამ პროცესის სათავეებთან მცხეთის მამასახლისის ძმისწელი, მომავალი ერთიანი საქართველოს მეფე ფარნაგაზი და ევრისის ერთობაზე ქუჯი იდგნენ.

ქუჯი სრულიად განსაკუთრებული მოვლენა ძველ ქართველ სინამდვილეში. ფარნაგაზიანთა დინასტიის ისტორიაში იგი გამონაკლისია ქართველ ერისთავებს შორის, რომლის სახელიც შედარებით ვრცლად შემოინახა მატიანემ. ეამთააღმწერლის ძენწითხოვნიდან კარგად ჩანს მაღალი ზნეობრივი თვისებებით შემკული გმირი, რომლის საღოცავ კერპს საშმობლო და იმაზე ფიქრი წარმოადგენდა, რომ „განიხარონ კოველთა ქართველთა“.

ფარნაგაზისა და ქუჯის კავშირი ქართველ ტომთა ერთიანი ცნობიერების ჩამოყალიბების გრძელ გზაზე, ახალი მოვლენის საწყისი გახდა. ამ კავშირით დასრულდა ურთიერთობის განვითარების ეტაპი, დაიძლია განცალკევებული ზღუდვები. მოძრაობის ერთიანობის ცენტრად ქართლი, ხოლო მის მეთაურად ქართლის ხელისუფალი გამოცხადდა: „შენა ხარ შეიღი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი... და უკეთე მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი.“

ისტორიკისი გრანი ქუჯთარია ვარაუდობს, რომ ქუჯიმ პირველობა იმ ენობრივი ბარიერის გამო დათმო, რომელიც არსებობდა ევრისსა და დანარჩენ საქართველოს შორის. ამ მოვლენას უნდა ასახავდეს ლეონტი მროველის მიერ ფარნაგაზის დამაგვირგვინებელი შეფასება: „ამან განაერცო ენა ქართველი და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართვე-

ლისა". აქ მემატიანე უგრისში ქართული ენის განვრცობას უნდა გულისხმობდეს, გარაუდობს პროფესორი გ. ქავთარია.

ფარნავაზმა გააერთიანა ქვეყანა და ქართული ენა დააკანონა ქართველური ტომების საურთიერთობო ენად, განვრცო და გააძატონა იგი მთელ საქართველოში, რაშიც ქუჯის პოზიციას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა.

ქუჯი იყო ქართულ სამყაროსთან ძველი უგრისის საბოლოო ერთობის ფუძის ჩამყრელი. მას რომ ქართლი განსხვავებულ ეთნოსად პქონოდა წარმოდგენილი, მაშინ ასე უმტკივნეულოდ და ნებაყოფლობით არ გამოუცხადებდა მორჩილებას ფარნავაზს, რომელსაც იმ დროისათვის, ფაქტობროვად, არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდა.

მართლაც, ერთიანი ქართული ცნობიერების ჩამოყალიბება წარმოუდგენელია იმ შევონებების გაუთვალისწინებლად, რომელიც ტრადიციაში უგრისის ერისთავს მიაწერა. აქედან ჩანს, რომ მემატიანე ქუჯის მოღვაწეობას ქართველი ტომების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებაში შესრულებული როლით აფასებს. ფარნავაზისა და ქუჯის ქმედება მიუთითებს, თუ რა ძლიერი იყო იმ უძველეს დროსვე, ქრისტეშობამდე ასწლეულებით ადრე, ქართველთა შორის ერთონული ერთიანობის გრძნობა და ქართული ფუძე ენის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ქართველურ ტომებს როგორ პქონდათ შენარჩუნებული ეთნიკური ერთიანობის სიმძაფრე. ფარნავაზთან ერთად ქუჯის სიბრძნე და დიდი კაცობა რომ არა, ქართველთა ერთიანობის იდეა, ალბათ დაიგვიანებდა.

რომ არა გიორგი ჭუონდიდელისა და ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობა, რომ არა დუტუ მეცნელის უზარმაზარი პატია ლექსი: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“, ძნელი სათქმელია, რანი ვიქნებოდით დღეს!

## „მეგრულთა საქმე“ და საქართველოს ისტორიის ფილოსოფია

კარგი, საჭირო საქმე გააკეთა ისტორიი კისმა და უერნალისტმა აღმოა ასლანიშვილმა: „მეგრულთა საქმე“ კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ ხელახლა გასააზრებელი საქართველოს ისტორია. ამ შერიც ბევრი თეთრი ლაქა როგორც ძველი, ისე ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე. „მეგრულთა საქმე“ ერთ-ერთი მათგანია. ქართული სახელმწიფოს შშენებლობა თხოულობს, რომ მასაც და მოუღრუნველი ისტორიასაც პოლიტოლოგიური შეფასება მოცემთ მხოლოდ ამ გზით შევძლებთ გაფიგოთ, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“.

აუტორს – XX საუკუნის უახლესი „ქართლის ცხოვრების“ ფამალუალმწერულს – უდიდესი რუდუნებით შეუსწავლია „მეგრულთა საქმის“ ტომეულები, სხვა უამრავი ღოკუმუნტური თუ მემუარული მასალა და გველაფერს ამას ნიჭიერი უერნალისტის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზით გაზირდის არა მარტო ინფორმაციული და შემეცნებითი, არაამდე პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისითაც.

საქართველოს მომავალზე დაფიქტურული მკითხველისათვის კასტრულ ესაა მოსახრი: ჩვენ გველა უნდა მოიდეთ იმ დასკვნამდე, რომ არც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ, საქართველოს არც ერთმა მხარემ, დღვეუნდელმა თუ ხელინდელმა არც ერთმა ხელისუფლებამ და მასთან ერთად, მოულმა ჩვენსა სახოგადოებამ, არ უნდა დაუშვას „მეგრულთა საქმის“ მსგავსი ანტიქართული გამოყლენა ჩვენს ქვეყანაში.

ვიყოთ მართალი ღვთისა და ისტორიის და, რაც მოგარია, საქართველოს მომავლის წინაშე: მარტო იმპერიულ ძალებს ნე აუკიდებთ ქართველთა გათმვისა და ერთმანეთზე წასისინება-გადამტერუების მრავალრიცხოვან „საქმეებს“. იმპერია იმიტომაც არის იმპერია, რომ მას-

ში მცხოვრებ ხალხებს შორის გაატაროს „გათიშე და იძატონებ“ პოლატიკა. სხვა პოლიტიკას არც უნდა ჟღვალოდეთ „ქართლის ცხოვრება“ ხომ ზღვა მასალას გვაძლევს ამისას — „მოუყარე მტერთა“ მოულა არმადას, „მქონე კოლონას“ რა გამოლევდა ერთმანეთშე ჩასაფრებულ ქართველებში. ოდითგან ამ გზით — მტრისგან გაბრიყვნებულ-გატატებული თუ მოსყიდულ-მოთვლული ქართველების ხელითვე იწყებოდა და ბოლოვდებოდა ეს აჯაღმოსაგონარი „საქმეები“.

ისტორია იმასაც გვასწავლის, რომ იმპერიის სამსახურში მყოფი ქართველები წმირად უფრო მეტი ერთგულებითა და თავდადებით ემსახურებოდნენ იმპერიას, ეიღორე თავის სამშობლო ქვეყანას. ეს უკანასკნელი წამიერადღა თუ გაახსენდებოდათ ხოლმე დიდ გლობალურ პოლიტიკაში ჩათრეულთ ამ მხრივ, იმპერიისადმი ქართველ მამლუქთა ერთგულება სანიმუშოდ იყო მიჩნეული.

სტალინი და ბერიაც ბოლშვიკერი მამლუქები არიან. ამ ორი ქართველის ტანდემმა განსაკუთრებული როლი შეასრულა იმპერიის აღზევებაში „კავის რუსეთიდან — ატომურამდე“. სხვა საქმეა, რომ უმაღლერობით გადაუხადეს ორივეს ეს ერთგულება და ძალისამება. მაგრამ სხვას რას ერჩი, როცა თვითონაც არ ეხატათ ერთმანეთ გულზე, ერთმანეთს თვითონვე უღესავდნენ ლახეარს. რას იზამ, ერთად ჭოტნა და ერთად საქმის კეთება ქართველებს არც იმპერიული იერარქიის ზედა საფეხურებზე ეჭრებოდათ

ახეა მარად: იმპერიულმა პოლიტიკამ არ იცის დანდობა არც შინაურის, არც გარეულის. ამიტომაცაა იმპერიას ისტორია სისხლიან-ცრემლიანი. დანდობა არც ძალაუფლებისათვის ბრძოლამ იცის. ამის მეტი რა ვნახეთ გასულ საუკუნეში... სტალინმა გენიოსურად გამოიყენა მტრებიც და მოკავშირენიც ამ სისხლიან-ცრემლიან ვზაზე.

სტალინს გაცილებით მეტი გამშიცრავ-ინფორმატორი ჰყავდა საქართველოდან, ვიღორე დედამიწის სხვა ნებისმიერი კუთხიდან. მას ხომ ყოველთვის აინტერესებდა რა ხდებოდა მის „ტურფა ქვეყანაში“ და როგორც გამოქვენებული მასალებიდანაც ჩანს, უამრავი წერილობით და ზეპირი დაბეზღების „დეპეშაც“ მიუღია „მეგრულ სინდრომშე“, „სეპარატისტების“ ბერიასთან დანაშაულებრივ კავშირზე: მეგრულთა გარედა პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე არავინ ინიშნება, საქართველოდან სამეცნიეროს გამოყოფაზე ოცნებობენ, თურქეთის დაზვერებასთან თანაშმრომლობენ ამ მიზნით და ა. შ. აშკარად ჩანს „პირველი ინფორმატორიც“ — აკაკი მგელაძე, სტალინის ფაურისტი და ბოლშვიკური „რკინის დისტაციის“ გამტარებელი საქართველოში.

პარადოქსიც და სამომავლო ჭეკუის სახაულებელიც ის არის, რომ სწორედ ეს „რკინის დისციპლინა“ და უკიდურესი საბჭოთა ცენტრალიზმი კვებავდა სახელმწიფო ბრიფი, საზოგადოებრიფი და პიროვნული ცხოვრების ასეთ ანომალიებს. ესეც ისტორიის ფილოსოფიაა — ქვეყანაში, სადაც ხალხის თვითმმართველობისა და თვითმოქმედების ნატამაღიც კი არ არის, ფიულთვის დაირღვევა შემადგენელ მსარეთა „პარიტეტი“ — ქვეყნისა და ხალხის ერთიანობის უმთავრესი წინაპირობა და „ბალავრის ქვა“. რით იფო ძლიერი „ოქროვანი ხანის“ საქართველო? — სწორედ ამერ-იმერის ამ „პარიტეტით“ — თანასწორუფლებიანობით „ფიულთვა ქართველთა ერთიანობა-თანადგომაც“ ამით იკვებებოდა, სანამ პირველი მომაკვდინებელი ლახევრი არ ჩასცა სამცხე-საათაბაგოს წარმოშობამ... სამწუხაროდ, ეს დილექტ დღესაც დგას ჩენებს წინაშე.

ბეჭრს ჟორნია, რომ „სახელმწიფოში სახელმწიფოს წარმოშობა“ მხოლოდ „ძლიერი ხელით“ შეიძლება აღიკვეთოს. მაგრამ ეს მხოლოდ დროებით ეფექტს იძლევა. ქვეყნის შემადგენელი ელემენტების ნამდვილი ერთობისა და პარიტეტის მიღწეული უსწევ ფაზიზე რაღაც და გარეშე ფაქტორებში კი არა, ქვეყნის მიგნით უნდა ვეძიოს ცენტრისა და მსარეთა პარმონიული ურთიერთობა მაშინ იქნება მდგრადი და ქვეყნისათვის სიკითხის მომტანი, როცა იღლას ფორმულირება რომ ვასტაროთ, „ერთმანეთში ბედნიერად მორიგდება“ თითოეული მსარის ადგილობრიფი და მათთან ერთად, მოული ქვეყნის საერთო ეროვნული ინტერესები.

საქართველოს ცალკეული მსარების („ქვეყნების,“) „საქმეები“ ხშირად გადაენასკვებოდა ხოლმე ერთმანეთს. თუ უცხო ძალა არ ჩაერეოდა (ან, არ ჩარცვდნენ თვით მოქამპე ქართველები), კონფლიქტი, როგორც წესი, ბოლოს შერიგებით მოაურდებოდა. „მეცნელთა საქმეც“ არაერთხელ გადანასკველა სხვა „საქმეებთან“, განსაკუთრებით აფხაზურთან. შემთხვევითი არაა, რომ ეს „საქმეც“ გარეკულწილად აფხაზებს და მის მაშინდელ ხელმძღვანელობას უკავშირდება. როგორც, წესი, მეცნელ-აფხაზური კონფლიქტი შერევაშიძეთა და დადიანთა შერიგება-დამოუკრებით მოაურდებოდა. ისე რომ, ქართულ მსარეთა („ქვეყანათა“) წინააღმდეგობანი და კონფლიქტები ასეთ შემთხვევაში შეინითვე გაარდებოდა. სხვათა შორის, დღევანდელ „აფხაზურ კონფლიქტსაც“ თვითონ მეცნელები მოაწესრიგებდნენ სხვათა ჩაურცვდად, ჩენი ჭოფილი „უფროსი ძმა“ რომ არ აძლევულებს წავალს ქართული მიწებიდან მორიგი და გველაზე გემრიელი ლუკის ჩამოსაგლეჯად...

„მეცნელ-აფხაზური უდევრაციის“ იღეაც სწორედ აქედან გაჩ-

ნდა. განმდა იგი ჯერ კიდევ აფხაზეთისა და სამცერელოს სამთავროების გაუქმებამდე, როცა აფხაზეთში და მოსახლეობურ ჯიქეთში აქტიურად დაიწყეს ჩასახლება არაქართული ეთნოსისა, თვით ქართველებს კი უარს ეუბნებოდნენ ზღვისპირა ზოლში დასახლებაზე. ილია მიხედა საით მიკუთხდათ საქმე და რუსეთ-ოუგრეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრებისას კიდევ ერთხელ სკადა ჯიქეთ-აფხაზეთში დექართველიზაციის პროცესის შეჩერება, მაგრამ ამაღლ. არც ბოლშვიკურ გპტაში შეწყვეტილ ა ეს ანტიქართული პოლიტიკა. პირიქით, სწორედ მაშინ მოხდა ჯიქეთის მიწების რუსეთის მფლობელობაში გადასვლის იურიდიული გაფორმებაც, ისე როგორც აფხაზეთის უტონომიისა.

მხოლოდ ბერიაშ შეძლი ქართული ელექტრების გაძლიერება იქ, ისე როგორც, სხვათა შორის, თბილისშიც. ეტეობა ბერიას არ დაუკინებეს ეს და, ვფიქრობ, სწორედ ამაში იმაღლება კრემლის სამხარაულოში „მეგრელთა საქმის“ მოშადების ერთ-ერთი უმთავრესი მიზნიც, ისე როგორც მასა და სტალინს შორის დაპირისპირებისა და მტრობისა, აშკარად რომ გამოიკვეთ როიცეს ხიცოცხლის დაისის ფასს.

ეს ანტიქართული ძალები გაერთიანდნენ არა მარტო და არა იმდენად ბერიას, რამდენადაც ჩეხნი ქვენის ძირეული ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. ეჭვი არაა, აფხაზეთის საბოლოო მოწყვეტაც ხრუშჩევ-სუსლოვის კამპანიაშ მაშინ დაისახა მიზნად. სწორედ მაშინ დაბოლოება ცნება „აფხაზის“ „ქართველისაგან“ მოწყვეტა და გაუცხოება, მისი ცალკე, პრიუილეგირებულ, რაღაც გამორჩეულ ეთნიკურ და სოციალურ კასტად ჩამოყალიბება, რომელიც აიძულებდა იქ მცხოვრებ დანარჩენ ქართველებს „აფხაზებად“ გარდაქმნილიყვნენ და ერთდროულად, იმპერიულ ძალთა მონა-მორჩილნიც გამხდარიყვნენ.

გადახედეთ აფხაზ სეპარატისტთა გვარ-სახელებს, იქაც კიაფობს ამის ანარევლი... როგორც ჩანს, თაუიდანეე მეტად შორეულ გათვლებს აკეთებდნენ რუსეთის სპეცსამსახურები აქაც და კიდევ ბევრ სხვაგან... ესეც „მეგრელთა საქმის“ გარკვეული და, მე ვფიქრობ, კელაზე მნიშვნელოვანი მიზანი და ქეტექსტია, რეალობად რომ აქცია ბერიას დახერხუტიდან ზუსტად 40 წლის თავზე ანტიქართული ძალების ქოლიცაა.

არ უნდა დაყოფისეოთ — ეს ის ძალებია, რომლებმაც პასკუიჩიდან მოუღლებული, ძევლი ქართული „მონაპირე ქეყნების“ განქართვულების შეუქცევადი პროცესი დაიწყებს, ჩეხნს გასაბრივებლად შექმნეს „აჭარელი ერის“ თუ „ოურეი მესხის“ მსგაუსი ანტიქართული პასკვილა-

ტები, II მსოფლიო ომის წინ შეთათხნეს „ანკარის იმპერიალიზმის აქტუალურების“ სქელტანიანი საქმე და დაარწმუნეს სტალინიც და ბერიაც, თურქეთთან მოსალოდნელი ომის წინ სამცხე-ჯავახეთიდან მათი გასახლების აუცილებლობაში. ზევითაც ითქვა, შემთხვევითი არაა, რომ „მცირელთა საქმეში“ თურქეთის „აგენტობის“ ბრალდებამაც გაიქცევა — ყველგან და ყველაუკერძი საქმე საქართველოს დაშლა-დაცემისაჭირ მიპყავდათ ერთიანი მიზანმიმართული სტრატეგიით, მაგრამ როგორც ყოველთვის, ეს ბოლო „საქმენიც“ ქართველთა ხელითვე „გააიმასქნეს“.

განა ახლაც არ სცადეს კრემლის სტრატეგებმა სამოქალაქო ომსა და ე. წ. „აფხაზეთის ოშში“ (ნამდვილად კი, რუსეთ-საქართველოს ოშში), „მეგრულთა კარტის“ გათამაშება ჩვენივე ხელით? უნდა დაუიმახსოვროთ — „გაყავი და იბატონეს“ პოლიტიკა მარად იზეიმებს თავის სატანურ გამარჯევებებს ჩვენშე, თუ კველა ერთიანად არ დაედგებით „ცოტნებიდობის“ სიმაღლეშე. სხვანაირად ყოველთვის „გიგვრაცეულად“ წამოვალებით მტრის ანკესზე და მერე, რამდენიც გინდა ვითართხალოთ, სხვისი ლუქმა გაუხდებით ჩვენი მიწა-წყლიანად...

ილია გვაფრთხილებდა 100 წლის წინათ „არ ვიცით — რანი ვყოფილგართ, არ ვხედავთ — რანი გართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით! ჟურუბში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია — არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის... უზარმაზარი ხრამია ქართველების წინ და საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადავიჩებით დედა-ბუდიანად“.

თითქმის 800-წლიანი ძნელბედობის „შავით მოსილის საქართველოს შევი ბედის“ ქართველობას „საერთო ნიადაგზე“ დგომისაჭირ მოგვიწოდებს მისი აქტორი და თუკი ამ ძნელბედობის დასრულება გვინდა, მაშინ ამ მოწოდების და „საერთო ნიადაგის“ თურქიის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური იდეაბის საქმედ ქცევისაკენ უნდა ვისწრაფოდეთ. ეს არის საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის ყველაზე დიდი ჰერიტაჟის სახალებელი დასკენაც. ამას უნდა ყველაზე მეტი ჩატიქრება და ჩაღრმავება ჩვენგან..

ელგარდ ბატიაშვილი.



თედო საჟოგია



ნეკრესი შვაშვილია



ლავრენტი ბერია (1920-იანი  
წლების დასასრული)



ქონსტანტინე გამსახურდია



აუზაბეგთის საოლქო კომიტეტის  
პირველი მდინარე მიხა ბარაშია



საქ. კპ(ბ) ცქ-ის მეორე მდინარე  
მიხა ბარაშია





მიხა ბარაშია ოჯახთან



საქართველოს სსრ უშიშროების  
მინისტრი, გენერალ-  
ლეიტენანტი ავესენტი რაფაელ



საქართველოს სსრ იუსტიციის  
მინისტრი ავესენტი რაფაელ



ავესენტი რაფაელ პატიშრობისას



საქართველოს სსრ პროკურორი  
კლადიმერ შონია



კლადიმერ შონია შეიღებულიან



პროკურატურის დეწყლოსილ მუშაქთა საზეიმო შექტება (1970-იანი  
წლები) პირველ რიგში (მარცხნდან): ედუარდ შევარდნაძე,  
კიტა შავიძეილი, მეოთხე — გუგული დანელია, არონ ტაკიძე,  
მემკიდე — ილია ვეკუა, კლადიმერ შონია



საქ. კპ (ბ) ცკ-ის განყოფილების  
გამგე ქონისტანტინე ჭიჭინაძე



ქონისტანტინე ჭიჭინაძე სამუშაო  
კაბინეტში



ქართველი დეპუტატები სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე. მარცხნივ —  
ქონისტანტინე ჭიჭინაძე, მესამე — ვასო სიხარულიძე, მეორე რიგში —  
გრიგოლ კაკაია, მესამე რიგში — სიმონ ჩიქოვანი



ზუგდიდის რაიკომის პირველი  
მდგრანი გრიგოლ ჩაჩიბაია  
ომის წლებში





გრიგოლ ჩაჩიბაია 1960-იან წლებში



გრიგოლ ჩაჩიბაია ოჯახთან



საქართველოს სსრ უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუსაძე



ნიკოლოზ რუსაძე პატიმრობისას

16. ალექს (ალექ) ასლანიშვილი. მეცნიერთა საქმე



პეტრე შარია ოჯახთან: მეუღლე ლიდა კვარაცხელია,  
შვილები დაზმირი და ციალა. მოსკოვი, 1938 წ.



უშიშროების მე-3 რანგის  
კამისარი პეტრე შარია



საქ. კპ (ბ) ცკ მდინარი  
პეტრე შარია



საქართველოს კომპარტიის ცკ-ის  
პირველი მდივანი (1952 წ. აპრილი-  
1953 წ. აპრილი) აკაკი მაკელაძე



საქართველოს კომპარტიის ცკ-ის  
პირველი მდივანი (1938-1952 წწ.)  
ქანდად ჩარცებიანი



საქართველოს კომპარტიის ცკ-ის  
პირველი მდივანი  
(1953 წ. აპრილი-სექტემბერი)  
ალიოშა მირცხულავა



საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე იუნე რაფაელ ოჯახთან



საქართველოს სსრ შინაგან  
საქმეთა მინისტრი  
გრიგოლ გარანაძე



ცხაკაიას რაიონის პირველი  
მდგრანი ალექსანდრე (ალექსა)  
კვარაცხელია



საქართველოს ალექს ცქ-ის მდივანი  
ნინო ჟვანია



თბილისის საქალაქო საბჭოს  
აღმასკომის თემუჯღომარის  
მოადგილე ნინო ჟვანია



ქუთაისის საქალაქო კომიტეტის  
მდივანი გრიგოლ კოკაია



წალენჯიხის რაიონის პირველი  
მდივანი მიხეილ კურაცხელია



საქართველოს ერაկონიაზე აქციური (მუშაობა საქ. აკად. სახ-ის სამსახურის  
მიერ მიმდინარე ზოგიერთი) 1940-იანი წლების ეტაპზე.



საქართველოს აღკქ ცქ-ის პირველი  
მდგრანი მამია ზოდელავა



მამია ზოდელავა  
1960-იან წლებში



ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის  
კონტრლაზევროის სამმართველოს  
უფროსი კონსტანტინე ბზიავა



ჩხოროწყუს რაიონის პირველი  
მდგრანი ვარლამ შარულავა




ნეკრესი ტსერეთელის რაიონიშის პირველი  
მდგრანი მამანტი პაჭმარია



ცხაკაიას რაიონის პირველი  
მდგრანი ვალერიან გუგუნაშვილი



აბაშის რაიონის პირველი  
მდგრანი სეკურიან ქარალიძე



აჭარის საოლქო კომიტეტის  
პირველი მდგრანი  
კირილე ბეჭუაია



გალის რაიკოშის პირველი მდგანი  
ანტიფორ ჭუქია



ანტონ ჭუქია 1970-იან წლებში



ორგზის სოციალისტური შროშის გმირი ანთომოზ როგორა,  
საქართველოს კომპარტიის ცე-ის პირველი მდგანი  
გასილ მეუანაძე და ანტიფორ ჭუქია



ხობის რაიონის პირველი მდგრანი  
მიხეილ სიონიძია

ზუგდიდის რაიონის აღმასკომის  
თავმჯდომარე გეგა გომერია



ზუგდიდის საქალაქო საბჭოს  
აღმასკომის თავმჯდომარე  
გასო ბერიძია

აფხაზეთის საქალაქო კომიტეტის  
პირველი მდგრანი შოთა გეთია



მარჯვნიდან: საქართველოს ცეკას მდივანი ილეოლოგიის დარგში იღია  
თუმცა, „საკავშირო მამასახლისი“ მიხეილ კალინინი და საქართველოს  
ცეკას პირველი მდივანი ქანდიდ ჩარგვიანი. მოსკოვი, 1940 წელი



სკპ (ბ) ცეკ-ის ინსპექტორი ალიოშა მირცხულავა, აჭარის საოლქო  
კომიტეტის პირველი მდივანი ქირილე ბეჭააია და საქ. ქპ (ბ) ცეკ-ის  
მდივანი ალექსანდრე თოფურია



სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის  
ყოფილი მოადგილე, საქართველოს  
სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი  
ვლადიმერ ღეკანოზოვი




საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა  
მინისტრი გენერალ-მაიორი  
ვლადიმერ კაცუჩაია



სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე და განსაკუთრებით  
მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსი  
მიხეილ რიუმინი პატიმრობისას





ვაჟა-პშავის ბერიას ვაჟი სერგო  
გვერდი-ბერია (1990-იანი  
წლების მიწურული)



საქართველოს სსრ სახელმწიფო  
უძიმროების მინისტრის  
მოადგილე ირაკლი ნიბლაძე .



საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ვალერიან ბაქრაძე



საქართველოს სსრ მინისტრთა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე  
ზაქარია ჭიცხველი



ისინი ჭერ ერთსად არიან...





სსრკ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის პირებელი  
მოადგილე, სსრკ შინაგან საქმეთა  
მინისტრი ლაურენტი ბერია  
(გადაღებულია დაპატიმრებაშე  
რამდენიმე დღით აღრე)



ლაურენტი ბერია პატიმრობისას  
(ეს სურათი დაკრიულია მისი  
პატიმრობის ანცეტაზე)



სსრკ სახელმწიფო უშიშროების  
მინისტრი ვიქტორ აბაკუმოვი



სსრკ სახელმწიფო უშიშროების  
მინისტრი სემიონ იგნატიაშვილი

აბსურდი, ანუ წინათქმა .....	3
ბელადის ხელდასხმით .....	8
აშორდია, მაფალუ, უვანია .....	23
საშიში რიკოშეტი .....	40
ასე დაიწყო .....	50
დღე პირველი .....	72
დღე მეორე .....	93
„იპოვეთ ცენტრი!“ .....	107
მოსკოვში, სტალინის კარზე .....	118
უსამართლობის თარეში .....	126
გენერლის კრახი .....	145
კომკავშირის დარბეჭა .....	174
ქვიშის თოკი .....	182
ხუხულის დანგრევა .....	193
ფარსი .....	206
დაბოლოს .....	220
„მეგრელთა საქმე“ და საქართველოს ისტორიის ფილოსოფია .....	230



### ალგენ (ალექსი) ასლანიშვილი

დაიბადა 1941 წელს, თბილისში. საშუალო განათლება მიიღო 62-ე საშუალო სკოლაში. 1964 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

პრესაში მუშაობს 1968 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს პუბლიცისტური წერილების ორი კრებული.

უმთავრესად წერს პოლიტიკურ და ისტორიულ თემებზე. ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა რესერის უკანასკნელი მეფის ნიკოლოზ II-ის ფაფურისტის

გრიგორი რასპუტინის ქართველი მეცნიერებისა და „მოწაფებების“ აქნტიურისტული საქმიანობა იმპერიის დედაქალაქში, მათი წელიდღი რომანოვების ტახტის დამხობაში, საბჭოთა ეპოქის პოლიტიკური რეპრესიების აქამდე უცნობი ზოგიერთი ასპექტი.

დაჯილდოებულია დირსების ორდენით.